

ნათო სონღულაშვილი

**საგანმანათლებლო სისტემა
საქართველოს დემოკრატიულ
რესპუბლიკაში
(1918-1921)**



**გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2021**

UDC (უაკ) 37.09(479.22) „1918-1921“
ს – 677

ნაშრომში საარქივო დოკუმენტური წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით შესწავლილია საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921).

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის.

In the scope of the study the educational system of Georgian Democratic Republic (1918-1921) is studied with documentary, archival and scientific resources. The study is dedicated to the specialists and broader audience of the readers.

რედაქტორი: სამართლის დოქტორი,
პროფესორი **ირაკლი გაბისონია**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ვაჟა ჩოჩია**
ისტორიის დოქტორი, პროფესორი
არჩილ ჩაჩხიანი

Editor: Doctor of law, Professor **Irakli Gabisonia**
Reviewers: Doctor of History, Professor **Vaja Chochia**
Doctor of History, Professor **Archil Chachkiani**

© ნ. სონტულაშვილი, 2021

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. კოლიტაოვსკაისი №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-949-3

NATO SONGULASHVILI

**THE EDUCATIONAL SYSTEM IN
THE DEMOCRATIC REPUBLIC
OF GEORGIA
(1918-1921)**



Publishing House “**UNIVERSAL**”
Tbilisi 2021



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

აღნიშნული მონოგრაფია დაიწერა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (№YS-18-608) ფარგლებში. პროექტი განხორციელდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSJG), (№YS-18-608). Project supported Georgian Technical university, Faculty of Law and International Relations.

შინაარსი

შესავალი	7
თავი პირველი. ქართული ენა, სოციალურ ფენათა დაახლოების პროცესი და განათლება	29
თავი მეორე. ეკონომიკა და განათლება	159
თავი მესამე. ჯარისკაცი და განათლება	211
თავი მეოთხე. ეროვნული უმცირესობები და განათლება	241
თავი მეხუთე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და განათლება	265
თავი მეექვსე. პროექტები განათლების შესახებ....	300
თავი მეშვიდე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და განათლება	337
დასკვნა	353

CONTENTS

Introduction	357
First chapter. Georgian language, Rapprochement	
Process of Social State and Education	371
Chapter Two. Economy and Education	417
Chapter Three. Soldier and Education	438
Chapter Four. Education and National Minority	455
Chapter Five. Georgian Orthodox Church and Education .	472
Chapter Six. Projects on education	489
Chapter Seven. Education and Tbilisi State University	506
Conclusion	517

შესავალი

ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განათლების საკითხის შესწავლას სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში და არა ერთი გამოკვლევაა შექმნილი ამ მიმართულებით. თუმცა, ამჯერად ჩემი მიზანია შევისწავლო განათლება, როგორც: 1. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, 2. ეროვნული იდენტობის და 3. სოციალურ ფენათა დაახლოების საშუალება. აღნიშნული საკითხის ამგვარად შესწავლა მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამოვარკვიოთ: 1. რა ფაქტორებმა განაპირობა საგანმანათლებლო სისტემის აქტუალობა? 2. რა ფუნქცია შეიძინა 1918-1921 წლებში განათლებამ? 3. რა როლი ითამაშა განათლებამ ეროვნული ცნობიერების განმტკიცებაში და სხვადასხვა სოციალური ფენების დაახლოებაში. 4. რა ღონისძიებებს ატარებდა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა საგანმანათლებლო სისტემის აღორძინებისთვის? 5. რა გავლენა იქონია განათლების სისტემის განვითარებისათვის ბრძოლაში რუსეთსა და ზოგადად, ევროპაში მიმდინარე ფაქტორებმა? 6. რა წარმოადგენდა ეპოქის გამოწვევას?

რატომ 1918-1921 წლები? 1. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო ახალი გამოწვევების წინა-

შე აღმოჩნდა. მას, ერთი მხრივ, უნდა გადაელახა ფეოდალური სისტემის რღვევის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში დამკვიდრებულიყო და ჩამოყალიბებულიყო და, რაც მთავარია, განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განსხვავებული გზით: შეიარაღებული გამოსვლების ნაცვლად განათლებით, ცოდნით, ორგანიზებულობით და მისი მოთხოვნა ეპოქის და საქართველოს ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი ყოფილიყო. 2. მეორე მხრივ, ეს არის პერიოდი, როდესაც ქართული კულტურული ელიტის ნაწილი ცდილობს ნაციონალიზმის პროპაგანდას, ცოდნის ამაღლებას, ქვეყნის ისტორიის გაცნობას ფართო ფენებში, წარსულის იდეალიზაციას, ეროვნული ფასეულობების დაცვის შეგნების გაღვივებას. 3. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩნდებიან ახალი სოციალური ფენები: პროლეტარიატი და ბურჟუაზია, საფუძველი ეყრება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას რომელთაც დამოუკიდებლობის მოპოვების და საქართველოს სამომავლო განვითარების საკუთარი ხედვები გააჩნდათ. ეს არის ეროვნული იდეის ჩამოყალიბებისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდი, რო-

მელიც გახდა საფუძველი 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემის კვლევა აქტუალურია რადგან:

1. თანამედროვე პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების ფაქტორს საზოგადოების აზროვნების ფორმირებაში. განათლების შესწავლის საკითხი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცოდნის გავრცელების, არამედ ეროვნული ცნობიერების განვითარების და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

2. დღეს, როდესაც ასეთი აქტუალურია ნაციონალიზმის საკითხი და შექმნილია სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობა და ზოგიერთი თეორიული მიმართულება, მაგალითად მოდერნიზმი, თანამედროვე ერის ჩამოყალიბებაში განათლების გავრცელების ფაქტორს დიდ ყურადღებას ანიჭებს, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის 1918-1921 წლების შესწავლა საგანმანათლებლო სისტემის თვალსაზრისით.

3. პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა სიახლეს წარმოადგენს და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საშუალებას მოგვცემს წარმოჩინდეს ეპოქის ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად სასწავლო-სა-

განმანათლებლო პროცესის საჭიროება არამარტო, როგორც მოსახლეობაში ცოდნის გავრცელების, არამედ მთლიანად ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების მთავარი საშუალება.

1. **განათლების როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესში** – კაპიტალისტური წყობის დამკვიდრებამ ახალი სოციალური ფენების: პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემა. ახალ გარემოში ახალი მოთხოვნები და გამოწვევები გაჩნდა. არა მხოლოდ პროლეტარიატი და ბურჟუაზია, არამედ მთელი საზოგადოება ძირეულ გარდაქმნებს განიცდიდა. მით უმეტეს, რომ XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ევროპაში საკმაოდ გაძლიერდა, რასაც შედეგად ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება მოჰყვა. საქართველო ამ ცვლილებებს განსხვავებულად ხვდება. ის, როგორც რუსეთის იმპერიის დაპყრობილი ნაწილი, ბუნებრივია აქ მიმდინარე მოვლენების ზეგავლენას განიცდის და მაშინ, როცა ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, საქართველო თავისუფლებისთვის ბრძოლის ახალ გზებს ეძებს და ქართული კულტურული და პო-

ლიტიკური ელიტა ბრძოლის განსხვავებული მეთოდებით საზოგადოების ეროვნული ცნობიერების ამაღლების მეშვეობით საერთო ქართული სივრცის შექმნას და ყველა სოციალური ფენის თანაბრად ჩართვას ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ეს პროცესი გრძელდება 1918-1921 წლებში. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია გაანალიზდეს რა ფორმით ვითარდებოდა ეროვნული იდეა? როგორ მოიაზრებოდა განათლების პროცესი?

2. განათლების როლი ეროვნული იდენტობის განმტკიცების პროცესში – მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქართველი ერის მთავარი ლოიალობის ობიექტი – მეფე აღარ არსებობდა, გაუქმდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, სასულიერო წოდების წარმომადგენლებს სერიოზული დაბრკოლებები შეექმნათ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული უფლებების რეალიზაციისთვის. ხაზგასასმელია, რომ ხალხთან მთავარი დამაკავშირებელი და ეროვნული იდეების მატარებელი ყოველთვის იყო სამღვდელოება. ამ უფლების ჩამორთმევის შემდეგ, რუსეთმა მაინც ვერ შეძლო საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კავშირის სრული აღმოფხვრა ხალხსა და ეკლესიას შორის, საჭირო

გახდა ახალი ორგანოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ხალხთან კავშირს და რაც მთავარია, ეროვნული იდეების ქადაგებას.

სკოლა გარდა იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, მას ახალი ეპოქა ახალ მოთხოვნებს უყენებდა. ამიტომ საჭიროა გამოირკვეს: 1. რა როლი ჰქონდა და რა მეთოდებით მოითხოვდა ქართული კულტურული ელიტა ქართულ ენაზე წარმოებულ განათლებას. 2. რა ფორმით უნდა მომხდარიყო სკოლების საშუალებით ეკონომიკური, სამეურნეო განათლების და ეროვნული ცნობიერების ამაღლება და თავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში ყველა სოციალური ფენის ჩართვა.

3. სოციალურ ფენათა დაახლოების საკითხი – ბატონყმობის გაუქმებას შედეგად მოჰყვა კაპიტალისტური წყობის დამკვიდრება. ახალმა ეკონომიკურმა ფორმამ გარკვეული ცვლილებები გამოიწვია სოციალურ სისტემაში. ჩამოყალიბდა ახალი სოციალური ფენები: ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ფაქტობრივად გაქრობის საფრთხე შეექმნა თავადაზნაურობას, რაც ეტაპობრივად ხორციელდებოდა. შეეზღუდა გლეხებს ფუნქციები, განსხვავებულ გარემოში თავის დამკვიდრება უჭირდა. არაქართველთაგან შემდგარი ბურჟუაზია, რომელიც მატერიალური თვალსაზრისით

ძლიერ ძალას წარმოადგენდა ნაკლებად იყო დაინტერესებული ქართველი ერის მომავლით, პროლეტარიატი კი სანყის ეტაპზე კლასობრივი ცნობიერებით იყო შეპყრობილი. ეს ყოველივე უარყოფითად აისახებოდა ქართველთა ერთიანობაზე, ამიტომ საჭირო გახდა მტკიცედ ჩამოყალიბებული იდეოლოგია, რომლის ირგვლივ გაერთიანდებოდა ქართველობა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ეროვნული იდეის განვითარების მიმართულებით ახალი ეტაპი იწყება XIX საუკუნის II ნახევრიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან სამოციანელები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და მათი მთავარი მიზანი ხდება ილიას მიერ დამკვიდრებული ლოზუნგის: „მამული, ენა, სარწმუნოება“ შენარჩუნებისთვის ბრძოლა. ეს არის იდეა, რომელიც, ფაქტობრივად მთლიანად გასდევს XIX საუკუნის II ნახევრის ქართველი საზოგადოების წამყვანი ნაწილის, კულტურული და პოლიტიკური ელიტის ბრძოლას ეროვნული ცნობიერების ამადღებისათვის მოსახლეობის ფართო ფენებში და ეროვნული თავისუფლებისათვის. დავიწყებ იმით, რომ ილიას მიერ ერთიან ლოზუნგად დამკვიდრებული „მამული, ენა, სარწმუნოება“, საუკუნეების მანძილზე, სხვადასხვა ეტაპზე ეპოქის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე დღის წესრიგში იდგა ყოველთვის, თუმცა ცალკეულ

შემთხვევებში რომელიმე მათგანი წინა პლანზე იყო წამოწეული და განმსაზღვრელ როლს თამაშობდა. 1918-1921 წლებში კი თითოეული სიმბოლო მნიშვნელოვანი ხდება და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს დამოუკიდებელ საქართველოში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე კვლევის ობიექტია:

პირველი რესპუბლიკის პერიოდი ერთ-ერთი რთული მონაკვეთია საქართველოს ისტორიაში. ერთი მხრივ, ყალიბდება და მეორე მხრივ, განვითარებას განიცდის ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიური ფორმები, რომლის უპირველეს გამოხატულებას წარმოადგენა განათლებული და საკუთარი ქვეყნის ისტორიის მცოდნე საზოგადოება. როგორც უკვე აღვნიშნე, XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესი განათლებული და ნაციონალური იდეის შეგნებით განმსჭვალული საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ იყო მიმართული. ამ პროცესების ლოგიკური გაგრძელებაა 1918-1921 წლებში მიმდინარე მოვლენები. დამოუკიდებელმა საქართველომ გეზი დასავლეთზე აიღო და მისი მიზანი გახდა ქვეყნის სხვადასხვა სფეროს ევროპეიზაცია და მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დაიკავა განათლების ფაქტორმა.

საქართველოს სახელმწიფომ საკუთარი მიზანი ნათლად გამოხატა დამფუძნებელი კრების 1919 წლის 12 მარტის სხდომაზე, სადაც ალექსანდრე ლომთათიძემ განაცხადა: „ჩვენ გვინდა აზია დავტიოთ, ევროპის საერთო ხალხთა ოჯახში შევიდეთ და ჩვენი ძალით და სხვისი დახმარებითაც, თუ ეს დახმარება ვინმესგან გვეღირსება, გავხდეთ სწორუფლებიანი წევრი ევროპიულ ხალხებთან, ევროპიულ დემოკრატიათა და მათ სახელმწიფოთა საერთო ოჯახისა.

ჩვენ გვინდა, რომ გაიგოს ეს ყველამ, გაუწიოს ამას ანგარიში, მე მგონი, რომ ის ევროპის სახელმწიფოები, რომლის წარმომადგენლები დღეს არიან აქ, დიდი ბრიტანეთი, განთქმული თავისი დემოკრატიული კონსტიტუციით, დიდი რევოლუციის აკვანი, დიდი საფრანგეთი, დემოკრატიული შვეიცარია, დიდი ამერიკა, ამას სათანადო ანგარიშს გაუწევინ და მართლაც, რომ ჩვენ გვერგება წილი ამ საკაცობრიო ლომუნგის განხორციელების დროს, რომლის ძალით მცირე ერს და მის დემოკრატიას საშუალება უნდა მიეცეს თავის საკუთარი ბედი თვითონ გამოჭედოს“.¹

ნიკოლოზ ტრუბეცკოი წერდა: „უნდა გავიცნობიეროთ ის, რომ ქართული ნაციონალიზმი მხოლოდ იმ-

¹ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, (შემდეგში სცსა), ფ. 1833, აღწ. 1, საქ. №81, ფურც. 4

დენად იძენს მავნე ფორმებს, რამდენადაც იმსჯვალე-
ბა ევროპეიზმის ცნობილი ელემენტებით. ამგვარად,
ქართული საკითხის სწორი გადაწყვეტა შესაძლებე-
ლია, მხოლოდ ჭეშმარიტი ქართული ნაციონალიზმის,
ანუ ევრაზიული იდეოლოგიის განსაკუთრებული ქარ-
თული ფორმის, წარმოშობის პირობებში“.²

ლ. ბოცვაძე 1917 წელს ჟურნალში „განათლება“
აღნიშნავდა: „დასაწყისში სახალხო სკოლები კი ჩვენ-
ში აუცილებლად უნდა გაჰყვეს ზოგად განათლების
გზას, მაგრამ არა იმ წესით, როგორც დღეს არის შე-
მოდებული, არამედ სხვა გზითა და სხვა საშუალებით.
ჩვენებური სახალხო განათლების საქმე მოითხოვს
როგორც სკოლაში სასწავლო დროს გადიდებას, აგ-
რეთვე სასწავლო საგნების შერჩევას, სკოლის საქმის
სრულს რეორგანიზაციას, პროგრამის გაფართოებას,
დედაენაზე საგნების სწავლების შემოდებას, საღი პე-
დაგოგიური პრინციპების დაცვას და სკოლის ცხოვრე-
ბასთან დაახლოებას. თუ გვინდა, რომ ზოგად განათ-
ლების სკოლა სამოგადოდ და კერძოდ სახალხო სკო-
ლა მართლა პირნათლად ემსახურებოდეს განათლე-
ბის საქმეს, იგი ადგილობრივს პირობებთან შეგუებით
ისე უნდა მოეწყოს, როგორც მოწინავე ქვეყანაშია. ევ-

² ნ. ზაზანაშვილი, რუსოფობია, ანუ პოეტური იმპერიალიზმი ლო-
მონოსოვიდან ევტუშენკომდე, თბილისი, არტანუჯი, 2017, გვ.

როპა და ამერიკა ამ მხრითაც საუკეთესო მაგალითს იძლევიან. ის, რაც ევროპისა და ამერიკის სკოლებში ბავშვის ბუნებრივი ნიჭის განვითარებას შეადგენს, ჩვენებურსა და რუსულ სკოლებში ან სრულად უარყოფილია, ან მხოლოდ ახლა ცდილობენ ამ გზით სკოლების განახლებას.³

განათლების ფაქტორის მნიშვნელობაზე საინტერესო ინფორმაციაა თეორიულ ლიტერატურაში. ნაწილი მეცნიერებისა განათლების წინა პლანზე წამოწევას ნაციონალიზმის წარმოშობასაც კი უკავშირებს. ნაშრომში „წარმოსახვითი საზოგადოებები“ ბენედიქტ ანდერსონი ნაციონალიზმის საფუძვლებს მეთვრამეტე საუკუნის ევროპულ „ბეჭდვით ნაციონალიზმში“ ეძიებს. „მეთვრამეტე საუკუნემდე ნაკლებად არსებობდა ეროვნული ერთობის გრძნობა, თუ არ ჩავთვლით ტახტისადმი ერთგულების განზოგადებულ გაგებას, მშობლიურ ენაზე ფართომასშტაბიანი ბეჭდვითი სიტყვის წარმოშობასა და შესაბამისად, ფართო მასებში წერაკითხვის გავრცელებასთან ერთად ჩვეულებრივ ადამიანებს პირველად მიეცათ იმის საშუალება, რომ საკუთარი თავი იმ დანარჩენ ადამიანებთან გაეგივივებინათ, რომლებიც არც არასდროს ენახათ და ვერც ვე-

³ ლ. ბოცვაძე, სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება, ჟურნალი, განათლება, 1917, №2, გვ. 89

რასდროს შეხვდებოდნენ. ამ პროცესს ხელს უწყობდნენ გამომცემლებიც, რომლებიც მოგების მიღების მიზნით, ცდილობდნენ ბაზრის გაფართოებას და შესაბამისად, მათ ხელს აძლევდა მოქალაქეებს შორის წერა-კითხვის ცოდნის დონის ზრდაც. მსგავსი დაჯგუფებების კიდევ უფრო გამყარებას ხელი შეუწყო იდეოლოგიების სწრაფი ტემპებით გავრცელებამაც. იდეოლოგიები ხალხებს ყოფდა ენების, კულტურების, სამშობლოსთვის თავგანწირვისა და სხვა საგმირო საქმეებით აღსავსე ისტორიული წარსულის მიხედვით“.⁴

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათწლეულები, პირობითად, ის დროა, როცა შესაძლებელია ისტორიის პროფესიონალიზაციაზე საუბარი. საუკუნის შუა ხანებისათვის ცხრა უნივერსიტეტში ისტორიის ოცდარვა პროფესორი საქმიანობდა. სამოცი წლის შემდეგ ისტორიას არანაკლებ 185 პროფესორი ასწავლიდა. მათი რაოდენობა იზრდებოდა მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, რომელმაც 1931 წელს პიკს მიაღწია – არსებობდა ისტორიის 238 პროფესორი.⁵

⁴ ტედ ლეველნი, პოლიტიკური ანთროპოლოგია, შესავალი, მესამე გამოცემა, თბილისის, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, გვ. 224

⁵ როგორ დავწეროთ ისტორია, შესავალი დისციპლინის ისტორიასა და პრაქტიკაში, რედაქტორები პიტერ ლამბერტი და ფილიპ სკოფილდი, შესავალი წერილი, თარგმანის საერთო რედაქცია,

1870 წელს ამერიკის უნივერსიტეტებში 52000 სტუდენტი სწავლობდა, რომელთა რაოდენობაც 1930 წელს 1 100 000-მდე გაიზარდა; უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ დიდ საჯარო და კერძო უნივერსიტეტებში დიდი რეორგანიზაცია განხორციელდა, რათა დაემკვიდრებინათ ახალი დისციპლინები და ძიების ახალი მოდუსები. ძველი რომისა და საბერძნეთის შემსწავლელი საგნების, მათემატიკისა და „ფილოსოფიის“ ტრადიციული ნარევის ნაცვლად, რომელიც აისახა ომის წინა პერიოდის ამერიკული კოლეჯის სილაბუსში, რეფორმირებული უნივერსიტეტები სტუდენტებს სთავაზობდნენ იმ „არჩევითი“ საგნების ფართო სპექტრს, რომელთა შორის ისტორიაც იყო. სტუდენტს ამ საგანთაგან უნდა აერჩია სასურველი დისციპლინა. საბაკალავრო საგნები უფრო ინტენსიური და სპეციალიზებული გახდა. ამიტომაც დასჭირდათ უფრო სპეციალიზებულ პედაგოგთა შემადგენლობაც.⁶

კომენტარები მარიამ ჩხარტიშვილის, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, გვ. 32

⁶როგორ დავწეროთ ისტორია, შესავალი დისციპლინის ისტორიასა და პრაქტიკაში, რედაქტორები პიტერ ლამბერტი და ფილიპ სკოფილდი, შესავალი წერილი, თარგმანის საერთო რედაქცია, კომენტარები მარიამ ჩხარტიშვილის, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, გვ. 47

როგორც გუსტავ ლე ბონი აღნიშნავს ნაშრომში „ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგია“: „რომელიმე ეპოქაში ძალისა და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე იდეებიდან (ხშირად ილუზიური ხასიათისა და მცირერიცხოვნობის მიუხედავად) პირველ რიგში უნდა დავაყენოთ შემდეგი: განათლება შესამჩნევად ცვლის ადამიანებს და იმდენად აკეთილშობილებს მათ, რომ შეიძლება თანასწორობაც კი შექმნას. სწავლებისა და გამეორების გზით ეს პრინციპი გახდა დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე ურყევი დოგმატი და ამჟამად ისევე ხელშეუხებელია, როგორც ოდესღაც ეკლესიის დოგმატები“.⁷

ავტორი აკრიტიკებს იმ პერიოდის სასწავლო-აღმზრდელობით სისტემას: „ამ აღმზრდელობითი სისტემის (სრულიად სამართლიანად ლათინურ სისტემად ნოდებულის) მთავარი საშიშროება იმაშია, რომ იგი ეყრდნობა იმ ძირითად ფსიქოლოგიურ შეცდომას, თითქოს სახელმძღვანელოების ზეპირად დასწავლით ჭკუა ვითარდება. ამ რწმენიდან გამომდინარე, მონათფებს აიძულებენ ისწავლონ რაც შეიძლება ბევრი და დაწყებითი სკოლიდან სწავლულის ხარისხის მიღებამდე ახალგაზრდა მხოლოდ იმას აკეთებს, რომ იზეპირებს

⁷ გუსტავ ლე ბონი, ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგია, თბილისი, მთაწმინდელი, 2013, გვ. 177

წიგნებს, თანაც ისე რომ, არც მისი განსჯის უნარი, არც მისი ინიციატივა არანაირად არ ვითარდება. მთელი სწავლა მისთვის არის ის, რომ უპასუხოს ზეპირად და იყოს დამტყერე. „გაკვეთილების სწავლა – წერს სახალხო განათლების ერთ-ერთი ყოფილი მინისტრი, ჟიულ სიმონი, – გრამატიკის კონსპექტის ზეპირად ცოდნა, კარგად გამეორება ან მიბაძვა – აი, სავალალო აღმზრდელობითი სისტემა, სადაც ყოველგვარი ძალისხმევა მიმართულია მასწავლებლის უცოდველობის რწმენის განმტკიცებისკენ და მიდის მხოლოდ იქით, რომ ჩვენ დაგვიმორჩილონ და გაგვხადონ უძლურნი“.⁸

როგორც ვენტონი სმითი მიიჩნევდა: „სამოქალაქო განათლება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნიშანია როგორც ტერიტორიული ნაციონალიზმის, ისე იმ იდენტობისა, რომლის შექმნასაც ის ცდილობს. ის, ვინც თვალყურს ადევნებს ხსენებულ პროცესს, ხშირად შენიშნავს, თუ როგორი სერიოზულობით იწყებენ ახალი სახელმწიფოების რეჟიმები ბრძოლას მთელ მოსახლეობაში პირველადი, და ზოგჯერ მეორადი, განათლების შესატანად. ასევე მნიშვნელოვანია ამ განათლების შინაარსი ტერიტორიულ ნაციებში. თუ კურიკულუმი სეკულარულია და ვესტერნული (გამო-

⁸ გუსტავ ლე ბონი, ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგია, თბილისი, მთანმინდელი, 2013, გვ. 178-179

ნაკლისია ზოგიერთი ისლამური სახელმწიფო), მას აქვს გამოკვეთილად „სამოქალაქო“ ხასიათი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობაში განათლების შეტანა განზრახულია როგორც ნაციონალური ერთობის, ისე ცალკეული ინდივიდის საკეთილდღეოდ. კიდევ უფრო დიდი ყურადღება ეთმობა იმ სამსახურს, რომელიც ცალკეულმა ადამიანმა უნდა გაუწიოს მთელს ერთობას და იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას აკისრია ამ ერთობის წინაშე. შესაძლებელია, ეს იდეები პირდაპირ არ გაცხადდეს, ანუ არ იყოს დოქტრინალური სწავლება, მაგრამ, სამაგიეროდ, არსებობდეს სოციალური კეთილგანწყობა მათ დასაწერგად“.⁹

მართალია, 1918 წელს 26 მაისს აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, თუმცა სხვა მრავალი პრობლემის მოგვარებასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა განათლების რეფორმას. 117 წლის მანძილზე რუსული განათლების სისტემამ უარყოფითი კვალი დააჩნია ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და ამიტომ აღნიშნული მოვლენის ქართულ რეალობაზე მორგება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა.

⁹ ე. დ. სმითი, ნაციონალური იდენტობა, თარგმანი ლელა პატარიძის, თბილისი, ლოგოს პრესი, 2008, გვ. 148

განათლების როლი და ფაქტორი საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა და ამათუიშ საუკუნეში ეპოქის გამონწვევებიდან გამომდინარე საზოგადოების ცნობიერების ფორმირება-განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა. იმ პერიოდში, როდესაც საგანმანათლებლო სივრცეს ყურადღება მიექცა და სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს არა მხოლოდ განათლების მიცემის, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ფუნქცია მიენიჭა, საქართველო ამ ყოველივეს განსხვავებულ რეალობაში ხვდება. რუსული მმართველობის სისტემამ განათლება მაქსიმალურად გამოიყენა ქართველი ხალხის გარუსების და გარდაქმნისათვის. სწორედ ამიტომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ თუ კულტურულ ელიტას ორმაგი საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებასთან ერთად, საგარეო თუ საშინაო პრობლემების გადაჭრის ფონზე განათლების რეფორმა ქვეყნის ამოსავალი პრინციპი გახდა.

ბუნებრივია, განათლების პრობლემით დაინტერესება მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობისთვის არ ყოფილა დამახასიათებელი და ამ ყოველივეს გარკვეული წინაპირობები გააჩნდა. დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში იწყება სრულიად ახალი ეტაპი, რაც გულისხმობდა განათლების მასშტაბის განსაკუთრებულ გაზრდას და რაც მთავარია მის ხელმისაწვდომობას ყველა სოციალური ფენისათვის. განათლების გავრცელების საშუალებებს და მეთოდებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისი მასობრიობის საკითხი იყო. სწორედ აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება საგანმანათლებლო ცენტრების რაოდენობის გაზრდა, განათლების ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა, მისი დაკავშირება ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ წინსვლასთან, ეროვნული ცნობიერების ამაღლებასთან.

XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული 1918 წლამდე მაქსიმალურად ცდილობენ ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტის წარმომადგენლები, დამოუკიდებლობის არქონის, რუსიფიკაციის პირობებში ქართული საზოგადოების ეროვნულ ფორმებში მოქცევას განათლების მეშვეობით. ამ მიმართულებით აღსანიშნავია თერგდალეულების მუშაობა ეროვნული თემატიკის აქტუალიზებაში.

როგორც უკვე აღვნიშნე, რუსული მმართველობის პირობებში შეზღუდული იყო საგანმანათლებლო სისტემის გააქტიურებაზე ზრუნვის აფიშირება და ქარ-

თული საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მიზანმიმართულად ზრუნავდა ამ პრობლემის მოგვარება-განვითარებაზე უფლებაშეკვეცილი იყო. 1918 წლიდან ამ მიმართულებით სრულიად ახალი ეტაპი იწყება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ამიერკავკასიის სახალხო განათლების სამინისტროს ნაცვლად, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო. განათლების მინისტრად დაინიშნა სოციალისტ-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი. ახალმა მინისტრმა გააუქმა ამიერკავკასიის სასწავლო ოლქი, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახალხო სკოლათა დირექციები, თბილისის ქალთა ინსტიტუტი, თბილისის სამხედრო გიმნაზია (კადეტთა კორპუსი), დაიწყო სასწავლო დაწესებულებათა რეორგანიზაცია. სამინისტროში დაწესდა სამი თანამდებობა: 1. უმაღლესი და საშუალო სკოლების მთავარგამგის; 2. სახალხო სკოლების მთავარგამგის და 3. საპროფესიო და სატექნიკო სკოლების მთავარგამგის. ადგილობრივ სკოლათა მეთვალყურეობისათვის სამინისტრომ დატოვა სახალხო სკოლების ინსპექტორთა ინსტიტუტი. სამინისტროში ფუნქციონირებდა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ: მინისტრი, მისი ამხანაგი (მოადგილე), სამი მთავარგამგე, სამინისტროს კანცელარიის დი-

რექტორი, ქალაქისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი, აგრეთვე ის პირნი, რომელთა მოწვევას მინისტრი დაინახავდა საჭიროდ. სამინისტროს კანცელარიაში მსახურობდა 19 კაცი. კანცელარიის დირექტორი იყო ვუკოლ ბერიძე, საქმის მწარმოებელი მაქსიმე ბერძნიშვილი. საქმის წარმოება სრულდებოდა სახელმწიფო ენაზე. სამინისტროს შტატები დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ 1918 წლის 6 სექტემბერს. სულ სამინისტროში 56 თანამშრომელი მუშაობდა, რომელთაგან ბევრი ცნობილი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო. სამინისტროს თანამშრომელთა შორის იყვნენ: ვუკოლ ბერიძე, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ჭუმბურიძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, კონსტანტინე აბაშიძე, მაქსიმე ბერძნიშვილი და სხვა.

განათლების მინისტრად 1920-1921 წლებში შეთავსებით იყვნენ: ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, შემდეგ კი სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე.

სამინისტრომ ყურადღება მიაქცია ახალი სკოლების გახსნას, ერობებისთვის ადგილობრივ სკოლათა გადაცემას, რათა მეტი ყოფილიყო სკოლისადმი ყურადღება. 1918-1919 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს

შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი სასკოლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები:

1. თბილისის უნივერსიტეტი;
2. ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტი;
3. პოლიტექნიკუმი;
4. კონსერვატორია;
5. თბ. ობსერვატორია;
6. კავკასიის მუზეუმი;
7. საოსტატო ინსტიტუტი;
8. საოსტატო სემინარია;
9. ვაჟთა გიმნაზია;
10. ქალთა გიმნაზია;
11. რეალური სასწავლებლები;
12. საკომერციო სასწავლებლები;
13. სატექნიკო სასწავლებელი;
14. სახელოსნო სასწავლებელი;
15. უმაღლესდაწყებითი სასწავლებელი;
16. დაწყებითი სკოლა,
17. კერძო საშუალო სკოლა.¹⁰

როგორც უკვე აღვნიშნე, 1918 წლიდან მოყოლებული სრულიად ახალი ეტაპი იწყება ამ მიმართულებით. „განათლების რეფორმა და სკოლების შემდგომი რეორგანიზაცია ითვალისწინებდა საყოველთაო უფასო, სავალდებულო სწავლების შემოღებას, ხალხის სულიერი ცხოვრების აღმავლობას და ტრადიციული პედაგოგიური მეთოდების შერწყმას თანამედროვე მონიხვევ პედაგოგიურ მეთოდებთან, სკოლების მთლიანად გაეროვნულებას, ნაციონალური უმცირესობებისათვის ახალი სკოლების გახსნას (სადაც მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერდა ქართული ენისა და

¹⁰ <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/>

საქართველოს ისტორიის სწავლება), პროფესიული და ტექნიკური სკოლების დაარსებას, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების შექმნას, მასწავლებლებისა და სტუდენტების გაგზავნას საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად.¹¹

სწორედ ზემოთ განხილული საკითხებია შესწავლილი წინამდებარე მონოგრაფიაში.

¹¹ დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში, თბილისი, 2000, გვ. 8-9

თავი პირველი
ქართული ენა, სოციალურ ფენათა დაახლოების
პროცესი და განათლება

ქართული ენისათვის ბრძოლა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში წარმოადგენდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ძირითად საკითხს. ქართული ენის, მისი სწავლებისა და არსწავლების, სასწავლებელში მისი მდგომარეობის საკითხი სრულიად გასცდა, განსაკუთრებით აღებულ პერიოდში პედაგოგიური კამათის სფეროს და ერისათვის სასიცოცხლო საკითხად იქცა.¹² ჯერ კიდევ 1873 წლის დადგენილებით ქართული ენა ამოღებულ იქნა სასწავლებლების ოფიციალურ საგანთა შემადგენლობიდან და მის სწავლებას მიეცა კერძო ხასიათი. 1874 წლიდან კი – სასწავლებელთა კურსიდან, მისი შესწავლა შეეძლოთ მსურველებს საგნის მასწავლებლებისათვის გარკვეული საფასურის გაღების პირობით. ეს პრობლემა ასევე არსებობდა XX საუკუნის დასაწყისში. ფაქტობრივად ქართველი ერის ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მანძილზე ქართული ენის საკითხი არ მოსცილებია. რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ქართული ენის

¹² ფ. გოგიჩაიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1974, გვ. 17

უფლებების შეკვეცა შემთხვევითი არ ყოფილა. რადგან „უმთავრესი ძირი კულტურული ცხოვრებისა ენაა. სამშობლო ენა ის ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდება ნორმალური, კულტურული ზრდა და განვითარება ხალხისა. ამიტომ სწავლა-განათლება ხალხისა უსათუოდ სამშობლო ენაზე უნდა იყოს მოწყობილი. ეს აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშე შეუძლებელია განმანათლებელ დაწესებულებათა მოქმედება და მასთან ძირითადი მოთხოვნილებაა ამ დროის და ყველა დროის პედაგოგისა“.¹³ როგორც ცნობილია, ეროვნულ მახასიათებლებს შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი ენას უკავია. ქართველი ერის ცხოვრებაში ქართული ენა ყოველთვის გამაერთიანებელ როლს ასრულებდა. ამ პერიოდში სკოლას ეკისრება ეროვნული ფუნქცია, რომლის საშუალებითაც უნდა მომხდარიყო საერთო ნაციონალური ცნობიერების ფორმირება. „როგორც ბნეობრივი და გონებრივი განვითარება, ისე ნივთიერი კეთილდღეობის ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ ხალხის ბრბოს განათლებას, რაც დაფუძნებულია განათლების საშუალებებზე, აქ ერთდებიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები. განათლება ამაღლებს ხალხის ძალას და ამრავლებს სიმდიდრეს. ბრბოს უვიცობა არის ხალხის უბედურება,

¹³ უერნალი, განათლება, 1908, №1, გვ. 9

რაც ავად ცხადდება კერძო პირის, საზოგადოების და სახელმწიფოს ცხოვრების ყოველ მხარეებზე. გონებრივი სახელმწიფოებრივი აღზრდა და ყველასათვის ხელმისაწვდომი პირველდანიყებითი სწავლა-განათლება წარმოადგენენ ქვეყნის იმ საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს ნივთიერ და გონებრივ კეთილდღეობას.¹⁴ ყველა ნაციონალურ საკითხთა შორის, უეჭველია, საკითხები ეროვნული სკოლისა, ენისა და კულტურის შესახებ უდიდესი მნიშვნელობის საკითხებია, ვინაიდან ეროვნული აღზრდა-განათლება, ენა, კულტურა, – ეს ისეთი ფაქტორებია ერის ცხოვრებაში, რომლებიც ხშირად აკავშირებენ ერის სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთთან, რომელიც აძლევს ერს უფლებას თვითარსებობისას.¹⁵ ამისათვის საჭირო იყო ყველა სოციალური ფენის დაახლოება და გაერთიანება ერთი საერთო საქმისათვის. „დროა შევიგნოთ, რომ ცალკე განვეა ჩვენი ერის წოდებათა: გლეხთა, თავადაზნაურთა, ვაჭართა, სამხედროთა და სხვათა ხერს არ დაგვაყრის და ამიტომ დროც არის დაუყოვნებლად შევუდგეთ ერის ერთიანობის ამ ძირისმომთხრელი მიზეზების ფრთების შეკვეცას“.¹⁶ საზოგადოების სხვა-

¹⁴ ჟურნალი, მოგზაური, 1903, №11-12, გვ. 662

¹⁵ ნაციონალიზმი და დემოკრატიული ინტერესები, თბილისი, გვ. 2

¹⁶ ჟურნალი, მოგზაური, 1904, გვ. 167

დასხვა ფენათა და წოდებათა დაახლოება, ჟურნალ „მოგზაური“-ს პუბლიცისტების აზრით, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა „როცა ჩვენ სამეურნეო საქმეს ჩვენის ბნელით მოცულის გლეხის დახმარებით ვანარმოებთ, როცა მას ჩვენ ჰუმანურად ხელს გავუწვდით და გვერდში ამოვიყენებთ იმ საქმეში, რომელიც მას მთელი ათასი წლებით აქვს შეწვნიებული, როცა მას გვერდით დავისვამთ და მასთან ერთად დავლევთ ჩაის“.¹⁷ სოციალურ ფენათა დაახლოება უშუალოდ იყო დაკავშირებული საერთო ნაციონალური ცნობიერების ჩამოყალიბებასთან. სოლიდარობის განცდა ერთობის წევრებს შორის ერთი მიზნისათვის ბრძოლას გააადვილებდა: „უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ჩვენმა ხალხმა ერთი გარკვეული და ნათელი აზრი და შეხედულება იქონიოს თავისი ყოფა-ცხოვრების გაუკეთესების პირობებზე და საშუალებებზე, რათა ჩვენი ყოველი საზოგადო მოქმედება იმ მხრით იყოს ერთ სულ და ერთ ხორც“.¹⁸

ბეჭდურ მედიაში სოციალური საკითხებისადმი ინტერესი შემთხვევითი არ იყო, რაც შემდეგი გარემოებებით აიხსნება: 1. 1864 წლიდან ბატონყმობის გაუქმების შედეგად წარმოშობილი ახალი თავისუფალი ფე-

¹⁷ ჟურნალი, მოგზაური, 1903, № 1-2, გვ. 9

¹⁸ იქვე, გვ. 795

ნის ერთობის წევრებს შორის დაახლოვება უნდა მომხდარიყო. 2. საერთო ნაციონალური ინტერესების გარეშე თავისუფლებისათვის ბრძოლა წარმოუდგენელი იქნებოდა და სოციალურ ფენათა დაახლოვება აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. როგორც XX საუკუნის დასაწყისში, ისე 10-იან წლებში პრობლემა აქტუალობას არ კარგავს. გაზეთ „თემში“ ვკითხულობთ: „აღვძრავთ საკითხებს თუ უკვე აღძრულს შევეხებით, მხოლოდ ერის კეთილდღეობას მივიღებთ მხედველობაში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მშრომელი ხალხის მდგომარეობას გავითვალისწინებთ. ის მიგვაჩნია ჩვენი ერის კულტურულად განახლების საფუძვლად, მასზე ვამყარებთ ჩვენ იმედებს, ჩვენს მომავალს. მასში უნდა გავავრცელოთ სწავლა-განათლება. შევათვისებინოთ კულტურული საშუალებანი მძიმე ეკონომიკურ პირობებთან ბრძოლაში და საზოგადოდ შევუნყოთ ხელი მის წინსვლას და გონებრივ აყვავებას“.¹⁹

განათლების საკითხის წინა პლანზე წამოწვევა უკავშირდება ეპოქის მოთხოვნილებას. გარდა იმისა, რომ ქართველი ნაციონალისტების მიზანი იყო წიგნიერი თაობის აღზრდა, ეს ისტორიული აუცილებლობიდანაც გამომდინარეობდა. XIX საუკუნის II ნახევარი და

¹⁹ გაზეთი, თემი, 1911, №1, გვ.1

XX საუკუნის პირველი ოცნლეული არის დრო, როდესაც მსოფლიო მასშტაბით იწყება ახალი გარდაქმნები, როგორც პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისითაც. განათლებული საზოგადოების საჭიროება ახალმა პოლიტიკურმა წყობამაც მოითხოვა. განსხვავებით ძველი პერიოდისგან, როდესაც მსოფლიო მხოლოდ ომებით იყო დაკავებული და ამასთან მიწაზე მიმაგრებულ გლეხს განათლების მიღების არც დრო და არც საშუალება ჰქონდა. კაპიტალისტურმა წყობამ მთლიანად შეცვალა არსებული სიტუაცია. მოდერნულ ეპოქაში განათლება ყველასთვის სავალდებულო გახდა. ამასთან სქესთა განურჩევლად ყველას ერთად უნდა ესწავლა. ეს პროცესი სოციალური უთანასწორობის მოსპობისკენაც იყო მიმართული. „ბავშვობაში სწავლის დროს ერთად ყოფნა სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა შვილებში განავითარებს ისეთ სულიერ და ზნეობრივ ჩვეულებებს, რომელიც შემდეგ, როცა ისინი ცხოვრებაში გამოვლენ, ბევრის მხრით სასარგებლო და გამოსადეგი იქმნება. ეს გარემოება ხელს შეუწყობს წოდებრივ ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრას“.²⁰ სკოლის უმთავრეს ფუნქციად იქცა სოციალური ფენების დაახლოება. „სკოლამ სრულიად უნდა მოსპოს თავის კედ-

²⁰ გაზეთი, ივერია, 1905, №148, გვ. 1

ლებში წოდებრივი განსხვავება. შეძლებითი უთანასწორობა კიდევ უფრო საგრძნობელია დღეს. სკოლა არ უნდა უწყობდეს ხელს შეძლებულთა ეგოიზმის განვითარებას. არ უნდა ზრდიდეს მათში რაიმე თავისებურ ეგოიზმს, რომელიც შეძლებულს აგრძნობინებს თავის ვითომდა უპირატესობას. ამიტომ დაწყებითი სკოლა ყველასათვის საერთო უნდა იყოს, რომ ღარიბ მუშის შვილი და მილიონერისა თანასწორნი იყვნენ აღზრდის წინაშე. ეს შეამცირებს განკვერდობას, ორივე მხარეს შეაჩვევს ერთმანეთის მეტის პატივისცემას“.²¹ საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო სივრცის შექმნა უნდა მომხდარიყო ქართულ ენაზე წარმოებული სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემით: „სამშობლო ენა იგივე სისხლი და ხორცია ადამიანისა და მაშასადამე მისი განუვითარებლობა დაჰბადავს მსგავსსავე ფიზიკურ განუვითარებლობას, რასაც მოჰყვება ყოველმხრივი გონებრივი და მნეობრივი დაცემა და გადაგვარება სამშობლო ენის უარისმყოფელის ერისა. იგი უნდა იყოს საფუძველი და საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს მთელი სწავლა-აღზრდა ადამიანისა.

²¹ ვ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, ტ. 1, პარიზი: დ. ხელაძის გამოცემა, 1935, გვ. 18

ყოველი სწავლა-აღზრდის მიღება ყოველი ადამიანი-სათვის სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს“.²²

ქართული ენის და განათლების ერთიან კონტექსტში განხილვა შემთხვევითი არ ყოფილა. ახალ ეპოქაში ტრადიციულ ეროვნულ მახასიათებლებს დაემატა განათლების საკითხი, რომლის საშუალებითაც უნდა მომხდარიყო ქართული ენის, ტრადიციების, ისტორიული წარსულის შენარჩუნება და ამასთან საზოგადოების სამეურნეო-სამრეწველო დონის ამაღლება. რუსეთის ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა ქართული ენის უფლება და ფუნქცია შეკვეცილი ყოფილიყო. 1909 წლის გაზეთ „ამირანში“ ვკითხულობთ: „ბიუროკრატის მიერ სამშობლო ენა სისტემატიურად იდევენბოდა სკოლებიდან. ამან კი დიდი ვნება მოუტანა არა რუსებს. ავიღოთ, მაგალითად, ქართული სკოლები, ან უფრო სწორედ ქართველებისთვის დაარსებული რუსული სკოლები... იმ გარემოებამ, რომ სასწავლებელში რუსულ ენაზე იყო სწავლება და არა სამშობლო ენაზე, ფაქტიურად სკოლის მნიშვნელობა სრულიად გააქარწყლა ჩვენში, სასწავლებლები ვერც ცოდნას აძლევდნენ ხალხს და რუსულ ენასაც ბედმინევნით ვერ ასწავლიდნენ. ასე რომ, მოსწავლე სასწავლებლიდან სრულიად არაფრის მცოდნე გამოდიოდა. მაგრამ

²² უერნალი მოგზაური, 1903, № 7-8, გვ. 499

მარტო ეს ვნება არ მოგვიტანა იმ გარემოებამ, რომ სწავლება ქართველებისათვის უცხო ენაზე სწარმოებდა. რუსული სკოლა აშორებდა ქართველ ხალხს ქართულ კულტურას და საზოგადოებრიობას“.²³

ქართული ენის სტანდარტიზაციას პუბლიცისტების აზრით ხელს შეუწყობდა ეროვნული სკოლა, სადაც განათლებას ქართულ ენაზე მიიღებდნენ: „ისეთი სკოლა, სადაც ყმაწვილები დედაენის საშუალებით გაიცნობენ და შეითვისებენ მეცნიერებას, ხელოვნებასა და საზოგადოდ კაცობრიობის სულის მისწრაფებასა, განამტკიცებს ჩვენში საღ, სისტემატურ აღზრდას ჩვენი ყმაწვილთათვის და მის ზნეობრივ, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. დიდებულია შედეგი ეროვნული სკოლისა ერებად დაყოფილ კაცობრიობისათვის. ეროვნული სკოლა ისევე შეერგება ყმაწვილს, როგორც დედის ძუძუს წოვა. ერი, ენა და ეროვნული სკოლა ერთსულოვანი ბუნებრივი პრინციპია. ამას უნდა აღვიარებდეთ ჩვენს რწმენად, ჩვენს აღთქმად“.²⁴

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის აქტიური ბრძოლა საზოგადოების ნიგნიერებისთვის შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ ერთი, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილების შედეგად მოხდა ღირებულე-

²³ გაზეთი, ამირანი, 1909, №25, გვ.

²⁴ ჟურნალი, მოგზაური, 1903, №7-8, გვ. 500

ბების გარკვეული გადაფასება და მასების განათლების პრობლემა ყველა ქვეყანაში მთელი სიმწვავეით დაისვა და, ბუნებრივია, ევროპულ იდეებს ზიარებული ქართული ინტელიგენცია ცდილობს საქართველოში ახალი სისტემის დანერგვას; და მეორე, ქართული ერთობისთვის ორმაგად მნიშვნელოვანი იყო საერთო ცნობიერების ფარგლებში ქვეყნის აღორძინებისთვის მოქმედება, რაც უნდა გამხდარიყო საფუძველი შემდგომში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა. „ძირითად საკითხს შეადგენს სახალხო განათლება და საზოგადოებრივი აღზრდა. კეთილი მწეჩვეულებების დანერგვა, ამაღლება განათლებით ბრბოსი, მიწოდება მისთვის განახლებული და განმავითარებელი გასართობების, გაღვიძება ხალხის სულიერი ინტერესებისა, ბრძოლა მის სიბნელისა და უვიცობის წინააღმდეგ – აი რას უნდა ვესწრაფოდეთ სხვა ზომებთან, საშუალებებთან ერთად, თუ გულწრფელად გვსურს ხალხისათვის კეთილი, თუ გვინდა მათ ნამდვილად დავეხმაროთ“.²⁵

არასწორ სასწავლო სისტემას ემატებოდა სკოლებში რუსული ენის მომძლავრება, რაც უარყოფითად მოქმედებდა სასწავლო-აღმზრდელობით სისტემაზე და ეროვნულ ფორმას აკარგვინებდა: „მთელი და

²⁵ეურნალი, მოგზაური, 1903, № 7-8, გვ. 549

ერთადერთი მიზეზი სახალხო სკოლის ასეთი უნუგეშო მდგომარეობისა იყო და დღესაც არის არა რაციონალურად, არა პედაგოგიურად მოწყობა სწავლების საქმისა ჩვენს სახალხო სკოლებში, ერთადერთი მიზეზი ჩვენის სახალხო სკოლის უნაყოფობისა იყო და არის ის, რომ მთელი სწავლება ამ სკოლებში მიმართულია ბავშვებისთვის უცნობ რუსულ და არა მშობლიურ, ქართულ ენაზე“.²⁶ სწორედ ამან განაპირობა ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის ღონისძიებები ქართული ენის შენარჩუნებისათვის, რაც შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს: 1. ჟურნალ-გაზეთების გამოცემა ქართულ ენაზე. 2. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება 1879 წელს. 3. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით სკოლების გახსნა მთელი საქართველოს მასშტაბით. 4. ქართული თეატრის ჩამოყალიბება. გაზეთ „თემის“ პუბლიცისტები გაზეთის თითქმის ყველა ნომერში ქართული ენის მდგომარეობაზე ამახვილებენ ყურადღებას: „არ ვფიქრობ ჩვენს წარსულში მოიძებნოს იმისთანა დრო, როცა ისე შევიწროებულყოს და შებღალულიყოს ქართული ენა, როგორც ახლა. შევიწროება, აბუჩად აგდება ჩვენი ენისა შინაურ და გარეშეთაგან სავალალოა დღეს ჩვენს ცხოვრებაში. ის გარემოება,

²⁶ ჟურნალი, მოგზაური, 1903, № 7-8, გვ. 503

რომ ჩვენს ენას არა აქვს რიგიანი ყურადღება მიქცეული სასწავლებელში, რომ ეს ენა არ არის სავალდებულო საგნად ცნობილი და რომ ამის გამო, ქართულ ენას „სხვათა შორის“ მისჩერებია ქართველი მოწაფე და ქართველი მშობელი, აი, სწორედ ეს გარემოება აფერხებს, ხელს უშლის ჩვენი ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის საქმეს“.²⁷

გაზეთის პუბლიცისტები ქართულ ენაზე საგანმანათლებლო პროცესის აუცილებლობის დასაბუთებას ცდილობდნენ. საქართველოს ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გარეშე ძალის შემოსვლის შემთხვევაში ეროვნულ ფასეულობებს გარკვეული პრობლემები ყოველთვის ექმნებოდა და რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკა და მისი ქმედებები საქართველოსთან მიმართებაში შემთხვევითი არ ყოფილა. ამიტომ შექმნილი პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებლობების ფარგლებში, ეროვნულად მოაზროვნე ძალები ყოველმხრივ ცდილობდნენ საგანმანათლებლო სისტემის ისეთი ფორმით ჩამოყალიბება-განვითარებას, რაც საზოგადოების ფართო ფენებს შესაძლებლობას მისცემდა ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად ეროვნული ცნობიერებაც განემტკიცებინათ. კერ-

²⁷ გაზეთი, თემი, 1914, №164, გვ. 2

ძოდ, „მკვიდრ ნიადაგზე აგებული პირველდანიყებითი აღზრდა უძლიერესი და უდიდესი ფაქტორია ქვეყნის წარმატების საქმეში, ეს ახლა უკვე ყველა შეგნებულ კაცს ესმის, რომ ახალთაობის საღ აღზრდაზე უნდა იყოს დამყარებული ჩვენი ქვეყნის მომავალი და ამიტომ უმთავრესად აქეთ უნდა იყოს მოპყრობილი მშობლების და საზოგადოების ყურადღება. როგორც კერძო პირთა და მშობლების, ისე მთელი საზოგადოების იმედები, ერის იდეალების განხორციელება, ახალთაობის საღს გონებრივ და მნეობრივ აღზრდაზე უნდა იყოს დამყარებული, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სულიერი და ნივთიერი ინტერესების განვითარება“.²⁸ მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ არა მხოლოდ ქართულ ენაზე წარმოებულ სწავლა-განათლების პროცესს, არამედ სკოლებში არსებული ბიუროკრატიული სულის აღმოფხვრას. საგანმანათლებლო საკითხებზე გვხვდება ინფორმაცია ნებისმიერი სახის წყაროში. რადგან ეს იყო ეპოქის მთავარი მოთხოვნა და გამოწვევა. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მაქსიმალურად ცდილობდა საზოგადოების დარწმუნებას სკოლების დიდი რაოდენობით გახსნის აუცილებლობაში. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ფაქტორი გამომდინარეობდა

²⁸ გაზეთი, თემი, 1912, № 54, გვ. 3

როგორც ეპოქის გამონწევებიდან გამომდინარე, ასევე ქართული საზოგადოებისთვის ეროვნული დატვირთვაც გააჩნდა. XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული ბრძოლის ახალი ეტაპი, თავისთავად მოითხოვდა საგანმანათლებლო სისტემის დახვეწა-განვითარებას, რაც გრძელდება როგორც XX საუკუნის დასაწყისში, ისე 1918-1921 წლებში. „ეროვნული სკოლა ეს ის მოედანია, სადაც ერის გრძნობამ და გონებამ პირველი ფეხი უნდა აიდგას; ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს მასაზრდოებელი სულისა და ხორცისა იმ პატარა სანყაოთი, რომელიც ზედ გამოჭრილია ერის შინაურ ცხოვრებაზედ, მის სულიერ და ხორციელ ცხოვრებაზედ. და მართლაც სკოლა მსაზრდოებელია ერისა, მაგრამ სკოლასაც გარჩევა აქვს: მახინჯ სკოლის შემწეობით შეიძლება ადამიანის სრული გადაგვარება, მისი პიროვნების დაჩაგვრა. მისი უნარიანობის ჩაკვლა. სკოლის დახმარებით ძალიან ადვილია მონების გაზრდა. სწორედ ამისთანა მისიას კისრულობდნენ ჩვენებური ძველი მთავრობის სკოლები, რომელთა უპირველესი მიზანი მოზარდ თაობისათვის გონების ახსნა და განვითარება კი არ იყო, არამედ სხვადასხვა მოზარდ თაობის გადაგვარება და მათთვის საჭირო ბიუროკრატ მოხელეების აღზრდა“.²⁹ აღ-

²⁹გაზეთი, მებრძოლთა ხმა, 1917, №40, გვ. 13

ნიშნული პერიოდი ნაციონალიზმის და სოციალიზმის ქადაგების დროა და ამიტომ განსხვავებული იდეები არსებობდა. ყველა მიმდინარეობა, თუ ორგანო საკუთარი იდეოლოგიის დამკვიდრებას ცდილობდა ხალხში. ამ მხრივ გამონაკლისი არც სკოლა იყო. რამდენადაც ეროვნულ მოღვაწეებს სკოლის საშუალებით ნაციონალური, ეკონომიკური და საგანმანათლებლო იდეების ქადაგება სურდათ, იმდენად რუსეთის ხელისუფლება საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის იყენებდა. მაშინ, როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლაში ყველა სოციალური ფენის ჩართვა გახდა საჭირო დღის წესრიგში დადგა საზოგადოების ერთიანი იდეის ირგვლივ გაერთიანება. ეს ფუნქცია სკოლას უნდა შეესრულებინა. „ერთადერთი საშუალება სახელმწიფოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის სწავლა-განათლებაა. დემოკრატიული სახელმწიფო ვერ უშველის საქმეს, თუ ხალხი, მასსა მოკლებულია თვითშეგნებას, გათვითცნობიერებას“.³⁰ გარდა იმისა, რომ ქართველი ინტელიგენცია დაინტერესებული იყო სკოლების გახსნით, რომლის საშუალებით უნდა მომხდარიყო ეროვნული ცნობიერების ამაღლება და განათლების დონის აწევა, ამასთან რუსეთის ხელისუფლება ასევე დაინტერესებული იყო

³⁰ გაზეთი, საქართველოს რესპუბლიკა, 1920, №41, გვ. 3

სკოლების გახსნით, რომლის მეშვეობით უნდა მომხდარიყო ქართველების გარუსება. მაგალითისთვის მოვიყვანოთ შემდეგი სტატისტიკური ინფორმაცია: „1901-1902 სასწავლო წელს თბილისის გუბერნიაში სულ 197 დაწყებითი სახალხო სკოლა ირიცხებოდა, ქუთაისის გუბერნიაში კი – 223. სულ ორივე გუბერნიაში 420 დაწყებითი სასწავლებელი არსებობდა, მაშინ, როდესაც სასკოლო ასაკის ბავშვთა 67% სკოლის გარეთ იყო დარჩენილი. 1904 წელს 543-ის ნაცვლად, ერთი წლის შემდეგ პირველდაწყებითი სახალხო სკოლების რიცხვი 513-მდე შემცირდა, ხოლო 1906 წელს ეს რაოდენობა 491-დღე დავიდა. მარტო აღმოსავლეთ საქართველოში მთავრობამ 59 სასწავლებელი დახურა. საქალაქო და სასოფლო ერთკლასიანი და ორკლასიანი სკოლების ქსელი საქართველოში 1907-1908 წ.წ. რეაქციის პერიოდში კიდევ უფრო შემცირდა. 1913 წლისთვის სახელმწიფოს გამგებლობაში საქართველოში იყო ვაჟთა და ქალთა 23 გიმნაზია, 4 პროგიმნაზია, 3 რეალური სასწავლებელი, 2 163 სამასწავლებლო ინსტიტუტი, 25 სამოქალაქო და უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი და რამდენიმე სკოლა. 1908-1912 წ.წ. განმავლობაში „კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს“ საქართველოში არც ერთი საშუალო სკოლა არ დაუარსებია, მაშინ როდესაც მოსახლეობის ინიცია-

ტივით, ადგილობრივი სახსრებით გახსნილ იქნა თბილისის მე-6 და ფოთის ვაჟთა გიმნაზიები. ახალციხის, ხონის, ბათუმის და ხაშურის პროგიმნაზიები.³¹

მას შემდეგ, რაც რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართულ საზოგადოებას სკოლების გახსნის უფლება მისცა, წლების მანძილზე ეს რიცხვი ზოგჯერ იზრდებოდა, ზოგჯერ მცირდებოდა. სკოლების რუსიფიკაციის პირობებში მეტნაკლებად, როგორც აღვნიშნეთ ხერხდებოდა ეროვნული თემეტიკის საგნების სწავლება. თუმცა ეს პროცესი მთელი რიგი პრობლემების ფონზე მიმდინარეობდა, რასაც მოწმობს განხილული მასალა. 1916 წელს გაზეთი სამშობლო წერდა: „ეს რამდენიმე ხანია, რაც რუსეთის სწავლა-განათლების სამინისტრომ წყალობის თვალით გადმოგვხედა და კერძო სასწავლებლებში ნება დაგვრთო საგნების სამშობლო ენაზე სწავლისა. ამ მოულოდნელ ბედნიერებას შეეძლო დიდი სამსახური გაენია ჩვენთვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მოუმზადებელი დავხვდით ამ რეფორმას, არა გვაქვს სამოსწავლო წიგნები, არა გვაქვს შემუშავებული საჭირო სამეცნიერო ტერმინები, არც ქართულისა და სპეციალურ საგნების ერთსა და

³¹ ტ. სარიშვილი, სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში (1901-1921), თბილისი, 1965, გვ. 26

იმავე დროს მცოდნე მასწავლებლები გვყავს ბევრი და, რაც შეეხება კერძოდ, ქართული ენის სწავლებას საშუალო სასწავლებლებში, არავითარი დამუშავებული საერთო პროგრამა არ მოგვეპოვება, ყველა სასწავლებელში მასწავლებელი ან ლიტერატურას ასწავლის კარგად, მხოლოდ ისტორიასა და გრამატიკას გერელედ ან კიდევ მოწაფეებს თავს აბეზრებს ლინგვისტურ წვრილმანებით, ლიტერატურაში კი ლექსების დაზეპირებას აკმარებს მოწაფეებს. ამ გარემოებას მოსდევს ის, რომ საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებული ან ლიტერატურას არ იცნობს ჯეროვნად და ან ისტორიის სრული არმცოდნეა...

..... ქართველი კურსდამთავრებული არ იცნობს საკუთარ ერს არც პრაქტიკულად, არც ლიტერატურის ნყალობით, ხოლო თუ აქვს წარმოდგენა უთუოდ ტენდენციური, პარტიულია, რაც ფრიად არანორმალურია.³²

მიუხედავ იმისა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი გარკვეულ ბერკეტებს იყენებდა განათლების პოლიტიზირებისთვის და მას საკუთარი მიზნებისთვის იყენებდა, ქართულ საზოგადოებაში სწავლის სურვილი საკმაოდ დიდი იყო. ეს კარგად ჩანს ჟურნალ „მნათობში“ დაცულ ინფორმაციაში: „განათლების მიღების

³²ბანი, ქართული ენა, გაზეთი, სამშობლო, 1916, № 365, გვ. 3

ნყურვილი ჩვენში იმდენად დიდია, რომ ხალხი არავითარ დაბრკოლებას არ ერიდება, ხშირად უკანასკნელ ლუკმას იკლებს, „პერანგის ფულს“ იხდის, რომ შკოლა მაინც ასწავლოს. ამჟამად ჩვენში, – განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში იშვიათად შეხვდებით ისეთ სოფელს, სადაც ერთი პირველდანწყებითი სასწავლებელი მაინც იყოს. ამ ბოლო დროს ზოგ მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში და დაბებში სამოქალაქო საწავლებლებსაც კი აარსებენ. ყველა შემთხვევებში უმთავრეს ხარჯს თვითონ ხალხი კისრულობს, მიუხედავად საერთო ეკონომიური ჩამოქვეითებისა და მეტისმეტი ნივთიერი ხელმოკლეობისა. სხვაგან კულტურულ სახელმწიფოში ასეთ მოვლენას სიხარულით მიეგებებოდნენ და ხელს შეუწყობდნენ სწავლა-განათლების გავრცელებას, რომელიც თვით სახელმწიფოსთვის არის სასარგებლო, ვინაიდან უკულტურო და ბნელი მასა ვერაფერი თავდება ქვეყნის სიძლიერისა, მარა ჩვენში ყველაფერი უკუღმა წარმოებს. ნაქვების მაგიერ, აქ ხელს უშლიან ხალხს, ზედმეტ დაბრკოლებას უყენებენ“.³³

საგანმანათლებლო საკითხმა განვითარების სხვადასხვა საფეხურები განვლო. თუ XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ცდილობ-

³³ ქუთაისი, ჟურნალი, მნათობი, 1911, № 62, გვ.1

და სწავლა-განათლების ქართულ ენაზე აკრძალვას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ სიტუაცია არსებითად შეიცვალა. სკოლების ნაციონალიზაციის საკითხი საგანმანათლებლო რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, რომელიც ხორციელდებოდა ჯერ კიდევ რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ საქართველოში. ამ პროცესებმა საინტერესო განვითარება ჰპოვა შემდგომ პერიოდში. აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დადგა ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხდომაზე. როგორც ცნობილია, ეროვნული ინტერპარტიული საბჭო შეიკრიბა 1917 წლის 19 ნოემბერს და 20 ნოემბერს კი დაისვა საკითხი სკოლების ნაციონალიზაციის შესახებ. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აქტიურ ნაბიჯებს დგამდა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ჯერ კიდევ 1917 წლის ივლისში, საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოითხოვდა საერთო, უფასო, მშობლიურ ენაზე ყველასათვის სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღებას (16 წლამდე), მოსწავლეთათვის უფასო სასწავლო ნივთების, ტანისამოსის, სადილის და სხვ. მიცემას, სკოლისგარეშე და სასკოლო ასაკამდე სწავლა-განათლების მოწყობას, უფასო კლუბების,

კურსების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების, ექსკურსიების ორგანიზაციას, საბავშვო სახლების, ბაღების და სხვა.³⁴ 1917 წლის სექტემბერში ეს მოვლენა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ჟურნალ „განათლების“ 1917 წლის №6-7 ვკითხულობთ: „გამოქვეყნდა კავკასიის დროებითის საგანგებო კომიტეტის დებულება სკოლების ნაციონალიზაციის ანუ გაეროვნების შესახებ. ამ დებულებით წრეულ საშუალო სასწავლებლებისათვის სავალდებულოა ნაციონალიზაციის მოხდენა საანბანო და პირველ მოსამზადებელ კლასში, ხოლო სხვა კლასებში კი მისი მოხდენა დამოკიდებულია საპედაგოგიო საბჭოს აზრზე. თუ საბჭო დაინახავს მოსახერხებლად სხვა კლასებშიც შემოდებულ იქნას სწავლა სამშობლო ენაზე, მას ეძლევა უფლება ამ კლასებშიც განახორციელოს ნაციონალიზაცია“.³⁵

აღნიშნულის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ დოკუმენტს: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე №20. ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1917 წლის 5 სექტემბრით. „კავკასიის სასწავლო ოკრუგის მითითებით საბჭო ვარაუდობს სასწავლო წლის დაწყებისას

³⁴ ნაციონალიზმი და დემოკრატიული ინტერესები, თბილისი, გვ. 146

³⁵ ჟურნალი, განათლება, 1917, № 6-7, გვ. 4

მოახდინოს დამწყები და მოსამზადებელი კლასების ნაციონალიზაცია საშუალო სასკოლო დაწესებულებებში. რაც შეეხება კლასებს, მათი ნაციონალიზაცია არ მოხდება სასწავლო წლის დაწყების დროს, საბჭო დადგენილებით გააცნობს მათ გაძლიერებულ და სავალდებულო სწავლების ნაციონალურ საგნებს. ნაციონალურ საგნებად შეიძლება გავიგოთ: მშობლიური ენა, ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია. 1917-1918 სასწავლო წელს საოლქო კომისარიატმა დაადგინა გაკვეთილების შემდეგი რიცხვი ნაციონალური საგნებიდან: მოსამზადებელი კლასის უფროს განყოფილებაში – 5 საათი, 1, 2, 3, 4 კლასებში 4 საათი, დანარჩენ უფროს კლასებში 3 საათი კვირაში“.³⁶

ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტასთან ერთად დღის წესრიგში დადგა მასწავლებლების შერჩევის საკითხი. რაც შემდეგნაირად იქნა გადაჭრილი.

1. პირი, უმაღლესი განათლებით მიღებული იქნება საშუალო და დაწყებით სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგიური საბჭოს შეფასებით და გადაწყვეტილებით.
2. პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით იქნება დამტკიცებული გიმნაზიების 1-4 კლასების ხელმძღვანელები, რეალური სასწავლებლების და დაწყებითი სასწავლებლის პირი, რომელსაც აქვს დასრულებული

³⁶ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. № 20, ფურც. 17

ის საშუალო სასწავლო დაწესებულება, რომლებიც იღებენ სპეციალურ განათლებას ნაციონალურ საგნებთან შესაბამისობაში. ასეთ სასწავლო დაწესებულებებად კომისარიატი თვლის: ა) ქართული ნაციონალური საგნებისთვის: ქართული გიმნაზია – თბილისის და ქუთაისის, მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია – თბილისის და ქუთაისის, ეპარქიალური სასწავლებელი – თბილისის და ქუთაისის გუბერნიის, თბილისის ქალთა სამასწავლებლო სემინარია „განათლება“. ბ) სომხური ნაციონალური საგნებისათვის ყველა სომხური საშუალო სასწავლო დაწესებულება. გ) თურქული ნაციონალური საგნებისათვის: ყველა საშუალო სასწავლო დაწესებულება თურქული ენის ხელმძღვანელობით და მედრესე. 3. რაც შეეხება იმ პირებს, რომლებსაც არ აქვთ წინა პარაგრაფში მითითებული ცენზი, კომისარიატის კანონის და სასწავლო ოკრუგის მითითების შესაბამისად დაიკავებენ შტატს.³⁷ ცალკე პუნქტად იყო განსაზღვრული ნაციონალური საგნები. საშუალო სასწავლო დაწესებულებებში და დაწყებით სასწავლებლებში კავკასიაში ნაციონალური საგნების სწავლებაზე. 1. საშუალო სასწავლო დაწესებულებებში და დაწყებით სასწავლებელში მიმდინარეობს სწავლება ნაციონალური საგნებით. 2. ნაციონალური საგნები-

³⁷სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №20, ფურც. 18

დან იგულისხმება მშობლიური ენა მის ლიტერატურულ ფორმებში, ნაციონალური ლიტერატურა და მისი ისტორია, ნაციის ისტორია, ნაციონალური გეოგრაფია და მუსულმანებისთვის შარიათი. 3. ნაციონალური საგნების სწავლება წარმოებს სასწავლო პროგრამის მიხედვით, დამტკიცებული ნაციონალური-სასწავლო კომისარების მიერ, ნაციონალური საბჭოს თანხმობით. 4. საშუალო სასწავლო დაწესებულებებში და დაწყებით სასწავლებლებში დაფუძნდება ნაციონალური საგნების მასწავლებლის საშტატო თანამდებობა კავკასიის ხალხში. 5. კავკასიის სასწავლო ოკრუგის გადამწყვეტილებით კომისარიატი განსაზღვრავს მოსწავლეებისათვის რომელი ნაციაა და ნაციონალური საგნების მასწავლებლების რამდენი საშტატო ერთეული შეიძლება იყოს დაწესებული ყოველ სასწავლო დაწესებულებაში.³⁸ ბუნებრივია ეს პროცესი ასევე გრძელდება დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში და განვითარების ახალ ფაზაში შედის. გარდა იმისა, რომ სკოლები იხსნება მოსწავლეებისთვის, ასევე არსებობს საპედაგოგიო მოსამზადებელი კურსები, სადაც მასწავლებლები ეუფლებიან ეროვნულ საგნებს. „დასავლეთ საქართველოში საშუალო სკოლათა მასწავლებლების კავშირის გამგეობამ გახსნა ქალაქ ქუთაისში მიმდინა-

³⁸ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №20, ფურც. 18

რე წლის 17 ივნისიდან საზაფხულო კურსები საშუალო და დაბალი სკოლების მასწავლებლების მოსამზადებლად – ქართულ ენაში, სიტყვიერებაში, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში. კურსები განზრახულია 150 მსმენელისათვის, აქედან 121 – უკვე ქუთაისში იმყოფება და ლექციებს ისმენს. კურსების შენახვა ორი თვის განმავლობაში ჯდება ოცდაათი ათას ორასი მანეთი (30. 200 მან.).³⁹ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ოთხი პედაგოგიური სასწავლებელია: თბილისის საოსტატო ინსტიტუტი და სემინარიები გორში, ხონსა და სოხუმში. ამ სასწავლებელთა მიზანია – სახელმწიფოსათვის სახალხო მასწავლებელთა მომზადება.⁴⁰

1917 წელს ჟურნალი „განათლება“ წერდა: „ამჟამად არავისთვის საეჭვო არ უნდა იყვეს, რომ სახალხო სკოლების რეფორმაში პირველი ადგილი ეროვნულ საკითხს უჭირავს ე.ი. დედაენაზე სწავლების შემოღებას; ეროვნული სკოლა ნიშნავს სკოლის ხალხთან დაახლოებას და ხალხის მონაწილეობის მიღებას, ჩარევას სწავლა-განათლების საქმეში.“⁴¹

³⁹ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №453, ფურც. 1

⁴⁰ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №20, ფურც. 4

⁴¹ კახაბერი, შინაური მიმოხილვა, ეროვნული სკოლის აუცილებლობა, ჟურნალი, „განათლება“, 1917, №1, გვ. 56

სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნის საკითხში განათლების სამინისტროსთან ერთად აქტიურობდა ერობა. 1920 წლის 1 ივნისის მონაცემებით თბილისის მაზრაში „ერობას აქვს 74 სკოლა, მათ შორის სამი უმაღლეს დანყოფილი. ამ 74 სკოლიდან 9 პირველდანიყოფილი სკოლა არ მოქმედებს. მასწავლებელთა რიცხვი უდრის 102 კაცს, ხოლო მონაფეთა რიცხვი 3942 ბავშვი“.⁴² ქართული საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი აცნობიერებდა იმას, რომ სწავლა-განათლების საკითხს საქართველოსთვის ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მიზანს ემსახურებოდა ერობის მიერ გადადგმული ნაბიჯებიც. „1914 წელს მაზრაში 54 სკოლა იყო, მასწავლებელთა რიცხვი –74, მონაფით – 3182. ერთი სკოლა მოდიოდა 1810 მცხოვრებზე /მცხოვრებლები მაზრაში დაახლოებით ითვლებოდნენ 9777 77 სული/, 163 ბავშვზე /სასკოლო ასაკის ბავშვები ითვლებოდნენ 8786/ და 74 კვადრატულ ვერსზე /მაზრის სივრცე უდრის 400, 408 კვ. ვერსს/. სოფლების ერთ მესამედში იყო სკოლები დაარსებული. /მაზრაში სულ 152 მოზრდილი სოფელია/. ერთი მონაფე მოდიოდა 31 მცხოვრებზე და 2, 75 სასკოლო ასაკის ბავშვზე. ასე რომ სასკოლო ასაკის ბავშვების 36% სწავლობდა,

⁴² სცსა, ფ. 1830, აღწ. 1, საქ. №21, ფურც. 5

დანარჩენი კი 64% სკოლის გარეშე იყო დარჩენილი. ამნაირად რაღაც კეთდებოდა ძველ დროშიაც ხალხის გასანათლებლად, მაგრამ ეს მარტო პირველ შეხედვით. სკოლა არ ემსახურებოდა თავის პირდაპირ დანიშნულებას: ეს, ერთი მხრივ რუსეთის თვითმპყრობელობისათვის იარაღი იყო ქართველი ერის გასარუსებლად და მეორე მხრივ – ერთგულ მოხელე-ჩინოვნიკთა კადრის მოსამზადებლად. ამ ორი მიზნის გარშემო ტრიალებდა უმთავრესად ჩვენში სწავლა-განათლების საქმე. სამშობლო ენა, როგორც ცალკე საგანიც კი განდევნილი იყო სკოლებიდან, პედაგოგიური პრინციპები დავიწყებული. სკოლაში, ცოცხალი, შრომის პრინციპებზე დამყარებული სწავლის მაგიერ, ცხოვრებიდან დაშორებული წიგნობრივი, სხოლასტიკური სწავლა იყო გამეფებული. სკოლების ტიპიც სხვადასხვანაირი იყო. 54 სკოლიდან 18 ე.წ. სამრევლო სკოლა იყო, დანარჩენი – სამინისტრო. პირველში თუ საღმრთო სჯული და ლოცვები სჭარბობდა, მეორეში ბავშვებს მეფის თვითმპყრობელობისადმი სიყვარულს უნერგავდნენ. სამრევლო სკოლები ყოველმხრივ უარესად იყვნენ მოწყობილი, ვიდრე სამინისტრო სკოლები“.⁴³ ბუნებრივია ასეთ მდგომარეობაში არსებული

⁴³ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №77, ფურც. 16

სკოლები ვერ აძლევდნენ მოსწავლეებს სათანადო განათლებას. ამიტომ განათლების მხრივ საგანგაშო მდგომარეობა იყო. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი ახალი ეტაპი დაიწყო, რაც მთლიანად ითვალისწინებდა სკოლების მდგომარეობის და განათლების სისტემის გაუმჯობესებას. როგორც აღვნიშნე, განათლების სამინისტროსთან ერთად ამ კუთხით აქტიურად მოღვაწეობდა ერობა. „საანგარიშო წლის ბოლოს 1920 წლის 1 ივლისს ასეთი სურათია: მაზრაში სულ შტატით ითვლება 74 სკოლა და მათ რიცხვში სამი უმაღლესი დაწყებითი და 103 მასწავლებელი, მონაფეთა რიცხვი უდრის 3942, სასკოლო ასაკის ბავშვი 9300 იქმნება, მაზრის მცხოვრებთა რიცხვი დაახლოებით 103000 უდრის. ამნაირად ერთი სასწავლებელი მოდის 1365 მცხოვრებზე, 125 სასკოლო ჰასაკის ბავშვზე 53 მონაფე. ერთი მონაფე მოდის მცხოვრებთა 25 სულზე და 2, 3 სასკოლო ჰასაკის ბავშვზე; 43% სასკოლო ბავშვებისა სწავლობდნენ, დანარჩენი 57% სკოლის გარეშე რჩება. მაზრაში 152 მოზრდილი სოფელია, სადაც სკოლები უნდა გაიხსნას. ამ ადგილების ორ მესამედში სკოლები დაარსებულია“.⁴⁴

⁴⁴ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №77, ფურც. 18

შედარებისთვის რომ ავიღოთ, 1897 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართველოს მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობა შეადგენდა 89%-ს. სოფლის მოსახლეობიდან წერა-კითხვის უცოდინარი იყო: თბილისის გუბერნიაში – 99, 1%, ქუთაისის გუბერნიაში – 87%. ამავე აღწერის მიხედვით, ქართველთა შორის წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა შეადგენდა 85, 8%-ს.⁴⁵

1897 წლის აღწერის მიხედვით მცხოვრებთა საერთო რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 2 020 889 კაცს. აქედან 22%, ე. ი. სულ მცირე 440 000 სასკოლო ასაკის ბავშვი და მოზარდი იყო. სკოლაში კი სწავლობდა – 87, 360, რაც შეადგენდა სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა 21%-ს. სკოლის გარეთ რჩებოდა სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა 79-80%.⁴⁶

1904 წელს თბილისის ვაჟთა 1 გიმნაზიაში სწავლობდა 957 მოსწავლე, აქედან თავადაზნაურთა წრიდან იყო 542 (50%); სასულიერო წოდების – 39 (40%); მოქალაქეთა შვილები – 54 (5, 7%); გლეხი – 74 (7, 7%); ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში ამავე დროს მოსწავლეთა წოდებრივი შემადგენლობა ასეთი იყო: თავადაზნაუ-

⁴⁵ ქართული პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, განათლება, 1974, გვ. 153

⁴⁶ იქვე, გვ. 153-154

რობა – 60%, სასულიერო წოდება – 8%, მოქალაქეთა შვილები – 18%, გლეხი – 9%.⁴⁷

1915 წლისათვის დაწყებით სასწავლებელთა რიცხვი საქართველოში 1648-მდე გაიზარდა, ხოლო მასწავლებელთა რაოდენობამ მათში 124 721-ს მიაღწია. 1902 წლიდან 1915 წლამდე საქართველოში გაიხსნა 629 ახალი დაწყებითი სასწავლებელი. ამავე პერიოდში მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 62 592-ით.⁴⁸

როგორც ტიტე სარიშვილი წერს თავის ნაშრომში: არასავალდებულო საგნად 1908 წელს წართული ენა ითვლებოდა: ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, თბილისის 1, 2, 3, და 4 გიმნაზიებში, გორის, თბილისის და ხონის პროგიმნაზიებში; ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში 1907-1908 წლებში არასავალდებულო საგნად ითვლებოდა: ახალი ენებიდან ერთ-ერთი (გერმანული ან ფრანგული), ქართული ენა, გიმნასტიკა და ცეკვა, რომელთა შესწავლისათვის /გარდა გიმნასტიკისა/ მოსწავლეები წლიურად გარკვეულ გადასახადს (6-18 მანეთი) იხდიდნენ. 2253 ქართველი მოსწავლე ქალიდან, რომლებიც საქართველოს გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში ირიცხებოდნენ (1908 წელს), ქართულ ენას,

⁴⁷ ქართული პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, განათლება, 1974, გვ. 154

⁴⁸ იქვე, გვ. 206

როგორც არასავალდებულო საგანს, მხოლოდ 1521 (67%) ქართველი და 65 სხვა ნაციის ქალები სწავლობდნენ. ქართული ენა არასავალდებულო წესით ისწავლებოდა: ბათუმის, გორის, ქუთაისის, ფოთის, თბილისის 1, 2, 4 და 5 გიმნაზიებში, ქუთაისის, თბილისის და თელავის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლებში და სოხუმის პროგიმნაზიაში, თბილისის 1 და 2 ქალთა გიმნაზიაში არასავალდებულო საგნად ისწავლებოდა აგრეთვე სომხური ენა, სოხუმის პროგიმნაზიაში აფხაზური ენა, ბათუმის, თბილისის, ქუთაისის, თელავის და სხვა სასწავლებლებში სიმღერა, ხატვა, ხაზვა, ცეკვა და სხვა.⁴⁹

1919-1920 სასწავლო წლისათვის მთელ საქართველოში დაახლოებით 1500-მდე პირველ-დანწყებითი სასწავლებელი, 100-მდე უმაღლეს-დანწყებითი და 40-მდე საშუალო სკოლა არსებობდა, მაგრამ ამ სკოლების მნიშვნელოვანი რაოდენობა უმოქმედო იყო.⁵⁰

ვახტანგ ღამბაშიძე თავის მემუარებში 1918 წლამდე ქართული ენის მდგომარეობის შესახებ იგონებს: „... ასეთი უვიცობა ქართულის, თანაც ყოველკვირეული ჩვენი კრებები, სადაც ოციოდე სტუდენტი ვიკრიბებო-

⁴⁹ ტ. სარიშვილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდე საქართველოში (1901-1921), თბილისი, 1951, გვ. 8-9

⁵⁰ იქვე, გვ. 125

დით და ქართული ენის მაგივრად მხოლოდ რუსული ისმოდა, გულს მიწეხებდა და ამ გარემოებას ვერ ვეგუებოდი. სანამ კრება გაიხსნებოდა და ბაასი უბრალოდ გასართობ საქმეს შეეხებოდა, კიდევ გაიგონებდით ქართულს, მაგრამ როგორც კი სხდომა გაიხსნებოდა და თათბირი დაიწყებოდა, მხოლოდ რუსულს გაიგონებდით, როდესაც არც ერთი რუსი არ გვერია.“⁵¹

ზემოთაღნიშნულთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სასკოლო ქსელი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. თუ 1915 წელს საქართველოში ყველა ტიპის მხოლოდ 864 სკოლა იყო 80 ათასი მოსწავლით, 1920 წელს 1924 სკოლაში სწავლობდა 162 ათასამდე მოსწავლე. ქართული სკოლების გვერდით იყო რუსული, სომხური, გერმანული სკოლები. საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა პირველდანიწყებითი განათლებით მოეცვა არაქართული მოსახლეობა, რომ ის უფრო ინტენსიურად ჩაბმულიყო ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.⁵²

⁵¹ ვ. ღამბაშიძე, ჩემი თავგადასავალი, მასალები მოიძია, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ნინო ძანძავამ, თბილისი, 2018, გვ. 146

⁵² ა. კაჭარავა, ა. დაუმვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 1918-1921, თბილისი, ატლანტა, 2012, გვ. 62-63

1917 წელს 23 საქალაქო სკოლაში 1309 მოსწავლე სწავლობდა. აღნიშნულ სასწავლო წელს 998 ბავშვს ეთქვა უარი სკოლების გადატვირთვის მიზეზით. განსაკუთრებით დიდი კონტიგენტი იყო – ვერის, დიდუბის, ჩუღურეთის, ავლაბრის და სოლოლაკის სკოლებში. 1918 წლის სექტემბერში ქალაქს 9 საქალაქო სკოლა შეემატა, თუმცა არც ეს იყო საკმარისი. უკვე 1919 წელს არსებობდა 76 საქალაქო სასწავლებელი, აქედან 5 უმაღლესი და 4 პროფესიული. მათ შორის საბურთალოზე გახსნილი პირველი დაწყებითი ახალი სკოლა.⁵³

1917 წლის გაზეთ „სახალხო საქმეში“ ვკითხულობთ: „რევოლუციამ ყველა ჩაგრულ ერს გზა გაუხსნა და თავისუფალი განვითარების საშუალება მისცა. ყველა ერის ენა ძველი მთავრობის დროს სასტიკად იდევნებოდა და ყოველ ზომას ხმარობდნენ ბავშვების დასამახინჯებლად: მშობელი ქვეყნისათვის მონყვეტისა და გარუსებისათვის. რევოლუციამ ყველაფერი ეს მოსპო და ძირს დასცა ძველი სკოლის წესებიც. მაგრამ ყველზე ძნელი ხანა ეხლა იწყება, ხანა შემოქმედებითი მუშაობისა, როდესაც უნდა შეიქმნას სრულიად ახალი სკოლა, ახალ პედაგოგიურ საფუძველზე. სკო-

⁵³ მ. კვარაცხელია, თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის პრაქტიკული მოღვაწეობა 1917-1921, თბილისი, ქართული უნივერსიტეტი, 2017, გვ. 84

ლა უნდა იყოს ეროვნული, კულტურა შეიძლება იყოს მხოლოდ ეროვნული – ეს უდავო ჭეშმარიტებაა და ამას ანგარიში უნდა გაუწიოს ქართველმა საზოგადოებამ, რომელიც ამ ერთი საუკუნის მონობის განმავლობაში სრულიად გადაეჩვია საკუთარ შემოქმედებას და საკუთარ ფეხებით სიარულს. დღეს ჩვენი საზოგადოების წინაშე წარმომდგარა საკითხი სკოლების ნაციონალიზაციის, გაეროვნების შესახებ“.⁵⁴

იგივე გაზეთი წერდა: „დღევანდელი ისტორიული ხანა, როცა ცხოვრების ყოველ დარგში ძირითადი ცვლილებები ხდება და ახალი ფორმების და წესების საძირკველი ისკვნება, – ჩვენ, ქართველებს სხვა დიდ მოვალეობათა შორის ერთ დიდ და საშურ საქმეს გვავალებს – ეროვნული სკოლის შექმნას.“

ახალ ცხოვრებას აღარ შეეფერება ძველი რეჟიმის სკოლა, საიდანაც განდევნილი იყო სამშობლო ენა და ქართველი ბავშვები მათთვის გაუგებარ უცხო ენაზე სწავლობდნენ. ეს დიდი ბოროტება იყო, რომელიც ძველ რეჟიმთან ერთად საუკუნოდ მოისპო და დაიმარხა. დადგა დრო, როდესაც პედაგოგიური მეცნიერების საანბანო ჭეშმარიტება, სწავლა სკოლაში მოსწავლეთა სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებოდა, რომე-

⁵⁴მეთაური წერილი, გაზეთი, სახალხო საქმე, 1917, №58, გვ. 1

ლიც ძველი რეჟიმის სკოლაში დაგმობილი იყო, საფუძვლად ედება სწავლა-აღზრდის საქმეს“.⁵⁵

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისადმი რაჭის მაზრის კომისრის მიერ გაგზავნილი 1918 წლის 23 იანვრის წერილით ირკვევა შემდეგი: „რევოლუციის დაწყებისთანავე რაჭის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სხდომაზე დაისვა კითხვა საქმის წარმოების ქართულ ენაზე შემოღების შესახებ და ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქმის წარმოებაში ქართული ენის გამყვების შესახებ. მაგრამ რადგან გარეშე პირობები ხელს არ უწყობდა, გადაწყვეტილება სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი. დღესაც ამ საკითხის შესახებ იმავე მდგომარეობაში ვართ, რომელშიდაც რევოლუციის პირველ დღეებში ვიყავით. ეროვნული საბჭოს დადგენილების ცხოვრებაში გასათარებლად საჭიროა შემოღებულ იქმნას ქართული ენა ყველა ინსტანციაში და ყოველ დაწესებულებებში საქართველოს ფარგლებში. მართო საადმინისტრაციო დაწესებულებები ვერ შეძლებენ ქართული ენის შემოღებას. შეკითხვების ფურცლებზე ჩამოწერილ კითხვების შესახებ მოგახსენებთ შემდეგს: 1. მთხოვნელებისგან თხოვნებსა და საჩივრებს ვიღებთ როგორც ქართულ, ისე რუსულ ენა-

⁵⁵ მეთაური წერილი, გაზეთი, სახალხო საქმე, 1917, №59, გვ. 2

ზედ. 2. საქმეებს და კანცელარიას ვანარმოებთ რუსულ ენაზე, რადგანაც სხვა დაწესებულებანი რუსულ ენაზე დაწერილი ქაღალდებით მოგვმართავენ. ვეცადეთ ადგილობრივი ხასიათის ქაღალდები, მაგალითად მოწერილობები რაიონის და სოფლის კომისრებზე და აღმასრულებელ კომიტეტებზე ქართულად გვენარმოებინა, მაგრამ რადგან ქართულზე საბეჭდავი მაშინა ვერსად ვერ ვიშოვეთ, იძულებული ვიყავით ამ შემთხვევაში რუსული ენიზა მიგვემართა. 3. საპოლიციო ოქმებს ვადგენთ რუსულ ენაზე. პირველად ვცდილობდით ქართულ ენაზე შეგვედგინა, მაგრამ სხვა დაბრკოლებებს გარდა, იმანაც შეგვიშალა ხელი, რომ ქართულ ენაზე შედგენილი ოქმი სასამართლოებიდან უკანვე დაგვიბრუნეს, მათი გადარჩენა მოგვთხოვეს. 4. საქმის წარმოების ქართულ ენაზე დაუყონებლივ შემოღება, როგორც ზევით მოვიხსენიე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ყველა დაწესებულებათა ნაციონალიზაცია დაუყონებლივ მოხდება.“⁵⁶

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ დაადგინა (1917 წლის 23 ნოემბერს) განხორციელდეს საქართველოში საადმინისტრაციო დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს საქმის წარმოების ქართულ ენაზე შემოღებას, ამ დადგენილების

⁵⁶ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №18, ფურც. 85

ასრულება დავალებული აქვს საქართველოს ეროვნულ საბჭოს.⁵⁷

1917 წლის 17 ივლისის განათლების სამინისტროს მოხსენებიდან სკოლების რეორგანიზაციის თაობაზე, საუბარია წოდებათა მოსპობის აუცილებლობაზე: „თანასწორობის იდეაზე აგებულს დემოკრატიულ სახელმწიფოში შეუწყნარებელია, რომ სოციალურად და წოდებრივად განკვერძობულს ერში ყოველ წრეს, ყოველ კლასს ჰქონდეს თავისი საკუთარი დამოუკიდებელი გზა განვითარებისათვის. თანასწორობა არა მარტო უფლებრივი მოვლენაა, იგი აუცილებლად კულტურულ თანასწორობას გულისხმობს და მაშასადამე, მთელი საზოგადოების ცოცხალი ძალები თავისი განვითარებისათვის ერთგვარს, თანასწორსა და თანაბარ პირობებში უნდა იყოს ჩაყენებული. ცხადია, რომ საზოგადოების ყველა ელემენტისათვის ერთი საერთო განათლების სკოლაა საჭირო თავისი შინაარსით, თავისი პროგრამით. თანასწორობა მოითხოვს, რომ საზოგადოებაში ჯგუფებისა და კლასების არსებობამ არ შეჰქმნას მთლიანობის დამრღვევი, გამთიშველი პირობები, რასაც ადგილი აქვს, როდესაც სკოლა წოდებრივ შემადგენლობაზეა აგებული. აქედან – ერთი სკოლა არა მარტო შინაარსით, არამედ შემადგენლო-

⁵⁷სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №18, ფურც. 5

ბის მხრივაც.⁵⁸ ახალმა სოციალურ-ეკონომიკურმა წყობამ გარკვეული გავლენა იქონია, როგორც ევროპაში, ასევე რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე და ახალი ეპოქისათვის დამახასიათებელ იდეებს ზიარებული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ზემოთაღნიშნულ პრობლემებთან ერთად წოდებრიობის გაუქმებაზეც ამახვილებდა ყურადღებას. მართალია, თითოეულ პოლიტიკურ დაჯგუფებას საკუთარი სამოქმედო გეგმა გააჩნდა საქართველოს სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით, თუმცა საგანმანათლებლო სისტემის ამ ფორმით დახვეწა-სრულყოფაზე თითქმის ყველა თანხმდებოდა.

სკოლის სასწავლო გეგმა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: „ჰუმანიტარული საგნები: ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა, მათ შორის ერთი რუსული, მეორე არჩევითი – ფრანგული ან გერმანული ან ინგლისური, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოგიკა. 2. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო საგნები: მათემატიკა, მათემატიკური გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება. აღ-

⁵⁸ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №509, ფურც. 6

მზრდელობითი საგნები: ფიზიკური ვარჯიშობა, სიმღერა-გალობა, მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა.⁵⁹

ნაციონალიზაციის დანყების შემდეგ ჩამოყალიბდა საქართველოს ქართველ მოხელეთა კავშირი, რომელსაც საკუთარი წესდება გააჩნდა. „1. კავშირის მიზანი: მოხელეთა მომზადება მომავალ ნაციონალიზაციისათვის ყველა დანესებულებაში ქართულ ენაზე საქმეების სანარმოებლად. 2. საშუალებანი: კავშირის მიზანი განსახორციელებლად აარსებს კურსებს, მართავს სავარჯიშო საღამოებს და ლექციებს ყველა საჭირო დარგის შესასწავლად. 3. შემადგენლობა: კავშირის წევრად საბჭო იღებს ყველა მოსამსახურეს განურჩევლად სქესისა. შენიშვნა: წევრად მიიღებიან აგრეთვე სხვა ეროვნებათა პირნიც, თუ მათ შესწევთ შესაფერისი ცოდნა ქართული ენისა. 4. აღმასრულებელი ორგანო საქმეების გასაძლოლად კავშირი, საზოგადო კრება და მისი უფლებანი. კრება ირჩევს საბჭოს 30 კაცისაგან, რომელიც თავიანთ შორის ირჩევს პრეზიდიუმს 7 კაცისაგან: ერთ თავმჯდომარეს და ორ მის ამხანაგს, ორ მდივანს, ხაზინადარს და მის ამხანაგს. შენიშვნა: სასურველია საბჭოს შემადგენლობაში შედიოდეს წევრად ყველა დანესებულებების წარმომად-

⁵⁹ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №509, ფურც. 12

გენელნი“.⁶⁰ აღნიშნულ კავშირს გააჩნდა საკუთარი ბეჭედი, იხდიდნენ ყოველთვიურ გადასახადს, იკრიბებოდა დამატებითი თანხა საჭიროების შემთხვევაში. არსებობდა როგორც ჩვეულებრივი ასევე საგანგებო კრება.

როგორც ცნობილია ყალიბდება საოსტატო სემინარიები. ერთ-ერთი დოკუმენტიდან შემდეგ ინფორმაციას ვიგებთ: არსებულ დაკანონებათა შესასწორებლად და შესავსებლად დაადგინეს: „1. საოსტატო სემინარიები შესდგებიან 4-6 კლასისგან, საოსტატო სემინარიები შეიძლება იყვნენ: ვაჟებისა, ქალებისა და შერეული. 2. საოსტატო სემინარიებთან შეიძლება დაარსებული იქმნას ერთი ან ორი მოსამზადებელი კლასი, პარალელური კლასები და პანსიონები. 3. სემინარიის მოსამზადებელ კლასებში მიიღებიან პირველდანიყებითი ორკლასიან სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი; 1-ლ კლასებში მიიღებიან უმაღლეს პირველდანიყებით ან და მასთან კურსით თანასწორ სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი, მოსამზადებელ და სხვა კლასებში მიიღებიან აგრეთვე ისინიც, რომელნიც ჩააბარებენ გამოცდებს შესაფერ სასწავლებლის კურსის ცოდნაში. 4. მოწაფეების სავარჯიშო გაკვეთილებისათვის სემინარიებთან არსებობენ პირ-

⁶⁰ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ.№ 18, ფურც. 104

ველდანყებითი ორკლასიანი სასწავლებლები 6 წლის კურსით. 5. დირექტორი (უფროსი, ვაჟი ან ქალი) და მასწავლებლები მეცნიერულ-საგნებისა, ირჩევიან რუს ქვეშევრდომთაგან – უმაღლეს სწავლა მიღებულნი, მასწავლებლებად ადგილობრივ ენებისა, ხატვისა, ფიზიკური ვარჯიშობისა, გალობისა და მუსიკისა, ხელგარჯილობისა და ხელსაქმისა ირჩევიან რუსქვეშევრდომნი არა ნაკლებ საშუალო განათლება მიღებულნი; ამას გარდა სახალხო განათლების უწყების სასწავლებლებში, აღნიშნული საგნების და ხელოვნების მასწავლებლობის უფლება მიღებულნი, სემინარიებთან არსებულ პირველდანყებითი სასწავლებლების მასწავლებლები ირჩევიან რუს ქვეშევრდომთაგან – საოსტატო ინსტიტუტებში და სემინარიებში კურს დამთავრებულნი, აგრეთვე საშუალო სწავლა მიღებულთაგან, რომელთაც აქვს მიღებული პირველდანყებითი სასწავლებლის უფლება და აგრეთვე პედაგოგიურ კურსებ გავლილნი.

6. სხვა სარწმუნოების საღმთო სჯულის მასწავლებლნი და სარწმუნოების მასწავლებლნი, იმ სემინარიებში, სადაც მოწაფენი უცხო სარწმუნოებისა და სჯულისა შეადგენენ არა ნაკლებ ნახევარსა მთელ მოწაფეთა რიცხვისას, ირჩევიან რუს ქვეშევრდომთაგან და სარგებლობენ საოსტატო სემინარიების შტატებში ნაჩ-

ვენებ უფლებებით, ჯამაგირისა და პენსიის შესახებ“.⁶¹

მაგალითისთვის მოვიყვანთ, როგორი იყო ქართული ენისა და სიტყვიერების პროგრამა საშუალო სკოლისათვის უმცროსი და უფროსი განყოფილებისათვის. „უმცროსი განყოფილება: 1. უმცროს განყოფილებაში შესვლის დროს მონათქვამ უნდა იცოდეს გარკვეული წერა-კითხვა. 2. ორი წლის განმავლობაში მან უნდა შეითვისოს თავისუფალი და შეგნებული კითხვა, აგრეთვე წაკითხული გადმოცემა თავისის სიტყვით. 3. ცოდნა ზეპირად და შეგნებით საუკეთესო ლექსებისა სახელმძღვანელოდან. 4. სიტყვიერად გადმოცემა თავის შთაბეჭდილებათა – ნახულისა და გაგონილისა. 5. წერა მოკლე ფრაზებისა და წიგნიდან გადმოწერა, ან წაკითხული სტატიების შინაარსის წერილობითი გადმოცემა, აგრეთვე თავისუფლად წერა მოკლედ საკუთარ შთაბეჭდილებათა“.⁶²

უფროსი განყოფილება: „1. თავისუფალი, შეგნებული კითხვა და წაკითხულის გადმოცემა ლიტერატურულის ენით. 2. ზეპირად ცოდნა, საჭირო განმარტების შემდეგ, საუკეთესო ლექსებისა და იგავ-არაკვებისა და სახელმძღვანელო წიგნებიდან. 3. თავისუფლად აღწერა საგნებისა და სურათებისა, აგრეთვე გადმოცემა სა-

⁶¹სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №455, ფურც. 67

⁶²სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. № 1166, ფურც 4

კუთარ შთაბეჭდილებათა – ნახულისა და გაგონილისა. 4. წერიტი სავარჯიშოები: საგნებისა და სურათების აღწერა, ნაკითხულის შინაარსის გადმოცემა წერით, საკუთარ შთაბეჭდილებათა მოკლედ გადმოცემა, აგრეთვე ნახულ-გაგონილისა და შემთხვევებისა საკუთარის ცხოვრებიდან. 5. ამავე განყოფილებაში მასწავლებელმა მოწაფეებს უნდა გადასცეს ცოცხალის საუბარით პირველდანიცებითი ცნობანი გეოგრაფიიდან საზოგადოდ და სამშობლო ქვეყნის აღწერილობიდან კერძოდ, დაახლოებით შემდეგის გეგმით: საკლასო ოთახის მონყობილობა და მისი გეგმა, მთელი სასწავლებლისა და მისი კარმიდამოს გეგმა და მოკლედ აღწერა და გეგმა იმ ქალაქისა ან დაბისა, სადაც სასწავლებელია; მახლობელი მთა და მთის ნაწილები, მახლობელი მდინარე და მდინარის ნაწილები, ქვეყნის კუთხეები; საქართველოს ის კუთხე, სადაც სკოლა იმყოფება; საქართველო და მისი მთავარი ნაწილები, მთები და მდინარეები, აგრეთვე ქალაქები და შესანიშნავი ადგილები; საზოგადო ცნობანი კავკასიაზე (საჭიროა მოწაფეებს რუკაც გააცნოთ)“.⁶³ აგრეთვე განერილი იყო რვა კლასის პროგრამა ქართულ ენასა და ზეპირსიტყვიერებაში. ბუნებრივია, აქ სრულად ვერ ჩამოვთვლით ყველა იმ ნაწარმოებს, რომელიც ისწავ-

⁶³სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №1166, ფურც. 4

ლებოდა, თუმცა აღვნიშნავთ იმ ავტორებს, რომელთა თბულებები აუცილებელ სასწავლო კომპონენტად იყო გათვალისწინებული პირველიდან მერვე კლესის ჩათვლით. ასე მაგალითად, ვაჟა-ფშაველას, ეკატერინე გაბაშვილის, ნიკო ლომოურის, შიო არაგვისპერილის, სოფრომ მგალობლიშვილის, თედო რაზიკაშვილის, დუტუ მეგრელის, აკაკი წერეთლის, იროდიონ ევდომვილის, სულხან-საბა ორბელიანის, რაფიელ ერისთავის, დავით გურამიშვილის, გიორგი ქუჩიშვილის, ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ია ევალაძის, ვახტანგ ორბელიანის, გალაქტიონ ტაბიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის და სხვათა ცალკეული ნაწარმოებები.⁶⁴

1918 წლის 31 აგვისტოს სხდომაზე განათლების სამინისტრომ დაადგინა, რომ თბილისის გუბერნია განათლების მხრივ ჩამორჩენილი იყო ქუთაისის გუბერნიასთან შედარებით. 1916 წლის კავკასიის ვალენდარში მოთავსებული ცნობების მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში დაახლოებით სულ 1 000 000 მცხოვრებია, სახალხო სკოლათა რიცხვი კი 900; ასე რომ ერთი სკოლა მოდის დაახლოებით 1 100 მცხოვრებზე. თბილისის გუბერნიაში კი 600 000 მცხოვრებზე ითვლება 240 ქართული სკოლა. ე . ი. ერთი სკოლა მოდის დაახ-

⁶⁴ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №1166, ფურც 4-5

ლოებით 2500 მცხოვრებზე. უმაღლესი დაწყებითი სკოლა ქუთაისის გუბერნიაში არის 70, თითო სასწავლებელი მოდის 14 280 მცხოვრებზე, თბილისის გუბერნიაში კი 6, ე.ი. ამ ტიპის სკოლა აქ მოდის 100 000 მცხოვრებზე.⁶⁵

მართალია, 1918-1921 წლებში საქართველოს ხელისუფლების მიზანმიმართული და თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად განათლების პრობლემის მოგვარება უმთავრეს საკითხად იყო დაყენებული და ამისთვის არაერთი ღონისძიება გატარდა, თუმცა საწყის ეტაპზე ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობდა, რაც შეეხებოდა სკოლებში ეროვნული საგნების შეტანის საკითხს. ბუნებრივია, როდესაც აღნიშნულ პერიოდს ვაფასებთ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეს პერიოდი საკმაოდ ხანმოკლე იყო იმისთვის, რომ ყველა დასახული მიზანი და გეგმა განხორციელებულიყო და რეალობად ქცეულიყო. თუმცა, ვფიქრობ აღნიშნული დროის მონაკვეთი ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოს ისტორიაში თავისი მიღწევებით.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც იდგა 1918 წელს ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული საქართველოს წინაშე იყო სკოლებში ეროვნული ხასიათის საგნების შეტანა. ეს კარგად არის ასახული 1918

⁶⁵ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. № 27, ფურც. 6

წლის 13 ნოემბრის ქალაქ თბილისის მეორე ქართული გიმნაზიის დირექტორისადმი, ამავე გიმნაზიის მოსწავლეების მიერ მიმართული განცხადებიდან: „დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოში ყოველ მცხოვრებს ესაჭიროება სახელმწიფო ენის ცოდნა და ნამეტნავად თვით ქართველობას. ჩვენ ტფილისის მე-2 ვაჟთა გიმნაზიის ქართველნი მოწაფენი, როგორც ასეთნი, მოკლებული ვიყავით სამშობლო ენის სათანადოდ შესწავლას. გვრცხვენოდა ჩვენი თავისა, რომ არ შეგვეძლო სამშობლო ენაზედ მსჯელობა ფართე საზოგადოებაში; იჩრდილებოდა ჩვენი გულის წადილი და სულიერი განცდა სწრაფად ქრებოდა, ვინაიდან ამას ენა ვერ გამოთქვამდა და სათანადო მომზადებაც არ მოგვეპოვებოდა. ასე მიდიოდნენ წელნი, მაგრამ ისტორიამ თავისი გაიტანა და საქართველოც ჩადგა თავისუფალ ერთა ლაშქარში. სახელმწიფოებრივი აპარატი სწრაფად იქმნება და ქართველი მონინავე ახალგაზრდობაც უნდა მიეშველოს მას თავისი ცოდნით. ეს რომ შეასრულოს ქართველმა ეხლანდელმა ახალგაზრდობამ, მას სჭირია ზედმინევნით მშობლიურ ენის ცოდნა, რომელიც გამოიხატება არა მარტო ქართული წერა-კითხვის შესწავლაში, არამედ ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის და მის კანონმდებლობის ცოდნის და შესწავლისაგან. ეს

განხორციელებულია ჩვენს გიმნაზიაში/სახეში გვყავს მე-8 კლასი/, მაგრამ უკიდურესად მცირე მასშტაბში. საქართველოს ისტორიას სულ 2 გაკვეთილი აქვს კვირაში დათმობილი, მაშინ როდესაც ისეთ საგანს, როგორც არის რუსული ისტორია, რომლის შინაარსიც რამდენჯერმე გვაქვს შესწავლილი 2-ჯერ აქვს ადგილი დათმობილი კვირაში. მართალია, ეს რუსული ისტორიის კურსი ზოგადად აშუქებს საგანს კულტურის და ეკონომიის მხრივ, მაგრამ ჩვენ მე-8 კლასის მონაფეებს, რომელნიც აგერ რამდენიმე თვის შემდგომ უნდა წარვსდგეთ საზოგადოებათა წინაშე, გვესაჭიროება უფრო ჩვენი ერის, სამშობლოს ისტორიის ცოდნა, მისი კულტურის და ეკონომიის განვითარება, ვინაიდან ამიერიდან მასთან გვექნება ყოველდღიურად საქმე“.⁶⁶ ამასთან განცხადებაში მოსწავლეები სვამენ კითხვას: „რა ვიქნებით ჩვენ? აქ არსებობს მხოლოდ ერთი პასუხი: ყოველ ჩვენგანის ქართული სახე დაიჩრდილება და როდესაც კამათი ჩამოვარდება საქართველოზე, მის ისტორიის-განვითარებაზე, ჩვენ მხოლოდ შეგვრჩება სახეზედ წითელი ფერი“.⁶⁷

1918 წლის გაზეთ „საქართველოში“ ვკითხულობთ: „სკოლა უნდა წარმოადგენდეს ცხოვრების

⁶⁶სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. № 211, ფურც. 32

⁶⁷ იქვე, ფურც. 32

მოთხოვნების დასაკმაყოფილებელ საშუალებას. რათა ეს დიდი გაჭირვება აიცილოს თავიდან სკოლამ, მან უნდა დაისახოს მიზნად დააკმაყოფილოს მინიმალური საჭიროება მოსწავლისა, გაუღვიძოს მას სურვილი სწავლის შეძენისა. შეაჩვიოს იგი ბეჭითობას, გულმოდგინე შრომას, მისცეს მის ხასიათს სიმკვიდრე-სიმტკიცე, განავარჯიშოს ბავშვი მოქმედებაში. აჩვენოს თუ როგორ და რანაირად შეიძლება საჭირო სწავლაცოდნის შეძენა, მისი სისტემაში მიყვანა და მისი ცხოვრებაში გამოყენება. ამ თვალსაზრისით უპირველეს დანიშნულებას სკოლისას წარმოადგენს მისი აღმზრდელობითი ხასიათი“.⁶⁸ ავტორის აზრით, აუცილებლობას წარმოადგენს სკოლაში ისეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, როგორიცაა: წერა-კითხვა, ანგარიში, ბუნების მოვლენათა ელემენტარული ცოდნა. ისტორია-გეოგრაფია, ხატვა-ხაზვა, ხელოსნობა-დურგლობა, ჭრა-კერვა და სხვა. იგი დიდ ყურადღებას ანიჭებს საქართველოს ხელოვნების და ეთნოგრაფიის შესწავლას, რისთვისაც მიზანშეწონილად თვლის ექსკურსიების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა მხარეებში. ამას გარდა, იგი ყურადღებას ამახვილებს

⁶⁸ ა. ნატროშვილი, სკოლის ნაციონალიზაცია საქართველოში, გაზეთი, საქართველო, 1918, #184, გვ. 2

მშობლიური ენის, მწერლობის და ლიტერატურის შესწავლის აუცილებლობაზე.

სტატიაში ავტორი აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხზე: „ყველას მოეხსენება, რომ რუსულ სკოლაში სამშობლოს სწავლებას არა ჰქონდა ადგილი. ეს ერთნაირად ითქმის როგორც დაბალის, ისე საშუალო და მაღალი სასწავლებლების შესახებ. აი მიზეზი, რის გამოც ჩვენ ძლიერ სუსტნი ვართ სამშობლოს ქვეყნის ცნობაში. ხშირად ქართლ-კახელი მოკლებულია ცოდნას შესახებ იმერეთის, სამეგრელო-სვანეთის და გურიის, მთიელნი, რომელნიც მომწყდევულნი არიან თავის მთებში, უცნობნი არიან ერთისაც და მეორისაც. გაცნობა სამშობლოსი აგრეთვე პატრიოტულ-მამულიშვილობის გრძნობის განვითარების საქმეში. – წარმოუდგენელია როგორ უნდა აღეძრას ბავშვს მამულის სიყვარული, როდესაც მისთვის „სამშობლო“ ცარიელი, უშინაარსო სიტყვის მეტს არაფერს შეადგენს“.⁶⁹

აუცილებელ საჭიროებად იყო მიჩნეული შემდეგი პრობლემების გადაჭრა: „თუ გვსურს, რომ სკოლამ მიიღოს ეროვნული მიმართულება, იყოს ბავშვისთვის ნამდვილი დედა და არა როგორათაც აქამდინ „დედი-

⁶⁹ ა. ნატროშვილი, სკოლის ნაციონალიზაცია საქართველოში, გაზეთი, საქართველო, 1918, #184, გვ. 2

ნაცვალი“, მან უნდა გააღოს ფართოდ თვისი კარი ყველას, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ნოდებისა. დემოკრატიულ საქართველოს სახელმწიფოში სახალხო განათლება უნდა იყოს სავალდებულო ყველასათვის. იგი უნდა გავრცელდეს განურჩევლად ყველა მოქალაქეზედ.... გაერთიანებულ სასწავლებელში არ უნდა იყოს სწავლის მხრივ არავითარი გარჩევა ვაჟთა და ქაღთა სასწავლებელთა შორის. სწავლა-განათლება უნდა სწარმოებდეს ერთნაირი კურსით, ერთნაირი პროგრამის საშუალებით. ქაღებს უნდა მიეცეთ ისეთივე უფლება, რომელნიც მიენიჭებიან ვაჟებს“.⁷⁰

1918 წელს ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან ერთად დღის წესრიგში იდგა სკოლების გაერთგვაროვნება და ყველგან ერთნაირი სწავლა-აღზრდის სისტემის გამყარება. კომერციული სასწავლებლები და სავაჭრო სკოლები ირიცხებოდა სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროში, მუსულმანთა სასწავლებლები და სხვა ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიწისმომელთა სასწავლებელს განაგებდა იუსტიციის სამინისტრო და ამგვარი მაგალითები მრავალი იყო. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ასეთი

⁷⁰ ა. ნატროშვილი, სკოლის ნაციონალიზაცია საქართველოში, გაზეთი, საქართველო, 1918, #184, გვ. 2

მდგომარეობა სასწავლებლებისა, თუ გინდ მათ სპეციალური მიზანი ქონდეთ დასახული, სრულიად არა ბუნებრივად და არა სასურველად უნდა ჩაითვალოს შემდეგის მოსაზრებით; 1. აუცილებლად საჭიროა ყველა სახელმწიფოებრივ სასწავლებელში საქართველოს ტერიტორიაზე დაამყარებულ იქმნას ერთგვარი სწავლა-აღზრდის პრინციპები და ამ რიგად დაცული იქმნას სწავლა-განათლების ყოველ დარგში პედაგოგიური მთლიანობა... 2. ყოველი სამინისტრო, რომლის უწყებაშიაც ირიცხება სასწავლებლები, (თუ გინდ ამ სასწავლებელთა რიცხვი მცირე იყოს), იძულებულია დაარსოს სამინისტროსთან ცალკე დაწესებულება – სამოსწავლო განყოფილება. ამგვარი განყოფილებები ძვირი უჯდებოდა რუსეთს, ძვირად დაუჯდება აგრეთვე საქართველოს. ეს ხარჯი ზედმეტ ხარჯად უნდა ჩაითვალოს, რადგან არსებობს სწავლა-განათლების სამინისტრო... 3. მრავალ სამინისტროს ზედმეტ ტვირთად აწევს მეტად ძნელი საქმე სწავლა-აღზრდის გაძღოლისა. ყოველ სამინისტროს თავისი პირდაპირი საქმე მრავალი აქვს. 4. სკოლის ადმინისტრაციულ აგებულებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის ცხოვრებაში და სკოლის მართვა-გამგეობაში. საზოგადოდ უნდა იქნას დაცული მთლიანობა. სრულიად არ არის სასურველი და სასარგებლო, რომ საქართვე-

ლოს რესპუბლიკის მცირე ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივ სკოლაში სხვადასხვა სასწავლებელში დამყარდეს სხვადასხვა წესი მართვა-გამგეობისა, ზოგან პასუხისმგებელი სასწავლებლის შესახებ დირექტორი იყვეს, ზოგან პედაგოგიური საბჭო, ზოგან სამზრუნველო საბჭო, ზოგან მშობელთა წრე, ამგვარი სხვადასხვაობა არღვევს სკოლის მთლიანობას“.⁷¹ განათლების სამინისტრომ აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით მიმართა მინისტრთა საბჭოს.

1918 წლის 13 სექტემბრის განათლების სამინისტროს მონაცემებით „სახალხო განათლება საქართველოს ყველა ნაწილებში ერთნაირად არ არის გავრცელებული. ამ მხრივ დასავლეთი საქართველო შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფება. ამიტომ ამ ხანად მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ თბილისის გუბერნიას უნდა მიექცეს. აქ ორგვარი დაბალი სასწავლებელი არსებობს: პირველდანწყებითი და უმაღლესდანწყებითი. ორისავე ტიპის სკოლების რიცხვი მეტად მცირეა. განსაკუთრებით უმაღლეს პირველდანწყებითია. ამის გამო პირველდანწყებით სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი, უმეტეს შემთხვევაში, ან სრულიად ვერ ახერხებენ სწავლის გაგრძელებას, ან და იძულებულნი

⁷¹სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქმ. №454, ფურც. 6

არიან ფრიად დიდი შრომა და ენერჯია დახარჯონ, რომ სანადელს მიაღწიონ და სადმე უმაღლესდანყებით სასწავლებელში შევიდნენ, მაგალითად: თბილისის მაზრაში 60 პირველდანყებითი, 1 და 2 კლასიანი სასწავლებელია და არც ერთი უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი არ მოიპოვება, გარდა თვით ქალაქ თბილისისა, გორის მაზრაში 117 პირველდანყებითი სასწავლებელია და მხოლოდ ერთი მთავრობის უმაღლესდანყებითი; დუშეთის მაზრაში 32 პირველდანყებითი სასწავლებელია და არც ერთი უმაღლესი საფეხურისა, გარდა ქალაქ დუშეთში არსებული უმაღლეს პირველდანყებითი სკოლისა, რომელიც საზოგადოების ხარჯით ინახება“.⁷² სასწავლო დაწესებულებების გახსნა და მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონტიგენტის გაზრდა ბუნებრივია ემსახურებოდა ერთ მიზანს საზოგადოების საგანმანათლებლო დონის და ეროვნული შეგნების ამაღლებას. იმპერიის დაქვემდებარებაში ყოფნის დროს მართალია არსებობდა სკოლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მაგრამ განათლების მიღებას ართულებდა რუსულ ენაზე წარმართული სასწავლო პროცესი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ხელისუფლებამ განაგრძო ჯერ კიდევ 1917 წლის თებერ-

⁷² სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №77, ფურც. 48

ვლის რევოლუციის შემდეგ აღებული კურსი და სკოლების ნაციონალიზაციის პროცესი დააჩქარა, რაც პირველ რიგში გამოიხატა ქართული ენის უფლებების გაზრდით, თუმცა ვითარებას ართულებდა მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა. ამაზე ქვევით ვისაუბრებ, მანამდე კი მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ საინტერესო დოკუმენტზე, სადაც ქართული ენის შესახებაა საუბარი. „ქართული ენისა და სიტყვიერების პროგრამა საშუალო სკოლისათვის. უმცროსი განყოფილება: 1. უმცროს განყოფილებაში შესვლის დროს მოწაფემ უნდა იცოდეს გარკვეული წერა-კითხვა. 2. ორი წლის განმავლობაში მან უნდა შეითვისოს თავისუფალი და შეგნებული კითხვა, აგრეთვე წაკითხულის გადმოცემა თავისი სიტყვით. 3. ცოდნა ზეპირად და შეგნებით საუკეთესო ლექსებისა სახელმძღვანელოდან. 4. სიტყვიერად გადმოცემა თავის შთაბეჭდილებათა-ნახულისა და გამოგონილისა. 5. წერა მოკლე ფრაზებისა და წიგნიდან გადმოწერა, ან წაკითხული სტატიების შინაარსის წერილობითი გადმოცემა, აგრეთვე თავისუფლად წერა მოკლედ საკუთარ შთაბეჭდილებათა. უფროსი განყოფილება: 1. თავისუფალი, შეგნებული კითხვა და წაკითხულის გადმოცემა ლიტერატურულის ენით. 2. ზეპირად ცოდნა, საჭირო განმარტების შემდეგ, საუკეთესო ლექსებისა და იგავ-არაკებისა

სახელმძღვანელო წიგნებიდან. 3. თავისუფლად აღწერა საგნებისა და სურათებისა, აგრეთვე გადმოცემა საკუთარ შთაბეჭდილებათა-ნახულისა და გაგონილისა. 4. წერითი სავარჯიშოები: საგნებისა და სურათების აღწერა, ნაკითხულის შინაარსის გადმოცემა წერით, საკუთარ შთაბეჭდილებათა მოკლედ გადმოცემა, აგრეთვე ნახულგაგონილისა და შემთხვევებისა საკუთარის ცხოვრებიდან. 5. ამავე განყოფილებაში მასწავლებელმა მოწაფეებს უნდა გადასცეს ცოცხალის საუბარით პირველდანწყებითი ცნობანი გეოგრაფიიდან საზოგადოდ და სამშობლო ქვეყნის აღწერილობიდან კერძოდ, დაახლოებით შემდეგის გეგმით: საკლასო ოთახის მოწყობილობა და მისი გეგმა, მთელი სასწავლებლისა და მისი კარმიდამოს გეგმა და მოკლედ აღწერა და გეგმა იმ ქალაქის ან დაბისა, სადაც სასწავლებელია, მახლობელი მთა და მთის ნაწილები, მახლობელი მდინარე და მდინარის ნაწილები, ქვეყნის კუთხეები; საქართველოს ის კუთხე, სადაც სკოლა იმყოფება; საქართველო და მისი მთავარი ნაწილები, მთები და მდინარეები, აგრეთვე ქალაქები და შესანიშნავი ადგილები, საზოგადო ცნობანი კავკასიაზე.“⁷³ ამას გარდა გაწერილი იყო სასწავლო პროგრამა, რომელიც ისწავლებოდა 1-8 კლასებში. ბუნებრივია აქ

⁷³ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. № 1166, ფურც. 4-5

სრულად ვერ მოვიყვან პროგრამას, თუმცა შეიძლება აღინიშნოს ის ავტორები, რომელთა ნაწარმოებებიც ისწავლებოდა სკოლებში. ესენია: იაკობ ხუცესი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, ბასილ მარზმელი, შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, რაფიელ ერისთავი, სოფრომ მაგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნიკოლოზ მორი, შიო არაგვისპირელი და სხვა. ის ფაქტი, რომ საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა. ხელისუფლების მიერ გატარებული კანონების განხორციელებას ართულებდა. ასეთივე დამოკიდებულება იყო ქართული ენის საკითხთან. „სამინისტრომ მოახდინა ანკვეთა, გამოსარკვევად იმისა, სურთ თუ არა ქართველ მშობელთ, როგორც საქართველოს მოქალაქეთ, დასტოვონ თავისი შვილები მთავრობის იმ სასწავლებლებში, სადაც სწავლება მონაფეთა დედა ენაზე იქმნება და დღემდე მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ თითქმის არც ერთის არა ქართველ მშობელს არ სურს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა /ქვეშევრდომობა/ და ამავე დროს კი ყველა დაჟინებით მოითხოვს, რომ საქართველოს მთავრობამ გაუხსნას მათ სრულუფლებიანი სკოლები სახელმწიფო ხარჯით“.⁷⁴

⁷⁴ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №453, ფურც. 8

განათლების სამინისტროს შეფასებით, ქართული ენა სავალდებულო უნდა იყოს რესპუბლიკის ყველა სკოლაში, მაგრამ ვინაიდან არა ქართველ მოწაფეთ ქართული სრულიად არ იციან და ზოგის მათგანის ჩვენში ყოფნას დროებითი ხასიათი აქვს, შეუძლებელი იქმნებოდა სახელმწიფო ენის შემოღება დაუყონებლივ ყველა კლასში. ჯერ-ჯერობით მოსახერხებელი იქნება მხოლოდ პირველ ოთხ კლასში სავალდებულოდ, ზევით კლასებში კი მსურველთათვის“.⁷⁵ საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა კითხვარი და დაგზავნა ცალკეულ მხარეებში იმის გასაგებად, თუ როგორი მდგომარეობა იყო ქართულ ენასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ უმრავლეს რეგიონში საქმის წარმოებაში რუსული ენა იყო გაბატონებული, რაც ართულებდა პრობლემის მოგვარებას.⁷⁶

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ემატებოდა კიდევ ერთი პრობლემა, რაც დაკავშირებული იყო სკოლებში სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებთან. განსხვავებით სოფლის სკოლებისგან, სადაც გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო ამ მხრივ, ქალაქის სასწავლო დაწესებულებები გამოირჩეოდა ეროვნულ უმცირესო-

⁷⁵ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №453, ფურც. 52

⁷⁶ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №18

ბათა სიმრავლით. ეს პრობლემა ასევე არსებობდა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში.

ამდენად, 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის წინაშე სხვადასხვა პრობლემების გადანყვება დადგა დღის წესრიგში. 1918-1921 წლები მეტად რთული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მრავალ დადებით მოვლენასთან ერთად ბევრი პრობლემა მოიტანა. ეს დაკავშირებული იყო, როგორც ეროვნული, ნაციონალური სიმბოლოების შენარჩუნება-აღორძინებასთან, ასევე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ხასიათის რეფორმებთან, რომლებიც საბოლოო ჯამში ქართული საზოგადოების ცნობიერების ახალ სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოქცევას ითვალისწინებდა. სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გარდაქმნებთან და ღონისძიებებთან ერთად მოსაგვარებელი იყო ყველა ის პრობლემა, რომელიც რუსული მმართველობის გადმონაშთს წარმოადგენდა. ეს პირველ რიგში ეხებოდა განათლების სისტემას. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სკოლებში ქართულ ენაზე სწავლა-განათლების წარმართვა. ამასთან გასათვალისწინებელი იყო მოსწავლეების ეროვნული შემადგენლობა.

როგორც ცნობილია ამ პერიოდში საქართველოს სკოლებში, განსაკუთრებით თბილისის სკოლებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მრავლად სწავლობდნენ. თბილისის ვაჟთა გიმნაზიებში, მაგალითად, ითვლებოდა 1736 ქართველი, 1624 რუსი და 1477 სომეხი მოსწავლე. სხვა ეროვნებათა რიცხვი მცირე იყო. განათლების მინისტრმა მთავრობისაგან მოითხოვა დაეკანონებია ქართული, სომხური და რუსული გიმნაზიების ცალ-ცალკე არსებობა. მომდევნო სასწავლო წლისათვის თბილისში უნდა შექმნილიყო სამი ქართული, ერთი სომხური, ერთი რუსული და ერთიც შერეული – რუსულ-სომხური გიმნაზია. ასეთივე რეორგანიზაცია ხდებოდა ქალთა გიმნაზიებში. 1918 წლის სექტემბრისათვის მთელ საქართველოში არსებობდა ვაჟთა 24 და ქალთა 21 გიმნაზია, ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი და 4 საოსტატო სემინარია, 3 რეალური და 3 კომერციული სასწავლებელი. ასევე სახალხო განათლების უწყებაში არსებულ საშუალო სკოლების გვერდით საქართველოში საკმაოდ ბევრი იყო კერძო გიმნაზიები, რეალური და კომერციული სასწავლებლები. 1919 წლის სტატისტიკური ცნობის მიხედვით საქართველოში მოქმედებდა ვაჟთა და ქალთა კერძო გიმნაზიები – 26, რეალური სასწავლებელი – 3, საკომერციო სასწავლებელი – 2, საბუღალტრო კურსები –

8. დაწყებითი, დაბალი და მაღალი ტიპის სკოლები სწავლა-განათლების საერთო სისტემაში შედიოდნენ, მაგრამ ცალკე აღირიცხებოდნენ. 1919 წელს მთელ საქართველოში მოქმედებდა 1860 პირველ-დაწყებითი სკოლა, საიდანაც მხოლოდ 120 იყო არაქართული.⁷⁷

1918 წლიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ და თავისუფლების მოპოვებამ დღის წესრიგში ახალი გამოწვევები დააყენა. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა ელიტამ მთავარ ამოცანად განათლების საკითხის მოგვარება და იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი სტანდარტების შესაბამისად გარდაქმნა დაისახა მიზნად. „რევოლუციამ და განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ძირითადი ცვლილებები შეიტანა ქართული სკოლის ორგანიზაციის როგორც სისტემაში, ისე საპედაგოგო პრინციპებში. საუკუნეების განმავლობაში შებოჭილი ეროვნული სული და ეროვნული აღზრდა დღეს განთავისუფლდა, საქართველოს სკოლა ქართული ცხოვრების პრინციპებს დაეყრდნო და ნაციონალიზაციის დიადი აზრი დაუკავშირა დემოკრატიზმის საფუძვლებს.

⁷⁷ ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, (1918-1921), თბილისი: მემატიანე, 2001, გვ. 262

რამდენადმე დასრულებულად შეიძლება ჩავთვალოთ ქართული სკოლის სქემა, ფორმა. ამიერიდან საჭიროა მხოლოდ განვახორციელოთ, ცხოვრებაში გავატაროთ და მოუპოვოთ მოქალაქეობრივი უფლება კანონპროექტებში ჩაქსოვილ ახალი ტიპის ის საღვრინციპებს. მხოლოდ მაშინ, როცა ახალი ტიპის სკოლა შეიქმნება ე. ი. გატარდება ცხოვრებაში საფუძველნი ქართული სკოლისა, ხმლოდ მაშინ შეიძლება მოვისვენოთ და ვთქვათ, – ამიერიდან ადვილი არ ექნება ქართული სკოლის გადაგვარება და მოსპობას“.⁷⁸

1918 წელს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აცალიბებს ყველა იმ პრინციპს, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა საგნმანათლებლო პოლიტიკა. ამასთან ერთად გაზეთი აკრიტიკებდა რუსული გავლენის უარყოფით შედეგებს და საზოგადოებას ახალი საგანმანათლებლო სივრცის შექმნისაკენ მოუწოდებდა. „ჩვენში კიდევ უფრო უარეს პირობებში იყო სახალხო განათლების საქმე: გამეფებული იყო სკოლებიდან მშობლიური ენის დევნა, რითაც სწავლა-აღზრდის „ჭირისუფალნი“ ფეხქვეშ სთელავდნენ ელემენტარულ პედაგოგიურ მოთხოვნილებებსაც კი. მაგრამ რაც იყო ისტორიას ჩაბარდა. ან მომავლისთვის ზრუნვა გვმართებს და ჩვენი თავის ჩვენივე პატრონობა.

⁷⁸ მეთაური წერილი, გაზეთი, სახალხო საქმე, 1918, №319, გვ. 1

ჩვენში არსებული ყველა სახის სკოლებს განახლება, ახალ ფუძემდებ დამყარება ესაჭიროება. სრულიად უნდა განიდევნოს სკოლიდან ბიუროკრატიული სული და ანტიპედაგოგიური პრინციპები. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სრული გაეროვნება სახელმწიფო დაწესებულებისა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ განახლებულის სკოლის საშუალებით. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა სკოლამ სახელმწიფო განათლებამ უნდა მიიღოს ჯერ ეროვნული სახე“.⁷⁹

1918 წლის 6 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული წესის თანახმად გაუქმებულ იქნა: „1. კავკასიის სასწავლო კომისარიატი და ბ. გუბერნიებში არსებულ სახალხო სკოლების დირექტორები, რამაც გამოიწვია 80-მდე მსხვილი და წვრილ მოხელეს დატოვება – შტატგარეთ. ამ დაწესებულებათა მაგიერ სამინისტროში დაწესდა სამი თანამდებობა: 1. უმაღლეს და საშუალო სკოლების მთავარგამგისა; 2. სახალხო სკოლების მთავარგამგისა; 3. საპროფესიო და სატექნიკო სკოლების მოგვარებისა. რაც შეეხება სკოლების ადგილობრივ მეთვალყურეობას, ამ მიზნისათვის სამინისტრომ დატოვა სახალხო სკოლათა ინსპექტორის ინსტიტუტი.

⁷⁹ გაზეთი, საქართველოს რესპუბლიკა, 1918, № 40, გვ. 3

მთელი სწავლა-განათლების საქმეს რესპუბლიკაში განაგებს სამინისტრო თავისი საბჭოთი, რომელსაც შემდეგი მუდმივ წევრნი შეადგენენ: მინისტრი და მისი ამხანაგი, სამი მთავარგამგე, სამინისტროს კანცელარიის დირექტორი, ქალაქისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი და აგრეთვე ის პირნიც, რომელთა მონვევას მინისტრი საჭიროდ დაინახავს. ამას გარდა სამინისტროში მსახურობს 19 კაცი, რომელთა შენახვა წლიურად ჯდება 273 200 მანეთი, ნაცვლად 1 356 750 მანეთისა, რაც გაუქმებული ოლქისა და დირექციების შესანახად იხარჯებოდა. საქმის წარმოება მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე.⁸⁰

ამას გარდა განათლების სამინისტრომ ხელი შეუწყო ცალკეული სკოლების ეროვნულ ნიადაგზე გადაყვანას. მაგალითად: სრულიად გააეროვნულა თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონის და სოხუმის საოსტატო სემინარიები. ამ მიზნითვე მიიღო თავის გამგებლობაში სახელმწიფო ხარჯით „განათლების“ საზოგადოების ქალთა სემინარია ქალაქ ტფილისში და ბოდბის მონასტერთან არსებული ქალთა სამასწავლებლო სკოლა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განათლების სამინისტრომ დაარსა საზაფხულო კურ-

⁸⁰ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №54, ფურც. 5

სები, სადაც შეიმუშავეს სხვადასხვა საგნის ტერმინები სათანადო სახელმძღვანელოების გამოცემამდე.⁸¹

1918 წლის 19 ნოემბრის საქართველოს პარლამენტის გადანაცვებით, სხვადასხვა უწყებაში არსებული სასწავლებელი, გარდა სამეურნეო სკოლები-სა, შეუერთდა განათლების სამინისტროს. ყოფილი სასულიერო სასწავლებლები თბილისში, გორში, ოზურგეთში, სენაკში, თელავში გარდაიქმნა საერო სასწავლებლებად; ამათგან ზოგი შეუერთდა ადგილობრივ გიმნაზიებს, ზოგიც დამოუკიდებელ საშუალო სკოლად გადაიქცა: მაგალითად, თბილისის მერვე და სენაკის ვაჟთა გიმნაზია.⁸² ამას გარდა განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულება: კავკასიის მუზეუმი, თბილისის ფიზიკური ობსერვატორია, ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმი.

სახელმწიფომ ასევე იზრუნა მასწავლებელთა ანაზღაურების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი. ამჯერად აღვნიშნავთ, რომ 1918 წლის 18 ოქტომბრის კანონის თანახმად დაბალ სკოლათა მასწავლებელს ნაცვლად თვეში 210 მანეთისა დაენიშნა 400 მანეთი. აგრეთვე ყურად-

⁸¹სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №54, ფურც 5

⁸²იქვე, ფურც. 6

ღება მიქცა იმ მოსწავლეებს, რომლებიც სახელმწიფო ხარჯზე სწავლობდნენ და ამ კატეგორიისთვის გაღებულ იქნა 150 00 მანეთი.⁸³ განათლების სამინისტრომ ასევე ადგილი დაუთმო ისეთი საკითხების განხილვას, რომელიც გულისხმობდა სხელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოცემას და თარგმნას და ამისთვის 100 000 მანეთი გამოიყო.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა. მათ შორის იყო გარდაქმნები განათლების სფეროში. ქართველი საზოგადოების ნაწილი ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს მაქსიმალურად ცდილობდა ფართო ფენებში განათლების დონის ამაღლებას და ბუნებრივია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს საკითხი უპირველესი განხილვის საგანი გახდა. ეს პირველ რიგში გამოიხატებოდა სკოლების ნაციონალიზაციით, რომელსაც საფუძველი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩაეყარა და 1918 წლიდან ახალი აღმავლობა განიცადა. ეს ყოველივე კი დაკავშირებული იყო სკოლების რეორგანიზაციის პროგრამასთან, რაც პირველ რიგში გულისხმობდა ქართულ ენაზე სწავლა-

⁸³სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №54, ფურც. 6-8

განათლების წარმოებას და სასწავლო საგნებში: საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს გეოგრაფიის შეტანას. როგორც აღვნიშნეთ, ამ მიმართულებით მოღვაწეობას ართულებდა საქართველოს, განსაკუთრებით თბილისის სკოლების ეროვნული შემადგენლობა. როგორც ცნობილია რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების ჩამოსახლება შეუწყო ხელი, რამაც მთელი სიმწვავეთ თავი იჩინა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. 1918 წლის მონაცემებით ზოგიერთ სკოლებში ქართველებს არაქართველები სჭარბობდნენ.

1918-1921 წლებში, მაშინ, როცა საქართველოს რესპუბლიკა ვითარდებოდა და წელში გამართვას ცდილობდა, ფორმალურად თუ არაფორმალურად, მთელი საზოგადოება, მუნიციპალიტეტები თუ ქალაქების წარმომადგენელი ცდილობდნენ შეექმნათ დემოკრატიული და გახსნილი სივრცეები, რომელიც ხელმისაწვდომი გახდებოდა ყველა დაინტერესებული პირისთვის. რაც მთავარია, ამგვარ აღგილას მოხვედრილი ნებისმიერი მოქალაქე მეტად მნიშვნელოვან, ფასეულ ინფორმაციასა თუ ცოდნას მიიღებდა და ეს ურთიერთობა ნაცოფიერ შედეგებს მოიტანდა ზოგადად. სახალხო უნივერსიტეტებში იმართებოდა საინ-

ტერესო ლექციები ისეთ თემებზე, როგორცაა: ძველი და ახალი ქართული ლიტერატურა, მსოფლიო და საქართველოს ისტორია, ბუნებისმეტყველება, პოლიტიკური ეკონომიკა, ქალთა ჰიგიენა, ფიზიოლოგია, გეოგრაფია და ა.შ.

აი როგორ აღწერს 1919 წელს „სახალხო საქმეში“ დაბეჭდილ ერთ წერილში უცნობი „მოკეთე“ სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობას: „სახალხო უნივერსიტეტის მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების იმ ელემენტებისთვის, რომელთაც სიღარიბისა თუ სხვა მიზეზების გამო თავის დროს ვერ მიუღიათ განათლება“.⁸⁴

როგორც ჩანს, სახალხო უნივერსიტეტი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული თბილისში, მისი ფილიალები არსებობდა პრაქტიკულად დედაქალაქის ყველა უბანში და საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენდა ლექციებისა და დისკუსიების მიმართ.

1918 წელს, გაზეთ „სოციალდემოკრატი“ გამოქვეყნებულ წერილში ვკითხულობთ: „ავლაბრის რაიონის დემოკრატიას. თფილისში, თითქმის ყველა რაიონებში არსებობს სახალხო უნივერსიტეტები და მუშათა კლუბები. ჩვენს რაიონში უკვე დავაარსეთ სახალხო

⁸⁴ საქართველოს რეგიონების ცხოვრება 1918-1921 წლებში, თბილისი, 2018, გვ. 206

უნივერსიტეტი, სადაც უკვე დაიწყო სისტემატიურად ლექციების კითხვა, მუშები სწავლობენ ძველსა და ახალ ისტორიას, პოლიტიკურ ეკონომიასა და სხვა. დავაარსეთ მუშათა კლუბი, სადაც ხელოვნება უნდა დაუახლოვოთ ფართო დემოკრატიას და აღზარდოთ ის კულტურულად. ამ მიზნის ცხოვრებაში გასათარებლათ მუშათა კლუბის წევრებმა აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანო – მუშათა კლუბის გამგეობა, რომელიც უკვე შეუდგა მოვალეობების შესრულებას. გამგეობამ მოიწვია რეჟისორები ქართულ და სომხურ წარმოდგენების გასამართავად, შეადგინა რეპერტუარი. გამგეობა ყოველ ღონეს ხმარობს ხელოვნების ტაძარი მისაწვდომი გახდეს ფართო დემოკრატიისთვის. უკვე დაიწყო მუშათა კლუბმა. თავისი მოქმედება და გამგეობა მოუწოდებს ავლაბრის დემოკრატიას შემოიკრიბოს მუშათა კლუბის გარშემო და ნუ მოაკლებენ მას თავის თანაგრძნობას. ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა და ავლაბრის დემოკრატია ხელი ხელ ჩაკიდებულნი დადიოდნენ იმ გზით, რომელზედაც შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა. ამ იმედით აღფრთოვანებული ვინყებთ ამ ახალ საქმეს.“⁸⁵

ამას გარდა 1919 წელს საქართველოს დამფუძნე-

⁸⁵საქართველოს რეგიონების ცხოვრება 1918-1921 წლებში, თბილისი, 2018 გვ. 208-209

ბელი კრების მეოთხე სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი დებულება: „პირველდანიყებითი სკოლები უკვე გადაეცა ადგილობრივ თვითმართველობებს. მთავრობა დაუყონებლივ შეუდგება თვითმართველობებთან შეთანხმებით პირველ დანიყებითი უფასო სავალდებულო და საყოველთაო სწავლა განათლების შემოღებას. მთავრობის მიზანია აგრეთვე საშუალო სკოლების ქალაქთა და ერობათა ხელში გადაცემა. ამავე დროს მთავრობა აღნიშნავს, რომ თანამედროვე სკოლა დაშორებულია ცხოვრებას. მთავრობა შეეცდება სამოსწავლო გეგმის ძირითად გადასინჯვას, სასწავლებელთა ახალი ტიპის გამომუშავებას და უმთავრეს მიზნათ ისახავს ხალხში პროფესიონალურ-ტექნიკურ და სამეურნეო ცოდნის გავრცელებას და სკოლის ახალ საფუძველზე აგებას. მთავრობა თავის მოვალეობათ აღიარებს ახლო მომავალში განახორციელოს ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევება.⁸⁶

1919 წლის 27 მაისს დამფუძნებელი კრების მეოცე სხდომაზე განხილულ იქნა სოფლის მასწავლებელთა ანაზღაურების საკითხი: ივანე ჭავჭავანიძემ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა: „იციოთ, აგრეთვე, თუ რა დიდ და მეტად სამძიმო მოვალეობას ეწევა სახალხო სოფლის

⁸⁶ საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. 1, თბილისი, 2019, გვ. 76

მასწავლებელი და რა ცუდ პირობებში უხდება ასრულება თავის მძიმე და დიდ მოვალეობისა. თითქმის ყველა თქვენგანს უსწავლია სოფლის სკოლაში და კარგად გეცნობებათ ის სურათი, რომელსაც წარმოადგენს სახალხო სკოლა. ბინებიც კი, სადაც მეცადინეობა წარმოებს, მეტად სამწუხარო სურათს წარმოადგენს: ხშირად პირდაღებულ კედლებში ზამთრის სუსხიანი ქარი, თავისუფლათ დანავარდობს და მასწავლებელი, ნაბადში გახვეული, ან გახუნებულ პალტოში, ზის და თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს. მიუხედავად ამ მძიმე მდგომარეობისა სახალხო სკოლის მასწავლებელი მოთმინებით იტანს ამ თავის გაჭირვებას, და მის უკმაყოფილო ხმას იშვიათად გაიგონებს ადამიანი...საბიუჯეტო-საფინანსო კომისია სამართლიანად სთვლის სახალხო განათლების სამინისტროს წინადადებას, რომ, როგორც საშუალო და უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებლებისთვის, ისე სახალხო სკოლის მასწავლებლებისთვისაც დაწესდეს ხუთწლიანი დამატება. სულ, სამინისტროს ცნობებით, ჩვენ გვყვავს 2905 სახალხო სკოლის მასწავლებელი. მათემატიკური სისწორით გამოანგარიშება იმ თანხისა, რომლის გაღება იქნება საჭირო რესპუბლიკის ხაზინიდან იმ დამატების განსახორციელებლად, რომლებზედაც მოგახსენეთ, აქ შეუძლებელია, რადგან ეგ

თანხა უეჭველად მერყევი იქნება. დაახლოვებით ნავარაუდევია ყოველ წლიურად 1,045,800 მანეთი. საერთოდ კი ყოველ წლისათვის ცალკე უნდა იქნეს გამოანგარიშებული ხუთწლეულების მიერ გამოწვეულ ხარჯების დასაფარავი თანხა და საერთო ხარჯთაღრიცხვის წესით გაღებული. საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას წინადადება შემოაქვს ეს კანონპროექტი მიღებულ იქმნეს და შევიდეს ძალაში 1919 წლის 1 იანვრიდან“.⁸⁷

გიორგი ლასხიშვილის მოსაზრებით: „უნდა ვსთქვათ, რომ დღეს სახალხო სკოლის მდგომარეობა მოშლილია და დაქსაქსული. საქმე იმაშია, რომ ის ჯამაგირი, რომელიც ჰქონდათ სახალხო მასწავლებლებს, ისეთი მცირე იყო, ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში ჩააყენა სახალხო სკოლის მასწავლებლები, რომ ბევრი კარგი მასწავლებელი ჩამოშორდა სოფელს, წავიდა და სხვა საქმეს ეწევა. ეხლა ასეთი საქმე ბევრი არის. ჩვენ რომ ახალი სკოლის გახსნა გვინდოდა, იმისთვის დაბრკოლება იყო იმაში, რომ სახალხო მასწავლებელს ვერსად ვშოულობდით. ახლა დიდ რეფორმის გატარებისთვის აუცილებლად საჭირო იქნება დიდი კადრი მასწავლებლებისა და კარგი მასწავლებლები, გაქცეულები უნდა დავაბრუნოთ, მოვიზიდოთ

⁸⁷ საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. 1, 2019, გვ. 538-539

სოფელში. და ახალი კადრის შექმნისთვის საჭირო არის ექსტრაორდინალური ზომა, საშუალება. მე ვფიქრობ, რომ ეს საშუალება არის სწორედ ის დამატება, რომელიც არ ჰქონდათ წინადასახალხო მასწავლებლებს. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ 5-წლევანი დამატება არ არის ის ექსტრაორდინალური და მიზანშეწონილი ზომა, რომელიც დიდ საქმისათვის საჭირო არის, და როდესაც ჩვენ გვქონდა წინადასამინისტროში მუშაობა, ბევრი მოწვეული პირები იმ აზრისა იყვნენ, რომ ჩვენთვის ეხლა, ამ მომენტში, ამ საქმის გამოსწორებისთვის, საჭირო არის სხვა ზომებს მივმართოთ, – დავანესოთ არა ხუთწლევანი, არამედ 3-წლევანი დამატება. ეს დამატებები, სამწლევანი და ზოგან ორწლევანიც, არსებობს ზოგიერთ დემოკრატიულ ქვეყნებში. თუ სამწლიანი დამატების წესი მიღებული იქნება, შეიძლება სთქვან, რომ ეს სხვაგვარი წესი არის, რადგან საშუალო სასწავლებლებში 5-წლევანები არის, აქ კი ერთგვარი გამოყოფა იქნება, ერთგვარი პრივილეგია შეიქნება სახალხო სკოლისთვის. ამის პასუხად უნდა ითქვას, რომ სახალხო სკოლას დღეს არ აწყენს ასეთი პრივილეგია. თუ არა და რატომ არ შეიძლება საშუალო სკოლის მასწავლებლებისთვისაც დაწესდეს სამწლიანი დამატება? ყოველ შემთხვევაში თუ რაიმე მოსაზრებით 3-წლიანი დამატება არ იქნება მი-

ღებულის, – მაშინ რასაკვირველია, ჩვენ მხარი უნდა დავეჭიროთ იმ შესწორებას, რომელიც გამოსთქვა სახალხო განათლების კომისიამ. აქ მეტი ემატება. მაგრამ მე კი ვფიქრობ, რომ ეს საქმე უკეთესად გადაწყდეს იმ დროში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, – უმჯობესი იქნება 3-წლევლის დამატების შემოღება. და თუ ამას გაიზიარებთ, მოვითხოვ, რომ ეს კანონ-პროექტი დაუბრუნდეს ისევ სასკოლო კომისიას. მან განიხილოს ორივე შესაძლებლობა: ან სამ-წლიანი დამატება, ან მომატების ჯამის გადიდება და ამნაირად გადაამუშავებული პროექტი წარმოადგინოს.⁸⁸ საბოლოოდ მიღებულ იქნა ივანე ჭიჭინაძის მოსაზრება.

1919 წლის 10 ივნისს საქართველოს დამფუძნებელი კრების ოცდამეხუთე სხდომაზე თევდორე კიკვიციმე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა წამოაყენა შემდეგი საკითხი: „ბატონებო მოგესხენებათ, რომ ჩვენ უნდა შემოვიღოთ პირველ დაწყებითი, სავალდებულო და უფასო სწავლება. საამისო გეგმა უკვე მზად აქვს სამინისტროს. სამინიტრო ფიქრობს, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის, ის საქმის ნაწილის განხორციელებას უნდ შეუდგეს. მაგრამ ამ ახალი სკოლებისათვის საჭიროა მასწავლებლები, ვი-

⁸⁸საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. 1, 2019, გვ. 541

ნაიდან ჩვენ ძველ სკოლებშიაც საკმაო მასწავლებლები არა გვყავს, ამის გამო ბოგიერთი სკოლები დაკეტილი არის, და სწავლა არ სწარმოებს. ახალ სკოლებისთვის მასწავლებლების მოსამზადებლად საჭირო არის გაიხსნას კურსები. ეს კურსები იქნება ორთვიანი, და ორ თვის განმავლობაში უნდა მომზადდეს ახალგაზრდობა, რომელსაც შეეძლება სკოლაში სწავლება. რა თქმა უნდა, ორთვიანი კურსები ვერ მოამზადებს ისეთ მასწავლებლებს, რომელნიც სავსებით აკმაყოფილებენ სკოლის მოთხოვნილებას, მაგრამ, დღეს ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს და ჯერჯერობით ამით უნდა დავკმაყოფილდეთ. ეს კურსები უნდა მოეწყოს სხვა და სხვა ქალაქებში – თბილისში, ქუთაისში და შეიძლება სხვაგანაც. კურსები გამოანგარიშებული არის 250 მსმენელთათვის. მსმენელები იქნებიან, როგორც ქართველები, ბერძნები, ისე მუსლიმანები, ვინაიდან ჩვენში არის ქართული, ბერძნული და მუსლიმანთა სკოლები. რა თქმა უნდა, მსმენელთა უმეტესი ნაწილი იქნება ქართველობა, რადგანაც ქართული სკოლა ყველაზე მეტია. კურსებზე ასწავლიან შემდეგ საგნებს: პედაგოგიკას, დიდაკტიკას.... (კითხულობს...) კურსების გასხნა მოითხოვს ხარჯებს: თვითვეული მსმენელზე ნაანგარიშებია 600 მანეთი თვიურად. კურსებს ესაჭიროება ლექტორები, რომელთაც უნდა მივცეთ 600 მანეთი.

თვიურად მთელი ხარჯები იქნება შემდეგი: მსმენელი 250. თითოეულს ორ თვეში 1200 მანეთი, სულ 300.000 მანეთი. მოულოდნელი ხარჯები ნაანგარიშეა 10.000 მანეთი. მაშასადამე მთელი ჯამი შეადგენს 334.000 მანეთს, რაც უნდა გავიღოთ ახლა, რომ კურსების გასხნა არ დაგვიანდეს. ამიტომ კომისია აძლევს წინადადებას დამფუძნებელ კრებას, რომ ეს ხარჯები იყოს გაღებული და კურსები მოწყობილი ამა ივნისის ათიდან“.⁸⁹

საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომებზე ხშირად განიხილებოდა განათლების საკითხი. 1919 წლის 27 ივნისს 31-ე სხდომაზე სოლოლაშვილმა დააყენა საზღვარგარეთ გასაგზავნი ახალგაზრდების გადაჭრის პრობლემა, სადაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ „წარმოდგენილი კანონ-პროექტი ეხება საზღვარგარედ სპეციალურ სწავლა-განათლების მისაღებად გასაგზავნი ახალ-გაზრდებისათვის სასტიკენდიო თანხის 1 მილიონ მანეთის გადადებას. მოგეხსენებათ თუ რა პირობებში გვიხდება ჩვენი სახელმწიფოებრივ აღმაშენებლობითი მუშაობის წარმოება. ისტორიამ მეტად მძიმე და რთული მოვალეობა დაგვაკისრა: ეს არის ახალი სახელმწიფოს ახალ ნიადაგზე აშენება. ამისთვის, რასაკვირველია, საჭირო არის ჩვენთვის შესა-

⁸⁹ საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. 2, 2019, გვ. 107-108

ფერი ძალების ყოლა, რომელნიც ცხოვრების ყოველ დარგში გაუძღვებიან საქმეს ისე, როგორც ამას მოითხოვს საჭიროება. საჭირონი არიან მრავალ მხრივ ცოდნით აღჭურვილნი პირნი, ენერგიულნი და გამოცდილნი, მაგრა ჩვენდა-საუბედუროდ, ისეთი პირები მეტად ნაკლებად მოგვეპოვება, საჭიროება და მოთხოვნილება კი ძლიერ დიდია. მიზეზი ამ ნაკლისა მრავალგვარია, მაგრამ ერთი უმთავრესი მიზეზთგანი გახლავთ ის, რომ ძველმა ბიუროკრატიულმა მმართველობამ თავის ბრუდე პოლიტიკით საშუალება მოგვისპო, რომ ჩვენში განვითარებულიყო ეკონომიური, კულტურული, და საზოგადოდ ყველა სასიცოცხლო ძალები. ჩვენ ახალგაზრდობას არ ჰქონდა გასაქანი, მათ ხელ-ფეხი ჰქონდათ შებორკილი, და ისინი იძულებულნი იყვნენ სამშობლოს მოშორებულნი, სადმე სხვაგან ემუშავნათ და ეშრომათ. აი ეს უკარგავდა მათ ყოველგვარ უნარს, სურვილს მეცადინეობისას. მიუხედავად ბევრგვარი ცდისა, მიუხედავად ბევრგვარი მეცადინეობისა აქ ჩვენ მხარეში, ერთი უმაღლესი სასწავლებლის დაწესებაც კი ვერ მოხერხდა, რომ შექმნილიყო კულტურული ცენტრი და მის გარეშე შემოკრებილიყვნენ ჩვენი სამეცნიერო ძალები, რომელიც დღეს ჩვენ მოგვეპოვება – გაფანტულნი იყვნენ და მუშაობდნენ სულ სხვა მხარეში. ჩვენში კი გვიგზავნიდნენ ისეთ

პირებს, რომელნიც ჩვენთან ორგანიულად დაკავშირებულნი არ იყვნენ, არ იცნობდნენ ჩვენ ბუნებას, ჩვენ ქვეყანას, ჩვენი ქვეყნის თვისებას და, რასაკვირველია, ასეთი პირნი ვერ იქნებოდნენ ჩვენი ქვეყნის აყვავების მოსურვენი. აი ასეთი იყო მდგომარეობა. მაგრამ რუსეთის დიდ რევოლუციამ ძირიან ფესვიანად შესცვალა ეს მდგომარეობა და ჩვენი ხალხის ბედი ჩვენ ხელშივე გადმოგვცა. ეხლა მთელ თავის სიძლიერით, მთელ თავის სიგრძესიგანით წარმოსდგა საკითხი – სათანადო დარგებისთვის სპეციალისტების მომზადება და მათი სწავლა-განათლების გამოყენებისა. საქართველო წარმოადგენს განსაკუთრებულ მხარეს. ეს იშვიათი ქვეყანაა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით. მისი ზედა პირი დაფარულია მრავალგვარ ტყეებით, დედამიწის წიაღში დაფარულია მადნეულობა და სამკურნალო წყლები და სხვა; მაგრამ ყველა ეს თითქმის პირველყოფილ მდგომარეობაშია, დაუმუშავებელია და ჩვენ ვერ ვსარგებლობთ, ვერ ვიღებთ ყველა იმ სარგებლობას, რომელიც შეგვეძლო მიგვეღო, საჭირო არის მისი პატრონობა და მოვლა. ამას კი შევძლებთ მხოლოდ მაშინ, როცა გვეყოლება სათანადოდ მომზადებული პირები. რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ ჩვენი ცხოვრებისა იქნება ეს ფინანსიური, სამეურნეო, ტექნიკური თუ სხვა, ყველგან ვგრძნობთ, რომ გვაკ-

ლია შესაფერი ძალები. განსაკუთრებით ჩვენი ქვეყანა სამეურნეო ქვეყანაა, მაგრამ აქაც კი არ მოგვეპოვებიან სათანადოთ მომზადებულნი პირნი. და თუ მოგვეპოვებიან ყველანი უცხო ტომისანი არიან, რომელნიც როგორც მოგახსენეთ, ნაკლებად არიან ჩვენთან დაკავშირებულნი და პირველ შემთხვევაშივე დაგვანებებენ თავს და წავლენ. ისე, რომ საკუთარი ძალებით უნდა დავფაროთ, ჩვენი მოთხოვნილება და საკუთარი ძალები განვაავითაროთ.“⁹⁰

ქრისტინე შარაშიძის განმარტებით: „დამფუძნებელ კრებისათვის დასადასტურებლად წარმოდგენილი გახლავთ დევრეტი საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების საჭიროებისათვის ხაზინიდან 120.160 მან. გაღებისა. ამ 12 წლის წინად საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება ბუნებრივად აღმოცენდა ჩვენი კულტურული წყურვილისა და ძიების განვითარების პროცესში, როგორც თვითნებობისა და თვით შესწავლისაკენ მძლავრ მიდრეკილების გამომხატველი. ამ 12 წლის განმავლობაში საზოგადოების დაუღალავი საქმიანობა ორი მიმართულებით ვითარდებოდა; ერთის მხრივ ის თავს უყრიდა და ინახავდა საისტორიო, საარქეოლოგიო, საეთნოგრაფო ნივ-

⁹⁰საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. 2, თბილისი, 2019, გვ. 284-285

თებს, ხელთნაწერებს, სურათებს სიგელ-გუჯრებს, ფრესკების ასლებს – ყოველივეს, რაც კი ჩვენი ერის სულიერის და ნივთიერი კულტურის ფასდაუდებელ განძს წარმოადგენდა. ამ გვარად შექმნა საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ეროვნული მუზეუმი. მეორე მხრივ საზოგადოება ჩვენი წარსულის კვლევადიების წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებას უწყობდა ხელს თავისი საუცხოვო გამოცემებით: მაგ: „საქართველოს სიძველენი“, „ძველი საქართველო“, „სახალხო პოეზია“ და სხვა მრავალი. ამ 12 წლის განმავლობაში, საისტორიო – საეთნოგრაფიო საზოგადოებისადმი ინტერესი და პატივისცემა ჩვენ ხალხის წლიდან-წლობით იზრდებოდა. სუყველა, ვისთვისაც ხელმისაწვდენი და საყვარელი იყო ქართული წიგნი და ქართული კულტურა, დიდის თუ პატარისა, მდიდარი თუ ღარიბი, მუშა თუ ინტელიგენტი, განურჩევლად გამოხატავდა ამ საზოგადოებისადმი ნდობას რაიმე იშვიათი ყურადღებას ღირს და სიძველის, ხელთნაწერისა თუ სხვაგვარი საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ჩვენი კულტურის წინაშე. მან გზა მისცა გაღვიძებულ შეგნებას. ჩვენ ახლო წარსულში როცა ჩვენი კულტურა მონობისა და დაბეჩავების ბეჭედს ატარებდა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი და წიგნთსაცავი ერთი იმ იშვიათ ადგილ-

თაგანი იყო საცა ჩვენი კულტურული წარსულის ბრწყინვალეობა დაუჩრდილავათ სჩანდა. იქ ჩვენ თამამად შეგვეძლო შეგვეყვანა მოყვარე თუ მტერი, თავისიანი თუ უცხო ყოველი ნივთი, მოსიყვარულე, მზრუნველი ხელით მოვლილი და ნაპატიები იყო, რაიც მონობდა არა მხოლოდ წარსულის კულტურას, აწინდელი ქართველი ხალხის კულტურულ მისწრაფებასაც. ეს საზოგადოება, კერძო ინტერნაციონალით აღმოცენებული, – თავისი მოღვაწეობით სახელმწიფოს, მთელ ერს ემსახურება. მისი საჭიროებისათვის გასაღები თანხა 120.160 მ. აწინდელი ფულის კურსის კვალობაზე მეტის მეტად მცირედათ უნდა ჩაითვალოს. ეტყობა თვითეული გროში აწონ-დაწონილია და მთლად ხარჯთაღრიცხვა დიდის დაზოგვით არის შედგენილი. საერთოდ ეს თანხა ერთი ხეირიანი გამოცემისთვისაც ცოტა არის დღეს, ვიცით, რომ მუზეუმს ჰყავს მოსამსახურეთა შტატი, საზოგადოებას მრავალი ხარჯი აქვს. სჩანს აღნიშნული თანხა გამოთვლილია მოუცილებელ საჭიროებათ დასაკამაყოფილებლად.“⁹¹

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდა პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის დაარსება გამოწ-

⁹¹ საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. 2, თბილისი, 2019, გვ. 393-394

ვეულია იმ გარემოებით, რომ ჩვენ არ გვყავდა საკმაო რაოდენობა მომზადებული მასწავლებლებისა არც პირველდანწყებით, არც უმაღლეს დანყოფილთა და არც საშუალო სკოლებისთვის. გარდა იმისა, რომ მასწავლებლების უმრავლესობას არა აქვს სათანადო მომზადება საერთო განათლების მხრივ, მათ სრულიად არ ჰქონდათ თითქმის სპეციალური პედაგოგიური განათლება, რომლის გარეშეც, პრაქტიკულად მომუშავე აღმზრდელს საშუალება ეძლეოდა დამდგარიყო მოწოდების სიმაღლეზე. სწორედ ამიტომ, პედაგოგიური ინსტიტუტის მიზანი იქნებოდა შეეფასო ეს ნაკლი და შესაძლებლობა მომავალი მასწავლებლისათვის სამეცნიერო საერთო განათლებასთან ერთად მიეღო სპეციალური განათლებაც.⁹²

6. იმნაიშვილის კანონპროექტი ეხებოდა ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ საპროფესიო და სატექნიკო სკოლების შტატებსა და ხარჯთაღრიცხვას, სახელდობრ: „თბილისის საშუალო პოლიტექნიკუმის, მინის მზომელთა, საფერშლო სასწავლებლის, ბორჯომში და ხონში სახელოსნო სასწავლებელთა და ფოთის სახელოსნო სკოლისა. ზედმეტი არის დამფუძნებელი კრების ყურადღების შეჩერება იმაზე, თუ რა მნიშვნელობა

⁹²საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. 3, თბილისი, 2019, გვ. 14

აქვს ჩვენში სპეციალურ სწავლა-განათლებას და სატექნიკო საპროფესიო ცოდნას. თუ რომელიმე ქვეყანაში ამას მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით და უპირველეს ყოვლისა ჩვენს ქვეყანაში, რომლის კულტურული და ეკონომიური წარმატება შეუძლებელია, თუ არა ამ ტექნიკურ და საპროფესიო ცოდნის გავრცელებით. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამას საქართველოში, სადაც ჩვენი მდიდარი ბუნება ამ ტექნიკურ და საპროფესიო დარგში უსაზღვრო ასპარეზს იძლევა სამოღვაწეოდ. მაგრამ აქამდის საუბედუროდ ჩვენ დაყრდნობილი ვიყავით უცხო ძალებზე, რომლებიც, შეიძლება, ჩვენდამი საუკეთესოდ განწყობილი იყვენ, მაგრამ ფაქტიურად მაინც უცხო ელემენტს წარმოადგენენ. ეს იმიტომ რომ ჩვენ ასეთი ძალებით ღარიბნი ვართ. ამიტომ უწყებისა და დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიის ყურადღება იქითკენ არის მიმართული, რომ ეს დანაკლისი გამოსწორებულ იქნეს. ამიტომ იყო და ამ მოსაზრებით ამას წინადად უწყების თაოსნობით ამ სპეციალურ ცოდნა-განათლების მისაღებად საზღვარგარედ გაიგზავნოს ახალგაზრდობა.⁹³ ხარჯთაღრიცხვის თანახმად, რომელიც შედგენილია მთელი წლისთვის, ხაზინიდან უნდა იქნეს გაღებუ-

⁹³ საქართველოს დამფუძნებელი კრება, ტ. 5, სხდომის ოქმები, თბილისი, 2019, გვ. 176

ლი ამ სასწავლებლებისთვის 1.503.050 მან., ხოლო საბიუჯეტო წლის დამლევამდე პირველ ნოემბრიდან პირველ ივლისამდე 7 თვეში 777.087 მანეთი. აგრეთვე არის გამოთხოვილი სპეციალური თანხა ტფილისის საშუალო პოლიტექნიკური სასწავლებლისთვის 161.227 მან. ამას აქვს სპეციალური დანიშნულება, ვინაიდან ეს სასწავლებელი არის ახალი და ამ ნიადაგზე ის შარშან მოეწყო, როცა გადაკეთებულ იქნა პოლიტექნიკურ სასწავლებლად. საჭიროა ლაბორატორიების სახელოსნოების გაფართოება. ამიტომ არის გამოთხოვილი ეს თანხა.⁹⁴

აღ. ასათიანი მხარს უჭერდა აღნიშნულ კანონ-პროექტს და თავის მხრივ მიუთითებდა. „სამწუხაროდ ჩვენში ჯერ-ჯერობით სათანადო ყურადღება ვერ მივაქციეთ მას და ის კანონ-პროექტი და ის შტატები, რომელთაც დღეს ჩვენ ვღებულობთ, ოდნავადაც ვერ გააუმჯობესებს საქმეს. საზოგადოდ სკოლების რიცხვი საგრძნობლად გაფართოვდა. ეს არის დიდი ნაკლი ჩვენი განათლების პოლიტიკისა. შედარებით საპროფესიო განათლების სკოლების რიცხვი ნამეტნავად ცოტაა, სულ რამოდენიმე სკოლაა. 1916 წლის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ამ დარგის სკო-

⁹⁴საქართველოს დამფუძნებელი კრება, ტ. 5, სხდომის ოქმები, თბილისი, 2019, გვ. 177

ლებში 20 პროც. არ არის მომატებული მოსწავლეთა რიცხვი იმ დროს, როცა დაწინაურებულ ქვეყნებში ასეთი დარგის სკოლებში თავს იყრის მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი ნაწილი. უნდა გაუნოთ ანგარიში ეკონომიურ მდგომარეობას, თუ გვინდა ეკონომიური პირობები გაუმჯობესდეს. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ საპროფესიო და სატექნიკო სასწავლებლებს და ამისდამიხედვით შევქმნათ გეგმა განათლების. ამიტომ საჭიროა, რომ უწყებამ არა მართო ის სკოლები მოაწყოს, რომელიც ახლა არსებობს, არამედ მიიღოს ზომები, რომ ამ სკოლების რიცხვი გამრავლდეს. როდესაც ახალგაზრდობა გავგზავნეთ საზღვარ გარედ, იქაც არ იყო დაცული ეს პრინციპი საპროფესიო და სატექნიკო განათლებისა და ჯეროვანი რიცხვი არ დაეთმო ამ სპეციალური სწავლის შექმნის მსურველთ. ამის შესახებ სოც.-დემოკრატიულ პრესაში არის აღძრული საკითხი და მე ვფიქრობ, რომ ეს სამართლიანია. უწყებამ უნდა იზრუნოს, რომ მომავალში ახალი კადრი მოსწავლე ახალგაზრდობისა გაიგზავნოს საზღვარგარედ ამ საპროფესიო და სატექნიკო ცოდნის მისაღებად.“⁹⁵

1920 წლის 9 მარტს 96-ე სხდომაზე გამოტანილ

⁹⁵ საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. 5, თბილისი, 2019, გვ. 177

იქნა „დეკრეტი მინათმოქმედების სამინისტროს ერთდროული დახმარებისა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო კურსების ოთხსემესტრიან განმეორებითი კურსებად გადაკეთებისა და კურსდამთავრებულთათვის აგრონომის წოდების მინიჭებისა“. მომხსენებელი თ. კიკვაძე მიუთითებდა, რომ „ეს დეკრეტი შეეხება მინათმოქმედების სამინისტროს მიერ სამ-სემესტრიანი უმაღლესი სასოფლო სამეურნეო კურსების ოთხ-სემესტრიან განმეორებითი კურსებად გადაკეთებისა და კურს-დამთავრებულთათვის აგრონომიის წოდების მინიჭების საქმეს. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქვეყანა ძველი რეჟიმის დროს ჩამორჩენილი იყო მეურნეობის მხრივ, მაშინ ჩვენ არ მოგვეპოებოდა მომზადებული პირები, რომელთაც შესძლებოდათ მეურნეობისათვის ხელის შეწყობა. ეხლა, როდესაც დავაარსეთ საკუთარი სახელმწიფო, შემოვიღეთ ერობები, თავის თავად ცხადია, უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მოგვარებას. ამ საკითხს მიაქცია ყურადღება მინათმოქმედების სამინისტრომ, რომლის განკარგულებაში არის სამეურნეო სკოლები, და გასული წლის თებერვალში მეურნეობის დაჩქარებით მოსამზადებლათ დაარსა სასოფლო-სამეურნეო სამ-სემესტრიანი კურსები. მაგრამ როგორც გამოირკვა, სამ-სემესტრიანი კურსები არ არის საკმარისი იმი-

სათვის, რომ სათანადო მომზადება მისცეს მსმენელთ. ამიტომ დადგა საკითხი, სამ-სემესტრიანი კურსების, ოთხ-სემესტრიანათ გადაკეთებისა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ კურსებზე არიან საშუალო სკოლებში კურს დამთავრებულნი და აგრეთვე ის სტუდენტები, რომელთაც არ შეუძლიათ რუსეთში წასვლა და იქ სწავლის დამთავრება, ცხადი იქნება თქვენთვის, რომ ასეთ შემადგენლობის მსმენელებს შეუძლიანთ შეითვისონ პროგრამა ისე ფართოთ, როგორც ეს საზოგადოთ მიღებულია უმაღლეს სამეურნეო სკოლებში. ამ კურსებზე ასწავლიან მემინდვრეობას, მებაღეობის, საქონლის მოშენებას და საზოგადოდ უმაღლეს კულტურის შესწავლას. კურსებზე მონვეულნი არიან ლექტორები, საუკეთესო სპეციალისტები და როგორც დაამტკიცა გასულმა წელმა, დიდ წარმატებით სწარმოებდა აქ სწავლა და მსმენელების რიცხვი საკმაო არის. ამიტომ მინათმოქმედების სამინისტრო ითხოვს, რომ ეს 3 სემესტრიანი კურსები გადაკეთებული იქნეს 4 სემესტრიანად და პროგრამაც სათანადოდ გაფართოვებულიყო, რომ ის თავის შინაარსით და სიფართოთ ყოფილიყო იმ სიმაღლეზე, როგორც ეს მიღებულია ასეთ სპეციალურ სასწავლებლებში. ეს დეკრეტი განხილულ იქნა განათლების კომისიაში და იქ დასტური მიეცა, ვინაიდან ეს კომისიის აზრითაც სწორედ საჭი-

რო და მიზანშეწონილი არის. ეხლა საჭირო არის, რომ დამფუძნებელმა კრებამ მისცეს ამას თავისი დასტური. თვით ხარჯები ამ კურსებისა შარშან იყო გამოთხოვილი 10 მილიონი ფონდიდან 50 ათასი მანეთი, ხარჯები ეხლაც არის დანვრილებით წარმოდგენილი, იმიტომ, რომ ამ ხარჯებს სამინისტრო გამოითხოვს მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვით, როცა ამ უწყების ბიუჯეტი შესდგება, აი ამაში შევა ის, ამიტომ კომისია წინადადებას აძლევს დამფუძნებელ კრებას, რომ მიიღოს ეს დეკრეტი და ამით შეძლება მისცეს, რომ კურსებმა იარსებონ. ეს კურსები იქნება, თუ საჭიროება მოითხოვს, განმეორებითი, ესე იგი, თუ ჯერჯერობით ჩვენში არ გაიხსნა საშუალო ტიპის სამეურნეო სკოლა და აგრეთვე, თუ სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სააგრონომიო განყოფილებამ თავის დროზე ვერ მოაშველა საჭირო პერსონალი, ეს კურსები მაშინ კიდევ განმეორებითი იქნება, ესე იგი, როცა ერთი წყება განმეორებითი იქნება, ესე იგი როცა ერთი წყება გაათავებს, მეორე და მესამე წყება შევა შიგ, სანამ ამის საჭიროება იქნება ჩვენ ქვეყანაში. უმთავრესად ეს კურსები მოამზადებენ იმ პირთ, რომელთაც შეეძლება დაჩქარებით შეითვისონ ის, რაც საჭირო არის და ჩაუდგებიან სათავეში მეურნეობას, ამათ უნდა მიეცეთ უფლება, რომ მიიღონ ადგილები ქარხნებში, ფაბრიკებში, სა-

ხელმწიფო მამულების გამგეობათ დადგნენ, და აგრეთვე საშუალო სასწავლებლებში შტატის მასწავლებლად სპეციალურ საგანში. ამასთანავე საჭირო არის, რომ იმ პირთ, ვინც გაივლიან ექვს თვიან პრაქტიკულ მუშაობას და გარდა ამისა, ერთი წლის განმავლობაში იმსახურებენ სამეურნეო დარგში და წარადგენენ მოწმობას, რომ ამათ აქვთ გამოცდილება, უნდა მიენიჭოთ მათ აგრონომის წოდება. ესენი იქნებიან აგრონომ-მემინდვრენი, აგრონომ-ბოლოტეხნიკები, აგრონომ-მებაღენი. თქვენ მოგეხსენებათ, რომ აგრონომები განიყოფებიან 2 კატეგორიებად. ვინც უმაღლეს სასწავლებელს გაათავებენ, იმათ ეწოდებათ მეცნიერებ-აგრონომები, მხოლოდ ესენი იქნებიან უფრო პრაქტიკულ სახის აგრონომები, ამიტომ მიწათმოქმედების სამინისტრო და კომისია თხოულობს, რომ მინისტრს უფლება მიეცეს, როდესაც ისინი სათანადო კურსს გაივლიან, როდესაც ისინი 6 თვის განმავლობაში პრაქტიკას შეასრულებენ, 1 წლის განმავლობაში იმსახურებენ ამ დარგში და ამის მოწმობას წარუდგენენ, აგრონომის წოდება მიანიჭოს.⁹⁶

მიუხედავად იმისა, რომ 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგე-

⁹⁶ საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. 5, თბილისი, 2019, გვ. 451-452

ნის შემდეგ ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა, სოციალისტ-ფედერალისტები ამ სასაკითხისადმი სკეპტიკური მიდგომით გამოირჩევიან, უარყოფითად აფასებენ ქართული ენისადმი საზოგადოების თუ ხელისუფლების დამოკიდებულებას. „ძნელად თუ მოიპოვება ქვეყნად ერი, რომელსაც ისე აბუჩად ჰქონდეს აგდებული თავისი სამშობლო ენა, როგორც ქართველ ერს. ქართული ენა დამცირებული იყო ძველად, როდესაც საქართველო რუსეთის ნაწილს შეადგენდა, დამცირებულია დღეს, როცა ჩვენ თითქოს დამოუკიდებელი საქართველო შევქმენით. წინად ჩვენს ენას სხვები იგდებდნენ აბუჩად, ძალას გვატანდნენ უცხო ენისათვის გვეცა პატივი, უცხო ენა შეგვესწავლა, უცხო ენაზე გველაპარაკნა. დღეს კი ჩვენ თვითონვე ვჩაგრავთ ჩვენს ენას, ჩვენ ჩვენი ნებით ვაყენებთ მას მეორე რიგში, ხოლო სხვის ენას პატივსა ვცემთ, ვეთაყვანებით. ერთი მხრით ქართული ენა თითქოს სახელმწიფო ენად არის აღიარებული, მაგრამ სხვაა აღიარება და სხვაა მისი ცხოვრებაში გატარება.“⁹⁷

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანო ხშირად ამახვილებდა ყურადღებას განათლების მდგომარეობაზე.

⁹⁷ ქართული ენა, გაზეთი, სახალხო საქმე, 1920, № 862, გვ. 2

ერთ-ერთ სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ „ხალხშიც იფეთქა თავისთავად სწავლის სურვილმა და ეს ნამეტნავად, მოლოდინის გარეშე. ქართლში, სადაც შარშან 37 შკოლაც კი ვერ მოვახერხეთ რომ გაგვეხსნა. ასეთივე შესანიშნავი ტემპი დაეტყო ვახეთსაც. წელს დასახული 42 შკოლა და 6-იც მოძრავი ქართლს არა ყოფნის. მონაფეთა რიცხვმა ერთი სამად იმატა“.⁹⁸

დ. ონიაშვილის მოხსენებიდან თბილისის მაზრის ერობის გამგეობის მოქმედებაზე შემდეგი სახის ინფორმაციას ვიგებთ: „სასკოლო საქმე შედარებით წინანდელთან გაუმჯობესებულია. რასაკვირველია სკოლები არ ყოფნის სრულებით, შედარებით იმ დიდ მოთხოვნილებასთან, რომელიც არსებობს ხალხში და განყოფილება ყოველნაირად ცდილობს, რომ სწავლა-განათლების საქმე გაათართოვოს. რამდენიმე ადგილას მონყობილია მოზრდილთათვის საღამოს კურსები. სკოლები ეროვნულ ელფერიანობის მხრივ აჭრელებულია: არის რუსული, ბერძნული, თათრული და სომხური სკოლები. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს რომ ზოგიერთი ამ სკოლებთაგანში მასწავლებლები ვერ იქცევიან ღირსეულად და ნაცვლად კეთილი საქმისა შეაქვთ შხამი და შფოთი. იყო ისეთი შემთხვევა, როცა ერთი ეროვნული საბჭო გამოექომაგა კიდევაც

⁹⁸ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. №302, ფურც. 32

აშკარა დამნაშავე პირებს, მაგრამ დროზე მიღებული ზომებით აღდგენილ იქნა ნორმალური მდგომარეობა. რასაკვირველია სკოლას აქვს თავისი დეფექტებიც: მასწავლებლების შემადგენლობა ვერ არის შესაფერისად მომზადებული, მაგრამ არსებულ ჯამაგირზე უკეთეს კონტიგენტს ვერ მოვიზიდავთ. კარგი მასწავლებელი კარგ გასამრჯელოსაც თხოულობს. მართალია მთავრობა იძლევა მასწავლებლისათვის კრედიტებს, მაგრამ ეს მცირეა და ერობას ვი თავის მხრივ იმაზე მეტის მიცემა, რასაც აძლევს, არ შეუძლიან“.⁹⁹

სამაზრო ადმინისტრაციის ცნობებით გორის მაზრაში არის არა ნაკლებ 220 000 მცხოვრები. „სასკოლო ასაკის რიცხვი უდრის 34 000-ს. ამ რიცხვიდან სწავლობს 5 537 და სკოლის გარეშე დარჩენილა 28 463. გორის მაზრაში 111 სკოლაა. მათგან 11 /თერთმეტი/ ორკლასიანია, 98 – ერთკლასიანი და 2 /ორი/ პირველდანწყებითი უმაღლესი სასწავლებელია.

ხარტთაღრიცხვის სიაში 111 სკოლიდან შეტანილია 106 სკოლა. ხუთი სკოლა /5/: ორი/2/ ცხინვალსა /პირველდანწყებითი უმაღლესი/ და თითო: ფხვენისისა, შვლისყურისა და ბარნაბიანთ კარისა /პირველდანწყებითი დაბალი სკოლები/ სიაში არ არიან შეტანილი. ცხონვალის სკოლები ინახებიან იმ ფულით, რო-

⁹⁹ სცსა, ფ. 1830, აღწ. 1, საქ. №21, ფურც. 5

მელსაც ახდევინებენ შეგირდებს. ეს მდგომარეობა დიდ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მასწავლებლებს.

გორის მაზრის სკოლებში 164 მასწავლებელია... გორის მაზრაში ამჟამად სკოლებში სწავლობს მცხოვრებთა რიცხვის 3%-ზე ნაკლები. საყოველთაო განათლება კი მოითხოვს, რომ სკოლებში სწავლობდეს მცხოვრებთა 16%-მდის.¹⁰⁰

საარქივო-დოკუმენტურ წყაროებში საინტერესო შეფასებას ვხვდებით განათლებასთან მიმართებაში ქართველი მაჰმადიანების შესახებ. აი, ერთი მათგანი: „სწავლა-განათლების მხრივ სამაჰმადიანო საქართველო ყველაზე უფრო ჩამორჩენილი მხარეა მთელ კავკასიაში. თავის ფიზიკურ და ეკონომიურ გეოგრაფიის მიხედვით აჭარა და მესხეთი შვეიცარიას მოგვაგონებს, მაგრამ აჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მეორე ხალხი, რომელიც სწავლა-განათლების მხრივ აჭარა-მესხეთის ხალხზე უფრო უბედური იყოს. ამ ქვეყნის თითქმის ვერც ერთ ალაგს ვერ ნახავთ სწავლა-განათლების ნიშანწყალს, ვერ ნახავთ სკოლას. ხალხიდან გამოსული ინტელიგენცია არ არის; უნივერსიტეტ დამთავრებულთა რიცხვი ორია (რეჟები ნიჟარაძე და ჰასან ლორთქიფანიძე) და ისიც არის გიმ-

¹⁰⁰სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. №273, ფურც. 50

ნაზიარათავებული (სულეიმან დიასამიძე და მუსტაფა ქანსელაძე), რომლებიც ამჟამად ქართულ უნივერსიტეტში სწავლობენ. მთელს ჩვენს ინტელიგენციას ეს პირები შეადგენენ.

აჭარა-მესხეთის მხარეში ბათუმი ისეთი ცენტრია, რომლის საშუალებითაც 3-4 დღეში შეიძლება დამოკიდებულების დაკავება ყველა კულტურულ ქვეყნებთან, ამასთანავე აჭარა-მესხეთში ბევრი არის ბუნებრივი გზები (ჭოროხის, აჭარის წლის, ფოცხოვის, ქობლანის ხევები), რომლებიც ამ მხარეს ბათუმთან აკავშირებენ. და ასეთ პირობებში საკვირველიც კია, რომ ამ მხარეზე ცივილიზაციის ნასახიც არ არის. ორივე ძმები ქართველები ერთნაირ გეოგრაფიულ პირობებში ცხოვრობდნენ; მით უფრო დამალონებელია ის გარემოება, რომ მაშინ, როდესაც ქრისტიან ქართველებმა მიაღწიეს განვითარების სათანადო სიმაღლეს და მათ დამოკიდებულება აქვთ მთელ კულტურულ ქვეყანასთან, – ქართველი მუსულმანები ამ მხრივ სრულიად მოწყვეტილნი არიან და განაგრძობენ პრიმიტიულ ცხოვრებას. ასეთი მოვლენა აიხსნება იმ ისტორიული პირობებით, იმ მონობით, რომელიც აჭარა-მესხეთმა გადაიტანა თავის თავზე.“¹⁰¹

¹⁰¹ სცსა, ფ. 1830, აღნ. 1, საქ. №9, ფურც. 10-11

1920 წლის 7 ივნისის საქართველოს დამფუძნებელი კრებაზე განხილული საკითხებიდან ირკვევა, რომ ახალციხის მაზრაში საშუალო სკოლები საერთოდ არ იყო, იყო მხოლოდ უმაღლესი და პირველდანიეებითი სკოლა. უმაღლესდანიეებით სასწავლებლებში სამი განყოფილებაა: ქართული, სომხური და რუსული. უმაღლეს სასწავლებელში სწავლა სესის მიხედვით არ იყო მონყობილი და ზოგადად ამ რეგიონში სკოლების გახსნის აუცილებლობა იდგა დღის წესრიგში.¹⁰²

1919 წლის 29 დეკემბრის მონაცემებით სენაკის მაზრაში ითვლებოდა: 121 პირველდანიეებითი სკოლა, აღნიშნული სკოლებიდან 11 ახალგახსნილია. 2. მაზრის მთელი პირველდანიეებითი სკოლები შეიცავდა 473 განყოფილებას, 3. მონათეთა რიცხვი უდრიდა 11 516. 4. მასწავლებლები 281, რომლებიდან 240-ს აკმაყოფილებს ხაზინა, 41-ს ინახავდა ერობა.¹⁰³

1921 წლის 3 თებერვლის შორაპნის ერობის გამგეობის მონაცემებით: მაზრაში არსებობდა სულ 128 დაბალდანიეებითი სასწავლებელი, რომელშიც ასწავლიდა 233 მასწავლებელი.¹⁰⁴

¹⁰² სცსა, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. №970, ფურც. 1

¹⁰³ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №546, ფურც. 1

¹⁰⁴ იქვე, ფურც. 20

ოზურგეთის მაზრაში იყო 129 პირველდანწყებითი, 21 უმაღლეს დანწყებითი სასწავლებელი და 1 ვაჟთა გიმნაზია. პირველდანწყებით სასწავლებელში დასაქმებული იყო 368 მასწავლებელი, უმაღლეს დანწყებითში – 160 და ვაჟთა გიმნაზიაში – 7. აქედან: პირველდანწყებით სასწავლებელში მუშაობდა 45 საშუალო განათლება მიღებული და 323 დაბალ განათლებამიღებული მასწავლებელი. უმაღლესდანწყებით სასწავლებელში შესაბამისად იყო 10 უმაღლესდაუმთავრებელი, 115 საშუალო განათლება მიღებული და 35 დაბალ განათლება მიღებული. ვაჟთა გიმნაზიაში 1 უმაღლეს დამთავრებელი და 6 უმაღლეს დაუმთავრებელი.¹⁰⁵

1919 წლისთვის ერობამ გახსნა ტფილისის მაზრაში ათი სკოლა შემდეგ სოფლებში: აღბულაღში /კახეთი/, თხინვალში, შინდისში, ხატის – თელეთში, ახალ სოფელში, ვაშლოვანში, კუმისში, დიდი ენაგეთი და ერთობაში. სწავლა დაიწყო შემდეგ სასწავლებლებში: 1. აღბულაღში, 2. თხინვალში, 3. ხატის თელეთში, 4. პატარა თონეთში, 5. ვაშლოვანში. თბილისის მაზრაში სულ ფუნქციონირებდა 71 სკოლა.¹⁰⁶

ქუთაისის მაზრაში დანწყებითი 2 კლასიანი სკოლათა რიცხვი იყო 20 და 1 კლასიანი – 144, სულ: 164

¹⁰⁵ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №546, ფურც. 38

¹⁰⁶ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. № 616, ფურც. 1

სკოლა. მასწავლებელთა რიცხვი – 319.... დღის წესრიგში იდგა სკოლების გახსნა: მათხოჯის, 2. გურნის, 3. იანეთის, 4. ცხენტაროს, 5. სვეტ-მაღალის, 6. ჟონეთის, 7. მოჩა-ჭიხაიშის, 8. ეწრის, 9. ღანირის, 10. მთავარანგელოზის, 11. ბარის, 12. ზეკარის, 13. ბაშის, 14. ნახახულევის, 18. ენერის, 19. ჭიქ უბანია, 20. ბაგინეთის, 21. გაღმა წყალტუბოს, 22. გეგუთის, 23. ახალ სოფლის, 24. ციხისულორის, 25. გოდოგანის, 26. მეჩხერის, 27. ძმუისა-კისორეთის, 28. ლეკორეთის, 29. შუამთის, 30. ფერსათის, 31. ძვენარის, 32. ჭვაროვანის, 33. დაბაძველის, 34. წაბლარის, 35. კოკოხომარის.¹⁰⁷

1920 წლისთვის თბილისში ითვლებოდა მთავრობის თექვსმეტი გიმნაზია და რამდენიმე სხვა ტიპის საშუალო სასწავლებელი. საშუალო სასწავლებლების ასეთი რიცხვი სრულიად საკმარისი იყო თბილისისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, თბილისში მოქმედებდა კიდევ 27 კერძო საშუალო სასწავლებელი, რომელიც მთავრობის სასწავლებლების უფლებით იყვნენ აღჭურვილნი. მათ ეს უფლებები მოიპოვეს რევოლუციის პირველ ხანაში, როდესაც არავის ეცალა ხეირიანად გამოერკვია, ღირსი იყო თუ არა რომელიმე კერძო სასწავლებელი, რათა მას მინიჭებოდა მთავრობის

¹⁰⁷ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №742, ფურც. 19

სასწავლებლის სრული უფლებები.¹⁰⁸ ამტომ ხელი-სუფლება ცდილობდა არსებული პრობლემების მოგვარებას. ამ პერიოდისთვის არასასურველ სასწავლებლებად ითვლებოდა: 1. პუშკინის კერძო გიმნაზია, 2. მეორე სახალხო ოთხკლასიანი სრულუფლებიანი გიმნაზია, 3. ტერსტეპანოვის ოთხკლასიანი შერეული გიმნაზია, 4. ოთხკლასიანი სრულუფლებიანი გიმნაზია ტოფტიმენკოსი, 5. აგაპიევის სრულუფლებიანი რეალური სასწავლებელი, 6. იარუშენკოს სრულუფლებიანი შერეული გიმნაზია, 7. ტიხომნოვის და პასენკოს სრულუფლებიანი კერძო გიმნაზია, 8. გუდენკოს სრულუფლებიანი გიმნაზია, 9. ორბელიანცის გიმნაზია, 10. შამოვის გიმნაზია, 11 ქალთა გიმნაზია ალექსანდროპოლის მასწავლებელთა ჯგუფისა, 12. მაჭაიძის გიმნაზია მოზრდილთათვის 13. თევზაძის გიმნაზია, 14. რეალური სასწავლებელი სლავიანო-რუსთა საზოგადოების.¹⁰⁹

ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების უწყებაში ირიცხებოდა 1917 წლამდე აფხაზეთში და სამურზაყანოში მყოფი შვიდი სამრევლო სკოლა: ოქუმიხა,

¹⁰⁸ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. № 616, ფურც. 46

¹⁰⁹ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №616, ფურც. 49-50

საბერიოში, ფოქვეშისა, მოქვისა, გალისა, დიხაზურგისა, აჩადანდარისა და ლიხნისა.¹¹⁰

1919 წლის 26 მარტის თავრარის მრევლის მღვდლის გრიგოლ კორძაიას თხოვნიდან სამინისტროსადმი, შვილის განათლების საფასურის გადახდაში დახმარებისათვის ჩანს სვანეთში არსებული მდგომარეობა: „მოგეხსენებათ, რომ სვანეთი სიბნელით გარემოცულია, მოცილებულია კულტურულ მხარეებს და საჭიროებს ნასწავლ ინტელიგენტურ ძალებს, რომ ხალხი არანორმალურ გზაზე დამდგარი შედეგისათვის მაინც გამოსადეგი იყოს ჩვენი ძვირფასი თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიურად და სხვადასხვანაირ სასურველის მხრით. თუკი ვინმე მოიძებნება სვანეთში ცოტათი თუ ბევრად პროგრესის ბადეში მოდებული, ისევდაისევ ჩვენი ღარიბი სამღვდლოების შვილების. უკანასკნელ ლუკმას ვიღებდით პირიდან, ვზრდიდით შვილებს, რომ ჩვენსავით და ჩვენი თანამოძმეების მსგავსად სიბნელეში არ დარჩენილიყვნენ.“¹¹¹

1919 წლის 11 თებრევლის მთავრობის დადგენილების თანახმად საუწყებათაშორისო კომისიის განკარგულებაში გაღებულ იქმნა სახელმწიფო ხაზინიდან

¹¹⁰ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №586, ფურც. 18

¹¹¹ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №599, ფურც. 6

150 ათასი მანეთი ღარიბ მოწაფეთათვის სწავლის ფულის შესატანად... სწავლა-განათლების მიღებაში მწეობრივი და ნივთიერი დახმარების აღმოჩენა განათკლბის სამინისტროს სთხოვეს სვანებმა, ასეთი მთხოვნელები იყვნენ აგრეთვე აფხაზები, ინგილოები და სხვა განაპირა კუთხეთა მცხოვრებლებს შორისაც.¹¹²

1919 წლის 16 სექტემბერს მთავრობამ დაადგინა განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადაეცა ორასი ათასი მანეთი სტიპენდიის დასანიშნად იმ ახალგაზრდებისათვის, რომელნიც აფხაზეთის ან საქართველოს რომელიმე სხვა განაპირა კუთხის ძირითად მცხოვრებლებად ითვლებოდნენ. საშუალება ჰქონდათ არა აქვთ საკუთარი ხარჯით მიეღოთ სწავლა-განათლება. ასეთი ახალგაზრდებისათვის კი სწავლა-განათლების მისაღებად დახმარების აღმოჩენა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა: აფხაზეთის და საქართველოს სხვა განაპირა კუთხის მცხოვრებთა შორის სწავლა-განათლება ცენტრთან შედარებით დაბალ დონეზე იყო, რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობას ნაკლები სულიერი კავშირი გააჩნდა დანარჩენ საქართველოსთან. ხელისუფლების შეხედულებით: „ერთ კულტურაზე აღზრდილი ხალხი ყოველთვის ცენტრისკენ იქნება მოქცეული და ჩვენს სახელმწიფო-

¹¹² სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №599, ფურც. 14

ებრივ ინტერესებს თავის საარსებო ინტერესებს აღარ დაუპირდაპირებს, პირიქით ჩვენსას შეუთანხმებს და კოტაქტით იმოქმედებს საერთო საქმისათვის. ამ გზით მაშინ შესაძლებელი იქნება კვალად გაცხოველდეს კულტურული ურთიერთობა ცენტრსა და პერიფერიათა აფხაზეთი, აჭარა და სხვა შორის, რომელიც წარსული საუკუნის განმავლობაში ბოლო ხანამდე თანდათანობით სუსტდებოდა, ხელმეორედ დამყარდეს, გაიღვიძოს ჩვენ მოძმეთა ფართო წრეებში ძველი კეთილმეზობლურ ცხოვრების საჭიროება და აუცილებლობა“.¹¹³

1920 წლის სასწავლო წლიდან გაიხსნა უმაღლესი დანყოფინითი სკოლა შემდეგ ადგილებში: ველისციხეში, გურჯაანში, კარდენახში და ანაგაში, სულ ახალი ოთხი სკოლა. ამავე სასწავლო წლიდან ფუნქციონირებას იწყებდა პირველდანყოფინითი სკოლა შემდეგ ადგილებში: 1. ქართველებისათვის: ნაილური, ქვ. ყანდაურა, შიბლიანი, ფხოველი, ქალალო, მელაანი, ნალაუბანი, ცლუნკაანი, ჭაბუკიანი, გიორგეთი, ყარსუბანი, გურგენიანი, თელა /თოთხმეტი სკოლა/. 2. ოსებისათვის: თონა, ბოლქვა, /ორი სკოლა/. 3. თათრებისათვის: კართუბანი, კაბალი, მულანლო, ლამბალო, წინმატიანი, /ოთხი სკოლა/.

¹¹³ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №599, ფურც. 19

მომავალი სამოსწავლო წლიდან ემატებოდა თითო მასწავლებელი პირველდანიეებით სკოლებს შემდეგ სოფლებში: ქართული სკოლები: ვარდისუბანი, შრომა, ათენი, ლელიანი, დედოფლისწყარო, ქვაჩხაანი, ბოდბისხევი, ჯუგაანი, ზემო მაჩხანის, აქობო, ვაქირი, ანაგა, ბაკურციხე, კოლაგი, ვეჯინი, გურჯაანი, ჩუმლაყი, ახაშენი, ჭიმითი, მალარო / ოსი მასწავლებელი/. რუსულ სკოლებში: გრათოვკა, ახალი ალექსანდროვკა, ახალი დიმიტრიევკა /სამი მასწავლებელი/.

1920 წლის ხარჯთაღრიცხვით ყრილობის მიერ გაღებული თანხა 150 000 მანეთი დახმარება მოსწავლე ახალგაზრდობის განაწილდეს შემდეგი წესით: თითოეულს ახალგაზრდას მიეცეს თვიურად 4000 მანეთი. ცხრა სამოსწავლო თვის განმავლობაში თითოს 36 000 მანეთი წელიწადში.¹¹⁴

სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის დანიშნულებას შეადგენს: ა) განხილვა განათლების მინისტრის დავალებით: 1. პედაგოგიური კითხვებისა და პროექტებისა, 2. სასწავლო სახელმძღვანელოებისა და პროგრამებისა, 3. წიგნებისა, თხზულებებისა და პერიოდულ გამოცემებისა, რომელთა გავრცელებაც განზრახულია სასწავლებლებში, 4. წინასწარ მოსაზრებებისა სამეცნიერო

¹¹⁴ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №530, ფურც. 6

ექსპედიციათა შეხაებ, სამეცნიერო მიზნით ამა თუ იმ პირის გაგზავნის შესახებ და საზოგადოდ მეცნიერების სხვადასხვა დარგში მუსაობის შესახებ. 5. განხილვა სამეცნიერო საზოგადოებათა დაარსების პროექტებისა, 6) ანგარიშებისა პროფესორთა და სხვა პირთა, რომელთაც საკითხის დამუშავებს და 7) საზოგადოდ იმ საქმეების და კითხვების განხილვა, რომელთაც მინისტრი წარმოუგზავნის კომიტეტს აზრის გამოსათქმელად: ბ) – განხილვა აგრეთვე ანალოგიურ კითხვებისა, რომლებიც აღძრულ იქნებიან თვით კომიტეტის მიერ... 5. სასწავლო კომიტეტი განიყოფებს ორ ნაწილად: ძირითად და სპეციალურ განათლების/ტექნიკური და პროფესიონალური/ ნაწილად“.¹¹⁵

განახლებულ სკოლებში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა, მათ შორის ერთი რუსული, მეორე არჩევითი: ფრანგული, გერმანული, ან ინგლისური, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოგიკა, მათემატიკა, მათემატიკური გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება და ჰიგიენა, ფიზიკური ვარჯი-

¹¹⁵ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №530. ფურც. 17

ში, გალობა და მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა.¹¹⁶

1919 წლის 22 ივლისის მთავრობის დადგენილების თანახმად: „1. პირველდანიწყებითი სკოლა 7-8 წლიანია და ევალეზა განათლების სამინისტროს სათანადო გეგმის გამომუშავება საყოველთაო განათლების შემოღებისა. 2. საშუალო სკოლა 4 წლიანია, უკანასკნელ კლასებში სხვადასხვა დარგებად იყოფა. მომავალ სასწავლო წელში: 1. გაუქმებულ იქმნას საერთო განათლების საშუალო სკოლებთან ასრებული მოსამზადებელი კლასები. 2. 1919/20 და 1920/21 სასწავლო წლების განმავლობაში არსებული საზოგადო განათლების საშუალო სკოლა და აგრეთვე საკომერციო სკოლების პირველი ოთხი კლასი გადაკეთებულ იქმნას უმაღლეს დანიყებით სკოლებათ. 3. ლათინური ენა, როგორც სავალდებულო საგანი გამორიცხულ იქმნას საშუალო სკოლის სასწავლო გეგმიდან“.¹¹⁷

ამას გარდა, დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დებულებები საყოველთაო სავალდებულო, უფასო სწავლების შემოღების შესახებ. „1. საყოველთაო სწავლება საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეთა ორთავე სქესის შვილებისათვის უნდა იყოს სავალდებ-

¹¹⁶ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №518, ფურც. 9

¹¹⁷ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №518, ფურც. 12

ბულო და უფასო. შენიშვნა: იმ მოქალაქეთა შვილების მინიმალური ცოდნის შესამოწმებლად, რომელნიც არ ისურვებენ სახელმწიფო სკოლაში სწავლის მიღებას, რესპუბლიკა აწესებს განსაკუთრებულ კონტროლს. 2. საყოველთაო სწავლების ორგანოდ ცნობილია პირველდანწყებითი სახალხო სკოლა ოთხნობიანი კურსით. ამ საფეხურზე სახალხო სკოლა იძლევა ზოგადი ხასიათის განათლებას. 3. სასკოლო ასაკის ბავშვად უნდა ირიცხებოდეს 7-11 წლის ყმანვილი. შენიშვნა: საყოველთაო სწავლების შემოდების პირველ წელს შესაძლებელია მიღებული იქმნან პირველ განყოფილებაში 8, 9 და 19 წლის ბავშვებიც. 4. საყოველთაო სწავლების განხორციელება სწარმოებს სასკოლო ქსელის მიხედვით, რომელიც უნდა დასრულდეს ოთხი წლის განმავლობაში. 5. სასკოლო ქსელის შედგენა მომავალი და შემდეგი წლებისათვის ევალებათ ადგილობრივ ორგანოებს – ერობათა და ქალაქების თვითმმართველობებს, რომელნიც დღეიდგან ერთი წლის განმავლობაში ვალდებული არიან წარუდგინონ იგი სახალხო განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად. 6. საყოველთაო სწავლების შემოდების საერთო ხელმძღვანელობას უწევს სახალხო განათლების სამინისტრო, ხოლო მას პრაქტიკულად ანხორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობანი: ერობა და ქალა-

ქები. 7. ერობა და ქალაქები, რომელნიც შეუდგებიან საყოველთაო სწავლების განხორციელებას სამინისტროს მიერ მოწონებულის სასკოლო ქსელის მიხედვით, ღებულობენ დახმარებას მხოლოდ მასწავლებელთა ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად.“¹¹⁸

„დღესდღეობით განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია სახლხო სკოლები დასავლეთ საქართველოში, სადაც სახალხო მასწავლებლობა დაკისრებული აქვთ უმეტეს შემთხვევაში არა საშუალო სპეციალურ ცოდნით აღჭურვილ პირთ. ეს კი ხდება იმიტომ, რომ დასავლეთ საქართველოში არსებულის ერთადერთ სპეციალურს სასავლებელს – ხონის საოსტატო სემინარიას ვერ შეეძლო მიეცა ამ მხარისათვის საკმაო რიცხვი მასწავლებლებისა, ამიტომაც დღეს ხონის საოსტატო სემინარიასთან დაარსება ორი პარალელური კლასისა – მოსამზადებელის და პირველისა, – მეტად დროიანად აღძრული კითხვაა და საჭიროა იგი სახალხო განათლების ინტერესების მიხედვით გადაწყდეს, ე.ი. დაუყონებლივ გაიხნას იქ ორი პარალელი... თანხად პარალელების ამ წლის ბოლომდე არსებობისთვის არის საჭირო, 18 625 მანეთი. აქედან: მასწავლებელთა გასამრჯელოდ – 5 325 მანეთი. სასწავლო ნივთების, მასალისა და ხელსაწყო იარაღისათვის 500 მანეთი. 40

¹¹⁸ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №4, ფურც. 17

მონაფის სტიპენდია – 6000 მანეთი. სამეურნეო-საოჯახო ხარჯებისათვის – მოსამსახურეთა ქირა, შენობის გათბობა-განათება და შეკეთება, ჰარტები, დაფები, მაგიდები და სხვა სასწავლო ნივთები – 5600 მანეთი და მასწავლებლებს ხუთი წლის დამატებად 1200 მანეთი და სულ 18 625 მანეთი“.¹¹⁹

1919 წლის 3 მაისის თარიღით, 3220 #-ით, სამინისტრომ წარადგინა მთავრობაში მოხსენება „სამღვარგარეთ სპეციალურ სწავლა-განათლების მისაღებად გასაგზავნ ახალგაზრდათათვის სასტიპენდიო თანხად ერთი მილიონი მანეთის გაღების შესახებ; ამ პროექტით შესაძლებელია უახლეს ხანაში სამღვარგარეთ გაიგზავნოს 83 ახალგაზრდა მაინც, თუ თვითუფლებს მათგანს წლიურად დაენიშნება 12000 მანეთი. მათი გაგზავნით დღევანდელი სიმცირე სპეციალისტებისა /ფინანსისტების, აგრონომების, ინჟინრების და სხვა/ ცოტაოდენ შესუსტდება და შესაძლებელი შეიქმნება ბევრი საპასუხისმგებლო საქმე ახლო მომავალში ისეთ სპეციალისტების ხელში აღარ დავტოვოთ, რომელნიც ეროვნულად ჩვენთან არ არიან დაკავშირებულნი, ჩვენს ეკონომიურ მოღონიერებას, რაც ტექნიკის განვითარების შედეგია, თავიანთ ინტერესების გარეშედ თვლიან და სახელმწიფოებრივი აღმშენებ-

¹¹⁹ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №455, ფურც. 39

ლობით მუშაობაში ან ხელს გვიცარავენ ან და ნაკლები სინდისიერებით ეკიდებიან ჩვენი ეკონომიკის მკვიდრ ნიადაგზე დამყარების საქმეს.“¹²⁰

1919 წლის 8 ივლისს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ საზღვარგარეთ გაიგზავნა 75 სტიპენდიანტი, რომელნიც შემდეგნაირად იყვნენ დანაწილებულნი ქვეყნების მიხედვით: 40 ქალაქ ბერლინში და გერმანიის დანარჩენ ქალაქებში, 11 – ე. პარიზში, 12 – საფრანგეთის ქალაქებში: გრენობლში და მონპელიში, 1 – ბელგიაში, 1 – ამერიკაში, 5 – ინგლისში და 5 – იტალიაში.¹²¹

1919 წელს ჰაპის ლეგატის ბ. დელფიუშეს მომართვაში განსაკუთრებით საყურადღებოა რომის ტახტის სურვილი საპროფესიო და სატექნიკო ცოდნის გავრცელების შესახებ ჩვენში. ამ მხრივ მართლაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო იმ ხალხს, რომელიც მეტად ახლო დგას ევროპის ტექნიკური კულტურის პროგრესთან და ამავდროს ცნობილია თავისი ინიციატივით. „მაშასადამე, სახალხო განათლების მხრივ ამ დაწყებულებას არავითარი დაბრკოლება არ უნდა გადაეღობოს, მხოლოდ აუცილებლად საჭიროა აქვე აღინიშნოს ის საფუძვლები, რომელზედაც სასურვე-

¹²⁰ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №54, ფურც 11

¹²¹ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №35, ფურც. 11

ლია და შესაძლებელი აიგოს რომის ტახტის მისიის სასკოლო მოღვაწეობა ჩვენში. 1. სკოლის გახსნა უნდა სწარმოებდეს, ცხადია რესპუბლიკის სკოლებისათვის სავალდებულო არსებული საერთო წესით. 2. ამ სკოლების უფლებათთვის აუცილებელი უნდა იქმნეს იმ მოთხოვნილებათა აღსრულება, რომელთაც რესპუბლიკის ყველა კერძო სასწავლებელი ექვემდებარება“.¹²²

განათლების სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელის მიმართვიდან განათების მინისტრისადმი 1920 წლის 10 მარტს აღნიშნულია: „კონსტანტინოპოლში ჩვენი მისიის თავმჯდომარე გვეკითხება: 1. არის თუ არა განათლების სამინისტროსგან მიღებული ზომები, რომ სასწავლო გეგმაში შეტანილი იყოს როგორც სავალდებულო საგანი კავკასიის ისტორის, კავკასიის, სპარსეთის და ოსმალეთის პოლიტიკური და ეკონომიური გეოგრაფია და ამ ჩვენი მემობლების ენების შესწავლა. აღნიშნულის პასუხად მითითებულია: რომ რესპუბლიკის სკოლებში საქართველოს ერთა და ქვეყნების ისტორიას და აგრეთვე პოლიტიკურ-ეკონომიკური გეოგრაფია ამ ჟამად ისწავლება იმდენად, რამდენადაც ეს შეეხება საქართვე-

¹²² სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. № 84, ფურც. 22

ლოს წარსულს და მისი მიწა-წყლის აწინდელს ვითარებას.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან უკვე დაიწყო სისტემატიური მუშაობა განათლების სამინისტროსთან დაარსებულმა სასკოლო რეფორმის კომიტეტმა, რომელიც არკვევს სკოლის ტიპებს, საფეხურებს და სასწავლო გეგმას, სხვა საკითხთა შორის მუშაობის წესრიგში დასმულია საკითხი აღმოსავლეთ ხალხთა ენების სწავლებისაც საქართველოს სკოლებში. რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობათა სკოლათ /მუსულმანურს, სომხურს და სხვ/ თვითეულ მათგანში სავალდებულოა სათანადო ეროვნული საგნები /ენა, ისტორია და გეოგრაფია/.¹²³

1918 წელს დასავლეთ საქართველოს საშუალო სკოლათა მასწავლებლების კავშირის გამგეობამ გახსნა ქალაქ ქუთაისში მიმდინარე წლის 17 ივნისიდან საზაფხულო კურსები საშუალო და დაბალ სკოლების მასწავლებლების მოსამზადებლად – ქართულ ენაში, სიტყვიერებაში, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში. კურსები განზრახულია 150 მსმენელისათვის, აქედან 121 – უკვე ქუთაისში იმყოფებოდა და ლექციებს ისმენდა. კურსების შენახვა ორი თვის განმავლო-

¹²³ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. № 84, ფურც. 25-26

ბაში ჯდება ოცდაათი ათას ორასი მანეთი (30 200 მანეთი).¹²⁴

1919 წლის 2 ივლისის დადგენილებით: 1. 1919-1920 სასწავლო წელს ყველა საზოგადო განათლების საშუალო სკოლის პირველი სამი კლასის კურსი გათანასწორებული უნდა ყოფილიყო უმაღლესი დაწყებითი სკოლის პირველი სამი კლასის პროგრამასთან. 2. 1919-1921 სასწავლო წელს საზოგადო განათლების საშუალო სკოლის მეოთხე კლასის კურსიც უნდა გათანასწორებულიყო უმაღლეს დაწყებითი სკოლის მეოთხე კლასის პროგრამას. 3. უმაღლესი დაწყებითი სკოლის პროგრამის შეფარდება თითოეულ საშუალო სკოლის მოწაფეთა ცოდნასთან და სათანადო პედაგოგიური ზომების მიღება ამ პროგრამის შესასრულებლად, თანახმად არსებული სასკოლო წესდებებისა, ვვალეობდა პედაგოგიურ საბჭოს.¹²⁵

თუ კლასი პირველად იწყებდა ახალი უცხო ენის შესწავლას, სასწავლებლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობდა შემდეგი დებულებით: „1. თითოეულ კლასში ან კლასის განყოფილებაში თუ კლასი ორ ან მრავალ კომპლექტიანია გარდა რუსული ენის სავალდებულოდ, ისწავლება მხოლოდ ერთი ენა ან ფრანგუ-

¹²⁴ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №455, ფურც. 1

¹²⁵ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №506, ფურც. 78

ლი, ან გერმანული. 2. საკითხს იმის შესახებ რომელი ენა უნდა ისწავლებოდეს სავალდებულოდ ფრანგული თუ გერმანული, საბოლოოდ წყვეტს პედაგოგიური საბჭო. 3. სავალდებულო უცხო ენის არჩევვის დროს პედაგოგიური საბჭო ღებულობს მხედველობაში: ა) მონათფეთა მშობლების სურვილს, თუ მშობლების უმრავლესობამ მოისურვა, მაგალითად, რომ მათმა ბავშვებმა ფრანგული ენა ისწავლონ, იმას პედაგოგიურმა საბჭომ უნდა გაუწიოს ანგარიში სავალდებულო ენის არჩევის დროს. ბ) ადგილობრივ მასწავლებელთა ძალებს. 4. შემდეგ კლასებში მოსწავლენი განაგრძობენ ერთხელ არჩეული ენის სწავლას“.¹²⁶

სასწავლო კომიტეტმა მუშაობა დაიწყო 1920 წლის 15 თებერვლიდან. 13 ივნისამდის მას ჰქონდა 18 მორიგი სხდომა, რომელზედაც გაირჩა სხვადასხვა სახელმძღვანელო და განხილულ იქნა სხვადასხვა თეორეტიული საკითხი, განსაკუთრებით ტერმინოლოგიისა და სალიტერატურო ქართულის შემუშავების შესახებ. სასწავლო კომიტეტთან არსებობს 10 კომისია სპეციალობის მიხედვით: 1. საზოგადო ისტორიის, 2. საქართველოს ისტორიის, 3. ქართულ ენისა და ლიტერატურის, 4. უცხო ენებისა და ლიტერატურის, 5. ფიზიკისა და ქიმიის, 6. გეოგრაფიის, 7. ბიოლოგიურ დარ-

¹²⁶ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №506, ფურც. 82

გებისა და ჰიგიენის, 8. ფილოსოფიური დარგებისა და 10. სპეციალური და ტექნიკური დარგებისა. ამას გარდა კომიტეტთან არსებობს: 1. სატერმინოლოგიო კომისია, რომელსაც გადაეცა კომიტეტის წევრების მიერ ამოწერილი არსებული ქართული სახელმძღვანელოთაგან ტერმინები დაახლოებით 40000; 2. ქართული ენის სალიტერატურო ენის ყრილობისათვის საორგანიზაციო კომისია, რომელმაც დაამზადა რამდენიმე სპეციალური მოხსენება ყრილობაზე განსახილველ საკითხების შესახებ. 3. ქართულ ბუნებასთან შეფარდებული წერის და ხატვის წესების დამმუშავებელი კომისია.“¹²⁷

1919 წელს დღის წესრიგში დადგა მოძრავი უნივერსიტეტების შექმნის საკითხი, რათა მომხდარიყო განათლების გავრცელება მთელი ქვეყნის მასშტაბით. „საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის სახალხო განათლების განყოფილებამ განიძრახა რესპუბლიკის ყველა ქალაქში მოაწყოს შეძლებისდაგვარად სახალხო ლექციების კითხვა წინდანინვე შემუშავებული პროგრამით. ამ განყოფილებას ფიქრათ ჰქონდა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში დაეარსებინა მუდმივი სახალხო უნივერსიტეტები, მაგრამ რადგან არამც თუ საქართველოს ისეთ პატარა ქალაქებში,

¹²⁷სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №506, ფურც. 97

როგორც არის ყვირილა, ხონი და სენაკი, არამედ უფრო დიდ ქალაქებშიაც კი, როგორც არის თბილისი და ქუთაისი ძნელია მუდმივი უნივერსიტეტისათვის საჭირო ლექტორთა გამოძებნა ადგილობრივ, ამიტომ ქალაქთა კავშირის განყოფილება ფიქრობს შეადგინოს ლექტორთა წრე, რომელიც იკისრებს ლექციების მოწყობას ყველა ჩვენი ქვეყნის ქალაქებში. ასეთი ლექციების მოწყობას ექნება მოძრავი ხასიათი და დიდ დახმარებას გაუნევს დემოკრატიის გათვითცნობიერების საქმეს. მოძრავი უნივერსიტეტის მოსაწყობად საჭიროა გვყავდეს შესაფერაბ მომზადებული ლექტორები სხვადასხვა დარგის ლექციების წასაკითხავათ.“¹²⁸

მეორე რაიონული კოლექტივის 1920 წლის მუშაობის ანგარიში: „... ფაბრიკა-ქარხნებში და უბნებში იმართებოდა პარტიული და მასიური კრებები, კეთდებოდა მოხსენებები, იკითხებოდა ლექციები და ირკვეოდა ეს თუ ის საჭირობოროტო საკითხები. კულტურული მუშაობის მოწესრიგების კოლექტივმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, რომ უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო ეს მუშაობა ჯერ კიდევ გასულ (1919 წელს). კოლექტივმა გააფართოვა მეორე კოლექტივების თვითმოქმედება. მეორე კოლექტივების ხელმძღვანელობით არსებობს სახლხო უნივერსიტეტის განყოფი-

¹²⁸ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №623, ფურც. 135

ლება, სამკითხველო, იმართება წარმოდგენები და საზოგადოდ ისინი სათავეში უდგანან ყოველგვარ კულტურულ მუშაობას თავიანთ უბნებში. მაგალითად, არსენალშიც, ტრამვაიში, ადგილობრივ თეატრებში იმართება წარმოდგენები და იკითხება ლექციები, ეროთობის უბანში სახალხო გვარდიის შტაბთან ერთად კოლექტივი ხელმძღვანელობს ყველა კულტურულ დაწესებულებას“.¹²⁹

1920 წელს ასევე დადგა შესაბამისი სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე შექმნის საკითხი და შესაბამისი ტერმინოლოგიის დამუშავება. ივანე ჯავახიშვილმა განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა: „საერთოდ ასეთი ერის ცხოვრებაში, როგორც ვართ ჩვენ, სახელმძღვანელოს აქვს ორი ხანა, ორი გზა. უცხო სახელმძღვანელოს გადმოკეთებისა და გზა ეროვნულ-ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნისა. პირველი ხანა ჩვენ თითქმის უკვე განვლეთ: მოგვეპოვება მრავალი სახელმძღვანელო, რომელიც გადმოთარგმნილია-გადმოკეთებულია ჩვენი ცხოვრების საჭიროების მიხედვით, ახლა უნდა შეუდგეთ მეორე გზას ორიგინალ-

¹²⁹ სცსა, ფ. 1826, აღწ. 1, საქ. № 5, ფურც. 25

ლურ ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული სახელ-
მძღვანელოს შექმნას.“¹³⁰

რაც შეეხება მეორე საკითხს, ამასთან დაკავშირე-
ბით კი გამოთქვა შემდეგი აზრი: „ტერმინოლოგიის გა-
მომუშავებაში არის ორი პერიოდი: სტიქიური და
ეროვნულ-ნაციონალური. სტიქიურ პერიოდში ახალ
ცნებათა გამოსახატავად ერის ცხოვრებაში იჭრებიან
უცხო სიტყვები და არის ბრძოლა მოქალაქობრივ უფ-
ლებათა მოპოვებისათვის. ეს გზა ჩვენ უკვე განვვლეთ.
მოგვეპოვება ამის მასალები. ჩვენს ცხოვრებაში იწყე-
ბა მეორე ხასიათის მუშაობაც – ყველა ცნებათა გამო-
სახატავად სიტყვების ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცე-
ნება-შემუშავება, ასეთი ნამუშევარიც გვაქვს
ხელთ...“¹³¹

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 1920 წლის
29 თებერვლის სხდომაზე კვლავ გაგრძელდა მსჯე-
ლობა. შალამბერიძის აზრით: „ტერმინოლოგია საჭი-
როა არა ვიწრო წრისათვის, არამედ ხალხისათვის
დემოკრატიისათვის, ტერმინოლოგია საჭიროა უკანას-
კენლისათვის იმ ბრძოლისათვის, რომელსაც იგი ეწე-
ვა არსებობისათვის, ამ ბრძოლისათვის ჩვენ ფიზიკუ-
რი ძალა არ შეგვწევს, რადგან მცირერიცხოვანი ერი

¹³⁰ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №875, ფურც. 24

¹³¹ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №875, ფურც. 25

ვართ. ამისათვის საჭიროა მეორე გზა – გზა კულტურის მოვნახვით ხალხის ეკონომიურ ბედნიერებისათვის, კულტურას კი შეითვისებს ხალხი მაშინ, როდესაც ტერმინოლოგია მისთვის სავსებით გასაგები ე. ი. ეროვნული იქნება... ასეთი მიმართულება იყო და არის საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისშიც კი. ისინი ცდილობენ გააეროვნონ ენა ეროვნული ტერმინების შემოღებით. განსაკუთრებით გერმანელები, რომლებიც ლათინურ ენასთან დაშორებას ცდილობენ. რაც შეეხება იმ აზრს თუ ეროვნულ პრინციპს მივიღებთ სვანებს, მეგრელებს და აფხაზებს სხვადასხვა ტერმინოლოგია უნდა შევუმუშავოთ, ეს ასე არ არის. არის ქართველი ერი და მისი სახელმწიფო და ვინც აქ ცხოვრობს მოვალეა შეითვისოს საერთო ტერმინოლოგია.“¹³² ვ. კაკაბაძემ კი აღნიშნა: „ქართული სამეცნიერო ტერმინი უნდა იყოს თუ არა ეროვნული, ასეთი საკითხი არ უნდა არსებობდეს. თუ არსებობს ქართველი ერი, ქართული ენა და სახელმწიფოებრიობა, რასაკვირველია ტერმინოლოგიაც ქართული უნდა იყოს. ყოველ ერს თავისი საკუთარი ენა აქვს და სანამ ცოცხალი იქნება – ექნება კიდევ, ვინაიდან არავითარი საერთაშორისო ენა არ შექმნილა და არც შეიქმნება.“¹³³

¹³² სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №875, ფურც. 30

¹³³ იქვე, ფურც. 30-31

აკაკი შანიძე: „მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიცნობთ ქართულ ენას, ვამჩნევთ, რომ მას აკლია მრავალი სიტყვები იმ ენებიდან, რომელთანაც მას ჰქონია ცნობა და დამოკიდებულება. სპარსული, არაბული, ბერძნული, რუსული და სხვა ენებიდან. ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელ ქართულ ენაში უმეტესი ნაწილი ტერმინებისა უცხოა, მაგრამ მიუხედავად ამისა ენა დარჩა მაინც ქართული, მასალა იყო სხვა, შენება კი იყო ჩვენი ეროვნული და ამაში გამოიხატება ჩვენებურობა. ჩვენ უნდა ავიღოთ მასალა ქართული ენიდანაც და აგრეთვე უცხო ენიდანაც, ხოლო აუცილებელივ უნდა ტერმინს მივცეთ ქართული აგებულება.“¹³⁴

აგრეთვე დაისვა საკითხი სახელმძღვანელოების შეფასების და პრემიის მინიჭების შესახებ. შეიქმნა სპეციალური კომისიები, ვისაც უნდა ეს საკითხები განეხილა: 1. საზოგადო ისტორია – წევრები: ალ. წერეთელი, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ი. ლულაძე, ლ. ნათაძე, გ. ნათაძე და პ. ჟორჯოლიანი. 2. საქართველოს ისტორია – წევრები: ვ. კეკელიძე, ივ. ჭავჭავაძე, ე. თაყაიშვილი და სარგის კაკაბაძე. 3. ქართული ენა და ლიტერატურა – წევრები: გ. ჭუმბურიძე, თ. კიკვაძე, აკ. შა-

¹³⁴ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №875, ფურც. 32

ნიძე, ვ. ბერიძე, ს. გორგაძე, გ. ახვლედიანი, მ. ზანდუკელი და ი. შარაშიძე. 4. უცხო ენები და ლიტერატურა – წევრები: ილ. ყიფშიძე, აკ. შანიძე, ნ. ქუთათელაძე, ბ. ახვლედიანი და მ. ზანდუკელი. 5. მათემატიკა – წევრები: მ. კონიაშვილი, ე. ჭოლოშვილი, მ. თაქთაქიშვილი, ან. რაზმაძე, ვ. ნიკოლაძე. 6. ფიზიკა და ქიმია – წევრები: მ. კონიაშვილი. ა. დიდებულისძე, ი. მოსეშვილი, ნ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, მ. შალამბერიძე, ალ. ჭავახიშვილი, მ. ქარუმიძე და მ. ნიკოლაძე. 7. გეოგრაფია – წევრები: ნ. ყიფიანი, გ. ჭავჭავაძე, ნ. ჩიგოგიძე, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, მ. კონიაშვილი, მ. შალამბერიძე და ალ. ჭავახიშვილი. 8. ბიოლოგიური დარგები და ჰიგიენა – წევრები: ზ. ყანჩაველი, დ. გედევანიშვილი, გ. ჭავჭავაძე, ნ. ჩიგოგიძე, ნ. ყიფიანი, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, ვ. ღამბაშიძე, ა. ალადაშვილი და ნათიშვილი. 9. ფილოსოფიური დარგები – წევრები: შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ნ. ქუთათელაძე, დანელია, იმნაიშვილი. 10. სპეციალური და ტექნიკური დარგები – წევრები: ილ. ყიფშიძე, მ. თაქთაქიშვილი, ვ. კაკაბაძე და ა. დიდებულისძე.¹³⁵

საშუალო სკოლების რეორგანიზაციის დებულება:

4. განახლებულ საშუალო სკოლებში ისწავლება შემ-

¹³⁵ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №875, ფურც. 25-26

დეგი საგნები: ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა, მათ შორის ერთი – რუსული, მეორე არჩევით: ან ფრანგული, ან გერმანული, ან ინგლისური, ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოღიკა, მათემატიკა, მათემატიკური გეოგრაფია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება და ჰიგიენა, ფიზიკური ვარჯიშობა, გალობა და მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა. 5. ლათინური ენა, როგორც სავალდებულო საგანი გამორიცხული იქმნას საშუალო სკოლის სასწავლო გეგმიდან. შენიშვნა: ლათინური ენა ისწავლებოდეს, როგორც არა სავალდებულო საგანი საშუალო სკოლის არა უადრეს მე-2 კლასისა თუ მსურველთა რიცხვი არის არა ნაკლები ხუთისა.¹³⁶

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მცხოვრები გერმანელი კოლონისტები განათლების სფეროში ჩარევასაც ცდილობდნენ. კერძოდ, ქართველ ახალგაზრდებს გერმანიის უნივერსიტეტებში სასწავლად სტიპენდიებს სთავაზობდნენ; თბილისში გერმანული გიმნაზია გახსნეს; განაახლეს გერმანულენოვანი, გამოკვეთილად ანტისოციალისტური მიმართულების გაზეთის, Kauka-sische Post-ის გამოცემა. გაზეთის გავლე-

¹³⁶ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №508, ფურც. 1

ნა, რასაკვირველია, შეზღუდული იყო როგორც გერმანულად კითხვის შემძლე, ისე ანტისიციალისტური განწყობის მოქალაქეთა სიმცირის გამო.¹³⁷

ისიღორე რამიშვილი ბათუმში არსებული საკვირაო სკოლის შესახებ შემდეგ მონაცემებს გვთავაზობს: „კითხვა და წაკითხულის გამო ახსნა-განმარტება ხდებოდა ქართულ ენაზე ორი მოსაზრებით: პირველი მოსაზრება ის იყო, რომ წაკითხულის და სჯა-ბაასის გარეთ გატანა შეეძლოთ რუსებს, ვიდრე ქართველებს. ყოველ შემთხვევაში, რუსულ ენაზედაც დროგამოშვებით იმართებოდა კითხვაცა და სჯა-ბაასიც, მაგრამ უფრო მორიდებულად და მეტის სიფრთხილით. მეცადინეობის ამ ნაწილს ფართოდ ესწრებოდნენ მუშები, მიუხედავად იმისა, რომ სწავლობდნენ ღამის კლასში თუ არა. როცა დიდი დარბაზი მსმენელებით გაიჭედებოდა, გარეთ ეზოც სავსე იქნებოდა და მეცადინეობა მიტინგის ხასიათს ღებულობდა. საკვირველი იყო მხოლოდ ის, რომ პოლიცია-ჟანდარმერია ყურადღებას არ გვაქცევდა, ალბათ ბრმავედებოდნენ იმით, რომ სკოლა სასულიერო იყო და მთავრობისგან ნებადართული იყო. ამიტომ ეს სკოლა უხიფათოდ და უვნებლად განაგრძობდა თავის საქმეს – კულტურულსა და

¹³⁷ ერიკ ლი, ექსპერიმენტი, საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921, თბილისი, 2018, გვ.102

რევოლუციურს, ვიდრე სკოლამ თვითონ არ მოახდინა თავისი ლიკვიდაცია.“¹³⁸

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, თავისი დამოუკიდებლობის 1028 დღის განმავლობაში მუდმივად თავდაცვით ბრძოლაში იყო ჩართული და, ბუნებრივია, ისედაც არასტაბილური სახელმწიფო შემოსავლების დიდ ნაწილს (30-40%) სამხედრო სფეროს ახარჯავდა. თუმცა, 1919-1920 წლებში სახალხო განათლების სამინისტროსათვის საერთო ბიუჯეტის 7%, ანუ 137 456 956 მანეთი იყო გათვალისწინებული.¹³⁹

1920 წლის მონაცემებით: „საზოგადოდ ცნობილია რასაკვირველია სამინისტროსათვის რაჭის სახალხო სკოლების შენობათა უვარგისობა. კერძოდ, რამდენიმე სასწავლებლის და მათ შორის სოფ. ველევის სკოლის შენობის ისტორია მწუხარებით აღელვებს განათლების გამავრცელებელი მუშაკის გულს. ჯერ კიდევ ძველი მმართველობის დროს, მანამ თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიკიდებდა ფეხს საქართველოში, სახელდობრ 1914 წელს ამ სკოლის პედაგოგიურმა

¹³⁸ ი. რამიშვილი, მოგონებები, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, ბიოგრაფიული ცნობები და საძიებლები დაურთეს გოჩა საითიძემ და ქეთევან რამიშვილმა, თბილისი, არტანუჯი, 2012, გვ. 267

¹³⁹ <https://civil.ge/ka/archives/249198>

საბჭომ ხალხის ამორჩეულ კაცებთან ერთად მიმართეს მეორე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორს და აღნიშნეს: შენობის სიდამპლის და მისი ნიადაგის დამენწყვის გამო. მიწა სკოლის ქვეშ გამოსკდა რამდენიმე ადგილას მთელ სიგრძეზე და სიგანეზე. ჭერი და იატაკი დაინგრა, ღუმელი ჩავარდა, კარებ-ფანჯრები გვერდზე გადაილოჭნ და აღარ იხურება, სახურავი იქით-აქეთ წავიდა. 1914 წლიდგან დაწყებული არა ერთხელ მიუმართავს სათანადო დაწესებულებებისათვის, მაგრამ მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა და შენობა ვერ გააკეთეს უფრო მკვიდრ ნიადაგზე. 1918 წელს მენყერმა კიდევ უფრო ჩამოიწია და სასწავლებლის შენობა თითქმის შუაზე გაგლიჯა, ხოლო ნახევარი სახურავი კი გადაეხადა და თოვლ-წვიმა თავისუფლად ჩამოდის. 1919 წელს ერობის გამგეობამ სხვა სასწავლებლებთან ერთად ჩაიბარა ეს სკოლაც მისი დანგრეული შენობით. მას აქეთ ვცდილობთ სოფლის შემწეობით ახალი შენობის აგებას სხვა ადგილას. დღეს დღეობით ასეთი ადგილი ნაშოვნია თვით შუა სოფელში მკვიდრი ნიადაგის, ტექნიკის მიერ შემონმებული და ამ მომავალ თვეში უნდათ აშენების საქმეს შეუდგნენ. საჭიროა აუცილებლად უფასოდ მიეცეს ტრაგიკულად დაღუპული ველევის სკოლას მახლობელი სატყეო აგარაკიდან შხივანის ტყიდგან

საკმაო ხე-ტყე. ერობის გამგეობა აგინერთ რა ტრაგიკულ მდგომარეობას ველევის სკოლისას გიგზავნით ხის მასალას ამ სასწავლებლისათვის შემონმებულს და ხეებზე გადახნილს ერობის გამგეობის ტექნიკურ განყოფილების მიერ. იშუამდგომლეთ ვისთანაც ჯერ არს აღნიშნული ხე-ტყის უფასოთ მოცემისათვის“.¹⁴⁰

1918-1919 სასწავლო წლის განმავლობაში საშუალო სკოლაში სწავლის გადასახადი იყო: მინიმუმ 300 მან; მაქსიმუმ 400 მან; გამონაკლისს შეადგენდა რამდენიმე სასწავლებელი /მაგალითად, თბილისის მესამე ქალ-ვაჟთა გიმნაზიები/, სადაც სწავლის შესატანი თანხა 500 მან. უდრიდა. აღნიშნულ სასწავლო წელს ეს გადასახადი მომატებული იყო მხოლოდ პირველ სამკლასში სამინისტროს დადგენილებით სწავლის ფული ისევ ძველი /300 მან./ დარჩა; ზედა კლასებში 500-800-მდე.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ „სწავლის ფულის გადიდების შესახებ პედაგოგიურ საბჭოთ უფლება აქვთ წარმოადფინონ თავიანთი მოსაზრებანი, ხოლო საბოლოო განსაზღვრა და დაწესება მისი სამინისტროს უფლებას შეადგენს. სწავლის ფულისაგან შემოსული თანხას „სასწავლებლის სპეციალური თანხა“ ეწოდება და ინახება ადგილობრივ ხაზინაში, სადაც

¹⁴⁰ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №4, ფურც. 16

თვითოეული სკოლისათვის გახსნილია სათანადო პარაგრაფი სპეციალურ ანგარიშისა. ეს თანხა, თანახმად 1919 წლის 28 იანვრის „დროებით დებულების“ 26 მუხლისა ხმარდება სასწავლებლის სამინისტროს მიერ დამტკიცებუკ თვითოეულ სასწავლებლისათვის წლიურ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ყოველგვარ დანარჩენ საჭიროებისათვის /რაიც, მაშასადამე, არაა ნავარაუდები წლიურ ხარჯთაღრიცხვაში/ აღნიშნული ფულის დახარჯვა შეიძლება მხოლოდ სამინისტროს ნებართვის ყოველ კერძო შემთხვევაში.“¹⁴¹

ახლა საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ქართული ლიტერატურის გაკვეთილიდან პედაგოგისა და მოსწავლეების დიალოგი, რაც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის სასწავლო პროცესის შესახებ. მაგალითად, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: „როგორ მეტყვით თქვენი სიტყვებით: როგორ არა ვსთქვა ბეჩავმა მეც ჩემი გასაჭირია? – რისთვის დავმალე მე სანყალმა, გაჭირვებულმა ის უბედურება და ტანჯვანვალება, რასაც მე განვიცდიო. როგორ გესმით: თავნში პურღვინოს დამჭერდა, ვახშში მივეცი ფულია? – ვაჭრისაგან ნასესხებ ფულში პური და ღვინო მიუცია, მაგრამ სარგებელში კი ფული გადაუხდია.

¹⁴¹ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. № 54, ფურც. 34

როგორ მეტყვით სხვანაირად: „აკი გაუწყრა ღმერთია და მიშილთახა წყეულმა: ვალი მომთხოვა მეორედ ღვინოზედ შემოჩვეულმა; ხელახლად წამომიარა, სულით ხორცამდე გამცალა... ნათლია მამასახლისმა ერთ თუნგ არაყში გამცვალა“?

– ვაჭარმა ბერუას შარები მოსდო, ცილი დასწამა და გასტუმრებული ვალი ხელმეორედ მოსთხოვა; ნათლიმამა ბერუას მამასახლისმაც უღალატა: მან ვაჭრისაგან ქრთამი აიღო და მისი მხარი დაიჭირა, მას მიუდგა და რაც ჰქონდა ყველაფერი წაართვეს.

როგორ გესმით: არ შერჩეს ზედაშე, გოჭი, ქათამი, წიწილა, არც საბუდარში კვერცხები, – გამომილია სინსილა! ვაჭარი ჩემს სახლში ნავარდობს როგორც ქორია, გბირიც არყისგან გამტყვრალი, გორაობს როგორც ღორია“?

– საწყალმა ბერუამ ვალი ხელმეორედ ვერ გადაიხადა: მევახშე გეომ, მამასახლისის შემწეობით რაც ებადა ბერუას ყველაფერი აწერა და ვალში მიიანგარიშა. ბერუა არაფრად ჩააგდო არა მარტო მევახშე გეომ და მექრთამე მამასახლისმა, არამედ მის უბრალო ხელის მოსამსახურე გბირმაც, რომელიც არაყით გაღეშილი, დაბარბაცობდა ბერუას სახლში და გორაობდა როგორც ღორი.

ამ კითხვებისა და პასუხების შემდეგ, როდესაც მოწაფეთათვის ყველა სიტყვებიცა და წინადადების აზრი უკვე ნათელი იქნება, ისინი მთლიანად წაიკითხავენ ლექსს როგორც ვალ-ცალკე, აგრეთვე ერთად (ხოროთი).

ამას მოყვება ცოტა ხნით შესვენება – პაუზა – რითაც მოწაფეები, თუ მოლლილობა და მოდუნება დაეცეო, წახალისდებიან ან ფიზიკური ნავარჯიშებით, ან რაიმე ლექსს-სიმღერით. შემდეგ ამისა, წაკითხული და ახსნილი მასალის შინაარსის მოკლედ გადმოსაცემად მოწაფეებს მიეცემა შემდეგი კითხვები: რას ჩივის სანყალი ბერუა? – ის ჩივის თავის უბედურებას: ყველა მას გადაემტერა, ყველა მის კისერზე ნავარდობს და ყველა მისის სისუსტით სარგებლობს. ვისი ფული დაედო ბერუას და რისთვის აიღო ეს ვალი?

– მას დაედო გეო ვაჭრის ვალი, რომელიც აიღო აუცილებელი საჭიროების დასაფარავად. რა უქნა მას გეო ვაჭარმა?

– აღებული ვალი, რომელიც პურითა და ღვინით გაისტუმრა, ხელმეორედ მოსთხოვა.

რა უქნა ბერუას ნათლია მამასახლისმაც? – მამასახლისმაც არ დაინდო ნათლიმამა ბერუა და ერთ დოქ არაყში გასცვალა.¹⁴²

რა უქნეს სანყალ ბერუას მევახშე გეომ და მექრთამე მამასახლისმა? – აღარ შეარჩინეს არც გოჭი, არც ქათამი, კვერცხები და არც ზედაშე. რას ამბობს ბეჩავი ბერუა ამ ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში? – მან არ იცის რით უშველოს თავის გაჭირვებულ თავს, რა საშუალებას მიმართოს, რომ გაუმკლავდეს ამა ქვეყნის ძლიერთ და მწუხარებით მოსთქვამს თავის ტანჯვას.

ამ კითხვებზე მოცემულ პასუხების შემდეგ მონაფეები გადმოგცემენ წაკითხულ და ახსნილ მასალას მოკლე შინაარსს. შინაარსის გადმოცემის შემდეგ საჭიროა ამ პოემიის საერთო ღირებულების შეფასება და მისი ჩვენზე მორალური ზეგავლენის დახასიათება.¹⁴³

მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს კითხვებით, რომელიც გამსჭვალულია სოციალურ-ეკონომიკური სულისკვეთებით. „როგორია ბავშვებო გლეხი პოეტის წარმოდგენით? – ის არის გულკეთილი და სიმართლის მოყვარული, მაგრამ თავისი გაუნათლებლო-

¹⁴² სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №260, ფურც. 14

¹⁴³ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №260, ფურც. 15

ბით და მოუცლელობით ყველასთვის დაბალ ღობედ არის მიჩნეული. როგორი იყო გლეხის მდგომარეობა ძველ დროში? – წინანდელ დროსთან შედარებით, დღეს გლეხის მდგომარეობა დიდად გაუმჯობესებულია.

ვისი ნაწერია ეს ლექსი? – რაფიელ ერისთავის – კიდევ რა და რა ლექსები იცით რაფიელ ერისთავის ნაწარმოებებიდან? – იციან: თინიას მამითაღი, დედის მოთქმა. ვინ ჩანვდა იმდროინდელ გლეხის უმწეო მდგომარეობაში? ვინ გახდა მისი ნუხილისა და გოდების მესაიდუმლედ? ვინ გაიზიარა მისი ტანჯვა და ჭირვარამი და ვინ აუწყა ქვეყანას მისი უბედურება? – რაფიელ ერისთავმა.

როგორი პოეტის სახელი შეგვიძლია უწოდოთ რაფიელ ერისთავს? – ის არის გლეხის ტანჯვის გამზიარებელი, მისი მგოსანი, მისი უბედურების გამომხატველი და მის საკეთილდღეოდ მზრუნავი.

ასეთი დასკვნის მიღების შემდეგ, საკლასო დაფაზე დავწერ მათ საპასუხოდ შემდეგ კითხვებს: რისთვის აიღო ბერუამ ფული? რა უქნეს მას გეო ვაჭარმა და მამასახლისმა? რას სწერს ბერუა? ვინ იზიარებს ბერუას ტანჯვას?

– ბერუამ აიღო ვალი აუცილებელ საჭიროების დასათარავად. ვაჭარმა ბერუას შარი მოსდო და გა-

დახდილი ვალი ხელმეორედ მოსთხოვა. ვაჭარს და-
ეხმარა მოქრთამული მამასახლისიც და რაც ებადა ვე-
ლაფერი წაართვის. ბერუა სწუხს თავის გაჭირვებულ
მდგომარეობას. მის წუხილს იზიარებს პოეტი რ. ერის-
თავი და ამ ლექსში გამოხატავს მის ვაებას და უბედუ-
რებას. ამ პასუხებს, რომელსაც გასცემენ მონათფეხი
დავაზე დაწერილს კითხვებს და რომელიც გამოხა-
ტავს ამ ლექსის მოკლე შინაარსს.¹⁴⁴

ასეთი ვრცელი ციტატის მოყვანით მიზნად ვისა-
ხავდით გვეჩვენებინა სკოლებში არსებული სულის-
კვეთება, კერძოდ, რა ტიპის თემებზე ვეთდებოდა აქ-
ცენტი პოლიტიკური, თუ სოციალურ-ეკონომიკური ვი-
თარების გათვალისწინებით.

პეტრე სურგულაძე აღნიშნავდა: „ეროვნული სა-
ხელმწიფო ეროვნულ სწავლა-აღზრდასაც მოგვცემს.
ბევრს შეიძლება ეროვნული სწავლა-აღზრდა მხო-
ლოდ ისე ესმოდეს, როგორც სამშობლო ენის დამყა-
რება სკოლაში. თავისთავად ცხადია, დედაენაზე სწავ-
ლა-განათლებას მოგვანიჭებს ჩვენი სახელმწიფოს
მოპოება. და არამც თუ სკოლაში, ყველა საზოგადოებ-
რივ დაწესებულებაში საქართველოში ქართული ენა
მოიპოვებს თავის ბუნებრივ ადგილს. შედეგად მივი-
ღებთ მის საოცარ განვითარებას, გამდიდრებას და

¹⁴⁴ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №260, ფურც. 16

ამაღლებას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა სწავლა-განათლებისა. როცა საზოგადოება თავის ახალგაზრდა წევრს ამზადებს ცხოვრებისათვის, მისი მიზანია ისე განვრთნას ახალგაზრდა, რომ მას შეეძლოს მისცეს უდიდესი სარგებლობა, როგორც საზოგადოებას, ისე თავის თავს. ამისათვის საჭიროა, რომ ერთი ხალხის სწავლა-განათლების სისტემა მის კულტურას, მის ეკონომიკას და საზოგადოდ სოციალურ მოთხოვნილებას ეთანაბრებოდეს, ეგუებოდეს.¹⁴⁵

¹⁴⁵ პ. სურგულაძე, საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სტამბოლი, 1918, გვ. 12-13

თავი მეორე ეკონომიკა და განათლება

როგორც ცნობილია, რუსეთის თვითმპყრობელობა მაქსიმალურად ცდილობდა საქართველოში საგანმანათლებლო დონის დაქვეითებას, რადგან უვიცი და გაუთვითცნობიერებელი საზოგადოების მართვა უფრო გაადვილებოდა. „რად სჩადიოდა ასე ძველი მთავრობა? პასუხი ნათელია: ქართულად ნასწავლი გლეხი ქართულად აზროვნებას დაიწყებდა, მასში ქართული სული გაიდგამდა ფესვს, ის თავს ქართველად იცნობდა, თავის ჭირ-ვარამს მიხვდებოდა, მტერ-მოყვარეს გაითვალისწინებდა, მისკენ მიმართულ სიტყვა-საქციელს ასწონ-დასწონიდა და მიხვდებოდა, თუ რამდენად იყო ძველი დახავსებული რეჟიმი მისი გადაგვარების მოსურნე და რასაკვირველია საკადრის პასუხსაც გასცემდა“.¹⁴⁶ სწორედ ამიტომ კულტურული ელიტა აქტიურობს გლეხების საგანმანათლებლო დონის ამაღლების, ისტორიული წარსულის, ტრადიციების შენარჩუნების საკითხში. ამისთვის იხსნება სკოლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სოფლებში, ქალაქებში. იბეჭდება და ვრცელდება დიდი რაოდენობით წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, სადაც გლეხისთვის

¹⁴⁶ გაზეთი, ჯარისკაცი, 1917, №2, გვ. 1

საჭირო მოვლენებზე საუბარი. ამის პარალელურად პოლიტიკური ელიტა პოლიტიკური შეგნების განვითარებისთვის იბრძვის. პოლიტიკური დონის ამაღლება პარტიების ნაწილს სჭირდება იმისთვის, რომ თავისუფლების ბრძოლისათვის ნიადაგი მოამზადოს, ნაწილს კი იმისთვის, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიას, გააერთიანოს მუშები და გლეხები და სოციალიზმის განხორციელებისათვის შექმნას პირობები.

სწორედ ეს პრობლემები იქცა XX საუკუნის პირველი ოცნლეულის მთავარ გამოწვევად. თუმცა მთავარი და აუცილებელი მოთხოვნილება სწავლა-განათლების გავრცელება იყო, რომლის საშუალებით უნდა გადამწყვეტილიყო ყველა ის საკითხი, რაც ეპოქის მოთხოვნილებას წარმოადგენდა. განათლების გავრცელებას საზოგადოების ფართო ფენებში ხელი უნდა შეეწყოს სამეურნეო ცოდნის ამაღლებისთვის და საბოლოო შედეგი ეკონომიკური წარმატება ყოფილიყო. საერთოდ, კი სწავლა-განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მოდერნულ ეპოქაში. სკოლებს, სასწავლო დაწესებულებებს მთავარი მისია ეკისრებოდათ არა მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების, ასევე პოლიტიკური დონის ამაღლების და ეკონომიკური წინსვლის გადამწყვეტის საკითხში.

სწავლა-განათლება და სამეურნეო-სამრეწველო ცოდნის განვითარება ურთიერთკავშირში იყო და აქედან გამომდინარე შეიძლება გამოვყოთ მთავარი საკითხები, რომლის განვითარება სოფელს ესაჭიროებოდა. 1. განათლებული მოღვაწეები, რომლებიც ნაციონალური იდეების პოპულარიზებას შეძლებდნენ. მოსახლეობას საკუთარი ქვეყნის ტრადიციებს, ისტორიას გააცნობდნენ და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებისთვის სათანადო პირობებს შექმნიდნენ. 2. შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი მეურნეები, რომლებიც შეიტანდნენ სოფელში ახალ სამეურნეო იარაღებს, ახალ კულტურას, დაარსებდნენ სპეციალურ სკოლებს, სადაც გლეხები დაეუფლებოდნენ ტექნიკურ განათლებას, რომელიც ხელს შეუწყობდა სოფელში მოსავლიანობის გაზრდას და საბოლოო ჯამში უზრუნველყოფდა ეკონომიკის აღმავლობას.

ბუნებრივია 1900-1917 წ.წ. და 1918-1921 წ.წ. მდგომარეობა რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამ მხრივ გამონაკლისი არც სოფლის და ქალაქის ცხოვრებაა. ამ სრულიად განსხვავებულ ორ ეპოქაში მოვლენების განვითარება სხვადასხვა გზით მიდის და ის, რაც აქტუალური იყო 1900-1917წ.წ. სოფლისთვის, 1918-1921 წ.წ. მეორე პლანზე გადადის და ახალი გამოწვევების წინაშე დგება. სოფლის მო-

სახლეობის ცნობიერება ცვლილებებს ასე ადვილად ვერ ეგუება, ისევე როგორც საქართველოს ყველა მაცხოვრებელი, სოციალური ფენები. ამასთან იცვლება აღქმა სხვადასხვა მოვლენებისადმი. თუ მაგალითად, მანამდე აქტუალური იყო ქართული ენის, სწავლა-განათლების, ისტორიული წარსულის პროპაგანდა ბეჭდური მედიის საშუალებით, 1918-1921 წლებში ბუნებრივია ეს საკითხები თავის აქტუალობას არ კარგავს, მაგრამ წინა პლანზე გამოდის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მოწყობის თემა და საზოგადოების ჩართვა სახელმწიფოს გაძლიერებაში. როგორც კულტურული და პოლიტიკური ელიტა, ასევე ხალხი ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და ბეჭდურ მედიაშიც განსხვავებული მოწოდებები გაჩნდა. სამოციანელებმა სკოლას და საგანმანათლებლო დაწესებულებებს ისტორიული მისია დააკისრეს. ამ გზის გამგრძელებლები XX საუკუნის დასაწყისშიც ცდილობდნენ საზოგადოების ცნობიერების ფორმირებას და სამეურნეო-ეკონომიკური განათლების დონის ამაღლებას. „ისტორიამ ჩვენს დროს და ჩვენს ქვეყანას მრავალი ახალი პრაქტიკული საქმე დაუსახა თვალწინ. გავრცელება სასკოლო და სკოლის გარეშე განათლებისა მდაბიო ხალხში, რაციონალური აღზრდა ახალი თაობისა, განვითარება მომხმარებლების და მწარმოებლების კოოპერაციები-

სა, ამაღლება სასოფლო სამეურნეო ტექნიკისა, შერჩენა საქართველოს მკვიდრთა ხელში ამოძრავებულ მინისა და მრავალი სხვა მსხვილი და წვრილი საქმე ყველა ერთად თხოულობდა გაძღოლას, ასრულებას“.¹⁴⁷

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ნათლად აცნობიერებდა ყველა იმ პრობლემას, რაც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ წარმოიშვა. მაგრამ, ამავდროულად ძალ-ღონეს არ იშურებდა ქართული საზოგადოების გადაყვანისთვის დროის ახალ მოთხოვნებზე. XX საუკუნის დასაწყისიდან, როგორც ცნობილია, ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი ახერხებს განათლების მიღებას რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. სადაც ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ევროპის მასშტაბით მიმდინარე გარდაქმნებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა ნაწილში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მთელი ძალისხმევით ესწრაფვიან ამ ახალი იდეების დანერგვას. მათ შორის ეკონომიკის სფეროში, რადგან დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლა აზრს კარგავს, თუ ქვეყანას არ გააჩნია სათანადო ეკონომიკური სახსარი და ამასთან არ იცის მისი გამოყენება. ასე რომ, ეროვნული ეკონომიკის აღორ-

¹⁴⁷ გაზეთი, ისარი, 1908, №39, გვ. 1

ძინება სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად ეპოქის მთავარი მოთხოვნილება გახდა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ XX საუკუნის პირველ ოცნლეულში ასე აქტუალური იყო სამრეწველო საგნების სკოლაში სწავლება. ჟურნალი „მოგზაური“ და მისი რედაქტორი ივანე როსტომაშვილი ერთ-ერთი პირველია ვინც აღნიშნულ საკითხებს ერთიან კონტექსტში მოიაზრებს. მისი შეხედულებით, „სკოლა უნდა იძლეოდეს არა მარტო წიგნურ განათლებას, არამედ პრაქტიკულ მომზადებასაც. სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მან უზრუნველყოს მომავალი თაობის დაახლოება ბუნება-ცხოვრებასთან, მათი შეიარაღება ისეთი ცოდნით, რომელიც ცხოვრებაშია საჭირო, გაუადვილებს მათ შრომას, მისცემს საშუალებას რაციონალურად მოაწყოს მეურნეობა და ამით უზრუნველყოს მთელი ქვეყნის ეკონომიკური აყვავება და აღორძინება“.¹⁴⁸

ახალ დროზე მორგება და ეპოქის მოთხოვნილებების ქვეყნის სასარგებლოდ გამოსაყენებლად საჭიროებას წარმოადგენდა სასწავლო პროგრამაში თანამედროვე სისტემაზე მორგებული საგნების ჩართვა. „სწავლა-განათლებას პირდაპირი გავლენა აქვს ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაზე, მათ ძლიე-

¹⁴⁸ ჟურნალი, მოგზაური, 1902, №2-3, გვ. 685

რებასა და ნარმატებაზე. ახლანდელ დროში ყოველ-
გვარი ნარმოების წესი მუდმივად იცვლება და უმჯო-
ბესდება. ამიტომ ნარმოებაში ძველ წესებზე შეჩერება
უცხო, მცოდნე ერთაგან გადმოუღებლობას ნიშნავს,
უკან ჩამორჩენას და დაძაბუნებას. უცხო ხალხთაგან
ეკონომიკურათ დამოკიდებულებას და ყმათ გახდომას
ვერ ავცდებით თუ ნარმოებაში ძველი წესის შეცვლა
არ მოხერხდა. თუ ხალხი, რომელიც ამ ნარმოებას
ენწვა უვიცი და გაუნათლებელია, თავის ხელობისათ-
ვის განუსწავლელი და მოუმზადებელი“.¹⁴⁹

ჟურნალ „მოგზაურის“ მსგავსად გაზეთი „თემიც“
ეკონომიკური საკითხების გაშუქებას დიდ ადგილს უთ-
მობს. როგორც XX საუკუნის I, ისე II ათწლეულში პრობ-
ლემა ერთნაირი სიმწვავეით და აქტუალობით გამოირ-
ჩევა: „კარგად მოგეხსენებათ რა კრიზისს განიცდის
ჩვენი მეურნეობა, გამოფიტული მიწა, ძველი იარაღე-
ბი. მამა-პაპური მიწის დამუშავების წესები მშრომელს
მოსავალს აღარ აძლევენ. ხარჯები კი წლითინლობით
ემატება მას. როგორ უნდა გავუწიოთ ეკონომიკური მე-
ტოქეობა ჩვენ უძღურმა და დაქვემდებარებულმა ერმა
ეკონომიკურად ღონიერ ქვეყნებს და მეზობლებს: სა-
ჭიროა ჩვენც ჩვენი ეკონომიკური ცხოვრება ისე მოვან-

¹⁴⁹ ფ. გოგიჩაიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბილისი: საბჭოთა
საქართველო, 1974, გვ.120

ყოთ, როგორც ამას მოითხოვენ თანამედროვე ეკონომიკური პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრების ბრძოლაში ჩვენ სრულიად გავისრისებით“.¹⁵⁰

ქართული ინტელიგენციის მხრიდან მუდმივად იყო მოწოდებები საზოგადოების მისამართით, რომ გამოსულიყო ძველი სისტემიდან და ისევე საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მიეღო ახალი გამოწვევები. „ყველასათვის დღესავით ნათელია, რომ ჩვენი ქვეყანა მეურნეობის ქვეყანაა, ის ბაღია, რომლის გულის სიღრმეში დამარხულია აუარებელი სიმდიდრე, მხოლოდ უბედურება ის არის, რომ ჩვენს მშრომელ კლასს არა აქვს ცოდნა, რათა ეს სიმდიდრე აღმოფხვრას მიწის გულიდან და რიგიანად მოიხმაროს. რომელ დარგის სამუშაო გინდა აიღო ჩვენში, ყველაფრის დამუშავება-დამზადება ხდება დრო მოჭმული პირველყოფილი სამუშაო იარაღებით“.¹⁵¹ ამისათვის კი ზოგად განათლებასთან ერთად სკოლაში სამეურნეო-ტექნიკური საგნების სწავლებაც აუცილებლად მიიჩნევა: „ხალხის კულტურული და ეკონომიკური განვითარება მარტო წერა-კითხვის ცოდნით და საზოგადო განათლების დონით არ განისაზღვრება. თანამედროვე ტექნიკის განვითარებამ ახალი პირობები

¹⁵⁰ გაზეთი, თემი, 1911, №10, გვ. 4

¹⁵¹ გაზეთი, ჩვენი მეგობარი, 1916, № 123, გვ. 3

შექმნა ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ახალი საშუალებანი საარსებო ბრძოლისათვის. ხალხისათვის საჭირო შეიქმნა წერა-კითხვისა და საზოგადო განათლების იმისთანა სწავლა-განათლება, რომელიც მას არსებობისათვის ბრძოლას გაუადვილებს“.¹⁵² გაზეთის პუბლიცისტები სკოლას ეკონომიკის განვითარებაში მთავარ ფუნქციას აკისრებდნენ. „სწავლა განათლება ცუდ მდგომარეობაშია და ჩვენ საზოგადოებას მართებს სიფრთხილით და გონიერად მოქმედება, რომ ქართველ ერს სამსახური გაუწიოს. დიადი ეკონომიკური მნიშვნელობა სკოლისა დღეს ცხადია... თანამედროვე პირობებში სახალხო განათლება არის ერთადერთი ნამდვილი გზა, რომ შედარებითი სიჩქარით გავრცელდეს ხალხში წარმოების საუკეთესო საშუალებანი. ამით განისაზღვრება სახალხო მნიშვნელობა სახალხო სიმდიდრის მოგროვებაში. სწორედ ამ მხრით ქართველი ერი ყველა ერებზე უფრო ჩამორჩენილია, ღარიბია. ამიტომ ნორმალური დაყენება განათლების საქმისა ჩვენში არის ერთი უმთავრესი ადგილი საზოგადოებრივ დაწესებულებათა პროგრამულ მოქმედებაში“.¹⁵³

1917 წელს ჟურნალში „განათლება“ ლ. ბოცვაძე

¹⁵² გაზეთი, თემი, 1913, № 118, გვ.1

¹⁵³ გაზეთი, თემი, 1912, №54, გვ. 4

აღნიშნავდა: „დღევანდელი ცხოვრების პირობები ასეთია. თუ ჩვენს ერს თავისი თავის დაღუპვა და გადაშენება არ უნდა, ყოველ დარგში საუკეთესო სპეციალისტები ბლომად უნდა ჰყავდეს. ჩვენ გვესაჭიროება აგრონომები, რომელთაც პრაქტიკულად და თეორიულად ზედმინვენით უნდა იცოდნენ თავისი საგანი. ისინი უნდა დაეხმარონ ჩვენს გლეხობას, მიწის მუშაკთ და მიწის შემუშავება და მოსავლის მოყვანა იმ დონეზე დააყენონ, როგორც ეს კულტურულ ქვეყნებშია. ჩვენში საჭიროა მეცნიერების ყველა დარგის კარგი მცოდნენი, სპეციალ პედაგოგები, რომ დღევანდელი დამახინჯებული და უკულმართი სკოლა განახლების გზას დაადგეს და თავისს წმინდა დანიშნულებას პირნათლად ემსახუროს“.¹⁵⁴

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1918-1921 წლებში, ბუნებრივია ეროვნული ეკონომიკის საკითხმა ახალი განზოგადება შეიძინა და ეს პრობლემა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ეკონომიკით თანაბრად იყვნენ დაინტერესებული როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, ასევე სხვა პოლიტიკური პარტიები. ერთი სიტყვით,

¹⁵⁴ ლ. ბოცვაძე, სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება, ჟურნალი, განათლება, 1917, № 2, გვ. 89

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მოქმედების განსხვავებულ სისტემაზე გადავიდა, საბოლოო მიზანი კი ერთი იყო: ეროვნული მრეწველობის, ეკონომიკის, მეურნეობის აღორძინება. თუ 1900-1917 წლებში ქართველი ინტელიგენცია ძირითადად იფარგლებოდა მონოდებებით პრესის მეშვეობით და რუსული ხელისუფლების შიშით აქტიურ ნაბიჯებს ვერ დგამდა. 1918-1921 წლებში ქართული პოლიტიკური ელიტა ყოველ ღონეს ხმარობს პრაქტიკული ნაბიჯების რეალიზაციისთვის. ეს გამოიხატებოდა სხვადასხვა ფორმებით. 1. გრძელდება წინა წლებში დაწყებული პროცესი სამრეწველო სკოლების გახსნის და სასწავლო დაწესებულებებში სამეურნეო საგნების შეტანით. საჭირო იყო ერთი მხრივ, ქართული, ეროვნული მეურნეობის შენარჩუნება და მეორე მხრივ, კაპიტალისტური სისტემისათვის დამახასიათებელი ფორმების შემოტანა-დამკვიდრება. 2. იქმნება სპეციალური პროექტები, სადაც ყურადღება გამახვილებულია ყველა დეტალზე. „სასოფლო მეურნეობის განათლების გავრცელება ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში დღემდის არ სწარმოებდა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, არც სკოლის ტიპების და არც მათი განაწილების მხრივ... ამ საკითხის შემუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი დებულებანი სასოფლო-მეურნეობის

უმაღლესის განათლების გავრცელების შესახებ, რომელიც საჭიროა აგრონომიულ მოღვაწეთა მოსამზადებლად, უწყება იმ აზრისაა, რომ ამისთვის საკმარისი არიან განათლების სამინისტროს განკარგულებაში მყოფი სახელმწიფო უნივერსიტეტის და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უკვე არსებული აგრონომიული ფაკულტეტები. სამინისტრო თავის მხრივ გაუწევს დახმარებას, რათა დასახელებულ სასწავლებელთა სტუდენტების პრაქტიკული მუშაობა შესაფერისად იყოს მოწყობილი. სასოფლო მეურნეობის საშუალო განათლებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მათი აზრით აგრონომიულ მოღვაწეობის მოსამზადებლად საჭიროა საკმაო ზოგადი განათლება და ბუნების მეცნიერების და ეკონომიკურ მეცნიერებათა საფუძვლიანი შესწავლა, რის მიცემაც შეუძლია მხოლოდ უმაღლეს და არა საშუალო სასწავლებელს“.¹⁵⁵ თუმცა ამისდა მიუხედავად სახელმწიფო უწყებები მაქსიმალურად ცდილობდნენ ამ პრობლემის მოგვარებას და ყველა ტიპის სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების გახსნას. რადგან სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელება აუცილებლობას წარმოადგენდა ქართული ეკონომიკის სამომავლო განვითარებისთვის. „ჩვენ ღარიბნი ვართ არა მარტო იმიტ, რომ ცოტა მინები

¹⁵⁵ სცსა, ფ. 1861, აღნ. 1, საქ. №533, ფურც. 5

გვაქვს, არამედ იმითაც, რომ არ ვიცით მინის დამუშავებაც. დიდი მნიშვნელობა აქვს მინის დამუშავების ცოდნას. ავიღოთ მაგალითად ისეთი ქვეყნები, როგორიც არის გერმანია. აქ უკეთესად არის საქმე დაყენებული და მინას მეტ ნაყოფს აღებინებენ. ასეთი ცოდნის გავრცელება არის აგრონომიული განყოფილების საგანი.“¹⁵⁶

1918 წელს იოსებ გულისაშვილი გაზეთში „სამშობლო“ წერდა: „ახალ ცხოვრებას ახალი გზა და მსვლელობა ეჭირვება. ჩვენმა ახალმა თაობამ გადაწყვიტა შექმნა ქართული უნივერსიტეტისა. სწავლა-განათლება უნდა იყოს მასიური, დემოკრატიული და არა კუთვნილება მრჩეველთა. იმ დროს, როდესაც ერთი და ორი პროცენტი იღებს უმაღლეს განათლებას, ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი იძულებულია სიბნელეში და სიბეჩავეში ღაფოს თავისი დღენი. აი სწორედ ამ დროს მისწრებაა ქართველი ერისთვის ერთი კი არა, სამი და ოთხი მშვენივრად მომზადებული საოსტატო სემინარიები. საიდანაც უნდა იგზავნებოდეს ხალხში ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლები. ისიც არა მარტო სქოლასტიურ მნიგნობრობით, არამედ სოფლის მეურნეობის ცოდნით შეიარაღებულნი, ცოტა რამ სამედიცინო და

¹⁵⁶ სცსა, ფ. 1830, აღწ. 1, საქ. №21, ფურც. 4

სხვა პრაქტიკული ცოდნით, დანესდეს სოფლად საცდელი მინდვრები, სანერგეები და სხვა“.¹⁵⁷

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ მრავალი კარდინალური პრობლემის გადაჭრა დააყენა დღის წესრიგში. გარდა იმისა, რომ პოლიტიკური თუ კულტურული ელიტის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება და ახლებური ფორმით აღორძინება-განმტკიცება, ამას ემატებოდა სახელმწიფო ინსტიტუციების ჩამოყალიბება და საზოგადოებაში მათი მნიშვნელობის დასაბუთება.

როგორც აღვნიშნეთ და როგორც განხილული მასალა მოწმობს, განათლების ფაქტორი გახდა დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი, რომელიც ქვეყნის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს დაუკავშირდა. განათლებამ გარდა საყოველთაო დატვირთვისა შეიძინა ეროვნული, ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი ფუნქცია და პირდაპირ თუ ირიბად ახლად თავისუფლებამოპოვებული ქართული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი გახდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ალექსანდრე ჯაბადარის მოსაზრება: „აღიარებული დამოუკი-

¹⁵⁷ იოსებ გულისაშვილი, პროვინციელის ფიქრები, გაზეთი, სამშობლო, 1918, № 7, გვ. 4

დებლობა საქართველოსი არის პირველი გვერდი საქართველოს ახალი ისტორიისა. თუ ეს არის დასაწყისი საქართველოს აღორძინებისა, ამავე დროს ეს იქნება ქართველთა პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებელ ცხოვრების უნარის მაჩვენებელი მომავალში. დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ჩვენი გაძლიერება ჩვენს ხელთ არის, ჩვენს მუშაობაზე არის დამოკიდებული. გათავდა პოლიტიკის წარმოება, უნდა გათავდეს კინკლაობა პარტიულ ნიადაგზე. ახლა საჭიროა შეერთებული მხნეობით, ცოდნით და სამშობლოსადმი მუშაობა, მუშაობა დღე და ღამე, მუშაობა ინტენსიური ყოველ დარგში. თუ გვინდა შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა და დავიკავოთ საპატიო ადგილი კულტურულ სახელმწიფოთა შორის, ჩვენ უნდა შევქმნათ საკუთარი მრეწველობა, ჩვენმა ერმა უნდა შექმნას საერო სიმდიდრე. ერმა თავისი თავი უნდა შეინახოს თავისივე მეურნეობით, ამავე მეურნეობამ უნდა მისცეს მას საშუალება კულტურული განვითარებისათვის. რამდენად უკვე იქნება მონყობილი მეურნეობა, იმდენად მეტად განვითარდება ერი, როგორც კულტურულად, აგრეთვე პოლიტიკურად. ჩვენი მომავალი, ჩვენი კეთილდღეობა ჩვენზეა დამოკიდებული“.¹⁵⁸

¹⁵⁸ ალ. ჯაბადარი, სახალხო მეურნეობის შექმნა-განვითარება, გაზეთი, საქართველო, 1920, №40, გვ. 4

ნოე ჟორდანია მემუარებში წერს: „ჩვენმა სოციალიზმა ამ სფეროში მიიღო სპეციალური ქართული ხასიათი. ჩამორთმეული სახნავ-სათესი მიწები გადავეცით გლეხობას კერძო საკუთრებად, რაიცა ეწინააღმდეგებოდა სოციალისტურ დოქტრინას. ამ აზრის ვიყავით ჩვენ თავიდანვე, პარტიული შენობის დაწყებიდანვე. წინანდელ ჩვენს საბუთებას, წმინდა ეკონომიური ხასიათისას, ახლა მიემატა ნაციონალური ხასიათის საბუთებიც. ჩვენი ხელმძღვანელი აზრი იყო საქართველოს მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას – გლეხობას დაენახა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამ მას მოუტანა მიწა, მისცა ცხოვრების ახალი საშუალებანი. ასე რომ, აგრარული რეფორმა გახდა უაღრესად ნაციონალური რეფორმა ჩვენში“.¹⁵⁹

ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ გაეკრიტიკებინათ საზოგადოებაში არსებული უარყოფითი ჩვევები, რათა ხელი შეწყობოდა ეკონომიკის სრულფასოვან განვითარებას პრაქტიკული თალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით ერთი ქართველი პუბლიცისტი, საკუთარ მოსაზრებას შემდეგნაირად აყალიბებდა: „... ჩვენებურად დაყენებული ღვინო, რომ საზღვარგარეთ არ გაიყიდება – მე ამაზე არ

¹⁵⁹ ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბილისი, სარანგი, 1990, გვ. 101

ვლაპარაკობ – სახელმწიფო მამულებში ევროპულად დაყენებული ღვინო რომ ასე ფართოდ გამოიტანეს შინა ბაზარზე. ეს არის გასაკვირველი. კარგი მეოჯახე ამ ღვინოსას ერთ წვეთსაც არ დახარჯავდა სახლში და სულ გარეთ ბაზარზე გაიტანდა გასაყიდად, მასზე განეული ხარჯების ასანაზღაურებლად, მაგრამ ჩვენში ასე არ იქცევიან. თითქოს უნდოდეთ ჩვენი ხალხის გემოვნების გათაქიზება დაესახოთ პირველ მიზნად. მოგვყავდა ცოტა თამბაქო, რაც გასატანად გამოდგებოდა, მაგრამ მისი მოყვანაც შემცირდა და თუ რამ ძველი სადმე იყო ისიც დალჰა. მაგრამ განა მხოლოდ ესენი? – სათბობი მასალა მოგვეპოვება აუარებელი, ჩვენ იგი ვერ გამოგვიყენებია და სულ აღმოსავლეთის დარიანობაზე ვაშენებთ ჩვენს იმედებს. ჩვენი რკინა შეგვეძლო გვექონოდა რამდენიმე ათეულ წლების განმავლობაში მაინც, – მისი გამოყენება ვერ მოვახერხეთ. აუარებელი ხე-ტყე გვაქვს და დანგრეულ გორში სანყალ ხალხისთვის საკმაო თავშესაფრები მაინც ვერ აგვიშენებია. შუშის ქარხნები არსებობს ჩვენში დიდი ხანია, მაგრამ ფანჯრებში ჩასასმელი შუშები მაინც არა გვაქვს და ვერც წყლის სასმელი ჭიქები გაგვიკეთებია. ცეცხლუპოვარი აგური, ქალაღლი, მელანი, კალამი... რა ვიცი, რა უნდა ახსენოს ადამიანმა რომ ყოველდღიურ საჭიროებიდან, რომლის გაკეთებაც

ჩვენში ადვილი შესაძლებელია და არ კეთდება. რაშია საქმე? რომ ქვეყანას ყურები გამოვუჭედეთ, რომ დალოცვილ საქართველოში ყველაფერი მოიპოვება და მხოლოდ თითის გაქნევაა საჭირო, რომ ყველაფერი თავსაყრელი გვქონდეს. არ გვეყო რამდენსაც ვაქნევთ ამ ჩვენს ენას სალაპარაკოდ, ეხლა ცოტა ხელფები გავანძრიოთ და ჭკუა სამოქმედოდ ავამუშაოთ, არა გვაქვს კაპიტალი? ნუთუ ნახევრად სოციალისტურ სახელმწიფოში ამ უბრალო საქმეების გაკეთება გაჭირდა, რომელსაც უცხო კაპიტალი არც კი დასჭირდება. შესაფერ ცოდნით აღჭურვილი ხალხი არ გვყავს? ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვებიან მომზადებული ინჟინრები თითქმის ყოველნაირ დარგიდან, რომლებიც, სამნუხაროდ თითქმის სულ ადმინისტრაციულ სამსახურზე ირიცხებიან. ესენი ყველანი ტექნიკურ საზოგადოებაში არიან თავმოყრილნი. და ბოლოს ჩვენ უნივერსიტეტი გვაქვს! რას წარმოადგენს უნივერსიტეტი, შენობას თუ მეცნიერთა კრებულს? რად არის უნივერსიტეტი თითქოს გარიყული ცხოვრებიდან, რატომ არავითარ მონაწილეობას არ იღებს სახელმწიფო მრეწველობის და ეკონომიურ აღორძინებაში. მართალია, უნივერსიტეტი წმინდა მეცნიერებას უნდა ემსახუროს, მაგრამ ჯერ თავიდათავიო ნათქვამია. თუ სახელმწიფო და ხალხი

ფიზიკურად არ იარსებებს, რად უნდა მას მეცნიერება ან როგორ უნდა იმეცნიეროს მან“.¹⁶⁰

სკოლის და განათლების ფუნქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. გარდა ზოგადი განათლების მიღებისა სკოლას დაეკისრა ეროვნული, ეკონომიკური ფუნქცია, რომლის მეშვეობით უნდა მომხდარიყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ისეთი მიმართულებით წარმართვა, რასაც შედეგად სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების და ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმტკიცება მოყვებოდა. „სკოლის საშუალებით უნდა ვრცელდებოდეს ხალხში არა მარტო საზოგადო განათლება, არამედ სასარგებლო სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო ცოდნაც. ეს ცოდნა ხელს უწყობს ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას. ამიტომ პირველ საჭიროებად უნდა ჩაითვალოს გახსნა ისეთი სასწავლებლებისა, რომლებიც გაავრცელებენ ხალხში სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო ცოდნას. გორის მაზრაში ამ თავითვე საჭიროა გაიხსნას ერთი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც მისცემს თავის მოწაფეს საჭირო თეორეტიულ და პრაქტიკულ ცოდნას და ამასთან იქნება ხელმძღვანე-

¹⁶⁰ სცსა, ფ. 1830, აღნ. 1, საქ. №21, ფურც. 23-24

ლი ორგანო სამაზრო ერობისათვის მის სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობაში“.¹⁶¹

მართალია აღნიშნული საკითხი აქ გორის მაზრის მაგალითზეა განხილული, თუმცა სასოფლო-სამეურნეო განათლების საჭიროების დასაბუთება ახალი მოვლენა 1918-1921 წლების საქართველოში ნამდვილად არ იყო და როგორც განხილული მასალა მოწმობს, ყოველივე ამას საფუძველი უფრო ადრეც ეყრება.

აუცილებელ საჭიროებად მიიჩნეოდა სახელოსნოების გახსნა, რომელიც შესაფერისი ცოდნით აღჭურვილ მოსწავლეებს მოამზადებდა, რაც საბოლოო ჯამში მიმართული იყო იმისკენ რომ ქვეყანას ეკონომიკური პოტენციალის განვითარების საკითხში სპეციალისტები ჰყოლოდა და რაც შეიძლება, მრავალრიცხოვანი. „უპირველეს ყოვლისა საჭიროა ორი სახელოსნო: ერთი რკინის დასამუშავებელი და მეორე ხის დასამუშავებელი. ამ ორ საგანს – რკინას და ხეს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ ადამიანის და კერძოდ, სოფლის მეურნეობის ცხოვრებაში, რომ საჭიროა თითქმის ყველა ადამიანმა იცოდეს მათი ასეთი თუ ისეთი დამუშავება. სოფლის მეურნისათვის კი ასეთი ცოდნა აუცილებელი საჭიროებაა.

¹⁶¹ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. №273, ფურც. 50-51

ცოტაოდენი სასოფლო-სამეურნეო ცოდნა შეიძლება გავრცელდეს ხალხში, პირველდანყებითი სახალხო სკოლების საშუალებითაც. ამისათვის საჭიროა, ამ სკოლების მასწავლებელი იყვნენ აღჭურვილი შესაფერისი ცოდნით და რომ მასწავლებლებდ შეეძლოთ ასეთი ცოდნის შექმნა, უნდა იმართებოდეს თვითეული მაზრის ერობის მიერ კურსები ზაფხულობით. რასაკვირველია, ამ გზით გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცოდნა ვერ შეედრება იმ ცოდნას, რომელსაც გაავრცელებს ხალხში სპეციალური სასოფლო-სამეურნეო მასწავლებელი, მაგრამ ვიდრე გაიმართებოდეს მაზრაში საკმაო რიცხვი სპეციალური მასწავლებლებისა, მაგალითად, ამ გზით გავრცელდეს ხალხში ცოდნა მებოსტნეობისა, მებაღეობისა, მეფუტკრეობისა, ყვავილების მოშენებისა და სხვა... ამისთვის საჭიროა სკოლას ჰქონდეს ალაგი და ჰყავდეს მცოდნე მასწავლებელი“.¹⁶²

ამავე საქმეში დაცულია საინტერესო ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ და შედარებული საქართველოსთან. მოტანილი მასალა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აქ განხილული საკითხის საქართველოს სისტემის მორგებაზეა გათვლილი. სხვადასხვა მოვლენებისადმი ამგვარი დამო-

¹⁶² სცსა, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. № 273, ფურც. 51

კიდებულება უცხო არ იყო ქართული პოლიტიკური თუ კულტურული ელიტისათვის. მათ ხშირად მოყავდათ მაგალითები ევროპის თუ ამერიკის ცხოვრებიდან და ამის საშუალებით ქართულ საზოგადოებას მოუწოდებდნენ მიეხატათ აქ დანერგილი ახალი სტანდარტებისათვის და საქართველოს სინამდვილისთვის მოერგოთ. განსაკუთრებით ხშირი იყო შედარებითი ანალიზის გაკეთება განათლების სფეროში, რადგან აღნიშნული საკითხი მეოცე საუკუნის დასაწყისის და კერძოდ, 1918-1921 წლების ერთ-ერთ მთავარ ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა. „...როგორც იქცევიან ჩრდილო ამერიკაში ცენტრალური მთავრობა და ადგილობრივი რომელიმე შტატის მთავრობა. იქ ეს ორი მთავრობა თითქოს ერთმანეთს ეჭიბრებიანო სკოლების მატერიალურად უზრუნველყოფის საქმეში. დიდ ფულს ხარჯავს სკოლებზე ცენტრალური მთავრობაც და ადგილობრივიც. მშვიდობიანობის ხანებში /როცა ომი არ არის/ ამერიკაში ცენტრალური მთავრობა სკოლებზე ხარჯავს ორჯერ მეტს, ვიდრე ჯარზე და ფრონტზე. ამერიკელების ასეთი საქციელი მომდინარეობს იმ რწმენისაგან, რა რწმენითაც იყვნენ გამსჭვალული ამერიკის რესპუბლიკის დამაარსებელი და სახელმწიფო მოღვაწენი – ვაშინგტონი, ფრანკლინი და სხვები. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ განათლების

ფართო გავრცელება არის ერთადერთი საშუალება საზოგადოებრივი თავისუფლების განმტკიცებისა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და ცოდნისა და ამიტომ ცოდნის ფართო გავრცელება მათ მიაჩნიათ და ამერიკაში ეხლაც მიაჩნიათ აუცილებლად. სახალხო განათლებას იქ უყურებენ, როგორც უდიდეს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმეს და ამიტომ არ ზოგავენ: ამ საქმისათვის არაფერს: არც ფულს, არც მინას და არც ტყეს... იგი ჰკრეფს სტატისტიკურ ცნობებს როგორც ამერიკაში, ისე საზღვარგარეთ სწავლის საქმის საუკეთესო მონაცემების შესახებ და ამ ცნობებს ავრცელებს სკოლებში“.¹⁶³

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფოს მთავარ მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო სივრცის ახალ განზომილებაში გადაყვანა, რომლის ფარგლებში ასევე გათვალისწინებული იყო სამეურნეო ცოდნის ამაღლება ქვეყნის ეკონომიკის გასაძლიერებლად. „მხოლოდ სასოფლო მეურნეობის მაღლა აწევით დავეხმარებით ჩვენ როგორც რესპუბლიკის, ისე მის მოქალაქეთა 90%-ს ჩვენს გლეხობას და ღრმად ჩაუნერგავთ მას გულში, რომ სტატისტიკა დგება არა მარტო მათზე გადასახდების გაწერის მიზნით, არამედ მათი

¹⁶³ სცსა, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. №273, ფურც. 51

შრომის მაღლა ასაწევათ, მათი ეკონომიური მდგომარეობის გასაძლიერებლად.“¹⁶⁴

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოხსენებიდან ევროპაში კომერციული სააგენტოების შესახებ, გამომდინარეობს შემდეგი: „ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ჩვენ ახლავ მჭიდრო კავშირი უნდა დავიჭიროთ ევროპის სახელმწიფოებთან. მართალია, ჩვენი რესპუბლიკა ფორმალურად კიდევ არ არის ცნობილი, მაგრამ იმის ფაქტიურ ცნობის შემდეგ დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული; ყოველ შემთხვევაში ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში დამოკიდებულება ევროპის სახელმწიფოებთან გაუმჯობესდა და, თუ ამ რამდენიმე თვის წინათ უსასტიკეს ბლოკადას განვიცდიდით, ახლა მისვლამოსვლა მაინც გაადვილებულია. ამასთანავე თვით ევროპა, რომელსაც მეტი ესაჭიროება ნედლი მასალა, მიილტვის ჩვენსკენ და ეს გარემოება ჩვენ უნდა გამოვიყენოთ, სანამ იგი, ევროპა, ან თვით შიგნით არ შეუქმნია ნედლი მასალის წარმოება ან სხვა ქვეყნებთან არ დაიჭერს მჭიდრო კავშირს.“¹⁶⁵

სკოლის და მეცნიერების განვითარების აუცილებლობაზე საუბარი იყო თითქმის ყველა ჟურნალში

¹⁶⁴ სცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ. №418, ფურც. 10

¹⁶⁵ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. №20, ფურც. 28

თუ გაზეთში. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ცდილობდა ეს პრობლემა ხალხის მასებამდე მიეტანა და მოსახლეობა დაერწმუნებინა განათლების მიღების და გავრცელების აუცილებლობაში. „თანამედროვე ცხოვრებისა, მრენველობა-ვაჭრობისა და კულტურის მოთხოვნილებანი დღითიდღე იზრდება, მრავალფეროვანდება და მეცნიერებას ათას გვარ საკითხებს აძლევს, ამ კითხვების ახსნა კი მათ ზედ მიწვევით შესწავლას თხოულობს და ამ გვარად თვით მეცნიერებაც ფართოვდება, იზრდება. მეცნიერების ათას დარგებად დაყოფა ხელს უწყობს სხვა ახალ მეცნიერებათა შექმნას, რაც თავის თავად ნაყოფია ჩვენის მსწრაფლმავალის ცხოვრებისა: კაცის მოქმედების ყოველივე დარგი, გინა ხელობა დღეს მეცნიერულ ნიადაგსა თხოულობს. დურგალი, ხარაზი, თერძი, კალატომი და ყველა სხვა ხელობის კაცი, რომლებიც წინად მარტო გამოცდილებითა სწავლობდნენ ხელობას, ახლა აღარა კმაყოფილდებიან მარტოდენ გამოცდილებით. დღეს მათ აქვთ განსაკუთრებული ჟურნალ-გაზეთები, აქვთ მთელი ბიბლიოთეკა, სადაც აღწერილია თითოეულ ხელობის გაუმჯობესებული პირობანი. თვით მინის მუშა გლეხიც კი აღარ კმაყოფილდება მამა-პაპურის ჩვეულება-იარაღებით. იგი კითხულობს ათასგვარ

სამეცნიერო წიგნებს მეურნეობის შესახებ, რათა თავისი შრომა ნაყოფიერი და მეტსარგებლიანი ჰყოს.“¹⁶⁶

1897 წელს, საყოველთაო აღწერის ციფრების თანახმად, ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა 868 766 ქართველი, ამათგან წერა-კითხვის მცოდნე (ორივე სქესისა) იყო – 122 891 ანუ 14,2 %; ტფილისის გუბერნიაში ქართველების საერთო რიცხვი იყო 467 631, ამათგან წერა-კითხვის მცოდნე (ორივე სქესისა) 66 211 ანუ 14,1 %. საერთოდ ორსავე გუბერნიაში მცხოვრებ 1 336 397 ქართველში წერა-კითხვა იცოდა 189 102 ანუ 14,2 %-მა. როგორც ხედავთ, წერა-კითხვის მცოდნე მცხოვრებთა მხოლოდ მეშვიდედი ნაწილი ყოფილა, – მეტი არა და მართო წერა-კითხვის ცოდნა ხომ არაფერი საბუთია ადამიანის სწავლა-განათლებისა. იმავე აღწერის ცნობებით 1897 წელს მთელ საქართველოში ყოფილა მხოლოდ 12867 ადამიანი (მცხოვრებთა 0,9 %), რომელთაც პირველდანიეებითვე უმაღლეს სკოლებში ჰქონიათ სწავლა დასრულებული.¹⁶⁷

საქართველოს მთავრობა განათლების სამინისტროს დაწესებულებათა და სასწავლებლების უფროსებს მოუწოდებდა: „1920/21 წლის ბიუჯეტის შესადგენად საჭიროა განათლების სამინისტროს ყველა დაწე-

¹⁶⁶ ევროპული XX საუკუნე, თბილისი, 2019, გვ. 152

¹⁶⁷ ევროპული XX საუკუნე, თბილისი, 2019, გვ. 150

სებულებებისა და სასწავლებლის ხარჯთაღრიცხვა. ამიტომ წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ /არა უგვიანეს ამა წლის 5 თებერვლისა/ წარმოადგინოთ 1920/21 წლის ხარჯთაღრიცხვა.

სახელმძღვანელოდ გაცნობებთ, შემდეგს: 1. თანახმად საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონისა, 1919 წლის 31 იანვარს, საბიუჯეტო და საფინანსო წლის დასაწყისად მიღებულია პირველი ივნისი და მის დასასრულად შემდეგი წლის ოცდათერთმეტი მაისი. 2. ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს აუცილებელივ საჭიროა იხელმძღვანელოთ მთავრობის მიერ დამტკიცებული შტატებით. 3. შტატგარეშე საჭირო თანხების შესახებ ცნობები წარმოდგენილ უნდა იქმნას ცალკე განმარტებით ბარათში. 4. მოსალოდნელი შემოსავალი /სპეციალურ თანხებისა, ერობათა და ქალაქის თვითმმართველობისაგან აღნიშნული უნდა იქმნას შეძლებისდაგვარად სწორად. 5. ვინაიდან სასწავლო წლის განმავლობაში სამინისტროს ბიუჯეტში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, ხარჯთაღრიცხვა ნავარაუდევია უნდა იქმნას მომავალი საბიუჯეტო მთელი წლისათვის. 6. ხარჯთაღრიცხვაში არ უნდა იქმნას შეტანილი დეკრეტებით დაწესებული თანხები, რომელთა კრედიტებიც იხსნება ცალკე უწყებებით. 7. ვინაიდან ხუთწლეულების თანხებისათვის

/საშუალო და უმაღლეს პირველდანიეებითი/ ცალკე მუხლი არ არსებობს, იგი შეტანილ უნდა იქმნას სასწავლებლის პირად შემადგენლობისათვის საჭირო თანხაში. 8. იმ საშუალო სასწავლებელთა ხარჯთაღიხვა, რომელიც ჯერ-ჯერობით არ გამოჰყოფიათ უმაღლეს დანიეებითი სკოლა, უნდა შესდგეს მთლიანად – პირველ ოთხ კლასისათვის უმაღლეს დანიეებითი სკოლებისათვის დანიესებულ ნორმების მიხედვით. /გამგებლობა და სხვა საჭირო ხარჯები ნაანგარიშევი უნდა იყოს საერთოდ/.¹⁶⁸

განათლების სამინისტროს წარმომადგენლის მოხსნებისა და ერობათა შორის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ თემისებიდან და დასკვნებიდან ვიგებთ შემდეგს: „განათლების სამინისტრო საკითხს აღნიშნული დამოკიდებულების შესახებ ყოფს ორ ნაწილად: 1. პირველი ეხება დამოკიდებულებათა პრინციპიალურ მხარეს, ძირითად დებულებებს, რომელნიც უნდა შემუშავებულ იქმნას სამინისტროს მიერ და დამტკიცებული კანონმდებლობის წესით დამფუძნებელი კრების მიერ. ამ რიგად იგი შევა რესპუბლიკის საკონსტიტუციო კანონებში. 2. ხოლო მეორე შეიცავს სკოლების თვითმმართველობათა ხელში გადასვლით გამოწვეულ ახლანდელს მდგომარეობას, რომელიც მოით-

¹⁶⁸ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №14, ფურც. 5

ხოვს სამინისტროსაგან კონკრეტული შემთხვევების მიხედვით შესაფერ პრაქტიკულ ზომების მიღებას. განათლების სამინისტრომ თავის მსჯელობას პრაქტიკულ საშუალებათა შესახებ დაუდო ორი ძირითადი საფუძველი, ორი პრინციპი: 1. დაბალ სკოლას დღეს ფაქტიურად ინახავს სახელმწიფო ხაზინა; სამინისტრო არის ყოველწლიური ხარჯთაღირცხვის შემდგენი და განმანაწილებელი საზოგადოებრივ თვითმმართველობათა შორის. 2. საყოველთაო სასკოლო განათლებას ხელმძღვანელობს მთავრობა და ახორციელებს ერობათა საშუალებით. გამოდის რა ამ დებულებათაგან, სამინისტრო სამართლიანად სცნობს რომ სკოლის ხელმძღვანელობა და საერთო კონტროლი დარჩეს მთავრობის ხელში. ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნია: 1. დღევანდელი სახალხო სკოლების ინსპექტორები დარჩნენ მანამდე, სანამ არ მოხდება მათი კანონიერი ლიკვიდაცია. 2. ინსპექტორები არიან სამინისტროს წარმომადგენელი, უწევს სკოლებს მეთვალყურეობას სწავლა-აღზრდის მხრივ, ანხორციელებენ სამინისტროს კონტროლს და ერობასთან დამოუკიდებლად უდგენენ მის მოხსენებებსა და ანგარიშებს. ინსპექტორები არ ერევიან სკოლის საადმინისტრაციო და სამეურნეო საქმეებში. 3. სამინისტრო გამოსთქვამს სურვილს, რომ დღევანდელი ინსტრუქტორები, შეძლებისდაგვარად, იყვნენ აღჭურ-

ვილნი უმაღლესი განათლებით და ჰქონდეთ შესაფერისი პედაგოგიური სტაჟი. იშვიათ შემთხვევაში ინსტრუქტორის განათლების ცენზი უნდა იყოს არა ნაკლებე სამასწავლებლო ინსტიტუტისა, თვითონ კი მას ჰქონდეს 8-10 წლის პედაგოგიური პრაქტიკა. 4. ახალი დებულების შემოღებამდე ინსტრუქტორებს ჯამაგირობით აკმაყოფილებს ერობა. 5. ერობის ხელში გადადის ეროვნებათა სკოლებიც. 6. ერობას აქვს უფლება გახსნას თავის რაიონში საკუთარის ხარჯით სასწავლებელი მხოლოდ სამინისტროს მიერ შემუშავებულის სასკოლო ქსელის მიხედვით, რათა დაცული იქმნას სისტემის წესი და მთლიანობა.“¹⁶⁹

საქართველოს ხელისუფლება ნათლად აცნობიერებდა, რომ ქვეყანას გააჩნდა ეკონომიკური და სამეურნეო პოტენციალი. მთავარი იყო ამ ყოველივეს ათვისება. „საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ჩვენ ეკონომიურად და ფინანსიურად მეტად ცუდ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ამ მდგომარეობის გამოკვეთება ძნელია და მის გასაუმჯობესებლად ძლიერ ცოტა კეთდება. საქართველოს ტერიტორიაზე დიდძალი საქონელი მოიპოვება, რომლის რიგიანად, მიზანშეწონილად მოხმარებით დიდ სამსახურს გაუნწვდით ჩვენს სამშობლოს დიდგანცდის ხანაში. მაგრამ ყველა ეს

¹⁶⁹ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №26, ფურც. 17

ქონება გაფანტულია და ამას ჩვენ ვერ ვიყენებთ ისე, რომ ვალიუტის შექმნისათვის და უცხოეთიდან საჭირო საქონელის შემოტანისათვის მათი საშუალებით მოგვეცეს ცოტა შეღავათი მაინც. დღეს ვილაცხვები სახელმწიფოს ინტერესებთან მიზანშეუწონლად კრეფენ ამ ქონებას და ნაწილ-ნაწილად გააქვთ საზღვარგარეთ; შემდეგ მათ რამე ისევ შემოაქვთ საზღვარგარეთიდან – ეს მხოლოდ სპეკულაციის სახით.

თუ ასე გაგრძელდა, ცოტა ხანში ეს საქონელი ხელიდან გამოგვეცლება და არ გვექნება არავითარი ვალიუტა უცხოეთში საქონლის შესაძენად. ასეთი მდგომარეობა ჩვენთვის ეკონომიურად დამარხვა იქნებოდა და მთავრობამ ყოველივე ზომა უნდა მიიღოს, რომ ის საქონელი, რომელიც მოიპოვება ჩვენს ტერიტორიაზე სახელმწიფოს ინტერესებთან მიზანშეუწონილად იქნეს გამოყენებული. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მთავრობას ქონდეს ცოტა მაინც თანხა.

ამიტომ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია დეკრეტის ძალით მთავრობას სასწრაფოდ გადაეცეს არა ნაკლები ოცი მილიონი მანეთისა და დაევალოს მას ამ საქმის სასურველად დაუყონებლივ მოწყობას შეუდგეს. ამ მოსაზრე-

ბით კომისია წარმოუდგენს დამფუძნებელ კრებას ხსენებულ დეკრეტისას და სთხოვს მის დადასტურებას“.¹⁷⁰

ჩვენი რესპუბლიკის ფინანსური ვითარება ისეთია, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს შემოსავლის ახალი წყაროების გამოძებნა. იმის ფიქრი, თითქოს ჩვენ შევძლებდეთ, სანამ ცხოვრება ნორმალურ პირობებში ჩადგებოდეს, ხარჯების გადასახადებით დაფარვას, არ შეიძლება. პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადების წყარო ამოწურულია; მომატება გადასახადებისა აღარ მოხერხდება. ამიტომ ბიუჯეტში ჩვენ შევიტანეთ ისეთი არაჩვეულებრივი შემოსავალიც კი, როგორცაა მიწის ფონდის კერძო საკუთრებათ გადაცემისაგან მოსალოდნელი შემოსავლის სავსებით გამართლების სრული იმედსაც ვერ ვიქონივით. ცხადია, უნდა ვიზრუნოთ შემოსავლის სხვა წყაროებზედ. ასეთ წყაროდ ფინანსთა უწყება ინახავს მონოპოლიას მთელ რიგ საგნების, რათა ამ გზით ნაწილი იმ მოგებისა, რომელიც კერძო პირთ მიაქვთ სახელმწიფოების ხელში გადავიდეს. უთვალსაჩინოეს ადგილს ამ საკითხში იჭერს ჭიათურის შავი ქვა.

... მხოლოდ დღევანდლამდის მისი ექსპორტი ვერ იყო ჯეროვანად დაყენებული. 1904 წლიდან მოყოლებული 1913 წლამდე საშუალოდ 205 ფირმა ემსა-

¹⁷⁰ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. № 20, ფურც. 14

ხურებოდა შავი ქვის დამუშავებას და მათგან მხოლოდ 8 ფირმას გაჰქონდა შავი ქვა საზღვარგარეთ, მაშინ, როდესაც 197 ფირმა ადგილობრივ ყიდულობდა მას მიუხედავად ამისა ამ დროის განმავლობაში საშუალო რიცხვით 28 ფირმას გაჰქონდა შავი ქვა საზღვარგარეთ. მაშასადამე, ამ 28 ფირმიდან რვა თვითონ ამუშავებდა მადანს, დანარჩენი ოცი კი ადგილობრივ იძენდა და საზღვარგარეთ გაჰქონდა გასაყიდათ. ამ უკანასკნელთ დიდი კავშირი ჰქონდათ ამერიკასთან და ინგლისთან; სახსარი და შეძლება ჰქონდათ რამდენიც უნდოდათ იმდენი გაეტანათ ჩვენი ქვეყნიდან შავი ქვა და ამიტომ მეტად ამცირებდნენ შავი ქვის ფასს, რომ თვითონ გადამეტებული მიღება მიეღოთ. რა თქმა უნდა ამ მოგებიდან მრენველობის გასათართოებლად, მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და კულტურული მიზნებისთვის არაფერი რჩებოდა. მაშასადამე, სწორედ შავი ქვის საზღვარგარეთ გატანაში უნდა გამოიჩინოს სახელმწიფომ თავისი ინიციატივა...

... სახელმწიფო კი აქედან დიდ მოგებას უნდა მოელოდეს, რომლის რაოდენობა შეიძლება დაახლოებით შემდეგი ანგარიშებით გამოვარკვიოთ. 1. საშუალო ანგარიშით წელიწადში საზღვარგარეთ გავა 30 000000 ფუთი მარგანეცი. 2. ადგილობრივ შავი ქვის ფასი ერთი ფუთი სამი მანეთი და ათი შაური ან და

ოთხი მანეთია. 3. გასაყიდი ფასი ფოთში ან ბათუმში ერთი შილინგია /ამ დროს კურსით ოცი მანეთი/.

ადმინისტრაციის შენახვაზე, საკომისიო ხარჯებზე და საქონლის გატანაზე, რომ გასაყიდი ფასის 30% ვიანგარიშით წმინდა მოგება დარჩება ფუთზე ათი მანეთი და სულ 300 მილ. მანეთი. აქედან ცხადია, შავი ქვის საზღვარგარეთ გატანის სახელმწიფოს მონოპოლიათ გამოცხადებით ჩვენ ხელს შეუწყობთ არა მარტო ბიუჯეტის გაჯანსაღებას, არამედ და უმთავრესად უცხო ვალუტის შეძენას, ჩვენებურ ბონების კურსის გამაგრებას და ერთნაირ საფუძვლის გამოცხადებასაც საკუთარი ვალუტის შესაქმნელად.¹⁷¹

მაგალითად ჭიათურის რაიონში სულ 22 ფირმა ითვლებოდა. აქედან ეკუთვნოდა: ქართველებს – 6 (ამათ შორის უდიდესი იყო ახლად დაარსებული „ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება“, რომელიც თავის მხრივ აერთებდა რამდენიმე ქართულ ფირმას), გერმანელებს – 2, ინგლისელებს – 2, ბელგიელებს – 1, ფრანგებს – 1, ბერძნებს და სხვებს – 10.¹⁷²

საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ მოხსენებაში, სადაც საუბარია სახელმწიფო ბანკის მონ-

¹⁷¹ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. №20, ფურც. 23

¹⁷² ვ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მემკვიდრეობა, ტ. 2, პარიზი, 1960, გვ. 89

ყობის შესახებ, საინტერესოა შემდეგი: „ ფული და კრედიტი არის ღერძი თანამედროვე მეურნეობის. ამიტომ ბანკები ჩვენს დროში არამც თუ ეკონომიურ სფეროში თამაშობენ უდიდეს როლს, არამედ თვალსაჩინო გავლენას პოულობენ საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკურ საქმეებზედაც.

კერძოდ, ვალუტის საკითხს, სადისკონტო პოლიტიკას და სხვა მრავალ საკითხებს, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან სახელმწიფოს ცენტრალურ ბანკთან, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ იმისთვის, თუ რა ხასიათს მიიღებს ვაჭრობა-მრეწველობა სახელმწიფოში და რა გზით წავა იმის მწარმოებელ ძალთა განვითარება. განსაკუთრებით მატულობს ამ მხრივ ბანკის მნიშვნელობა, როცა იმას საემისიო უფლებაც აქვს მინიჭებული, რადგან სწორედ საემისიო პრივილეგია უწყობს ასეთი უფლებით აღჭურვილ ბანკს გახდეს De Facto სახელმწიფოში არსებულ ყველა საკრედიტო დაწესებულებათა ცენტრალურ ბანკათ – „ბანკების ბანკად“ და ხელში აძლევს იმას სადავეს მთელი კრედიტის და ფულის ტრიალს განაწილების და მოწესრიგებისას.

ახლა თითქმის ყველგან სახელმწიფო ბანკების ხელშია საემისიო უფლება. საქართველოშიც ეს ასე უნდა მოხდეს, მით უფრო, რომ საკითხი, თუ ვის უნდა

მიენიჭოს საემისიო უფლება, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა დროს სადავო ყოფილა ხოლმე, ჩვენთვის უდავოდ არის მისაღები: შეუძლებელია საქართველოს რესპუბლიკაში რამდენიმე საემისიო ბანკი არსებობდეს, ეს უფლება ჩვენში უნდა მიენიჭოს ერთ რომელსამე ბანკს და ასეთი, უეჭველია სახელმწიფო ბანკი იქნება.

... რა ტიპის უნდა იყოს სახელმწიფო ბანკი? სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვანაირად გადაუჭრიათ ეს საკითხი. ინგლისში საემისიო ბანკი სრულიად კერძო სააქციონერო დაწესებულებაა; იგი მოქმედობს თანახმად მისთვის მინიჭებული საემისიო უფლების და საკუთარ წესდებისა და ამ ფარგლებში სავსებით დამოუკიდებელია. იმის მართვა-გამგეობაში მთავრობა არავითარ მონაწილეობას არ იღებს.

რუსეთში სახელმწიფო ბანკი მთავრობის დაწესებულებაა. ძირითადი თანხა აქ სახელმწიფომ დასდო და მართვა-გამგეობაც სრულებით მთავრობის ხელშია. (ასეა საქმე აგრეთვე ბულგარეთში, შვეიცარიაში და ფინლანდიაში). გერმანიაში სახელმწიფო ბანკი სააქციონერო დაწესებულებაა; ძირითადი თანხა კერძო აქციონერებში არის შეგროვილი, მაგრამ ბანკის გამგებლობა სავსებით მთავრობის ხელშია (ასევე არის საფრანგეთში, შვეიცარიაში და სხვა.). ამნაირად,

პრაქტიკამ მოგვცა სამი კლასიკური მაგალითი სახელმწიფო საემისიო ბანკის: ა) სრულიად დამოუკიდებელი, წმინდა სააქციონერო (ინგლისი), ბ) წმინდა სახელმწიფო (რუსეთი) და გ) შერეული-სააქციონერო-სახელმწიფო (გერმანია).¹⁷³

საინტერესო ინფორმაციას გვანვდის სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენება 1918-1919 წლების ბიუჯეტის შესახებ, რომელიც ყოველწლიურად წარედგინებოდა საკანონმდებლო დანესებულებას და რომელიც წინ უსწრებდა საბიუჯეტო წელს. „1. შესახებ ცნობებისა საერთო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის აღსრულებისათვის გასულ სახარჯთაღრიცხვო ხანაში, 2. აღმასრულებელ ძალის მოქმედების შესახებ ბიუჯეტის შესრულების საქმეში და 3. თვით სახელმწიფო კონტროლის მოქმედება საანგარიშო ხანაში შესახებ იმისა, თუ როგორ ადევნებდა იგი თვალყურს, რათა გამკარგულებელ და აღმასრულებელ ძალებს ემოქმედნათ კანონიერად და ხელმომჭირნედ და აგრეთვე დაცული ყოფილიყო როგორც სათანხო ისე სამასალო სახელმწიფო ქონება.

პირველ და მეორე მუხლებში მოხსენიებული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეიძლებოდა მხოლოდ 1919/20 წლის ბიუჯეტის შესრულების დროს,

¹⁷³ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ.№ 20, ფურც. 178

რადგანაც მხოლოდ ამ ხანის განმავლობაში იყო შემუშავებული სახელმწიფო გასავალ-შემოსავლის ხარჯთაღრიცხვა, მხოლოდ რაც შეეხება 1918 და 1919 წლის ხარჯთაღრიცხვის პირველი მათგანი გაგრძელდა სულ შვიდი თვე დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ვიდრე 1919 წლის 1 იანვრამდის, მეორე კი ხუთი თვე /1919 წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე/ ე. ი. ახალი 1919-1920 საბიუჯეტო წლის დასაწყისამდე და მასთან ორივე ეს ხარჯთაღრიცხვანი ზოგიერთ თავის მდგომარეობით წარმოადგენდნენ რუსეთის სახარჯთაღრიცხვათა გაგრძელებას და ზოგიერთ შემთხვევებში კი ატარებდნენ შემთხვევით ხასიათს იმიტომ, რომ რუსეთის დაწესებულებათა ლიკვიდაციის შემდეგ არსდებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულებანი, რომელთაგანაც ამ გარდამავალ ხანაში, ყველას არ ჰქონდა აღმოცენების დროს წინასწარ დამტკიცებული შტატები და ხარჯთაღრიცხვა. თუმცა შემდეგში ფინანსთა სამინისტროს მიერ მოეთხოვა ყველა სამინისტროებს 1919 წლის კერძო ხარჯთა განაწილებანი ბიუჯეტის შესადგენად, მაგრამ ეს ცნობები აღმოჩნდნენ უსრულნი და არ ეძლეოდნენ საბიუჯეტო საფინანსო შედარებათა და დასკვნისათვის ამომწურველ მასალას.

მხოლოდ 1919/20 წლის ბიუჯეტი, შეიძლება ჩაითვალოს იმ მასალად, რომელიც იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ სახელმწიფო შემოსავალ-გასავალთა განწესების შესრულების შესახებ, ზევით მოხსენებულ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. ამიტომ ამ მოხსენებაში სახელმწიფო კონტროლს არ შეუძლია დაგიხატოს 1918 და 1919 წლების ხარჯთაღრიცხვათა მოქმედება შედარებით მეთოდის მიხედვით და გიჩვენოს რა ციფრებში უნდა იყოს გამოხატული ამ წლების ხარჯთაღრიცხვანი, რაში გამოიხატება შეუსრულებლობა წინასწარ განზრახულ მოლოდინისა და აგრეთვე რითი იყო გამოწვეული უსწორობანი, არის თუ არა იგი საფუძვლიანი და შესაწყნარებელი და ამართლებს თუ არა იგი აღმასრულებელ ძალთა მოქმედებას¹⁷⁴.

1918 წლის 1 ივლისამდე საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა შემდეგი საკონტროლო დაწესებულებანი: ტფილისის საკონტროლო პალატა, ამიერკავკასიის რკინისგზათა კონტროლი, ქართულ კორპუსის სავალე კონტროლი და ამიერკავკასიის მთავრობის სახელმწიფო კონტროლიორის მთავრობის სახელმწიფო კონტროლიორის კანცელარია. ყველა ამ დაწესებულებებში ირიცხებოდა 360-მდე მოხელე. რეფორმის შემდეგ სამსახურში დატოვებულ იქნა 107 კა-

¹⁷⁴ სცსა, ფ. 1940, აღწ. 1, საქ. № 4, ფურც. 2

ცი, მათ რიცხვში: ქართველები 68%, რუსები 21% და სომხები 11%“. ¹⁷⁵

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლი და მისი ორგანიზაცია გამოსახა შემდეგ საერთო ფორმებში: „კონტროლი არის ორგანო სახალხო წარმომადგენლობისა და წარმომადგენს სახელმწიფო მმართველობის ცალკე ნაწილს. მისი ორგანიზაცია კანონით სულ სხვა ტიპით არის მიღებული, ვიდრე აღმასრულებელი ძალის დაწესებულებაა. იმ დროს როცა უკანასკნელი იყოფა სამინისტროებად, სამმართველოებად და ცალკე მისდამი ქვემდებარე ნაწილებად – სახელმწიფო კონტროლი წარმოადგენს ერთს მთლიან სარევიზიო ორგანოს და არ აქვს არავითარი ქვემდებარე ნაწილი ან განყოფილება, რომლებსაც ჰქონდეს მინიჭებული უფლებანი ცალკე დაწესებულებისა. მხოლოდ პრაქტიკულ მოსაზრებათა გამო და აგრეთვე საქმის სიჩქარის და ელასტივობისათვის, კონტროლი იყოფება თავის შინაგან მმართველობაში იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათს ატარებს შესამოწმებელი და სარევიზიო ანგარიშები, სექციებად, მხოლოდ უკანასკნელნი კი განყოფილებად. ამასთან ერთად, რევიზორების მომზადებისთანავე, ზოგიერთი განყოფილებანი გადადიან ტფი-

¹⁷⁵სცსა, ფ. 1940, აღწ. 1, საქ. № 4, ფურც. 3

ლისიდან სხვა ადგილებში და ამ რიგად შესაძლებელი ხდება დაახლოვება კონტროლისა ანგარიშვალდებულ ადგილებთან.

მმართველობის მხრით სახელმწიფო კონტროლი დაქვემდებარებულია სახელმწიფო კონტროლიორს. მისგან არის დამოკიდებული მიღება თუ დანიშვნა მოხელისა თანამდებობაზედ, გარდა სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა, რომელიც როგორც თვით სახელმწიფო კონტროლიორი ინიშნება და გადაყენებულ იქნება სამსახურიდან პარლამენტის მიერ. ყოველ ცალკე შემთხვევაში, როცა სახელმწიფო კონტროლიორი ითხოვს სამსახურიდან მოხელეს. საქმის მოთხოვნილების თანახმად, გარეშე მისი სურვილისა, სახელმწიფო კონტროლიორი ყოველ ცალკე შემთხვევაში, როცა სახელმწიფო კონტროლიორი ითხოვს სამსახურიდან მოხელეს, საქმის მოთხოვნილების თანახმად, გარეშე მისი სურვილისა, სახელმწიფო კონტროლიორი ყოველ ცალკე შემთხვევაში ითხოვს საერთო საკრებულოსაგან აზრს, მხოლოდ ეს უკანასკნელი არ არის სავალდებულოდ მისაღები მისთვის“.¹⁷⁶

ბორჯომის მამულების ტყის მრეწველობის შესახებ წარმოდგენილი მოკლე მოხსენებიდან ასევე ცხა-

¹⁷⁶სცსა, ფ. 1940, აღწ. 1, საქ. № 4, ფურც. 5

დი გახდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტყის მრეწველობის წარმოებას, და რა დიდი სარგებლის მოტანა შეეძლო მას ხაზინისათვის, თუ კი მისი საქმის ორგანიზაცია გონივრულად და შესაფერისად იქნებოდა მოწყობილი. გლეხების თვითნებობით ტყის გაჩეხვამ საშინელი სახე მიიღო, გაჩეხილია იყო 1000 დესიატინა ტყე.¹⁷⁷

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს მონაცემებს, შემდეგში მდგომარეობდა: „1. საფინანსო და საბიუჯეტო წლის დასაწყისად მიღებულ იქმნას 1 ივნისი და მის ბოლოდ შემდეგი წლის 31 მაისი, ბიუჯეტი სდგება თორმეტი თვით. 2. საბიუჯეტო წლის ანგარიში შედგეს საკალენდარო ვადის მიხედვით, ე. ი. თორმეტი თვეულად. 3. გაუქმდეს საშეღავათო ვადები, ხარჯთაღრიცხვის საერთო წესების 36 და 37 მუხლში და სახაზინო პალატის ინსტრუქცია 368 და 369 პარაგრაფებში აღნიშნული ამ უკანასკნელი გაუქმებით. 4. ყველა კრედიტები, რომელნიც 1918 წელს და იმაზე წინა წლებების ხარჯთაღრიცხვათა მიხედვით ჯერ კიდევ არ იქმნენ მოაზრებულნი, დახურულ იქმნან 1919 წლის 1 თებერვალს, გარდა ათ მილიონიან ფონდიდან გასაღებად ნებადართულ კრედიტებისა და აგრეთვე იმ კრედიტთა ასიგნობების, რომელნიც ხაზინებში დარ-

¹⁷⁷სცსა, ფ. 1940, აღწ. 1, საქ. № 4, ფურც. 25

ჩვენ გადაუხდელნი ფულის ნიშნების უქოლობის გამო, უკანასკნელ შემთხვევაში, უსარგებლოდ დარჩენილნი კრედიტები 1919 ლის 31 მაისს დახურულ იქმნას. 5. 1919 წლის პირველ იანვრიდან ვიდრე 31 მაისამდე საგასავალო კრედიტები გაიხსნებიან პარლამენტის მიერ თვიურ თანხების მიხედვით. 6. მიეცეს ფინანსთა მინისტრს უფლება უწყებებისათვის 1919 წლის იანვრის თვეში კრედიტების გახსნისა თვიური საჭიროების რაოდენობის მიხედვით თანახმად მათ, უწყებათა მიერ, ფინანსთა მინისტრისადმი საბიუჯეტო ცნობების მოწოდებისა. 7. დავვალოს ყველა სამინისტროებს საბიუჯეტო 1919/1920 წ.წ. ხარჯის პროექტი წარმოუდგინონ ფინანსთა მინისტრს სამინისტროს 1919 წლის იანვრის დამლევამდე. 8. ფინანსთა მინისტრს ვვალევა წარადგინოს პარლამენტში 1919-1920 წ.წ. საბიუჯეტო პროექტი 1 აპრილისათვის. 9. შემოსავალი აიკრიბება მთავრობის მიერ საერთო შემოსავლის განწესრიგებიდან თანახმად არსებული კანონისა. 10. შტატის და შტატგარეშე ხარჯებისათვის ათმილიონიან ფონდიდან კრედიტების გაღება გაუქმებულ იქმნას. 11. ამ მოხსენების 1, 2 და მე-3 მუხლი წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.“¹⁷⁸

¹⁷⁸ სცსა, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. №211, ფურც. 18

ფინანსთა მინისტრის მოხსენებიდან: „... გ) შეტანილ იქნას სასწრაფოდ პარლამენტში გადასაწყვეტად საკითხი მთავრობის დადგენილების შესახებ, რომლის ძალითაც ათ მილიონიან ფონდიდან გაღებულ 9 891 261 მან. კრედიტი გაეხსნება ფინანსთა სამინისტროს და ამით შევსებული იქმნეს ხსენებული ფონდი. გ) გამოცემულ იქმნას ამიერკავკასიის ბონები სომხეთსა და აზერბაიჯანთან შეთანხმებით საქართველოს რესპუბლიკის საჭიროებისათვის კიდევ ოთხმოცი მილიონი მანეთისა. ამავე ემისიაში საერთო წესით შემოყვანილ იქმნას რესპუბლიკები კავკასიის მთიელთა კავშირისა და თუ საჭირო იქნა გამოიცეს საქართველოს ხაზინის ბონები ასი მილიონი მანეთი: ერთი, ორი, სამი, ხუთი, ათის, ოცდახუთის, ორმოცდაათის, ასის და ხუთასის მანეთების კუპიურები.¹⁷⁹

1918 წლის 28 ივნისის კანონი სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსებისა: მუხლი 1. დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობა კონტროლიორისა. სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს ეროვნული საბჭო, იგი არ შედის მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნულ საბჭოს წინაშე. მუხლი 2. უთანხმოებას რესპუბლიკის კონტროლიორისა და მთავრობას შორის არჩევს და

¹⁷⁹ სცსა, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. №211, ფურც. 25

სწყვეტს ეროვნული საბჭო. მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კანონების ის მუხლები, რომელნიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ამიერიდან გაუქმებულია“.¹⁸⁰

1919 წლის 14 მარტს დამფუძნებელი კრების სხდომაზე ნოე ჟრდანიამ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა: „საქართველოს ხაზინას დღიდან ბოლშევიკების გადატრიალებისა 1917 წლის ოქტომბრიდან ცალი კაპეიკი არ მიუღია რუსეთიდან, – ადვილად წარმოიდგენთ ჩვენს ფინანსურ გაჭირვებას. ხოლო როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ ხაზინა სრულიად ცარიელი იყო. მიუხედავად ამისა, დღემდე სული მინც კი მივიტანეთ ისე, რომ არავითარი საგარეო ვალი არ აგვიღია. მართალია, შემოსავლის წყარო ფინანსიური თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ ბონების ბეჭდვის მეტი სხვაგზა არ გვქონდა. ამას მოყვა ფულის კურსის დაცემა, ე.ი. გამოცემული ბონები ჩვენი დეფიციტია, საშინაო სესხია, მაგრამ საგარეო სესხი ყველა ამ ვნებას მოგვიტანდა და იმავე დროს უცხო ძალის მოვალე გავხდებოდით. ამავე დროს მთავრობა ღებულობდა ყველა ღონეს მოეწყო გადასახადების ახალი სისტემა, ამკრეფი აპარატი, ახალი დამოუხნები და სხვადასხვა. ყველა

¹⁸⁰ სცსა, ფ. 1891, აღნ. 1, საქ. №75, ფურც. 95

ამ ზომამ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ შვიდ თვეს მოგვცა 69 044 000 მან. თუ მას რკინიგზის შემოსავალს 27 144 00 მანეთს მივუმატებთ, გამოვა, რომ ხაზინის შემოსავალი პირველ იანვრამდის ყოფილა სულ 96 188 000 მანეთი; ხოლო გასავალი იყო 342 240 000 მანეთი; დეფიციტია 246 086 000, რაიცა დაიფარა ბონების გამოშვებით, იმავე ხნის განმავლობაში ჩვენი საგარეო ვაჭრობა უდრის: შემოვიტანეთ უცხოეთიდან 140 929 260 მან. ხოლო გავიტანეთ 87 494 105 მან. მაშასადამე, ჯამი ჩვენი საგარეო აღებმიცემობისა გასულ წლის უკანასკნელ ექვს თვეს უდრიდა 228 343 336 მანეთს. შმოზიდვა აღემატება გავიღვას 54 435 095 მანეთი. რაიცა აიხსნება იმით, რომ ჩვენ ვსაჭიროებთ უცხო პურს და შაქარს. მთავარი ვაჭრობა გვექონებია უკრაინასთან – უდრის 110 მილ. მან. შემდეგ 6 მილ., სომხეთი – მილიონი და დანარჩენი – 56 მილიონი.¹⁸¹

მრეწველობის მხრით თითქმის არაფერი ახალი არ გაკეთებულა ამ ხნის განმავლობაში, თუ სახეში არ მივიღეთ ტყიბულის ქვანახშირის დამუშავებას რკინისგზების საჭიროებისათვის. აქ, როგორც ხედავთ ვაჭრობა-მრეწველობა და გადასახადთა სისტემა ჯერ კიდევ არ დგას იმ დონეზე, რომ სახელმწიფოს დეფიცი-

¹⁸¹ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. № 81, ფურც. 8

ტი ამ საშუალებიდან დაგვეფარა. მართალია, გვაქვს ერთი დიდი დარგი, რომელზედაც ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ, მაგრამ ჯერჯერობით ვი ეს საქმეც ვერ იძლევა საჭირო შემოსავალს. მე მოგახსენებთ სახელმწიფო ქონებაზე. აგრარული რეფორმის წყალობით სახელმწიფოს ხელშია დღეს დაგროვილი ორ მილიონ დესიატანამდე ტყე, ნახევარ მილიონამდე სახნავი მიწები, რვაას ათასამდე საძოვარი, კურორტები თავის სასახლეებით, მადნეული წყლით, მადნები და სხვა. მაგრამ ყველა ეს, როგორც ახალი შემოდებული საჭიროებს შეაფერ მოწყობას, დაყენებას, შესაფერ სამეურნეო საექსპლუატაციო აპარატების შექმნას, რაიცა დიდ ხარჯებს ითხოვს. უწყების ვარაუდით წელს ეს ქონება მოგვცემს 90 მილიონ მანეთს, ხოლო დაიხარჯება 71 მილიონი მანეთამდის. აქ რასაკვირველია ჩათვლილი არ არის სახნავი მიწების გადაცემა გლეხებზე კერძო საკუთრებათ, თანახმად პარლამენტის დადგენილებისა, საიდანაც მოველით არანაკლებ ორას მილიონ მანეთს, რაიცა, რასაკვირველია, ჩვენს ფინანსებს გააუმჯობესებს დროებით, მაგრამ ვერ მოსპობს დეფიციტს. მთავარი ძარღვი ჩვენი სახელმწიფო მოთხოვნილებისა, გარდა თავდაცვისა გარეშე და შინაურ მტერთაგან, არის ფინანსიურ მდგომარეობაში, რის

გამოკვეთება დაგვაყენებს საბოლოოდ მტკიცე, შეურყეველ საფუძველზე.¹⁸²

ჩვენი დამოუკიდებლობის და დემოკრატიის რეჟიმის განმტკიცება მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებასთან, თუ ჩვენ ეკონომიურად არ გავმაგრდით, ჩვენს პოლიტიკურ თავისუფლებასაც ბოლო არ ექნება. ეს ჭეშმარიტება ყველასთვის ცხადია. ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმდიდრე საუკეთესო პირობებს იძლევა სანარმოვო ძალთა განვითარებისათვის, რომ ჩვენი ხალხი შესაფერისი ცოდნით თუ გამოცდილებით იყოს აღჭურვილი. ძველ სკოლაში, სადაც ჩვენი ინტელიგენცია აღზრდილა, გამეფებული იყო კლასიციზმი და ბიუროკრატიული რეჟიმი, სპეციალურ ცოდნას, ბუნების შესწავლას და ბუნების ძალთა გამოყენებას აქ ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული. დღეს კი ჩვენი ახალი ცხოვრება სწორედ ასეთ განათლებას თხოულობს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ის ხალხი უფრო მდიდარი და კულტურულია, სადაც პროფესიონალურ და სამრეწველო განათლებას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. ეს ითქმის არა მარტო დიდ სახელმწიფოების შესახებ, არამედ ისეთ პატარებზედაც, როგორცაა მაგალითად, შვეიცარია, ბელგია, დანია და სხვა. ჩვენ დღეს

¹⁸² სცსა, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. № 81, ფურც. 8

ახალ ცხოვრებას ვინყებთ, შრომის და წარმოების განვითარებას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ და ამისთვის კი ხალხში პროფესიონალურ და სამრეწველო ცოდნის გავრცელებას უნდა ვეცადოთ, მაგრამ თუ ჩვენ საკმარისად მომზადებული და უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები არ გვყოლია ვერც ერთს ამას ვერ შევასრულებთ. სწორედ ეს მიზანი აქვს დღეს მთავრობას დასახული, როცა დღეს საზღვარგარეთ ახალგაზრდებს აგზავნის სპეციალურ ცოდნის შესაძენათ. დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს ევროპის კულტურას ფართოდ დავეწაფოთ, მეცნიერების, ტექნიკის და ვაჭრობა-მრეწველობის მეთოდებს იქვე გავეცნოთ, სადაც ცენტრია მსოფლიო კულტურის. მდიდრად მოწყობილი ლაბორატორიები, სადაც საუკეთესო მეცნიერები მეცნიერების პრინციპებს ყოველ დღეს ცდას უკეთებენ დიდი სამრეწველო ცენტრები, სადაც ტექნიკის უკანასკნელი განვითარებანი პრაქტიკაში განხორციელებას პოულობენ. ასეთ ალაგებში ტრიალი, სწავლა და დაკვირვება ბევრ რამეს შესძენს ჩვენს ახალგაზრდობას.¹⁸³

კანონი საქართველოს ბონის გამოშვების შესახებ მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ 11 ივლისს 1919 წლის დეკრეტის სახით (#101). აი დეკრეტის შინა-

¹⁸³ სცსა, ფ. 1830, აღწ. 1, საქ. № 52, ფურც. 55-56

არსი: 1. ნება მიეცეს საქართველოს მთავრობას გამოსცეს რესპუბლიკის ბონი სამასი მილიონი მანეთის; 2. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს დროებით, ვიდრე შემოღებულ იქნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული, რომლის საშუალებით ბონი გამოყიდული იქნება; 3. საქართველოს რესპუბლიკის ბონი უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელი ქონებით; 4. საქართველოს რესპუბლიკის ბონის მიღება სავალდებულოა რუსეთის ფულის ნიშნებისა და ამიერკავკასიის კომისარიატის ბონის თანაბრად.¹⁸⁴

ნოე ხომერიკი აღნიშნავდა: „ჩვენს რესპუბლიკას აქვს ერთი ფასდაუდებელი სიმდიდრე, რომლის არც ხელის შეხება შიძლება და არც ადვილათ გაზომვა. ეს – მისი გეოგრაფიული მდებარეობაა. საქართველო მსოფლიო გზაჯვარედინზეა გაშენებული. ამას ახლაც ისეთი უდიდესი კულტურული და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში, როგორც წინათ“.¹⁸⁵

ჯერ კიდევ 1909 წელს ჟურნალში „მოსავალი“ ილია წინამძღვრიშვილი წერდა: „უნინ ჩვენ ოთხი კუთ-

¹⁸⁴ ვ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, ტ. 2, პარიზი, 1960, გვ. 69-70

¹⁸⁵ ნ. ხომერიკი, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე, თილისი, 1920, გვ. 45

ხივ მახეში ვიყავით გაბმულნი. ჩენი ძალღონე ჩვენი მტრების მოგერებას უნდებოდა. მართალია, გაჭირვებიდან გამოვედით, მაგრამ ჩვენი შვილების სწავლა-განათლება კი შეფერხდა. ეხლა ყველა მეურნე უნდა ცდილობდეს მისცეს თავის შვილებს სამეურნეო ცოდნაც, რომ შეეძლოთ მათ გააუმჯობესონ ის მამული, რომელიც დღეს ხელათა აქვთ. სამეურნეო ცოდნას იძლევიან სამეურნეო სკოლები, სამეურნეო ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, საცადი მინდვრები და სხვა. მხოლოდ სამეურნეო ცოდნაში გამოცდილ მეურნეს შეუძლია სამეურნეო საქმის კეთილ ნიადაგზე დაყენება თავისა და საზოგადოების სასარგებლოდ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ქართველს უყვარს თავისი სამშობლო ქვეყანა. ამისათვის მეურნეს ყოველთვის უნდა ქონდეს მხედველობაში, რომ მამული ხელიდამ იმას არავინ გამოაცალოს, ცარიელზედ არ დარჩეს და მანანნალა არ გახდეს, თორემ შემდეგში ბევრ ცრემლს დაღვრის გატანჯული ცხოვრებით. ცოდნა და შრომა ვაცს ახალისებს, აპატიოსნებს, უნერგავს გულში მამულის სიყვარულს. როგორც ლამპარი უნათებს გზას, უადვილებს შრომას და აძლევს ვაცს ნანარმოებიდამ მეტ ღალას, მეტ სარჩოქონებას. ცოდნით მდიდარი ადამიანი არავისი მონა არ არის. თავისი შრომით ირჩენს თავს, ინახავს ოჯახს, კეთილსინ-

დისიერად იხდის ყველა თავის მოვალეობას წინაშე საზოგადოებისა და სახელმწიფოსი. ცოდნით ბრმასაც კი ეძლევა საშუალება იცხოვროს თავისი შრომით.“¹⁸⁶

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ღონისძიებები ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის თავისთავად მნიშვნელოვანია, როგორც ამას საარქივო დოკუმენტებიც მოწმობენ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივია ასეთი ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში საკმაოდ რთული იყო ყველა იმ ღონისძიების გატარება, რომელსაც შედეგად ეკონომიკის აღორძინება და განმტკიცება უნდა მოყოლოდა. ამიტომ განხორციელებულ რეფორმებს გააჩნდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, როგორც ეროვნული ეკონომიკის, ასევე ქვეყნის სხვადასხვა სფეროების გაძლიერების თვალსაზრისით.

¹⁸⁶ ილია წინამძღვრიშვილი, რა არის ცოდნა, ჟურნალი „მოსავალი“, 1909, № 1, გვ. 4-5

თავი მესამე ჯარისკაცი და განათლება

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამოსავალ მიზნად დაისახეს ქართული ჯარის გარდაქმნა, არა მხოლოდ სამხედრო-პროფესიონალური თვალსაზრისით, არამედ მათი საგანმანათლებლო და ეროვნული შეგნების ამაღლებით. მანამდე, ანუ 1918 წლამდე ქართველი ჯარისკაცისთვის ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო, ისინი რუსეთის საიმპერატორო კარის უშუალო დასაყრდენს და მისი ნების შემსრულებელს წარმოადგენდნენ. ეროვნულმა მთავრობამ კი პირველ რიგში ჯარისკაცის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებას მიაქცია ყურადღება. „მას (ჯარისკაცს) უნდა ჰქონდეს ელემენტარული წარმოდგენა მაინც უცხო მხარეებზე, დიდ სახელმწიფოებზე და უფრო დანვრილებითი ცოდნა თავისი სამშობლო მხარის გეოგრაფიისა, უნდა გაეცნოს თავისი ერის ისტორიას. უნდა იცოდეს მიმდინარე ეკონომიური და სოციალური პერსპექტივები თავისი ქვეყნისა. განსაკუთრებული გარკვევით ვალდებულია იცოდეს თავისი სამშობლოს სახელმწიფოებრივი წყობილება, განსხვავება სახელმწიფოს ძველ და ახალ პოლიტიკურ და სოციალურ წესწყობილებას შორის. განსაკუთრებით საინტერესოა სამშობლოს წარჩინებული პირების, ანუ თანამედროვე

საქართველოს მოღვაწეთა ღვაწლის შესწავლა, რაც ძლიერ შეუწყობს ხელს პატრიოტულ გრძნობის გაღვივებას. განთქმული სამხედრო მოქმედებანი, თუგინდ პატარა მეომრებისა, განსაკუთრებით ხელს შეუწყობს მხედრული თავმოყვარეობის გრძნობის გაძლიერებას, რაც აუცილებელია ყველა საქმის წარმატებისათვის და თანაც აძლიერებს თითოეულ მხედარში სამშობლოსადმი სიყვარულს.“¹⁸⁷

ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ ელიტას სწამდა, რომ თავისუფლებისათვის და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მას შეეძლო, ვისაც გაცნობიერებული აქვს თავისუფლების არსი, ამიტომ კულტურულ მუშაობას ჯარისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ გიორგი მაზნიაშვილი ჯარში წესრიგისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას მთავარსარდლის დამსახურებად მიიჩნევდა და ამიტომ ამ ფუნქციის შესრულება საპატიო მოვალეობად და პასუხისმგებლობად მიაჩნდა. იმისთვის, რომ ჯარი იყოს ძლიერი და სამშობლოს მოყვარული, ჯარისკაცი მუდმივად ფორმაში უნდა იყოს და რაც მთავარია გააჩნდეს მაღალი კულტურული და ინტელექტუალური ცნობიერება. საუკუნეების მანძილზე ძლიერი ჯარი ნე-

¹⁸⁷ ჟურნალი, რესპუბლიკის ჯარი, 1918, №1, გვ. 6

ბისმიერი სახელმწიფოს ძლიერების მთავარი დასაყრდენი იყო, გამონაკლისს არ წარმოადგენდა საქართველოც. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი დღის წესრიგში დადგა ქართული ჯარის ახალი ფორმით აღორძინება. ქართული კულტურული და პოლიტიკური სპექტრი აცნობიერებდა რა საქართველოს წინაშე დასმულ მრავალ გადაუჭრელ საკითხს და იმ პრობლემას, რომელიც საქართველოს ყოველი მხრიდან ემუქრებოდა გადამწყვეტ პირობად მიიჩნევდა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის ძლიერი ჯარის შექმნას. ამის გამოხატულება იყო პირველ რიგში ის ფაქტი, რომ აღმოფხვრილიყო დეზერტირობა და ქართველი ჯარისკაცი სამშობლოს სამსახურში ჩამდგარიყო. „საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საჭიროდ სცნო ჯარისკაცთა განათლება. მან დააარსა სამხედრო განათლების 2 სკოლა, რომელთა სათავეში დგანან ჩვენში ვარგად ცნობილი: პოლკოვნიკი, ტიტე ართმელაძე და პედაგოგი ალექსანდრე ჟორჟოლიანი. თითოეულ ბრიგადას მიუჩინეს თითო ინსტრუქტორი, ხოლო რაზმებში კი თითო მასწავლებელი, რომლის ხელმძღვანელობით გუნდის აფიცური ჯარის ვაცთ ასწავლის წერაკითხვას და ანგარიშს. რაზმის მასწავლებლები პირველ-მეორე საფეხურის სკოლებში ბაასის საშუალებით ასწავლიან ჯარისკაცთ ქართულ ლიტერატურას, სა-

ქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას და ებაასება მეცნიერების სხვა დარგებიდანაც. თითოეულ რაზმში აქვთ საკუთარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მონყო-ბილია თეატრი, სადაც ჯარისკაცი სისტემატიურად ან-ყობენ წარმოდგენებს და ლექციებს საგანგებოთ მონ-ვეული პირების დახმარებით. ნაბიჯი გადადგმულია. ჯარში ღრმად იკიდებს ფეხს კულტურა-განათლების საქმე. საჭიროა მეტი ყურადღება, მუშაობის გაასკვეცება და ახლო მომავალში ჩვენი მხედრობა თავისი განვი-თარება-განათლებით უზრუნველყოფს ჩვენი ერის კე-თილდღეობის და რევოლუციის მიერ მოპოვებულ თა-ვისუფლების განმტკიცებას“.¹⁸⁸ მართალია თავდაპირ-ველად ქართულ ჯარში არ იყო სასურველი მდგომარეობა, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან აქტიური მოღვაწეობის შედეგად სიტუაცია გარკვეულწილად გა-მოსწორდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში აქცენტი კეთდება ძირითადად იმაზე, რომ ომიდან დაბრუნებუ-ლი ჯარისკაცები დემერტირობდნენ და მათში არ იყო ეროვნული შემართება. გიორგი კვინიტაძის და გიორ-გი მაზნიაშვილის მემუარებიდან კი ჩანს, რომ საკმაოდ უარყოფითად იყვნენ ისინი განწყობილი ხელისუფლე-ბის მიმართ, რაც მათ მიმართ ნიჰილისტური დამოკი-დებულებით აიხსნება. ამიტომ ეს ცნობები მთავარ და-

¹⁸⁸ სცსა, ფ. 1863, აღნ. 1, საქ. № 9, ფურც. 20

საყრდენად ვერ გამოდგება. საინტერესოა აგრეთვე საარქივო დოკუმენტები, სადაც სტატისტიკური ინფორმაციაა მოცემული. საჭიროა არსებული ინფორმაციის შეჯერება და კომპლექსური ანალიზი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სამი წლის განმავლობაში არც ისე ადვილი იყო ზოგადად საზოგადოების, კერძოდ კი ჯარისკაცების ამროვნების სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოქცევა. აი, რას ვკითხულობთ ფონდში 1863, საქმე #9, „როგორც მოსალოდნელი იყო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია ჯარების ნაწილებში განმანათლებელ მუშაობის ხელის შეწყობას და უნდა ითქვას, რომ დღევანდელი სამსახური ჯარისკაცისა დიდად განსხვავდება შარშანდელ და შარშანწინდელ სამსახურზე. მახსოვს ჩვენი ათასეულის ცხოვრებიდან 1918-1919 წლები, როდესაც ჯარისკაცები იმიტომ ეწერებოდნენ ნაწილში, რომ რაც შეიძლება ბლომად და საჩქაროდ მიეღოთ ტანსაცმელი. რათა შემდეგ მეორე ნაწილში ჩანერილიყვნენ, სადაც ასევე მოიქცეოდნენ, შემდეგ მესამეში და ასეთ ცუდლუტობით გაენიათ სამსახური სამშობლოსათვის. მახსოვს 1918 წლის 1 აპრილი, როდესაც გამოგვიცხადეს ხვალ ბათუმში მივალთ და მოემზადეთო. მეორე დღეს ათასეულის ნახევარი შემადგენლობაც არ გამოცხადებულა დანიშნულ დროზე, მა-

შინ უმეტესი ნაწილი ჯარისკაცებისა თავიანთ ბინაზე ცხოვრობდნენ და ათასეულში მხოლოდ სადილის დროს თუ მოვიდოდნენ, გავემგზავრეთ 15-მდე ჯარისკაცი და რამოდენიმე ოფიცერი. თითქმის ყოველ სადგურზე გამოქცეული ჯარისკაცები გვხვდებოდნენ სხვადასხვა ნივთებით დაჯორგვილი. თოფებს კი არსად ტოვებდნენ, რადგან ოჯახშიც გამოადგებოდათ. სოფელ ლიხაურის რაიონში ოსმალების შემოტევის დროს ჯერ მტერი არ დაენახათ, როდესაც # რაზმის ჯარისკაცებმა დაშალეს ტყვიამფრქვევი, გაიდვეს მხარზე და ცალ-ცალკე ნაწილები გაუდგნენ გზას შინისაკენ. ყოველივე ეს ხდებოდა იმ ჯარისკაცების მონაწილეობით, რომლებიც ბევრი მათგანი დღესაც სამსახურშია. მაგრამ ასეთი საქციელის ჩადენას გულშიდაც არ გაიფიქრებენ დღეს. მაშინ არავითარ ჟურნალ-გაზეთებს სამხედრო ნაწილები მთავრობიდან არ ღებულობდნენ, არავითარი განმანათლებელი მუშაობა ნაწილებში არ წარმოებდა, ჯარისკაცს არ ესმოდა დანიშნულება თავისი თავისა და სამსახურისა, არ იცოდა თავისი სამშობლო, მისი წარსული და მომავალი და რა გასაკვირველია ძნელი იყო ლაპარაკი ასეთი ჯარის გამარჯვებისა“.¹⁸⁹ როგორც ჩანს, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული რეფორმე-

¹⁸⁹ სცსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. №9, ფურც. 90

ბის შედეგად ჯარისკაცების მდგომარეობა არსებითად გაუმჯობესდა. რაც პირველ რიგში მათი საგანმანათლებლო დონის ამაღლებას ითვალისწინებდა. „... ჯარისკაცებისთვის ყოველ დღე 11-დან 1 საათამდე გარდა კვირა უქმე დღეებისა იკითხება ლექციები. ლექციების საგნები შემდეგია: ორშაბათობით და ხუთშაბათობით – საქართველოს მიმდინარე მდგომარეობა, სამშაბათობით და შაბათობით – ქართული ლიტერატურა, ოთხშაბათობით – გეოგრაფია და პარასკევობით საქართველოს ისტორია. ქართული სამხედრო ხელმძღვანელობა ცდილობდა ყველა სამხედრო შენაერთში ერთნაირად მაღალ დონეზე ყოფილიყო კულტურული და სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობა. მაგალითად საინტერესოა საისტორიო არქივში დაცული ცნობა ახალციხის სანაპირო რაზმის შესახებ. „ამ ახლო ხანებში ჩვენს რაზმს ეწვია კულტურულ-განმანათლებელი საქმეების ინსტრუქტორი ვაპიტანი ალექსანდრე გორგაძე. პირველ დღიდანვე იგი შეუდგა რაზმში კულტურულგანმანათლებელ საქმეების მონესრიგებას, შეადგინა კულტურულგანმანათლებელი გამგეობა, რომლის წევრებია: მაიორი ქუთელია, თავმჯდომარე, ვაპიტანი მგელაძე, არჩილ ავალიშვილი და ჯარისკაცი გურგენიძე, გამგეობამ მიზნად დაისახა რაზმში გააჩაღოს კულტურული მუშაობა, გააწყოს, სადაც შესაძლე-

ბელია ლექციები, საუბრები, ყურადღება მიაქციოს, რომ რაზმში სანაპირო ჯარების უფროსის ბრძანება, რომელიც ეხება სავალდებულო წერა-კითხვის სწავლებას, სისრულეში იქმნას მოყვანილი“.¹⁹⁰ საინტერესოა პოლკოვნიკ ტიტე ართმელაძის წერილი სამხედრო მინისტრისადმი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელია საკუთარი სამხედრო ძალის ყოლა. ამისთვის კი აუცილებლობად მიაჩნია ჯარში ისეთი პირობების შექმნა, როდესაც სამშობლოს წინაშე მოვალეობის მოხდა ჯარისკაცს სასახელოდაც მიაჩნდეს და სასარგებლოდაც. მისი აზრით, ჯარში სწავლა ისეთი ფორმით უნდა იყოს დაყენებული, რომ ჯარისკაცს საშუალება მიეცეს მსახურების დროს სამშობლოს წინაშეც მოიხადოს მოვალეობა და ცოდნა-განათლებაც შეიძინოს. ამისთვის იქმნება სპეციალური განყოფილებები, რომლებსაც აღნიშნული პრობლემის მონესრიგება ევალებათ. **1. საგუნდო სკოლა.** „საგუნდი სკოლების ტექნიკურად მოწყობა ევალებათ ათასეულების უფროსებს. მათვე ევალებათ თვალყურის დევნება, რათა მათდამი რწმუნებული ათასეულის გუნდებში არ დარჩეს წერა-კითხვის უცოდინარი არც ერთი ჯარისკაცი. საგუნდო სკოლებში

¹⁹⁰ სცსა, ფ. 1863, აღნ. 1, საქ. №9, ფურც. 197

ასწავლიან წერა-კითხვას და ანგარიშს აფიცრების ათასეულში მყოფ მასწავლებლის ხელმძღვანელობით. **2. საათასეულო სკოლა.** ეს სკოლა წარმოადგენს მეორე საფეხურს. აქ სწავლება სწარმოებს საუბრის საშუალებით და შეუძლია განვითარების მიღება როგორც წერა-კითხვის მცოდნეს და არა მცოდნეს, ისე სამ-ოთხ კლას გათავებულ ჯარისკაცებსაც. საათასეულო სკოლა პირდაპირ დამატება იქნება ჯარისკაცთა უნივერსიტეტისა. ქართული სიტყვიერებიდან და საქართველოს გეოგრაფია-ისტორიიდან ყოველივე ის, რაც ლექციის სახით იქნება წაკითხული ჯარისკაცთა უნივერსიტეტში, წინდანინვე ახსნილ-განმარტებულ იქნება საათასეულო სკოლაში, ან და იმავე ჯარისკაცთა უნივერსიტეტის აუდიტორიაში – მასწავლებლის მიერ საუბრის საშუალებით. ასეთივე იქნება ამ სკოლის როლი ყველა სხვა დარგებშიაც“.¹⁹¹

3. ჯარისკაცთა უნივერსიტეტი. აქ მთავარია ლექტორმა ზუსტად საჭირო ინფორმაცია მიანიჭოს ჯარისკაცს და მისთვის გასაგებ ენაზე ისაუბროს. ლექციის წაკითხვისას ლექტორის მიზანი უნდა იყოს, ერთის მხრივ ჯარისკაცთა ზნეობრივ-გონებრივი განვითარება და საზოგადოდ მათი მსოფლმხედველობის გაფართოვება, მეორეს მხრით მოვალეობათა შეგნების შეტანა. და

¹⁹¹ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. №1072, ფურც. 19

რაც ყველაზე მთავარია ორგანიზებული ჯარის ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. ჯარისკაცთა უნივერსიტეტში მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს შემდეგნაირად: **I ცალკე კითხვები თანამედროვე ცხოვრებიდან:** 1. საერთაშორისო ომი და მისი გამომწვევი მიზეზები. 2. რუსეთის რევოლუცია, მისი მიზეზები ეკონომიკური და ნაციონალური. 3. რევოლუციის ორი პერიოდი: დროებითი მთავრობა და ოქტომბრის გადატრიალება. 4. ბოლშევიკთა გადატრიალების მიზეზები და შედეგები. 5. რუსეთის დარღვევა, ჯარების მიერ ფრონტის დატოვება და ამიერკავკასიის ტრაგედია. 6. ამიერკავკასიის სეიმი და მისი უილაჯობის მიზეზები. 7. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა. 8. ისტორიული ფაქტები ამ საკითხისა. ძველი საქართველოს უკანასკნელი დღეები /ირაკლი მეორე/. 9. საქართველოს რუსეთთან შეერთება, ამის მიზეზები. 10. რუსეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევა. 11. საქართველოს მდგომარეობა-რუსეთის მფარველობის ქვეშ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. 12. რუსეთის ჯარის მიერ კავკასიის ფრონტის დატოვების ისტორიული მნიშვნელობა. 13. ორი გზა: რუსეთი და ჩვენ. 14. დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთა რესპუბლიკა. 15. ჩვენი ერის სახელმწიფოებრივი მუშაობა: დამფუძნებელი კრების მუშაობა. 16. ძირითადი კანონები და

ადგილობრივი თვითმმართველობანი. 17. აგრარული საკითხი: შესაძლებელი ფორმები მისი გადანაცვებისა. 18. დანვრილებითი ახსნა ჩვენში არსებული აგრარული პოლიტიკისა. ვერძო საკუთრების და გამოყოფის პრინციპი. 19. ჩვენი რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობა. 20. ქალაქის ფული და მისი კურსის დაცემის მიზეზი. სიძვირე სურსათის და საქონლის ნაკლებობა. 21. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი. რა შედეგები მოჰყვება მათ გამოყენებას. 22. ვერსალის კონფერენცია, ზავი და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა. 23. რამ შეუწყო ხელი ჩვენს ევროპის მიერ ცნობას. 24. დროებითი ხასიათი ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და ფინანსიური კრიზისისა. 25. აგრონომიიდან. 26. მედიცინიდან. 27. კოპერაციიდან“¹⁹²

ცალკე მეცნიერებათა დარგიდან. ა) შოთა რუსთაველი 1. ვეფხვისტყაოსანის მოკლე შინაარსი გეპირმოყოლით, 2. პირველი და მეორე თავის – თვით ლექტორისაგან წაკითხვა სანუმიშოდ, 3. რამოდენიმე სენტენცია გეპირად. ბ) ნ. ბარათაშვილი 1. „ბედი ქართლისა“. /შინაარსიდან საგულისხმო ადგილების განმარტება/. გ) რ. ერისთავი 1. ლექსი გლეხის ცხოვრებიდან. /ბერუას ჩივილი, სესიას მოთქმა და სხვა... 2. ას-

¹⁹² სცსა, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. №1072, ფურც. 22

პინძის ომი. /შინაარსის ზეპირად გადმოცემა და ზოგიერთი საგულისხმო ადგილების სანიმუშოდ წაკითხვა/. დ)ი. ჭავჭავაძე 1. დიმიტრი თავდადებული, კაკო ყაჩაღი, კაცია ადამიანი და გლახის ნაამბობი, /შინაარსის ზეპირად გადმოცემა და ზოგიერთი საგულისხმო ადგილების სანიმუშოდ წაკითხვა/. ე)ა. ნერეთელი 2. ალექსი, 2. ბაგრატ დიდი, 3. თორნიკე ერისთავი, 4. ნათელა, 5. ნაცარქექია და 6. კიკოლას ნაამბობი. /შინაარსის ზეპირად გადმოცემა და ზოგიერთი საგულისხმო ადგილების სანიმუშოდ წაკითხვა/. ვ) ა. ყაზბეგი 82 3. ელგუჯა, 2. ელისო, 3. მოძღვარი, /შინაარსის ზეპირად გადმოცემა და ზოგიერთი საგულისხმო ადგილების სანიმუშოდ წაკითხვა/. ზ) ეგ. ნინოშვილი 1. მოსე მწერალი, 2. პალიასტომის ტბა, 3. განკარგულება, 4. გოგია უიშვილი, /შინაარსის ზეპირად გადმოცემა და ზოგიერთი საგულისხმო ადგილების სანიმუშოდ წაკითხვა/. თ) გ. ნერეთელი 2. კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა, /შინაარსის ზეპირად გადმოცემა და ზოგიერთი საგულისხმო ადგილების სანიმუშოდ წაკითხვა/.

საქართველოს გეოგრაფია: 1. ცა და დედამიწა, ზღვა და ხმელეთი. 2. მზე, მთვარე და ვარსკვლავები. 3. ღრუბელი, წვიმა, სეტყვა, თოვლი, ქარი და ცისარტყელა. 4. სითბო დედამიწის გულში, მიწისძვრა. 5. დედამიწის სახე და მისი ტრიალი ღერძის გარშემო. 6. სა-

ქართველოს საზღვრები, მდინარეები, მთები და ჰავა. 7. ქართლი /ფიზიკური და კინოგრაფიული მიმოხილვა/. 8. კახეთი. 9. დასავლეთ საქართველო: ა) იმერეთი, ბ) სამეგრელო, გ) გურია, დ) სვანეთი, ე) აჭარა. 10. აფხაზეთი. 11. მეზობელი ხალხების (სახელმწიფოების) სომხეთის, ადერბეიჯანის, ოსმალეთის, რუსეთის მოკლე მიმოხილვა /შედარებით საქართველოსთან/. 12. მოკლე გეოგრაფიული, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ცნობები ევროპის და ამერიკის განათლებულ ხალხთა ცხოვრებიდან.

ისტორია. 1. თამარ მეფე. 2. საქართველოს დანაწილება სამეფოებად და სამთავროებად. 3. შაჰ აბაზის დამოკიდებულება საქართველოსთან. 4. გიორგი სააკაძის თავგადასავალი. 5. ერეკლე მეფე. 6. რუსეთთან ხელშეკრულების ისტორია /ამერეთში და იმერეთის სამთავროებში/. 7. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა /მთიულეთი, იმერეთი, თავადაზნაურთა შეთქმულება 1830 წლებისა/. საუბრის სახით. 1. საიდან წარმოსდგა ჯარი, რა არის დისციპლინა. დისციპლინა, როგორც აუცილებელი პირობა ჯარის არსებობისა. 2. ჯარი და ხალხი, მათი ურთიერთშორის დამოკიდებულება. 3. ჯარში მტკიცე დისციპლინის არსებობა თვით ჯარისკაცების ინტერესს შეადგენს. 4. როგორი მნიშვნელობა აქვს მტრის ბანაკში შიშის გრძნობის აღძვრას გამარ-

ჯვების მოპოვების საქმეში. 5. მტრის ბანაკში შიშის გამოსანვევად როგორი იერიშით წასვლაა საჭირო მტერზედ. 6. მოგერიების დროს როგორი მოქმედებაა საჭირო – მოიერიშე ჯარში შიშის გრძნობის მნიშვნელობა. მდებარეობასთან შეგუების და ბარში სწრაფად გაშლის მნიშვნელობა ბრძოლის დროს. 7. წესრიგისა და სულიერი სიმშვიდის შენარჩუნების მნიშვნელობა უკან დახევის დროს. უწესრიგოდ უკან დახევის გამანადგურებელი შედეგი. 8. იერიშის შემდეგ სწრაფად წესრიგის აღდგენისა და მტრისთვის დაშენის მნიშვნელობა გამარჯვების შენარჩუნების საქმეში. 9. რა მნიშვნელობა აქვს განკარგულების სწრაფად და სისწორით შესრულებას თვით ჯარისკაცთა სიცოცხლის შენარჩუნების საქმეში და სხვა.... მთავარი ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ართმელაძე.¹⁹³

ქალაქ თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების განაწესის თანახმად: 1. ა) მუშებსა და არმიას შორის წერა-კითხვის და განათლების გავრცელების ხელშეწყობა, როგორც სხვადასხვა სფეროების განვითარების აზრით, ასევე ხელოვნების და სხვა, რადგან ამ მოძრაობის მიზანს წარმოადგენს მუშებს და ჯარისკაცებს შორის პო-

¹⁹³ სცსა, ფ. 1833, დწ. 1, საქმე, № 1072, ფურც. 23

ლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბება და განვითარება.

2. კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების მიზნის მისაღწევად საჭიროა: ა. განათლების სკოლების მოწყობა, სახალხო უნივერსიტეტების, ეროვნული თეატრები და საბავშვო ბაღები, ბ) ხელშეწყობა მეომრებსა და მუშების თვითგანვითარებისათვის, გ) პოლიტიკური კლუბების დაარსება. 2. აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით მიტინგების ხელშეწყობა, დ) საერთო-საგანმანათლებლო კომიტეტის მოღვაწეობის კონსპექტები, ლექციები და გეგმები, ე) დაარსება ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვ) გამოსცეს ფურცლები, ბროშურები და სააგიტაციო პოლიტიკური ლიტერატურა, ზ) მოეწყოს ექსკურსიები, კინოჩვენებები, სპორტი, სახალხო სეირნობები და სხვა. თ) ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილება უნდა იყოს ადგილობრივ ენაზე.

2. განყოფილების ორგანიზაცია და განყოფილება. 4. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილება წარმოადგენს, როგორც კოლეგიალურ, ავტონომიურ ჯგუფს ორგანიზაციის საშინაო ცხოვრებაში. საერთო იდეური ხელმძღვანელობა მთელი პროპაგანდის საქმეების, აგიტაცია და განათლება ყველა მე-

ომართა ნაწილში, მუშათა ორგანიზაციებში, კლუბებში, სკოლებში, კურსებზე, სახალხო უნივერსიტეტებში.

5. განყოფილება შედგება აღმასრულებელი კომიტეტის 3 წარმომადგენლისაგან / მეომართა და მუშების სექციიდან/.

6. განყოფილების წევრების რიცხვიდან იკრიბება პრეზიდიუმი, რომელიც შედგება 3 პირისაგან: წარმომადგენელი, ამხანაგი წარმომადგენელი და მდივანი, განყოფილების დანარჩენი წევრებიდან ირჩევა ხაზინადარი.

7. განყოფილების კრება იმართება კვირაში ერთხელ, პრეზიდიუმის სხდომები კი ყოველდღიურად...“¹⁹⁴

1919 წელს ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების გამგეობამ დაადგინა მოეხდინა საზოგადოებაში საქმის წარმოების ნაციონალიზაცია, რათა მიმოწერა და ანგარიში ყოფილიყო სახელმწიფო ენაზე. ამ მიზნის მისაღწევად გამგეობამ დაითხოვა სამსახურიდან 20 კაცამდე თანამშრომელი სახელმწიფო ენის უცოდინარობის გამო.“¹⁹⁵

ჯარისკაცთა კულტურული შეგნების ამაღლებას ემსახურებოდა თეატრალური წარმოდგენები. მაგალი-

¹⁹⁴სცსა, ფ. 1844, აღნ. 1, საქ. №145, ფურც. 1

¹⁹⁵ სცსა, ფ. 2016, აღნ. 1, საქ. № 65, ფურც. 188

თად, „მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდენტ-მსახიობების ჯგუფი გაჩერდა რამდენიმე დღე თბილისში და გამოთქვა სურვილი მოეწყო აქ რამდენიმე უფასო წარმოდგენა სპეციალურად ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცებისათვის. მსახიობთა სურვილი და იდეა სიხარულით მიიღო პროპაგანდისტთა კოლეგიამ და მსახიობებმა რამდენიმე დღე მოაწყვეს სპექტაკლი... წარმოდგენები გაიმართა 14 ივლისს რეალური სასწავლებლის დარბაზში, 15 ივლისს ვერის პოლიტიკურ კლუბში და 16 ივლისს სახალხო სახლის დარბაზში. სპექტაკლის დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ იმართებოდა საუბარი, სადაც კოლეგიის ორატორები აღწერდნენ თეატრის მნიშვნელობას. სპექტაკლები გაიმართა დიდი წარმატებით და ჯარისკაცები დარჩნენ ძალიან კმაყოფილი. ყველგან გამოითქვა სურვილი, ხშირად მოეწყო სპექტაკლები, რადგან მას აქვს უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობა.“¹⁹⁶

1917 წლის 12 ივლისს გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც განთავსებული იყო 2 300-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების წიგნი. „ყველა წიგნი კატალოგის თანახმად, მოიცავს 14 განყოფილებას: 1. პოლიტიკური ეკონომიკა – 98 დასახელების; 2. სამართალი, სახელმწიფოებრივი წყობა, პოლიტიკური პარტი-

¹⁹⁶ სცსა, ფ. 1840, აღნ. 1, საქ. №1, ფურც. 55

ები – 525 დასახელების; 3. კულტურის ისტორია და სოციოლოგია – 186; 4. მუშათა საკითხი, მუშათა კლასის მდგომარეობა, მუშათა მოძრაობა – 300; 5. აგრარული საკითხი – 150; 6. რევოლუციური მოძრაობის ისტორია – 175; 7. კრებულები და ჟურნალები – 350; 8. კრიტიკა, პუბლიცისტიკა, ბიბლიოგრაფია – 50; 9. ბიოგრაფია, მოგონებები, ჩანაწერები – 90; 10. ბელეტრისტიკა – 100; 12. ნაციონალური კითხვა – 35; 13. ქალთა საკითხი – 25; 14. კოოპერაცია – 10.“¹⁹⁷

ქართული სათადარიგო ცხენოსანთა პოლკის მღვდელი ალექსანდრე მირაქიშვილი უგზავნის წერილს ქართული ლაშქრის უფროს მღვდელს: „ჩემდამი მოწერილობით მორიგე შტაბოფიცერისა ქართული კორპუსისა, 28 იანვარს ამა წლისა, მე დანიშნულ ვარ ქართულ სათადარიგო ცხენოსანთა პოლკში, რომელიც სდგას ს. თუქურმიშაში. ხსენებული პოლკის კომანდირს პოლკოვნიკ ნაცვალოვს ნაბრძანები აქვს სამხედრო მთავრობისგან, რომ ჩაიბაროს მთელი ქონება თუქურმიშაში ნამყოფ – ტვერსკის ცხენოსანთა პოლკის და მაშასადამე – მოლკის ეკლესიაც, მაგრამ მე დღევანდლამდე ვიმყოფები უეკლესიოთ და თანამწირველობ სამრევლო მღვდელთან ალ. ტუბეროზოვთან, რომელიც ირიცხება ისევ ტვერსკის პოლკში და მსახურობს – კი ზემოსხენე-

¹⁹⁷ სცსა, ფ. 1840, აღწ. 1, საქ. №1, ფურც. 55

ბულ თუქურმიშის სამრევლოში და რომლის სურვილზედ არის დამოკიდებული: როდის შემეძლება, რომ ვწირო, ან ვთქვა რომელიმე ჩამოლოცვა?

10-ს თიბათვეს ამა წლისა, სულის წმინდის გამოსვლის დღეს წირვაზედ პოლკის ეკლესიაში, მღვდელმა ალ. ტუბეროზოვმა ქადაგების დროს გალანძღა ქართველი ერი და უწოდა უკენასკნელს: ველურები, მხეცები და სხვა... მოუწოდა რუს მრევლს, რომ არ დაემორჩილონ არავითარ ბრძანებებს ადგილობრივ და მთელი ქვეყნის მთავრობას საქართველოსას, არ აასრულონ არავითარი ბრძანება მთავრობისა თუ განკარგულება-დეკრეტები და ილოცონ, რომ ისევ აღდგეს საქართველოში მპყრობელობა რუსეთისა და სხვა....

არც ერთ დროს ლოცვა-წირვისა არ იხსენიებს საქართველოს მთავრობას, კათალიკოს-პატრიარქს, ან ეპისკოპოსს და სხვა... სამაგიეროდ იხსენიებს ისევ რუსის მთავრობა-მპყრობელობას და სამხედრო უფროსს მღვდელს შაველსკის...¹⁹⁸

განათლების ფაქტორის გააქტიურება ჯარში მისი ეროვნული და პოლიტიკური ცნობიერების ამალლებას ისახავდა მიზნად. „თავისუფლების დაცვა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც იცის რა არის თავისუფლება. ჩვენს ნორჩ

¹⁹⁸ სცსა, ფ. 1863, საქ. №680, აღწ. 1, ფურც. 40

რესპუბლიკას დაიცავს ჯარი რესპუბლიკანული. მაშასადამე, თუ გვინდა მიზანს მივალწიოთ ჯარში სამხედრო ვარჯიშობა და კულტურული მუშაობა ერთნაირად უნდა სწარმოებდეს. ჯარის ხელმძღვანელობისათვის ასევე სავალდებულო უნდა იყოს ჯარში გათვითცნობიერება, მათში აკადემიური ცოდნის შეტანა, მათი გარესპუბლიკანება მორიგ კითხვად უნდა დაისვას. წავიდა და არც მოსულა ის დროს, როცა ჯარისკაცის გაადამიანებას, მის გათვითცნობიერებას გაურბოდნენ, როცა ჯარისკაცს თვალების დამაბრმავებელ სხვა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს ურიგებდნენ: მოკვდით მეფისა და სამშობლოსათვის, მაგრამ თუ რა იყო მეფე ან სამშობლო ამას თუ უხსნიდნენ, უხსნიდნენ თავისებურად, ძველი რეჟიმის გასამტკიცებლად. დღეს სულ სხვაა. მართალია დილით საჭირო და აუცლებელია დისციპლინა, მორჩილება, მაგრამ არა ბრმა, არამედ ის უნდა ემყარებოდეს სხვა შეგნებას თავის მოვალეობისას და შედეგი უნდა იყოს ურთიერთშორის სიყვარულისა და პატივისცემის. ჯარი და სკოლის მონაფე ერთი და იგივეა. თუ ჯარისკაცი დარწმუნდა იმაში, რომ მის უფროსს ის უყვარს. იმავე დროს უფროსიც არის სამშობლოს ერთული გარწმუნებთ მას ჯარისკაციც შეიყვარებს.“¹⁹⁹

¹⁹⁹ სცსა, ფ. 1830, აღწ. 1, საქ. №9, ფურც. 1-2

ქართული პოლიტიკური სპექტრი ნათლად აცნობიერებდა ძლიერი ჯარის მნიშვნელობას, თუმცა მხოლოდ მის განვრთნა-შეიარაღებას სამხედრო თვალსაზრისით არ სჭერდებოდა და განათლებას არსებობას ჯარისკაცთა შორის დიდ როლს ანიჭებდა. „საერთაშორისო პირობებმა გვაიძულა სახელმწიფო შევვექმნა. სახელმწიფო კი უჯაროდ წარმოუდგენელია. საჭიროა შეიარაღებული ძალა. ჯარი რომ არ გვყოლოდა, შენი მტერია, ჩვენ რომ დღე დაგვადგებოდა. მაგრამ ჯარიც არის და ჯარიც. ჩვენი მხედრობა რომ განუვითარებელი ყოფილიყო, ის მუდამ რყევაში იქნებოდა, დღეს ერთ ანკესზე წამოეგებოდა, ხვალ მეორეზე და ამ რიგად თავის თავსაც დაღუპავდა და თან გაიყოლებდა კარ-მიდამოს, ცოლ-შვილს, და-ძმებს, ნათესავებს, ამხანაგებს და მეგობრებს. ჯარის განვითარებამ და სიმტკიცემ ჯერ-ჯერობით ჩვენი ერი მრავალ უბედურებას გადაარჩინა და ფიზიკურ არსებობასთან ერთად რევოლუციით მონაპოვარი თავისუფლება შეინარჩუნა. საქართველოს დემოკრატიის ბელადების დაუღალავმა შრომამ და მხედრობის მამაცმა ბრძოლამ ჩვენს ერს მრავალი გამარჯვებანი მოუპოვა, მაგრამ ყოველივე ამას განმტკიცება-პატრონობა სჭირია. ის განათლება-განვითარება, რომლითაც დღს ჩვენი შეიარაღებული ძალის უმრავლესობაა აღჭურვილი,

არ არის. დამაკმაყოფილებელი მომავალი ჩვენი რთული მუშაობისათვის და სწორედ ამ მიზნით, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საჭიროდ სცნო ჯარისკაცთა განათლება. მან დაარსა სამხედრო-განათლების 2 სკოლა, რომელთა სათავეში დგანან ჩვენში კარგად ცნობილი: პოლკოვნიკი ტიტე ართმელაძე და პედაგოგი ალექსანდრე ჟორჟოლიანი. თითოეულ ბრიგადას მიუჩინეს თითო ინსტრუქტორი, ხოლო რაზმებში კი თითო მასწავლებელი, რომლის ხელმძღვანელობით გუნდის აფიცერი ჯარისკაცთ ასწავლის წერა-კითხვას და ანგარიშს. რაზმის მასწავლებლები პირველ-მეორე საფეხურის სოკლებში ბაასის საშუალებით ასწავლიან ჯარისკაცთ ქართულ ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას და ებაასება მეცნიერების სხვა დარგებიდანაც. თითოეულ რაზმში აქვთ საკუთარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მონყობილია თეატრი, სადაც ჯარისკაცნი სისტემატიურად აწყობენ წარმოდგენებს და ლექციებს საგანგებოდ მოწვეული პირების დახმარებით.²⁰⁰

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ახალციხის სანაპირო რაზმის მაგალითს: „ამ ახლო ხანებში ჩვენს რაზმს ეწვია კულტურულ-განმანათლებელი საქმეების ინსტრუქტორი კაპიტანი ალექსანდრე გორგაძე. პირველი დღიდან-

²⁰⁰ სცსა, ფ. 1830, აღნ. 1, საქ. №9, ფურც. 20

ვე იგი შეუდგა რაზმში კულტურულ-განმანათლებელი საქმეების მონესრიგებას, შეადგინა კულტურული-განმანათლებელი გამგეობა, რომლის წევრებია: მაიორი ქუთელია, თავმჯდომარე, ვაპიტანი მგელაძე, არჩილ ავალიშვილი და ჯარისკაცი გურგენიძე, გემგეობამ მიზნად დაისახა რაზმში გააჩაღოს კულტურული მუშაობა, მოაწყოს, სადაც შესაძლებელია ლექციები, საუბრები, ყურადღება მიაქციოს, რომ რაზმში სანაპირო ჯარების უფროსის ბრძანება, რომელიც ეხება სავალდებულო წერაკითხვის სწავლებას, სისრულეში იქმნას მოყვანილი. ინსტრუქტორი ვაპიტან გორგაძის გეგმით რაზმში ეწყობა ცენტრალური ბიბლიოთეკა-სამკითხველო და საზღვარზე მდგომ ჯარებისათვის კი – მოძრავი სამკითხველოები, რისთვისაც ტექნიკური მხარის მომზადებას უკვე შეუდგა გამგეობა. ინსტრუქტორმა ალ. გორგაძემ წაიკითხა ლექცია „საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შესახებ“ – ახალციხის გარნიზონში, სადაც მრავალი ჯარისკაცი დაესწრო, ასეთივე შინაარსის ლექციები მან წაუკითხა საზღვრებზე მდგომ ჯარისკაცებს“.²⁰¹

ასევე საინტერესოა, ოზურგეთის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარისა და გვარდიის ნაწილებში ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა 1920

²⁰¹სცსა, ფ. 1830, აღწ. 1, საქ. №9, ფურც. 197

წლის მონაცემებით. კერძოდ, „საოლეო სახალხო გვარდიის შტაბის ხელმძღვანელობით აქ დაარსებული სახაზინო ჯარისკაცთა და გვარდიელთა ინსტიტუტი, თეატრი და სკოლა. თემა, წარმოდგენები, რითაც ჯარისკაცები დიდი კმაყოფილი რჩებიან, მეცადინეობა სკოლაში რა თქმა უნდა მიმდინარე მდგომარეობით ცოტა შეფერხებულია და დიდი იმედი გვაქვს, რომ როდესაც ნორმალური მდგომარეობა დადგება, აქ მეცადინეობა სისტემატიურად დაიწყება, დიდ სარგებელს მოუტანს ჩვენს ჯარს და გვარდიას. აგრეთვე არის აქვე მოთავსებული სამკითხველო, სადაც ყველა მიმართულების ჟურნალ-გაზეთების კითხვას ჯარისკაცები დიდი ხალისით ეკიდებიან. მოდის აგრეთვე „საქართველოს კომუნისტიკ“, რომლის კითხვა ჩვენს ჯარს და გვარდიას არაფრად არ ეპიტნავებათ. ეს გაზეთი სახელით საქართველოსია, საქმით რუსეთის.“²⁰²

ხელისუფლება ცდილობდა ჯარისკაცი ინფორმირებული ყოფილიყო ეროვნული თემატიკის საკითხებით. „პირველი სამთო ბატარეის სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადა დღიდან დაარსებისა მუდამ ფრონტზე იყო; და იარაღით ხელში ერთგულ დარაჯად ედგა რევოლუციას და თავისუფლებას. უკანასკნელად აღნიშნული ბატარეის ხელმძღვანელებმა დაინა-

²⁰² სცსა, ფ. 1830, აღნ. 1, საქ. №25, ფურც. 2

ხეს, რომ მართო იარაღი არ იყო საკმარისი, იარაღთან ერთად განვითარება-გათვითცნობიერების საჭიროებაც იგრძნეს და ამიტომ გადაწყვიტეს წიგნსაცავ სამკითხველოს დაარსება. ამ მიზნისათვის მათ აირჩიეს კომისია, რომელსაც დაავალეს ამ საქმის მოგვარება. კომისიამ მიმართა ორგანიზაციებს და აგრეთვე კერძო პირთ დახმარებისათვის. შეაგროვეს დახმარებებით ფული და გახსნეს სამკითხველო. ამ ბატალიონის სახელოვანი ყოფილი ხელმძღვანელის ვალიკო მარაშიძის სახსოვრად.²⁰³

როგორც უკვე აღვნიშნე, ჯარისკაცის ეროვნული, კულტურული ცნობიერების განვითარებისთვის ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა ისეთი ღონისძიებების ჩატარებას და პრაქტიკული თვალსაზრისით დანერგვას, რომელიც მათ სულისკვეთებას გააძლიერებდა. „ამა წლის 18 იანვარს თანახმად რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებისა ჩვენი ათასეული წავიყვანეს სახაზინო თეატრში, სადაც უფასოთ უნდა ეჩვენებინათ ჯარისთვის და გვარდიისთვის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა ხსენებულ ადგილზე ვიყავით. მინდა მოკლედ აღვნიშნო, თუ როგორ იმოქმედა დამსწრე ჯარისკაცებზე ოპერამ. ბ. ფოცხვერაშვილი სიტყვით გვიხსნიდა მოქმდე-

²⁰³ სცსა, ფ. 1830, აღნ. 1, საქ. №25, ფურც. 20

ბის შინაარსს. აინია ფარდამ და პატარა ხნის შემდეგ მოუთმენლად იძახოდნენ ჯარისკაცები მართლაც ღირსი ყოფილა ჩვენი სმაშობლო რომ, ათასგვარი გაჭირვება გადავიტანოთ მისთვის და საკუთარი სიცოცხლეც მას ვანაცვალოთ თუკი მისი ინეტერესები მოითხოვსო. გვეუბნებიან საქართველოს კულტურა და წინაპრები ასეთი და ასეთი იყოვო. ეხლა ჩვენი საკუთარი თავით ვხედავთ, რაც ყოფილაო – იძახდნენ სოფლელი ჯარისკაცები, რომელნიც ათასში ერთხელ არ დასწრებია ასეთ დიდ მნიშვნელოვანს წარმოდგენას და გასაკვირიც არ არის ამ ხალხს, რომ ასეთე აინტერესებს წარმოდგენების ნახვა. ეხლა კი გვმართებს გაასკვეცებული შრომა, რომ უჯიშო მტერმა არ გაგვიტელოს ღირსეული სამშობლო მეუბნებოდა რამოდენიმე გვერდში მჯდომი ჯარისკაცები.²⁰⁴

დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია ჯარის ნაწილებში საგანმანათლებლო მუშაობის ხელის შეწყობას და როგორც თანამედროვე აღნიშნავდა „უნდა ითქვას, რომ დღევანდელი სამსახური ჯარისკაცისა დიდად განსხვავდება შარშანდელი და შარშანწინდელ სამსახურზე. მახსოვს ჩვენი ათასეულის ცხოვრებიდან 1919 და 1918 წლები. როდესაც ჯარისკაცები იმიტომ ეწერებოდნენ ნაწილში

²⁰⁴ სცსა, ფ. 1830, აღწ. 1, საქ. №25, ფურც. 31-32

რომ რაც შეიძლება ბლომად და საჩქაროდ მიეღოთ ტანსაცმელი, რათა შემდეგ მეორე ნაწილში ჩანერი-ლიყვნენ, სადაც ასევე მოიქცეოდნენ, შემდეგ მესამეში და ასეთ ცუდლუტობით გაენიათ სამსახური სამშობლოსთვის“.²⁰⁵

სამხედრო სამინისტრომ დააარსა კულტურული სექცია და გახსნა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება. „არ არის დიდი ხანი, რაც დაარსდა ხსენებული კულტურული განყოფილება, მაგრამ თავის მოკლე ხნის არსებობის განმავლობაში დიდი საქმე გააკეთეს. მოწყო ჯარში და გვარდიის მუდმივ ნაწილებში წერა-კითხვის სკოლები, გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, სადაც ღებულობენ ჯარისკაცები და გვარდიელები თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემებს. გაიხსნა და სადაც არის უნდა გაიხსნას საღამოს კურსები, სახალხო სახის უნივერსიტეტები. იმართება სპეციალურად ჯარისა და გვარდიისათვის დრამატიული წარმოდგენები, ოპერები, კინემატოგრაფიული სურათების ჩვენება და სხვა. და აი ჩვენ უკვე ვხედავთ ამ მუშაობის დიდ ნაკლს. ჩვენი რესპუბლიკის ჯარი სრულებით არ გავს თვითმპყრობელობის დროინდელ ჯარს. ჩვენმა ჯარმა მშვენივრად იცის. ვარგად ესმის თავისი მოვალეობა

²⁰⁵ სცსა, ფ. 1830, აღნ. 1, საქ. №25, ფურც. 90

სამშობლოს წინაშე. იცის რას და ვის იცავს, იცის, რომ იცავს სამშობლოს დამოუკიდებლობას, თავისუფლებას მშვიდობიანობას, წარსულს. ამით იცავს მშრომელ ხალხს, თავის მამებს, დედებს, შვილებს, დებს, ძმებს, ოჯახებს და ამით საშუალებას აძლევს ჩვენში დემოკრატიამ უკეთ მოაწყოს და განავითაროს თავისი ცხოვრება. ერთი სიტყვით, ჩვენი ჯარი ფიზიკურ შიარაღებულ ძალასთან ერთად კულტურული ძალაც არის და აწი მას ვედარავინ მოატყუებს, ვედარავინ იყოლიებს. ყველას კარგად გაუხინჯავს კბილებს და კარგად გაარჩევს მტერსა და მოყვარეს. ჩვენი ჯარი ებრძვის ყველა ჯურის სამშობლოს მტერს და იმავე დროს ზარმაცად ენაფება თვითგანვითარებასაც. ამრიგად, დღეს ჯარში წასვლა არავითარ საშინელს აღარ წარმოადგენს. პირიქით, იმ ერთი წლისა და ორი თვის განმავლობაში, რომელიც უნდა დაჰყოს სამხედრო სამსახურში ჩვენს ახალგაზრდებს შეუძლიათ თავიანთი ვალი მოიხადოს სამშობლოს წინაშე და მომზადებული დაუბრუნდნენ თავ-თავის საქმეებს“.²⁰⁶

ქართველ ერს თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში თითქმის განუწყვეტლივ გარს ეხვია უამრავი და ძლიერი მტრის ურდოები, რომელნიც მის განადგურებას ბურგიდან აღგვას ლამობდნენ და პანია საქართველოს

²⁰⁶ სცსა, ფ. 1830, აღწ. 1, საქ. № 52, ფურც. 2

მის მეტი არაფერი დარჩენოდა, რომ მუდამ ფარ-
ხმლით ხელში თავის არსებობის შენარჩუნებაზე ეფიქ-
რა. იყო ისეთი მომენტები, როდესაც ქართველი ერი
იძულებული ხდებოდა უხეშ ძალის წინაშე ქედი მოეხა-
რა, ძლიერ მტარვალისაგან ათასგვარი შევიწროება
განეცადა და დამონებულ მდგომარეობაში მყოფს მხო-
ლოდ თავის განთავისუფლებაზე ეოცნება. ასეთი, თით-
ქმის განუწყვეტლივი „სამარი“ განწყობილება, რასაკ-
ვირველია, ხელს ვერ შეუწყობდა ჩვენი ერის შემოქმე-
დებით მუშაობას, კულტურულ დაწინაურებას, მეცნიე-
რების განვითარებას, ენის აყვავებას და გამშვენიერე-
ბას, ვინაიდან ყოველივე ეს მოითხოვდა ჩვენი პოლი-
ტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება-
აყვავებას, რასაც ჩვენ – ორიოდე ხანმოკლე ეპოქის
გარდა – აგრე მოკლებული ვიცავით. ამ უკანასკნელ
117 წლის განმავლობაში ჩვენი ცხოვრების და ბედ-იღ-
ბლის რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, მდგომარეობა
კიდევ უარესი შეიქმნა. ძველი რუსეთის მკაცრმა გამა-
რუსებელმა პოლიტიკამ ქართულ ენას ბუნებრივი გან-
ვითარების საშუალება მოუსპო. განდევნა სკოლები-
დან, აკრძალა სახელმწიფო და სამოქალაქო დაწესეუ-
ლებებში და კლესიებშიც კი შეზღუდა, ფრთები შეკვეცა.
ჩვენ, სჭობს სინამდვილეს თვალეებში შევხედოთ და გა-
მოვტყდეთ, – საკმარისი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეთ

ამ ბოროტი პოლიტიკის განხორციელებას და მან თავისი საშინელი ნაყოფი გამოიღო ქართული ენის მაგიერ რუსული ენა გააბატონა.

ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა სწავლა-განათლებლას რუსულ ენაზე ღებულობდა, ენაფებოდა რუსულ მეცნიერებას და ლიტერატურას, ეცნობოდა რუსის ხალხის ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას, ისტორიას, გეოგრაფიას და ეკონომიკას უფრო კარგად, ვიდრე მშობელ ერისას და ამნაირად ფსიხოლოგიურად მას უკავშირდებოდა და ეთვისებოდა“.²⁰⁷

მასალა მოწმობს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მცდელობებს გაეძლიერებინა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთავარ დასაყრდენად ექცია ქართული ჯარი. მიუხედავად მრავალი პრობლემური და წინააღმდეგობებით აღსავსე კითხვებისა, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს და სავსებით მართებულად, აღნიშნული საკითხი შესაფასებლად პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ სამი წლის განმავლობაში არც ისე ადვილი იყო ცენტრალიზებული და ეროვნული გრძნობით აღსავსე ჯარის ჩამოყალიბება, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა და რაზედაც უკვე ვისაუბრეთ.

²⁰⁷ სცსა, ფ. 1830, აღწ. 1, საქ. № 24, ფურც. 13

თავი მეოთხე განათლება და ეროვნული უმცირესობა

განათლების ფაქტორს საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. სხვადასხვა რეფორმებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქმედებები ეროვნულ უმცირესობათა განათლების საკითხის გადასაჭრელად. აღნიშნულის დასამოწმებლად საინტერესოა შევაფასოთ როგორი იყო ეროვნული უმცირესობის შემადგენლობა სხვადასხვა სასწავლებლებში. ქალთა ეროვნული შემადგენლობა სახაზინო გიმნაზიებში: „ქართველნი-972, სომხები-1555, თათრები-47, რუსები-2065, ურიები-209, გერმანელები-55, პოლონელები-117, გამოურკვეველი-72. კერძო გიმნაზიები: ქართველი-560, სომხები-131, თათრები-2, რუსები-62, გამოურკვეველნი-122 გერმანელი-1, პოლონელი-1. ვაჟთა სახაზინო გიმნაზიები: ქართველნი-687, სომხები-1313, თათრები-72, რუსები-950, ურიები-176, გერმანელი-28, პოლონელი-26, გამოურკვეველნი-69. კერძო გიმნაზიები: ქართველნი-1624, სომხები-943, თათრები-23, რუსები-446, ბერძნები-76, ურიები-257, პოლონელი-26, სპარსნი-2, უკრაინელები-2, გამოურკვეველნი-85, ინგლისელი-1, აისორნი-1. ვაჟთა კერძო გიმნაზიები: ქართველნი-1624, სომხები-943, თათრები-23, რუსები-446,

ბერძნები-76, ურიები-257, გერმანელნი-28, პოლონელნი-26, სპარსნი-2, უკრაინელნი-2, გამოურკვეველნი-85, აისორნი-1, ინგლისელნი-1. **კადეტთა კორპუსი და ორი კომერციული და რეალური სასწავლებლები:** ქართველნი-462, სომხები-805, თათრები-70, რუსები-771, ბერძნები-9, ურიები-52, გერმანელნი-54, პოლონელნი-71, ოსები-1, ქართველი ისრაელნი-4, გამოურკვეველნი-38²⁰⁸.

ცალკეა გამოყოფილი კერძო გიმნაზიების მონაფეთა ეროვნული შემადგენლობა ქალაქ თბილისში. 6. **ქართული საქალებო გიმნაზია** – 309 – ქართველი. 7. **ბეროზაშვილის გიმნაზია სქესთა განურჩეველი** – ქართველნი – 50, სომხები – 12, რუსები – 14. 8. **ბილანაშვილის გიმნაზია სქესთა განურჩეველი** – ქართველნი – 180. 9. **მაშჩენკოსი და ტიხომიროვის გიმნაზია:** ქართველნი – 15, სომხები – 28, რუსები – 48, თათრები – 2, პოლონელნი – 1, გერმანელები – 1, ურიები – 1. 10. **გრიანოვის გიმნაზია სქესთა განურჩეველი:** ქართველები – 6. 11. **გიმნაზია ლისიციანის სქესთა განურჩეველი:** სომხები – 91.²⁰⁹

ვაჟ მონაფეთა ეროვნული შემადგენლობა **რეალურ, კომერციულ და კადეტთა კორპუსისა**. 1. კადეტთა

²⁰⁸ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №249, ფურც. 1-2

²⁰⁹ იქვე, ფურც. 11

კორპუსი: ქართველნი – 66, სომხები – 26, თათრები – 14, რუსები – 273, ოსები – 1, ინგილოელნი – 4, პოლონელნი – 12, გერმანელნი – 9, გამოურკვეველნი – 3. 2. კომერციული I: ქართველნი – 84, სომხები – 453, თათრები – 33, რუსები – 78, პოლონელნი – 13, გერმანელნი – 18, ურიები – 21, გამოურკვეველნი – 16. 3. კომერციული II: ქართველნი – 132, სომხები – 138, თათრები – 13, პოლონელნი – 6, გერმანელნი – 2, ურიები – 14, ბერძნები – 9. 4. რეალური: ქართველნი – 180, სომხები – 138, თათრები – 10, რუსები – 40, პოლონელნი – 40, გერმანელნი – 25, ურიები – 17, გამოურკვეველნი – 19“.²¹⁰

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამსახურება იყო ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა „სქესთა განურჩეველი სასწავლებლების დაარსებაზე“. ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს საქმე № 249. „მოსწავლეთა რიცხვი ნაძალადევის 8 კლასიანი, კლასიკური ქალვაჟთა კერძო ელენე ბილანაშვილის გიმნაზიისა. 3 კლასი: ქალები – 30, ვაჟები – 6 2 კლასი: ქალები – 35, ვაჟები – 16 175 1 კლასი: ქალები – 27, ვაჟები – 13 1 კლასი (პარალელური) ქალები – 32, კაცები – 14 უფროსი მოსამზადებელი განყოფილება: ქალები – 24,

²¹⁰ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №249, ფურც. 19

ვა-ჟები – 32 უფროსი მოსამზადებელი განყოფილება: ქალები – 35, ვაჟები – 21 უმცროსი მოსამზადებელი განყოფილება (ქართული) – ქალები – 27, ვაჟები – 23 უმცროსი მოსამზადებელი განყოფილება (რუსული) – ქალები – 22, ვაჟები – 27 საანბანო განყოფილებები: 1. საანბანო ქართული: ქალი – 20, ვაჟი – 10 2. საანბანო რუსული: სულ 12 ქალი, 13 ვაჟი მთელ სასწავლებელში ირიცხება 473 მოსწავლე: ქართველნი – 325, რუსი – 103, სომეხი – 24, ოსები – 12, აისორნი – 6, ბერძენი – 2, ებრაელი – 1“ (25, 2. 20). ვაჟთა კერძო გიმნაზია, მონაფეთა ეროვნული შემადგენლობა ქალაქ თბილისში, 1918 წელი, 17 ივლისი. 1. ვაჟთა ქართული გიმნაზია: ქართველნი – 796 2. ვაჟთა სასულიერო გიმნაზია: ქართველნი – 245. 3. ბილანიშვილის გიმნაზია სქესთა განურჩეველი: ქართველი – 90, გამოურკვეველნი – 60 4. ბეროზაშვილის გიმნაზია სქესთა განურჩეველი 5. ქალ მასწავლებელთა გიმნაზია: ქართველნი – 74, სომხები – 33, რუსები – 18, გამოურკვეველნი – 8 176 6. გიმნაზია ტრაფიმენკოსი: ქართველნი – 25, სომხები – 16, რუსები – 25, ურიები – 10, გერ-მანელნი – 8, პოლონელნი – 1, სპარსელი – 1, ბერძენი – 1 7. გრიაზნოვის გიმნაზია: ქართველნი – 5 8. ახალი სკოლის გიმნაზია: ქართველნი – 5, სომხები – 97, რუსები – 5, ურიები – 2, პოლონელი – 1, თათრები – 5 9. ლევანდოვსკის გიმნაზია:

ქართველნი – 63, სომხები – 119, რუსები – 119, ურიები – 10, გერმანელნი – 5, პოლონელნი – 7, თათრები – 4
10. მე-2 სახალხო გიმნაზია: ქართველი – 7, სომხები – 5, რუსები – 9
11. გიმნაზია მეორე მასწავლებელთა ჯგუფისა: ქართველნი – 6, სომხები – 38, რუსები – 37, ურიები – 6, პოლონელნი – 2, თათრები – 1, გამოურკვეველნი – 5
12. თევზაძის გიმნაზია: ქართველნი – 21, სომხები – 8, რუსები – 30, ურიები – 7
13. პუშკინის სახალხო გიმნაზია: ქართველნი – 89, სომხები – 248, რუსები – 69, ურიები – 5, გერმანელნი – 4, პოლონელნი – 2, ბერძენი – 6, თათრები – 6, ქართველი ურიები – 35
14. მასწავლებელთა ჯგუფის გიმნაზია: ქართველნი – 14, სომხები – 21, რუსები – 13, ურიები – 6, გერმანელნი – 2, პოლონელი – 6, თათრები – 2
15. რეალური სასწავლებელი პირაგოვისა: ქართველნი – 5, სომხები – 4, რუსები – 17, თათრები – 1, გამოურკვეველნი – 1
16. მასწავლებელთა ამხანაგობის გიმნაზია: ქართველი – 14, სომხები – 17, რუსები – 33, თათრები – 2, გამოურკვეველნი – 2
17. ტერ-სტეპანოვის გიმნაზია: ქართველნი – 3, სომხები – 15, ურიები – 2
18. ებრაელთა გიმნაზია: ქართველი – 9, სომხები – 52, რუსები – 19, ურიები – 207, გერმანელი – 4, პოლონელნი – 3, თათრები – 2, უკრაინელი – 2
19. ბერძენთა გიმნაზია: ბერძენი – 75
20. სომეხთა გიმნაზია ლისიციანისა: ქარ-

თველნი – 1, სომეხი – 232, რუსი – 9, გერმანელნი – 2, პოლონელნი – 2“.²¹¹ რაც შეეხება საქართველოს ცალკეული რეგიონების სკოლებში მოწაფეთა ეროვნულ შემადგენლობას, თბილისთან შედარებით ქართველები უმრავლესობას წარმოადგენდნენ. 1919 წლის მონაცემებით მდგომარეობა შემდეგია: „ფოთის ვაჟთა გიმნაზია: ქართველები-280, სომეხები-1, რუსები-53, სხვა ეროვნებები-47. ფოთის ქალთა გიმნაზია: ქართველები-271, რუსები-4. თელავის ვაჟთა გიმნაზია: ქართველები-279, რუსები-5, სხვა ეროვნებები-2. თელავის წმინდა ნინოს გიმნაზია: ქართველი-321, სხვა ეროვნებები-2. გორის ქალთა გიმნაზია: ქართველები-209, რუსები-1, სხვა ეროვნებები-8. გორის ვაჟთა გიმნაზია: ქართველები-224, სომეხი-78, რუსები-46, სხვა ეროვნებები-20. ზესტაფონის ვაჟთა გიმნაზია: ქართველები-299, სხვა ეროვნებები-2. ზესტაფონის ქალთა გიმნაზია: ქართველები-258, სხვა ეროვნებები-1“.²¹²

აგრეთვე შემდეგნაირად იყო განაწილებული ქართველთა და არაქართველთა შემადგენლობა ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში. ვაჟთა პირველი გიმნაზიის 1-4 კლასებში ასეთი მდგომარეობაა: ქართველნი – 209. ვაჟთა მეორე გიმნაზია: ქართველნი – 225, სხვა

²¹¹ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. # 318, ფურც. 22

²¹² სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. # 658, ფურც. 1

ეროვნები – 5. ვაჟთა მესამე გიმნაზია: ქართველი – 2, სომეხი – 332, რუსე – 3, სხვა ეროვნებები – 3. ვაჟთა მეოთხე გიმნაზია: ქართველი – 11, სომეხი – 152, რუსი – 94, სხვა ეროვნებები – 74. ვაჟთა მეხუთე გიმნაზია: ქართველი – 48, სომეხი – 54, რუსი – 20, სხვა ეროვნებები – 11. ვაჟთა მეექვსე გიმნაზია: ქართველი – 4, სომეხი – 5, რუსი – 172, სხვა ეროვნებები – 50. ვაჟთა მეშვიდე გიმნაზია: ქართველი – 328, სომეხი – 1. ვაჟთა მერვე გიმნაზია: ქართველი – 95. 2. ტფილისის რეალური სასწავლებელი (1-4 კლასი): ქართველი – 150, რუსი – 323, სხვა ეროვნებანი – 120. 3. წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია: ქართველი – 195, სომეხი – 71, რუსი – 149, სხვა ეროვნება – 30. 4. მთავრობის ტფილისის საკომერციო სასწავლებელი – ქართველი – 58. 5. ტფილისის პირველი კომერციული სასწავლებელი: ქართველი – 10, რუსი – 16, სხვა ეროვნებანი – 222. 6. ქალთა პირველი გიმნაზია: ქართველი – 163, სომეხი – 90, რუსი – 126, სხვა ეროვნება – 40. ქალთა მეორე გიმნაზია: ქართველი – 210, რუსი – 223, სხვა ეროვნება – 52. ქალთა მესამე გიმნაზია: ქართველი – 2, სომეხი – 232, რუსი – 42, სხვა ეროვნება – 22. ქალთა მეოთხე გიმნაზია: ქართველი – 15, სომეხი – 21, რუსი – 116, სხვა ეროვნება – 24. ქალთა მეხუთე გიმნაზია: ქართველი – 0, სომეხი – 258, რუსი – 90, სხვა ეროვნება – 20. ქალთა

მეექვსე გიმნაზია: ქართველი – 40, სომეხი – 84, რუსი – 21, სხვა ეროვნება – 4. ქალთა მეშვიდე გიმნაზია: ქართველი – 157, სომეხი – 1. ქალთა მერვე გიმნაზია: ქართველი – 236, რუსი – 1, სხვა ეროვნება – 5.“²¹³

ამგვარად გამოიყურება ეროვნებათა შემადგენლობა თბილისის ცალკეულ სასწავლებლებში 1919 წლის მონაცემებით.

როგორც მოტანილი დოკუმენტებიდან ჩანს, თბილისის სკოლებში საკმაოდ მრავლად იყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. სწორედ ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების მთავარი მიზანს წარმოადგენდა რესპუბლიკის ყველა სკოლაში ქართველი მოსწავლეების რიცხვის გაზრდა. აღნიშნულის უმნიშვნელოვანეს გამოხატულებას წარმოადგენდა ქართულ ენაზე წარმოებული სწავლა-განათლების შემოღება. ეროვნულ უმცირესობათა მრავალრიცხოვნობამ მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა ქართულ ენაზე წარმოებული სასწავლო სისტემის ჩამოყალიბებისათვის. „განათლების სამინისტრომ შეიმუშავა სასწავლო გეგმა საქართველოს რესპუბლიკის საშუალო სკოლებისათვის და უკვე სათანადო განკარგულებაც მოახდინა მისი ცხოვრებაში გატარებისათვის. დარჩა გაურკვეველი მხოლოდ საკითხი სახელმწიფო ენის სწავლები-

²¹³ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. # 658, ფურც. 3-6

სა არა ქართველთათვის. განათლების სამინისტრო ფიქრობს, რომ ქართული ენა სავალდებულო უნდა იყოს რესპუბლიკის ყველა სკოლაში, მაგრამ ვინაიდან არა ქართველ მონაფეთ ქართული არ იციან და ზოგი მათგანის ჩვენში ყოფნას დროებითი ხასიათი აქვს, შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფო ენის შემოღება დაუყონებლივ ყველა კლასში. ჯერჯერობით მოსახერხებელი იქნება მხოლოდ პირველ ოთხ კლასში სავალდებულოდ, ზევით კლასებში კი მსურელთათვის. რაც შეეხება საქართველოს ისტორიას, იგიც სავალდებულო უნდა იყოს არა ქართველთათვის, მაგრამ ვინაიდან მონაფეთ ჯერ-ჯერობით ქართული არ იციან, მისი სწავლება დროებით უნდა მოეწყოს რუსულად“.²¹⁴

ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის იგნორირების ფაქტად მიგვაჩნია დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა, როდესაც უმცირესობათა სკოლებში ქართული ენა არა-სავალდებულო საგნად გამოაცხადა. დოკუმენტში ნათქვამია: „არაქართულ სკოლებში სწავლა მონაფეთა სამშობლო ენაზე წარმოებს. პირველდანყებით სკოლაში სახელმწიფო /ქართული/ ენა არაა სავალდებულო და არც ასწავლიან, თუ თვით მშობლები და მონაფენი არ მოისურვებენ. ასეა საქმე დაყენებული მაგალითად, დიდი ღურ-

²¹⁴ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №453, ფურც. 52

ნუკის სკოლაში, სადაც სწავლა სომხურ ენაზე სწარმო-
ებს. მაგრამ არის ისეთი სოფლები /შინდისი, კუმისი/,
სადაც სომხები ქართველებიდან გრიგორიანობით გა-
მოირჩევიან. სამშობლო ენა ქართულია, ზნე-ჩვეულებ-
ა ქართული და სხვა.“²¹⁵ გარდა ამისა, საქართველოს
დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და კერ-
ძოდ პარლამენტმა „არ დაივიწყა არც ეროვნულ უმცი-
რესობათა უფლებები და რამდენადაც კი შესაძლებე-
ლია ეს, უზრუნველყო მათი ინტერესებიც. ამიტომ ჩვე-
ნი კანონით მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ ქა-
ლადების მიცემა და თარგმანების უფასოთ მიღება
შეიძლება ყველა იმ ადგილებში, სადაც კი ეროვნული
უმცირესობა შეადგენს მცხოვრებთა ცოტათ თუ ბევრად
საგრძნობ ნაწილს, ხოლო იქ, სადაც ქართულის არა
მცოდნენი უმრავლესობას შეადგენენ, საქმის წარმოე-
ბა უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ენასთან ერთად უმ-
რავლესობის ენაზეც“.²¹⁶

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ განიხი-
ლა საკითხი, რომელიც ეხებოდა სომხების მიერ
თვითნებურად ეკლესიების გახსნას. მსჯელობის შედე-
გად ექვთიმე თაყაიშვილმა გამოთქვა მოსაზრება:
„რადგან სკოლები კანონის გადახვევით გახსნეს, საჭი-

²¹⁵ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №77, ფურც. 16

²¹⁶ გაზეთი, ერთობა, 1919, № 17, გვ. 1

როა ეხლავე ზომების მიღება მათ დასახურავად, თორემ როგორც გაამრავლებენ სკოლებს, მათ დახურვას ვეღარ შევძლებ: აყვირდებიან, აყაყანდებიან, მთელს ქვეყანას მოსდებენ ამბავს ქართველებმა სკოლები დაგვიხურესო. უნინაც ბევრი ქართველები გაასომხეს სომხებმა და ეხლაც ამასვე შვრებიან“.²¹⁷

„დღემდე (1918-ნ.ს.) საინგილოში არსებობს ერთ კლასიანი ნორმალური ვაჟთა სასწავლებელი, ქალთა სამრევლო სკოლა და ოთხი ქალ-ვაჟთა სამრევლო სკოლა, სულ ექვსი სასწავლებელი. მას შემდეგ, როცა ეს მხარე ადერბაიჯანის ჯარმა დაიჭირა, ეს სკოლები გარდა ვაჟთა ნორმალური სასწავლებლისა, ადერბეიჯანის მთავრობის აპრილის 1 რიცხვებშივე დაუხურავს და მასწავლებელნიც უჭამაგიროდ დარჩენილან, რის გამოც ისინი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან. მიუხედავად ამისა, რომ მთელი ბაქათალის ოლქის მდგომარეობა საერთოდ და საინგილოსი კერძოდ, ჯერაც გამოძიებული არ არის, განათლების სამინისტრო მანც შესაძლებლად სცნობს ერთგვარი პატრონობა და ზრუნვა გაუწიოს საინგილოს სკოლებს და თავის მხრივ სთხოვს მინისტრთა საბჭოს გადასდოს ამ სკო-

²¹⁷ სცსა, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. №302, ფურც. 10

ლებისათვის მიმდინარე წლის 1 აპრილიდან 31 დეკემბრამდე 20250 მანეთი“.²¹⁸

1918 წლის მონაცემებით სოფელ კახში ასრებობდა: 1. ნორმალური სკოლა, 2. ქალთა სამრევლო სკოლა და ქალ-ვაჟთა სამრევლო სკოლები, 3. ალიბეგლოში, 4. ქოთოქლოში და 5. მეშაბაშში.²¹⁹

1920 წლის ბიუჯეტში საქართველოს განათლების სამინისტრომ შეიტანა თანხა, რომელიც უნდა გადაეცა აფხაზეთის განათლების სამინისტროსათვის: 12 779 676 მანეთი. 4. მუხლი 1. ახალგაზრდათა გასაგზავნად საზღვარგარეთ სპეციალური ცოდნის მისაღებად კომისარიატი ითხოვს 1 032 000 მანეთს. ამ მიზნებისათვის დამფუძნებელი კრების მიერ მთელი რესპუბლიკისათვის, განურჩევლად კუთხისა და მცხოვრებთა მდგომარეობისა, გადადებულია საბიუჯეტო წლის ბოლომდე 5 მილიონი მანეთი, რაც წლიურად 10 მილიონ შეადგენს და სწორედ ამ თანხიდან უნდა მიეცეს აფხაზეთის მკვიდრთაც სტიპენდია საერთო წესით და მაშასადამე ცალკე კრედიტის გაება კიდევ აღარ იქნება საჭირო. მუხლი 2. დახმარება საშუალო სასწავლებელთ: 581 962 მანეთი და 50 კაპიკი. განათლების სამინისტრო საკმაო ფულს იძლევა აფხაზეთის საშუალო სკოლათა შესანახავად,

²¹⁸ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. № 428, ფურც. 2

²¹⁹ იქვე, ფურც. 3

მათ შორის ოჩამჩირის გიმნაზიის და გორის რეალურ სასწავლებლისათვისაც. და თუ 581 962 მანეთი და 50 კაპიკის გაღება რაიმე ადგილობრივ პირობებითაა გამოწვეული, ამის შესახებ საჭიროა დასაბუთებული მოხსენება, საიდანაც ცხადი უნდა იქნეს ზედმეტი ფულის გაღების აუცილებლობა. მუხლი 3. დახმარება სკოლის გარეშე განათლებისათვის 100000 მანეთი. ამ საქმისათვის მოკლე ხანში გაღებულ იქნება 2 მილიონი მანეთი, რომლის ნაწილი, რასაკვირველია მოხმარდება საერთო წესით აფხაზეთსაც. მუხლი 4. სახელმძღვანელოთა და სასწავლო ხელსაწყოთა შესაძენად – 100000. ამ თანხის გაღება შესაძლებელია, თუ დღევანდელს პირობებში მოსახერხებელი იქნება ამ საქმის მოგვარება, განსაკუთრებით სასწავლო ხელსაწყოთა შეძენა. მუხლი 7. დახმარება ღარიბ მოწაფეთა საშუალო და დაბალ სკოლებში – 50 000. სამინისტროს ამ მიზნისათვის აქვს ორი თანხა: 200 000 მანეთი განაპირა კუთხის ახალგაზრდათა სტიპენდიისათვის და 150 000 მანეთი საშუალო და დაბალ სკოლებში სწავლის ფულის შესატანი. შეიძლება ამ თანხით ღარიბ მოწაფეთა დახმარებაც. მუხლი 8. სამასწავლებლო კურსების მოსაწყობად აფხაზეთის მასწავლებლებისათვის – 150 000. მუხლი 9. მასწავლებელთა სახლის მოსაწყობად – 88 000.²²⁰

²²⁰ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №835, ფურც. 8

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კონსტიტუციაში ჩადო სპეციალური მუხლი, რომელიც ეროვნულ უმცირესობებს ეხებოდა. „ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრების მონაცობა სახელმწიფომ უნდა ისე მოახერხოს, რომ თითოეული კულტურა რაც შეიძლება მეტად ამალდეს. კულტურის ამალღების უდიდესი საშუალებაა სწავლა-განათლება. კონსტიტუციის ამ პროექტის მე-12 თავში გატარებული დედა-აზრი თავისთავად გულისხმობს, რომ საყოველთაო განათლება და ყველა ის ზომები, რომლებიც განზრახულია კონსტიტუციის ამ განყოფილებაში, ყველა ერთათვის ერთნაირად იქნება გავრცელებული. ამ მხრივ სახელმწიფოსათვის არ იქნება არც ებრაელი, არც ელინი. რადგანაც კულტურის შეთვისება და მისი გაღრმავება მხოლოდ დედაენაზე ყველაზე უფრო ადვილი და ნაცოფიერი. სახელმწიფო ყველა ბავშვისათვის ხსნის სკოლებს, განურჩევლად ეროვნებისა და ამ სკოლებში სწავლება სწარმოებს იმ ენაზე, რომელიც ბავშვებისათვის დედაენაა. სკოლათა რიცხვი არ არის განზრახული, იხსნება იმდენი სკოლა, რამდენსაც მოითხოვს ბავშვების რიცხვი. სკოლის საქმეში სრული ეროვნული თანასწორობაა.“²²¹

პ. საყვარელიძის პროექტი ეროვნულ-უმცირესო-

²²¹ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. № 508, ფურც. 2

ბათა შესახებ საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს: 1. არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მის დედა-ენაზე, სწავლა და აღზრდა და ნაციონალურ-კულტურული საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება სწეროს, ბეჭდოს და ილაპარაკოს მშობლიურ ენით. 3. საქართველოს რესპუბლიკის ყოველ ეროვნულ უმცირესობას აქვს უფლება შეადგინოს დემოკრატიულად არჩეული ნაციონალური კავშირი, მოაწყოს, აწარმოოს, წარმოადგინოს და დაიცვას თავისი კულტურული საქმეები კონსტიტუციის კანონების საზღვრებში. 6. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს აქვს თანასწორი უფლება დაინიშნოს სახელმწიფოებრივ, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო-საერობო სამსახურში. 7. ეროვნულად შერეული თვითმმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის მიღებული თანხით დაარსოს სკოლები და კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობის პროპორციის მიხედვით. 11. გარდა სახელმწიფო ენისა, ეროვნული უმცირესობის ენის ცოდნა სავალდებულოა ადგილობრივი მმართველისა და მოსამართლისათ-

ვის. 13. არაქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლია სიტყვა წარმოთქვას პარლამენტში დედა ენით.²²²

სომეხთა ეროვნულ საბჭოს საქართველოში ჰქონდა 51 დაბალი და საშუალო გაეროვნებული სასწავლებელი და გეგმავდა კიდევ 37 სკოლის გახსნას.²²³

საქართველოს ტერიტორიაზე ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში ყველა მუსულმანთათვის, რომელთა საერთო რიცხვი დაახლოებით 150 000 უდრიდა, არსებობდა დღეს 21 პირველდანიწყებითი სასწავლებელი. „ამათში ახლა მოქმედობს მხოლოდ 9-ცხრა სასწავლებელი, რომელთა შორის 7 ბორჩალოს მაზრაშია, ერთი ტფილისისა და ერთიდ თელავში, დანარჩენი თორმეტი სასწავლებელი ახალციხე-ახალქალაქის მაზრებშია, ხოლო არც ერთში მეცადინეობა არ სწარმოებს: ზოგან წარსული ამბების გამო და ზოგან, მაგალითად, ბორჩალოს მაზრაში, შესაფერის მასწავლებელთა უქონლობის გამო“.²²⁴

ისიდორე რამიშვილი თავის მოგონებებში წერს: „დიდი ყურადღება მქონდა მიქცეული, რომ ქართულ სკოლაში შემოსულიყო რაც შიძლება მეტი მუსლიმანი

²²² სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №508, ფურც. 10

²²³ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №937, ფურც. 13

²²⁴ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №767, ფურც. 2

ქართული ბავშვი. პირველად, რომ გახსნილა ბათუმში ქართული სკოლა, მოხვედრილა მასწავლებლად მოსე ნათაძე, კაცი, რომელსაც დიდი სიყვარულით იხსენიებდნენ და რომელსაც ბევრი გაეკეთებინა, რომ მუსლიმანები დაეახლოებინა ქართული სკოლებისთვის. მის დროს, მართლაც მეტი ყოფილან მუსლიმანი ბავშვები. მეც დავადექი მისგან გათელილ გზას, დავუახლოვდი გავლენიან პირებს, უფრო მათ სასულიეროს, რადგან მათ ხელში დიდი გავლენა იყო ხალხზე, მოვიპოვე მათი თანაგრძნობა და ნდობა. ამით ბავშვების რიცხვი მუსლიმანებიდან გაიზარდა ჩვენს სკოლაში. რჯულის მასწავლებელი თავისი ჰყავდათ, სხვაფრივ ქრისტიან ბავშვებს არ ჩამოუვარდებოდნენ. ჩვენც ხელს ვუწყობდით მათ ერთმანეთთან დაახლოებას.“²²⁵

ეროვნულ უმცირესობებს თავისუფალი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების, ქართველებთან ჰარმონიული თანაცხოვრების, სამოქალაქო ინტეგრაციის სრული შესაძლებლობა ჰქონდათ. საქართველოში მცხოვრებმა ეთნიკურმა უმცირესობებმა შექმნეს საკუთარი ეროვნული საბჭოები, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოღვაწეობდნენ ეთნი-

²²⁵ ი. რამიშვილი, მოგონებები, გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს გოჩა საითიძემ და ქეთევან რამიშვილმა, თბილისი, არტანუჯი, 2012, გვ. 276

კური ნიშნით აღმოცენებული პოლიტიკური ორგანიზაციები თუ გაერთიანებები, მაგალითად, სომხური დაშნაკცუთიუნი, მუსლიმანთა ჯგუფი, ელინთა დემოკრატიული ჯგუფი; ფუნქციონირებდა 80 სომხური, 60 რუსული, 31 თათრული სკოლა, აფხაზური და ოსური დაწყებითი სასწავლებლები და სხვ; რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა.²²⁶

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სკოლების ეროვნულ საფუძველზე მონყობის კანონპროექტიდან ჩანს შემდეგი: „1. სახელმწიფო თავისი ხარჯით ინახავს მის ტერიტორიაზე მობინადრე სხვადასხვა ერთათვის სკოლების განსაზღვრულ რიცხვს, რომლებშიაც სწავლება მშობლიურ ენაზე უნდა სწარმოებდეს. 2. ქართულ სახელმწიფო სკოლებში დედაენაზე სწავლება ყველა კლასში შემოღებულ უნდა იქმნას 1918/19 სასწავლო წლის დასაწყისიდან. შენიშვნა: რომ სკოლებში, სადაც ყველა კლასში ქართულ ენაზე სწავლების ამთავითვე შემოღება სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო შეუძლებელი აღმოჩნდება, – განათლების სამინისტროს ვეალება მეორე მუხლში აღნიშნული კანონის სავსებით განხორციელება დაასრულოს არაუგვიანეს ორი წლისა. 3. ეროვნულ უმცირესობათა სა-

²²⁶ ო. ჭანელიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921, თბილისი, 2018, გვ. 42

ხელმწიფო სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლებისა და საზოგადოთ სკოლის ეროვნულ საფუძველზე მონ-ყობის საქმეს აწარმოებს თითოეული ერის სათანადო დაწესებულება განათლების სამინისტროსთან შეთან-ხმებით“.²²⁷

ვაგზლის (ტრამვაის) რაიონის სახალხო გვარდი-ის შტაბი დაარსდა 1917 წის პირველ რიცხვებში. ამჟა-მად მოთავსებულია ტრამვაის პარკში. 1919 წლის 17 ივლისს არჩეული შტაბი შესდგება 7 პირისაგან: 1. აპ. ფუმბაძე 2. თედორე ვასაძე 3. გიორგი ჯვარციშვილი 4. იასონ ჩაჩუა 5. ივანე კანტიძე 6. მ. სოსელია 7. დავ. მა-ხარაძე, მათ შორის პირველი სამი შედიან პრეზიდიუმ-ში. სულ გვარდილეთა შემადგენლობა 304 კაცია. მათ შორის: ტრამვაის მუშებია – 206 კაცი, ხელზე მოსამსა-ხურეთა კავშირის წევრებია – 49, რკინისგზის სტამბის მუშებია – 21. საქართველოს ცენტრალური კოოპერ. კავშირის – 15, ფოსტის მუშა-მოსამსახურეები – 11 კა-ცია, უმუშევარნი – 2 კაცი. მათი ეროვნება: ქართველე-ბი – 260, სომხები – 21, რუსი – 7, ოსი – 6, მუსულმანე-ბი – 4, ებრაელები – 1 და სხვა ეროვნებები – 4.

პარტიული რწმენა: საქართველოს სოციალ-დემოკ-რატიული მუშათა პარტიის წევრები – 29 კაცი, საქართვე-

²²⁷ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. № 34, ფურც. 134

ლოს სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტიის წევრები – 12 კაცი.

1920 წლის 13 ივლისს დაარსდა სარეზერვო ნაწილი სახალხო გვარდიისა ზურგის თავდაცვისათვის. შეიარაღებულია განსაკუთრებით პარტიული ამხანაგები სულ – 194 კაცი. მათ შორის: ტრამვაის მუშები – 163, რკინისგზის სტამბის მუშები – 10, მომარაგების კომიტეტის მუშები – 16 და უმუშევარი – 5 კაცი. მათი ეროვნული შემადგენლობა: ქართველი – 168, სომეხი – 11, მუსულმანი – 9, რუსი – 6, ოსი – 3, ნემეცი – 2, ბერძენი – 1, აისორელი – 1.²²⁸

თბილისის კომიტეტის მეორე რაიონში ირიცხება 2000-მდე წევრი. ეროვნების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან, ებრაელები – 4, ბერძენები – 4, მუსულმანები – 7, ოსები – 38, რუსები – 50, სომხები – 150, სხვადასხვა ეროვნებების – 30 კაცამდე, დანარჩენი 1750 კაცამდე ქართველებია. პროფესიის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან: ინტელიგენტური პროფესიის – 200 კაცამდე, მოვაჭრეები – 240 კაცამდე, მუშები – 650 კაცამდე. განათლების მიხედვით: უმაღლესი განათლებით აღჭურვილნი – 18, საშუალო განყოფილე-

²²⁸ სცსა, ფ. 1826, აღწ. 1, საქ. №5, ფურც. 17

ბით – 64 კაცი, წერა-კითხვის მცოდნე – 1200 კაცამდე, დანარჩენი უცოდინარი.²²⁹

აქვე მინდა შევეხო საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო და პროფესიულ ორგანიზაციებს, რომლებიც საკმაო მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში. მათი მთავარი მიზანი იყო საზოგადოების ფართო ფენების განათლების ამაღლება. „1910 წლის 11 მარტის მონაცემებით გატყობინებთ, რომ ჩემდამი რწმუნებულ რაიონში დაკვირვების შედეგად (ბათუმის და ფოთის გარდა) მოქმედებს საგან-მანათლებლო და პროფესიული ორგანიზაციები. 1. ქალაქი სოხუმი – საგანმანათლებლო საზოგადოებები: ა) საქართველოს მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი თბილისის საზოგადოება, თავმჯდომარე: მარია ანჩაბაძე. ბ) აბხაზებს შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება, ამ საზოგადოების სათავეში დგას სოხუმის ქალაქის თავის მეუღლე გრაფინია ელენა სოლოგუბი. ც) სოხუმის მშობლიური უნივერსიტეტის საზოგადოება, თავმჯდომარე ვეგენია სიმონოვა. დ) სოხუმის ბერძნული საზოგადოება. თავმჯდომარე – გიორგი ზაგრაფოპული. 2. პროფესიული: ა) სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, თავმჯდომარე, ბოტანიკური და სახაზინო

²²⁹ სცსა, ფ. 1826, აღწ. 1, საქ. № 5, ფურც. 19

ბალის გამოცდილი მოღვაწე ვასილ მარკოვიჩი. ბ) სოხუმის ამხანაგობა, თავმჯდომარე გოლაშევსკი. 3. ქალაქ ქუთაისის საგანმანათლებლო საზოგადოებები: ა) ქუთაისის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩი. ბ) ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება, თავმჯდომარე მოსე ქიქოძე. 4. პროფესიონალური: ა) სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება „კოლხიდა“, თავმჯდომარე იოსებ ქუთათელაძე ბ) ქუთაისის ბუნებისმეტყველების მოყვარულთა საზოგადოება, თავმჯდომარე სახალხო სასწავლებლის დირექტორი სემიონოვი. ც) არალეგალური ორგანიზაცია ქუთაისში, ხელმძღვანელები კობერიძე და დემურია. 5. ყვირილა საგანმანათლებლო ა) ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება, ხელმძღვანელი ნიკოლოზ რაზმაძე ბ) „ჭიათურის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება“, თავმჯდომარე ივანე აბაშიძე. 6. ჭიათურა-პროფესიონალური ა) „წვრილ მენარმეთა ასოციაციის ბიურო“, თავმჯდომარე ალექსანდრე გამრეკელი.²³⁰ ბათუმის ოლქში არის შემდეგი ლეგალური პროფესიული და საგანმანათლებლო სა-

²³⁰ სცსა, ფ. 153, აღწ. 1, საქ. №1924¹, ფურც. 131

ზოგადობები: 1. ბათუმის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოება. 2. კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილება. 3. ბათუმის ელინური კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება. 4. სომხურ-კათოლიკური საგანმანათლებლო საზოგადოება. 5. ბათუმის მექვაბე-მშრომელთა არტელი. 6. ბათუმის აჭარის მშრომელთა არტელი. 7. ბათუმის მომხმარებელთა საზოგადოება „შავი ზღვა“.²³¹

ამას გარდა არსებობდა: ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოება. მისი წევრები: იუსტინე აბულაძე, სერგი გორგაძე, პოლიევქტოვი. 2. ქართული ორგანიზაცია „განათლება“. წევრები: ნ. ჰ. ბარათოვა, ნ. გ. ერისთავი, პ. კ. ქურდიანი, ე. გ. მესხი, ან. ჰავლიევა, ა. ა. ფაღავა, ან. თუმანიშვილი-წერეთელი, კალისტრატე ცინცაძე, მოსე ჯანაშვილი, დავით კარიჭაშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, ალ. სარაჯიშვილი. 3. მხატვრული ლიტერატურის ქართული ორგანიზაცია. წევრები: შიო დედაბრიშვილი, სიმონ ყიფიანი, კონსტანტინე მინაევი, გიორგი რცხილაძე, იროდიონ ხოსიტაშვილი.²³² 4. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. წევრები: არლუთინსკი, პეტრე გრუზინსკი, ვირანოვი, იოსელია-

²³¹ სცსა, ფ. 153, აღწ. 1, საქ. №1924¹, ფურც. 133

²³² იქვე, ფურც. 15-17

ნი, ვასილ რცხილაძე, ჯაფარიძე, ვალანდაძე, პეტრე მელია, ნიკიტა თალაკვაძე. 5. კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების წევრები: ვეიდენბაუმი, გლასენი, ზელენოი, პიგარევი, რეგევიჩი, სატუნინი, ტარატინოვი, ტკაჩევი. 6. კავკასიის იურიდიული საზოგადოება: ბროდსკი ბორის, გიორგი გვაზავა, გ. კუდრევიჩი, კუსიკოვი, ლიმერმანი, ცოვიანოვი, იუზინსკი.²³³

7. თბილისის „ახალი კლუბი“. წევრები: მ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი, ა. ა. აბხაზი, ნ. მ. ჯორჯაძე, ვ. ვ. სიდამონ-ერისთავი, ქავთარაძე ქაიხოსრო, კლდიაშვილი ს. გრ. ვ. ა. კორინთელი, ე. ირ. ორბელიანი, პ. რ. სურგულაძე.

9. რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოება ქალაქ თბილისში. წევრები: ტერ-ალექსანდროვი, ევგენი ვ. ანდრეევი, ალექსანდრე ბენედიკტოვიჩი, კობიევი, ლომიძე, დიმიტრი ლუპანდინი, ელენა ნაკაშიძე, არნოლდ რუძიანსკი, ნიკ. წითელოვი. 10. თბილისის ჟურნალისტთა საზოგადოება. წევრები: ოსიპ ბუკშტეინი, პეტრე გელეიშვილი, ნიკოლოზ ელიავა, ალექსანდრე სტაროვსკი, ივ. სუნდუკიანი.²³⁴

²³³ სცსა, ფ. 153, აღწ. 1, საქმე № 1924¹ ფურც. 19-15

²³⁴ იქვე, ფურც. 26-45

თავი მესამე
საქართველოს მართლმადიდებელი
ეკლესია და განათლება

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. 1920 წელს გაზეთ „ერთობაში“ ვკითხულობთ: „ამ ბოლო დროს ისევ წარმოსდგა საკითხი ეკლესიასთან დამოუკიდებულების შესახებ. საქართველოში რამდენიმე სარწმუნოების ხალხი ცხოვრობს. მართლმადიდებელი, მუსულმანი, გრიგორიანი და სხვა. რომელიმე მათგანის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ დაყენება-იქნებოდა დიდი კლერიკალური ნაბიჯი და თან დანარჩენი სარწმუნოების ხელოვნურად დაჩაგვრა. ეკლესია კი საგანია რწმენის. სარწმუნოება საქმეა სვინდისის. ხოლო სვინდისის თავისუფლება მოითხოვს ყოველ სარწმუნოებას მოვეპყრათ სრულის თანასწორობით ისე, როგორც ყოველ რწმენას, ყოველ მსოფლმხედველობას. ამ ძირითადი დებულებიდან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენ არ ვებრძვით სარწმუნოებას სახელმწიფოებრივი იარაღით, არ ვცდილობთ ერთის დაჩაგვრას და მეორის გაბატონებას. მაგრამ არც სარწმუნოების მიმდევართ ვაძლევთ საშუალებას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაე-

რიონ და რწმენის საკითხი პოლიტიკურ ფაქტორად აქციონ. სამღვდელოების ასეთ ტენდენციებს, რომელსაც აქვს ისტორიული მიზეზები, მაგრამ არ აქვს გასამართლებელი საბუთი დღევანდელ ვითარებაში, ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ. ეკლესია თავისუფალი, დამოუკიდებელი კავშირია მორწმუნეთა შორის და სახელმწიფო მათ რწმენის საგანში არ ერევა“.²³⁵

1916 წელს გაზეთი „სახალხო ფურცელი“ წერდა: „1916 წელს ქუთაისში მომხდარ იმერეთის ეპარქიის სამღვდელო კრებებზე გამოტანილი რეზოლუციები ეჭვს გარეშეა კარგ შთაბეჭდილებას დატოვებს ქართველი საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელიც ეროვნული სახის შერჩენითა და ეროვნული მთლიანობის დაცვით გულწრფელადაა დაინტერესებული.“

ჩვენი სამღვდელოების შედარებით დემოკრატიულმა ნაწილმა ხსენებულ კრებებზე ნათლად დაამტკიცა, რომ ბევრ ქართველ მღვდელში ქართული სული მეუფებს და გარდა პირადი ბედნიერებისა საზოგადო კეთილდღეობაზე ზრუნვის უნარსაც არ არის მოკლებული.

დავინწყოთ იქიდან, რომ სამღვდელოებამ თითქმის ერთხმად სცნო საჭიროდ სამღვდელოების ხარჯზე დაარსდეს ერთი საშუალო საერო სასწავლებელი,

²³⁵ ჩვენ და ეკლესია, გაზეთი, ერთობა, 1920, №155, გვ. 1

სადაც სწავლება ყველა საგნისა ქართულ ენაზე იწარმოებს. განა საეჭვოა კიდევ ის გარემოება, რომ ჩვენი ეროვნული სახის გადამახინჯებას უპირველეს ყოვლისა ენის გადაგვარება გამოიწვევს, თუ დროზე არ ვიღონეთ რამე? და რა უნდა იღონოს ქართველმა ხალხმა გადაგვარების წინააღმდეგ თუ არა სასწავლებლების გახსნა და მისი საშუალებით ხალხში დედა-ენაზე სწავლა-განათლების გავრცელება.

იმერეთის სამღვდელოება ჩასწვდა ყველა ამას და წარმოიდგინეთ ისე შორს წავიდა ამ მხრივ, რომ თავის ვიწრო წოდებრივ ან პროფესიონალურ რაობას გვერდი აუხვია და საზოგადოების ფართო წრეთა გასათვისცნობიერებლად საერო სასწავლებელი ირჩია“.²³⁶

1918 წელს დევანობი ვ. კვლენჯერიძე წერდა: „ერის პოლიტიკური არსებობა ურელიგიოთ წარმოუდგენელია. ეგრეთვე არსებობა ქართველი ერისა, რომლის პოლიტიკური და რელიგიური ზრდა შეხმატკბილებულად მიდიოდა წინ – ურელიგიოდ წარმოუდგენელია. ბიბლია, რომლის ნიადაგზეც აღიზარდა ოქროს საუკუნის ქართველობა საუკეთესო მოძღვართა ხელმძღვანელობით, რამაც დაბადა საუკეთესო თვი-

²³⁶გ–ა, ქართველი სამღვდელოება და საერო საქმენი, გაზეთი, სახალხო ფურცელი, 1916, №491, გვ. 3

სებანი ქართველი ერისა – ხასიათის სიმტკიცე, ფაქიზი მნეობა, ზრდილობა და თავგანწირვა მამულისათვის. ბიბლია, რომლის შესწავლა უკვდავი შოთას მხრივ ასე ნაირად გამოსტკვივის მის ვეფხვისტყაოსანში“ კვალად უნდა დარჩეს საყვარელ წიგნად და სავალდებულო შესწავლის საგნად მოზარდი თაობისა. თუ არ გვინდა გადაგვარება ქართველი ერისა“.²³⁷

დეკანოზი ტარასი ივანიცკი სტატიაში „სარწმუნოების მნიშვნელობა“ წერდა: „ჩვენს განახლებულს და თავისუფალს საქართველოშიაც ჯეროვანის ყურადღებით უნდა ვექცეოდეთ ქრისტიანობის ინტერესების დაცვას. მაგრამ ამის მაგივრად რა გვესმის? გაზეთებიდან ვიგებთ, რომ საღმრთო სჯული სკოლებში აღარ უნდა ისწავლებოდესო, მღვდლები, საყდრები, სჯულის მასწავლებლები, ვისაც უნდა იმათ შეინახონო და სხვა ამგვარი სარწმუნოების მნიშვნელობის დამცირებას. ამგვარ გზას რომ დავადგეთ, სარგებლობას კი არა, უზნეობისა და ბოროტების გავრცელებას შეუწყობთ ხელს“.²³⁸

²³⁷ დეკანოზი, ვ. კელენჯერიძე, სამღვთო სჯულის სკოლიდან განდევნის გამო, გაზეთი, საქართველო, 1918, №208, გვ. 4

²³⁸ დეკანოზი, ტარასი ივანიცკი, სარწმუნოების მნიშვნელობა, გაზეთი, საქართველო, 1918, №225, გვ. 4

გაზეთში „საქართველო“ ვკითხულობთ: „ერი ზნეობის ფუძეს გადამცდარი, ვერავითარ როლს ვერ თამაშობს ისტორიაში. იგი ან ისპობა ან უბრალო მასალად შედის მეორე ერის ისტორიაში. ასეთ რწმენიდან გამომდინარეობს ჩვენი „ეკლესიელთა“ პოლიტიკა და ტაქტიკა, ამითი აიხსნება, რომ სამღვდელოება ურყევად დგას სახარების ნიადაგზე, მუხლთ არ უდრევს მატერიალურ სოციალიზმს, ებრძვის მას და შეგონებულად მოუწოდებს თავის სამწყსოს შესაკრებად მამა-პაპათა აღმზრდელ ეკლესიის გარშემო, რომ შეერთებული ძალით დაამსხვრიოს მონობის ჯაჭვები. ჩვენც აქეთვე მოუწოდებთ ძვირფასი სამშობლოს დამოუკიდებლობის მოტრფიალეთ და ვთხოვთ ამას მიაქციონ ყურადღება, დაგვეხმარონ, თორემ ჩვენს ეკლესიას სხვა გზით ველარ აღადგენენ და ბრმა სამსონივით თვითონაც ეკლესიის ნანგრევებს ქვეშ მოჰყვებიან“.²³⁹

1920 წლის გაზეთ „საქართველოში“ ვკითხულობთ: „როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს, ეკლესიაც ხარობდა, ეგონა რომ ერის დასვენება მას მისცემდა დროს მომეტებულ აყვავებისა და განვითარებისათვის. მაგრამ მოტყუდა. რუსმა შოვინისტებმა უმთავრეს მიზნად დაისახეს ჩვენი გადაგვარება, ამოგ-

²³⁹ „ნიგ“, პაპის ლეგატის დელეგატის მისია და ჩვენი საეკლესიო პოლიტიკა, გაზეთი, საქართველო, 1920, № 1, გვ. 4

ლევა ენისა, გულის უმთავრეს სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილი ძარღვისა, იმ ძარღვისა, რომელიც ყოველ ჩვენგანს ასულდგმულედა. მან კარგად იცოდა, რომ ყველა ამგვარ მიზანს მიაღწევდა სარწმუნოების წყალობით. მას კარგად ჰყავდა შესწავლილი ქართველი ერი, ის ერი, რომელიც ათასი წლობით ვითკლდე ანდამატისა, მტკიცედ ებრძოდა გარშემორტყმულ მტერს, იცავდა ქრისტეს ჯვარს, ენას.²⁴⁰

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა და განსხვავებულ გარემოში განაგრძო არსებობა. „ივერიის ეკლესია ფრიად დამსახურებული, მხცოვანი დაწესებულებაა ჩვენს სამშობლოში. ის ასაზრდოებდა ქართველ ერს სულიერად, ზნეობრივად, გონებრივადაც და წვრთნიდა მის მამულიშვილურ შემეცნებასაც. ჩვენი ეკლესია საქართველოში ასრულებდა დიდ კულტურულ-განმანათლებელ საქმეს, აფხიზლებდა ერს ისტორიული განსაცდელის ხანებში, იცავდა მასში ეროვნულ შეგნებას და ღირსებას, იფარავდა მას გადარჯულებისაგან. მრავალჯერ პოლიტიკურად უფლებააყრი-

²⁴⁰ მღვდელი, ალ. ოქროპირიძე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაღუპვა მოელის, გაზეთი, საქართველო, 1920, №9, გვ. 4

ლი და დამონებული საქართველო არსებობდა ეკლესიურად, სარწმუნოებრივად შეკავშირებულ მტკიცე ერთეულად.

ასეთ სოციალურ-პოლიტიკურ მუშაობაში ჩვენი ეკლესია ჩრდილში რჩება, ის უკანა რიგში დგას, მას ნაკლებე ყურადღებას ვაქცევთ, ამიტომ დიდ განსაცდელშია დღეს ჩვენი ეკლესია, უფრო დიდში, ვიდრე წინად იყო. გარეშენი ვერ გაუბედავდნენ ჩვენს ეკლესიას იმას, რაც შინაურებმა, თავისიანებმა მას კადრეს, ზოგი ცნებით, ზოგი უმეცრებით, ზოგი ნებსით, ზოგიც უნებლიედ.²⁴¹

გრიგოლ ლორთქიფანიძე თავის მემუარებში „ფიქრები საქართველოზე“, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაკავშირებით წერს: „ქართული ეკლესია მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ავად თუ კარგად, მაგრამ მაინც განაგრძობდა ეროვნების დამცველი ფაქტორის როლს. ეს როლი მას დასაბამიდგან ქონდა ისტორიულად დაკისრებული და გასულ საუკუნეშიაც განაგრძობდა მის შესრულებას. ქართული ეკლესიის ეს ეროვნულ-მოგერიებითი მოღვაწეობა წინა საუკუნეებში, ერთის მხრით, რამდენიმედ გაადვილებული იყო იმით, რომ მაშინ საქრისტიანო საქართველოს საქმე ქონდა ისლამთან, ამ ორ სარ-

²⁴¹ ჩვენი ეკლესიის ცხოვრებიდან, გაზეთი, საქართველო, 1920, №62, გვ. 4

წმუნობას შორის გაუვალე უფსკრული იყო, მდგომარეობა და ურთიერთობა მეტად ნათელი, მკაფიო და განსაზღვრული, ამიტომ ამ ხანებში შეუძლებელი იყო მტრისათვის ქართულ ეკლესიაში მეგობრისა და ძმის ქურქით შესვლა და მისი შიგნიდან გადაგვარება და მოშლა. ხოლო რუსეთის მფლობელობის დროს ამ მხრით მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ ახალი მპყრობელი თვით იყო ქრისტიანი და ისიც მართლმადიდებელი. ამ გარემოებამ მეტად გაუადვილა რუსეთს საქართველოს ეკლესიასთან ბრძოლა. ანაფორაში გადაცმული რუსული ნაციონალისტური იმპერიალიზმი ერთმორწმუნეობის საბაბითა და ნიღბით ადვილად შეიჭრა ქართულ ეკლესიაში და მის გარუსებას შეუდგა.²⁴²

1917 წლის ქართველთა ეროვნული საბჭოსადმი წარდგენილ მოხსენებაში გადმოცემულია ის მძიმე ვითარება, რაც რუსიფიკაციის გავლენამ მოუტანა საქართველოს, და მათ შორის სამღვდელოებას. ძველი და ახლი თაობის წარმომადგენლებს შორის დაიწყო დაპირისპირება, რაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზეც აისახა. „სამწუხაროდ ეროვნულ პოლკებში მღვდლების დანიშვნა მოხდა უყურადღე-

²⁴² გრიგოლ ლორთქიანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბილისი, 1995, გვ. 51-52

ბოდ და უტაქტიკოდ. ქართველი მღვდლები არიან ომის დაწყებიდანვე გასულნი პოზიციაზე, იციან სამხედრო საქმე, ჭირი და ლხინი, დაუმთავრებია კურსები სემინარიაში, იციან ყველა ის, რაც ჯარისკაცს სჭირია, მაგრამ მათ არსებობასაც კი ყურადღებას არავენ აქცევს, არამც თუ ცოდნას და გამოცდილებას. რუსეთის სამხედრო სამღვდლოება კი ნელ-ნელა ერეკება ქართველ სამღვდლოებას. ქართულ ჯარებში მოყვნიენ ისეთი მღვდლები, რომლებთაც არავითარი კავშირი არ ჰქონია ჯართან, არამც თუ მათში მსახურობდნენ. ან ორი ადგილი უჭირავთ და ან ისეთი მღვდლები, რომლებსაც პოზიცია სრულებით არც კი უნახავს.... ქართველნი მღვდელნი უნდა იყვნენ მიღებულნი ეროვნულ ლაშქარში ნამსახურებით და გამოცდილებით და აგრეთვე ყურადღება მიექცეს რკინის გზის ეკლესიებს, მიტომ რომ იგინი ერთნაირად ემსახურებიან როგორც ქართველებს, აგრეთვე რუსებს და ითვლებიან რუსულ-ქართულ მრევლებად“.²⁴³

როგორც მოტანილი მასალა მოწმობს, რუსეთის იმპერიის მიერ მიზანმიმართულად ხდებოდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის რუსიფიკაციის პროცესი, რამაც უარყოფითი დადი დაასვა მას და სამხელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემ-

²⁴³ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №32, ფურც. 15-18

დეგაც ეს მოვლენა პირდაპირ თუ ირიბად ხშირად იჩინდა ხოლმე თავს. ამას გარდა, ამ მოვლენის გარკვეულ ინტერპრეტაციას სთავაზობდა საზოგადოებას იმ პერიოდის პოლიტიკური ელიტის ნაწილი.

შესაძლოა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ბევრი საკითხი საკამათო იყოს და სხვადასხვაგვარი დამოუკიდებულება არსებობდეს, მაგრამ ფაქტი ერთია, ამ პერიოდიდან მოყოლებული ამ ორი ინსტიტუციის ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო.

1917 წელს საეკლესიო კრებაზე მიღებულ იქნა დებულებები საკათალიკოსოს საშუალო და მდაბალ სასულიერო სასწავლებელთა შესახებ: 1. საქართველოს ეკლესიას, როგორც ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ საზოგადოებას აქვს საკუთარი ტიპის მდაბალი და საშუალო სკოლა, რომელმაც უნდა აღზარდოს მორწმუნეთა შვილები ჰუმანიტარულ-ქრისტიანულ საფუძველზე და ამავე დროს სამღვდელოებასაც მისცეს შეძლება მიაღებინოს თავის შვილებს შეღავათიან პირობებში სრულუფლებიანი მდაბალი და საშუალო განათლება. ამ სკოლებში სწავლა ყველა საგნებისა უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე და ამასთან საღმრთო სჯულის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს. პროგ-

რამითა და უფლებებით ეს სასწავლებლები უნდა გაუ-
თანასწორდეს მთავრობის თანაბარ სასწავლებლებს
(პროგიმნაზიებსა და გიმნაზიებს). 2. არსებული სასუ-
ლიერო სასწავლებლები პროგრამით ყველგან გადა-
კეთდეს სრულუფლებიან პროგიმნაზიებად. 3. თფი-
ლისისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლები
შეუერთდნენ ადგილობრივ სემინარიებსა და მათთან
ერთად გადაკეთდნენ სრულუფლებიან გიმნაზიებად,
მთავრობის გიმნაზიების პროგრამით, ამავე გიმნაზი-
ებში მერვე კლასის შემდეგ გახსნილ იქმნეს სპეცია-
ლური საღვთისმეტყველო კურსები (ორი კლასი) სამ-
ღვდელო კანდიდატთა მოსამზადებლად. საღვთის-
მეტყველო კურსებზე მიიღებიან სხვა საშუალო სასწავ-
ლებლებში კურსდამთავრებულნიც“.²⁴⁴

1920 წელს გაზეთში „სახალხო საქმე“, ეპიტანე
ჩხაიძე წერს საკუთარ მოსაზრებას სახელმწიფოსა და
ეკლესიის ურთიერთობაზე: „ჩვენი ეკლესიის ცხოვრე-
ბის დაცემა აშკარა ფაქტია. თუ დავუახლოვდებით
ხალხს, კარგად გავეცნობით მის აზრს, შეხედულებას
და სულიერ მისწრაფებას, დავრწმუნდებით, რომ ის
გულგრილობას იჩენს სარწმუნოებისა და ეკლესიური
საკითხებისადმი. ეკლესიის მართვაგამგეობის ფორ-
მის შეცვლამ დემოკრატიულ ნიადაგზე, რაც მოახდინა

²⁴⁴ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №238, ფურც. 3

საეკლესიო კრებამ 1917 წელს ვერავითარი გავლენა ვერ იქონია ზემოთქმული მოვლენის გამოსასწორებლად. ამიტომ ბუნებრივად იბადება საკითხი, რა არის მიზეზი ამ მოვლენისა, რითი აიხსნება ის? დროებით და გარდამავალ მიზეზებს გარდა უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის რომ ხალხის სულიერ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ეკლესიის მოძღვრება და წყობილება. ხალხის გონება გაიზარდა, განვითარდა და გაასწრო როგორც დაძველებულ გარეგან ფორმებს ეკლესიის წყობილებისა ის გაიმსჭვალა სოციალისტური მოძღვრებით. ჩვენ დაუფარავად უნდა აღვნიშნოთ ნაკლი, რაც ჩვენს ისტორიულს ეკლესიას ჰქონდა, ჩამოვაშოროთ მას ის და გარდავექმნათ დროის მოთხოვნილების მიხედვით. სამართალი მოითხოვს აღვნიშნოს, რომ ჩვენმა ეკლესიამ წარსულში ერთგვარი სამსახური გაუწია ჩვენს ერს. მაგრამ არ შეიძლება ყველაფერში იგი გავამართლოთ...

.... ქრისტე თავის საქმეს აცალკევებს სახელმწიფოდან, ის თავის საქმეს არ ურევს ამქვეყნიურ საქმესთან, ღვთის მსახურობას თხოულობს დამოუკიდებლად მეფის მსახურებიდან „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა“. ამიტომ ეკლესიამ თავის თავი უნდა გამოიყოს სახელმწიფოსაგან, ის უნდა იყოს თავისთვის პატრონი და თვით მომქმედი. მას უნდა

ჰქონდეს უფლება თავის საქმეების მოწყობისა, თავისუფალი ქადაგებისა, წესების შესრულებისა და სხვა. სახელმწიფოსთან კავშირი მას ავტორიტეტს გაუტეხს. როგორი წყობილების სახელმწიფოც არ უნდა იყოს, ის მაინც დააკისრებს მოვალეობას ეკლესიას, რაც შეეფერება მას. ასეთი შეხედულება ამ საკითხზე გამოთქვა საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენლების კრებამ, რომელიც მოხდა დეკემბერში 1905 წელს და ასეთი შეხედულება ნაგულისხმევია საქართველოს საეკლესიო 1917 წლის კრების დადგენილებებში.²⁴⁵

ჯერ კიდევ 1917 წელს სოფრომ მგალობლიშვილი სამღვდელოებასთან დაკავშირებით შემდეგ აზრს ავითარებს: „სასულიერო სასწავლებლებმა და სემინარიამ გვაძლია გადაგვარებული სამღვდელოება. სოფლად მოედო ასეთი სამღვდელოება. შინაურული შესწავლა ქართული წერა-კითხვისა, ქართული ლოცვებისა, სარწმუნოებრივი გრძნობა მოისპო. ამის მიზეზი იყო ნახევრად გარუსებული სამღვდელოება. ძველი სამღვდელოება, აღზრდილი მონასტრებში, განსწავლული სამშობლო ენაზე, ნელ-ნელა ჩამოვიდნენ ასპარეზიდან. ეკლესიამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა

²⁴⁵ ეპიტანე ჩხაიძე, საეკლესიო რეფორმა, გაზეთი სახალხო საქმე, 1920, № 860, გვ. 2

ხალხის თვალში. აღარ ისმოდა ძველი მღვდლების მშვენიერი, მეტყველი, მარგალიტი წირვა-ლოცვა, გალობა უღმობიერესი, სულისა და გონების დამატყვევებელი“.²⁴⁶

სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს მიმართავს ტფილელი მიტროპოლიტი ლეონიდე: „პატივი მაქვს მოკრძალებით მოვახსენო საკათალიკოზო საბჭოს შემდეგი: ქართლ-კახეთის მონასტრები ისეთ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან დღეს, რომ თუ საქმე ასე გაგრძელდა, ერთი წლის შემდეგ ჩვენ საამაყო და თავმოსაწონი ლავრები: იოანე ნათლისმცემლისა, დავით გარეჯელისა, შიო მღვიმელისა, ანტონ მარტყოფელისა, ქვათახევისა და სხვები ნანგრევებად იქცევა. ხსენებული ლავრების შესანიშნავი ტაძრები, კოშკები, სენაკები და გალავნები დღევანდლამდე ინახებოდა იმ საშუალებით, რომელსაც მონასტრები ღებულობდნენ იჯარის სახით მათ სარჩენად დატოვებული მამულებიდან. სამწუხაროდ, სწორედ ამ მხრივ საბედისწერო ნაბიჯი გადიდგა ჩვენში – მოგეხსენებათ სამონასტრო მიწების ჩამორთმევის თაობაზე დეკრეტის გამოცხადებაზე, რომლის შემდეგაც, რაც ტყეები, სათიბები, სახნავსათესი, ვენახები, წის-

²⁴⁶ სოფრომ მგალობლიშვილი, ქართული ეკლესია და სამღვდელოება, ჟურნალი, თეატრი და ცხოვრება, 1917, №9, გვ. 6-7

ქვილები, საქონელი, ან სამეურნეო იარაღები გააჩნდათ მონასტრებს, ყველაფერ ამას დაეპატრონენ გლეხები.....უცხოეთში ჩვენ მონასტრებისთანა ძეგლებს თავს ევლებიან, არავითარ ხარჯებს არ ზოგავენ მათ დასაცავად და მტერსაც კი მიუტევებელ ველურობის აქტად უთვლიან მათს დანგრევა-დაზიანებას. ჩვენ რაღათ ჩავაყენეთ მონასტრები ასეთ განწირულ მდგომარეობაში? იმისთვის, რომ სამონასტრო მამულები გადავცეთ გლეხებს, რომ გლეხთა კეთილდღეობა უმაღლესია მონასტრების არსებობაზე. მაგრამ ჩვენი სამონასტრო მიწები იმდენად უმნიშვნელო რაოდენობისაა, რომ თითოეულ გლეხს დღიურის მეთედი ნაწილიც არ შეხვდება.....

XIX-XX საუკუნეებში არც ერთ ჩვენ მონასტრებში ძმათა რაოდენობა არ აღემატება ორთა შუა რიცხვით ათ ვაცს, რომელიც გარდა შავი პურისა და წლიურად შვიდი თუმანი ჯამაგირისა არა ჰქონდათ რა. იქნებ ხალხი მოითხოვს მონასტრების განადგურებას? არა, ხალხი დიდად სწუხს ბერების აწიოკებაზე, სულიერად იტანჯება მონასტრების დღევანდელი მდგომარეობით“.²⁴⁷ აქედან გამომდინარე, ლეონიდე ოქროპირიძე სთხოვს დახმარებას საკათალიკოსო საბჭოს მიმართოს მას, ვისაც შეუძლია ამ პრობლემის მოგვარება

²⁴⁷სცსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. № 680, ფურც. 27

და ქართული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის გაუმჯობესება.

ლენონიდე ოქროპირიძე ასევე მიმართავს ხელი-სუფლებას მესხეთ-ჯავახეთში არსებული მდგომარეობის თაობაზე და სთხოვს გადადგას გარკვეული ნაბიჯები პრობლემათა მოსაგვარებლად. „მონყალეო ბატონო ნოე ნიკოლოზის ძეგ: ოსმალთაგან აკლებული მესხეთ-ჯავახეთითგან საკათალიკოზო საბჭოს მოსდის ერთიმეორეზე გულშემზარავი ამბები ქრისტიანი-ქართველების უმწეოა მდგომარეობის თაობაზე სარწმუნოების საქმეში. კარგად ცნობილი დეკანოზი დ. ხახუტაშვილი, საბჭოს მიერ გაგზავნილი მღვდელ-მონაზონი ევაგრი, ქართული საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი ბ.ბ. ვეშაპელი, ალხაზიშვილი და სვიმონიშვილი ერთხმად ადასტურებენ მესხეთ-ჯავახეთის ქართველობის აუტანელ მდგომარეობას. „სოფლები მთლად დაქცეულია“, წერს თავის მოხსენებაში მღვდელ-მონაზონი ევაგრი, მცხოვრებნი ტიტველ-მშიერნი სძოვენ ბალახს, როგორც საქონელი, ყველგან ტირილი, გლოვა და მწუხარებაა; არ შეიძლება ყველა მათი უბედურება აინეროს კალმით, მხოლოდ მნახველს შეუძლია ასწონოს მათი გაჭირვება და უბედურება.

მიუხედავად ამ აუხსნელი მდგომარეობისა მეს-

ხეთ-ჭავახეთის ქართველობა მაინც შესდგომია გაცარცული და მინგრეულ-მონგრეული ეკლესიების განახლებას და ღვთის მსახურებისათვის მონცობას. პირველ ხანად განუზრახავთ ორი ეკლესიის განახლება და ითხოვენ ჩვენგან სათანადო დახმარებას.²⁴⁸ ამიტომ იგი ხელისუფლებას სთხოვს 50000 მანეთის გაღებას არსებული მძიმე ვითარების მოსაგვარებლად და მესხეთ-ჭავახეთის ტერიტორიაზე ღვთისმსახურების აღსადგენად.

საკათალიკოზო საბჭო მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმში შემნილი მოვლენების თაობაზე: „ვინაიდან ბათომის ოლქის სვებედი ჯერ კიდევ არ გამორკვეულა, ამისთვის ვერც იქაურ ეკლესიების მართვა-გამგეობის შესახებ შეიძლება ითქვას უკანასკნელი სიტყვა: თუ ბათომი დარჩა ოსმალეთის საზღვრებში, მაშინ, ოსმალთა საეკლესიო პოლიტიკის მიხედვით, იქაური ქართველობა იძულებული გახდება თავი შეაფაროს ეკლესიას და ყოველგვარი თავისი კულტურული მუშაობა აწარმოვოს ეკლესიის მფარველობის ქვეშე, ხოლო თუ ბათომი გადმოვიდა საქართველოს რესპუბლიკის ხელში, მაშინ მისი ეკლესიების მართვა-გამგეობა უნ-

²⁴⁸სცსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. № 833, ფურც. 62

და სწარმოებდეს რესპუბლიკის და საკათალიკოსოს კანონების მიხედვით.

ამჟამად კი საკათალიკოსო საბჭომ შესაძლებლად სცნო დროებითის წესების შემუშავება, რომელიც გამოიხატა შემდეგს მის განაჩენში: „ბათომის საკითხის კონფერენციის მიერ გადაწყვეტამდე შემოღებულ იქმნეს შემდეგი წესი: 1. ქალაქ ბათომის და მისი ოლქის ეკლესიები დაექვემდებაროს კათალიკოს-პატრიარქს; 2. ამ ეკლესიათა უახლეს გამგედ დანიშნულ იქმნეს სამღვდლო პირთაგან კათალიკოს-პატრიარქის რწმუნებული; 3. კათალიკოს-პატრიარქის რწმუნებულის თავმჯდომარეობით ბათომის ქრისტიანთა წარმომადგენელთაგან შესდგეს საბჭო, რომელსაც დაევალოს ზრუნვა ადგილობრივ ქრისტიანთა საზოგადოებრივ-სარწმუნოებრივ ცხოვრების მოწესრიგებისათვის. 4. დაევალოს აღნიშნულ საბჭოს გამოიმუშავოს ინსტრუქცია თავისი მოქმედებისა ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით და წარმოუდგინოს იგი დასამტკიცებლად საკათალიკოსო საბჭოს. 5. ბათომის ოლქის დასამწყემსელად საკმარისად მიჩნეულ იქმნას კრებული ორის მღვდლის, ერთის მთავარ-დიაკონის და ორის წიგნის მკითხველისაგან. 6. საქართველოს რესპუბლიკის ხაზინიდან დანიშნული ჯამაგირი ბათომის საკრებულო ტაძრის და ხულოს ეკლესიის კრებულის შესანა-

ხად შეერთდეს და მიეცეს ზემოაღნიშნულის კრებულს. 7. კრებულის თითო მღვდელს დაენიშნოს წლიურ ჯამაგირად ასოცი თუმანი, მთავარდიაკონს 800 მანეთი და თითო წიგნის მკითხველს სამოცი თუმანი. 8. კათალიკოს-პატრიარქის რწმუნებულს დაენიშნოს წლიურ ჯამაგირად 1200 მანეთი და კანცელარიის შესანახავად 300 მანეთი. 9. კათოლიკოს-პატრიარქის რწმუნებულად და ბათომის ოლქის უფროს მღვდლად დაინიშნოს დეკანოზი მამა არსენ თოხაძე. 10. ეთხოვოს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას და ომისაგან დაზარალებულ პირთათვის მზრუნველ კომიტეტს აღმოუჩინონ ბათომის სამღვდელოებას შესაფერი დახმარება. 11. ბათომის ტაძრისა და ხულოს ეკლესიის კრებულის ჯამაგირი გადმორიცხული იქმნეს ბათომის ხაზინიდან ტფილისში. 12. ეს განაჩენი ეცნობოს ჭყონდიდელ მიტროპოლიტს ამბროსის და საბჭოს ხაზინადარს ბ-ნ ყარამან მუხუზლის შესაფერის განკარგულებისათვის“.²⁴⁹

საქართველოს დამფუძნებელი კრების ფონდში დაცული მასალიდან იკვეთება შემდეგი: „ჩვენი კულტურული ნაშთების უმთავრესი განძეულობა დაცულია საქართველოს ეკლესია-მონასტრებში. მონასტრული ცხოვრება ჩვენში რევოლუციის დაწყებამდის ძლიერ

²⁴⁹ სცსა, ფ. 1863, აღნ. 1, საქ. № 680, ფურც. 71

დაცემული იყო, მხოლოდ რევოლუციის და აგრარული რეფორმის გატარების შემდეგ მონასტრები სულ განადგურდა, როგორც მაგალითად, იოანე ნათლისმცემლის უდაბნო, დავით გარეჯის მონასტერი, არმაზის მონასტერი და სხვა. მათი განძეულობა ავაზაკებმა და თათრის ბრბოებმა დაიტაცეს. სხვა მონასტრებიდან ადგილების ჩამორთმევის და ჭამაგირის მოსპობის გამო ბერები გაიქცნენ, ზოგი გაიკრიჭა და სხვა საქმეს მიჰყო ხელი. სადაც ერთი ორი ბერი დარჩა, ისინიც თავის უფროსებს, ეპისკოპოსებს და მიტროპოლიტებს აღარ უგონებენ და არც უშობენ მონასტრებში, ჭყონდიდელი აღარ ცხოვრობს ჭყონდიდში, ალავერდელი ალავერდში და არც შუამთაში, სადაც წინათ მისი რეზიდენცია იყო. მონასტრის განძეულობას იტაცებენ ავაზაკები, ბერები აშკარად ყიდიან ნივთებს, ყოველ დღე გვესმის ამბავი და ვიღებთ ცნობებს ეს და ეს ეკლესია გაძარცვეს, ამ და ამ მონასტრიდან ნივთები მოიტაცეს და სხვა. თუ კიდევ ასე გასტანა და ჩვენი ამ განძეულობის გადასარჩენად რადიკალური ზომები არ მივიღეთ, ახლო ხანში ჩვენი კულტურის ნაშთები, სრულიად მოისპობა და ჩვენ ამოვიშლებით კულტუროსან ხალხის სიიდან“.²⁵⁰

²⁵⁰ სცსა, ფ. 1833, აღნ. 1, საქ.№ 167, ფურც. 166

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფოსა და ეკლესიის საკითხი ახალ განზომილებაში გადავიდა. ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი იყო სკოლებში საღვთო სჯულის სწავლება. რასაც დიდი დაპირისპირება მოჰყვა საერო და საეკლესიო პირებს შორის. თუმცა, როგორც ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, ჯერ კიდევ 1918 წლის 30 ნოემბრისთვის სკოლებში სასწავლო საგნად გათვალისწინებული ყოფილა სარწმუნეობის ისტორიის სწავლება. მართალია, ეს უშუალოდ საღვთო სჯულს არ ეხებოდა და ფართო განზოგადების საგანი იყო, მაგრამ საყურადღებოა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების მიმართულებით საგანმანათლებლო სფეროში. 1918 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე განათლების სამინისტროში განსახილველი ყოფილა შემდეგი საკითხები: „1. ლათინური შრიფტის შემოღება გერმანული ენის შესწავლის დროს. 2. მომავალი 1919-1920 წლიდან ახალი სასწავლო საგნების შემოღება – სარწმუნოებათა ისტორია და ეთიკა, 3. ხელგარჯილობა, 4. პროგრამების შედგენის საკითხები.“²⁵¹

1918 წლის 29 სექტემბერს სენაკის წმინდა გიორგის ეკლესიის მრევლი შეიკრიბა ეკლესიის ეზოში სპე-

²⁵¹ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №325, ფურც. 1

ციალური პეტიციის შესადგენად, სადაც დასაბუთებული იყო საღვთო სჯული სწავლების აუცილებლობა სკოლებში. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნესტორ ქავთარაძე, ხოლო მდივნად ვარლამ ლეჟავა. „ადგილობრივმა მღვდელმა ირაკლი პარკაიამ წამოაყენა საკითხი დაბალ სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების შესახებ და აკეთებს ვრცელ მოხსენებას ამ საგანზე. მოისმინა რა მრევლმა მღვდელ პარკაიას მოხსენება ამის შესახებ, ერთხმად დაადგინა: „ჩვენ დაბალ სკოლებში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს საღვთო სჯულის სწავლება. ჩვენ მშობლები მოვითხოვთ, ჩვენი შვილების აღმზრდელებისაგან, როგორც სხვა სავალდებულო საგანი, ისე სავალდებულოდ ითვლებოდეს საღვთო სჯული დაბალ სკოლებში და ისწავლებოდეს“.²⁵²

ამავე წლის 18 ოქტომბერს სოხუმის საოლქო საბჭომ ჩაატარე კრება ასევე საღვთო სჯულის სწავლების აუცილებლობის დაკანონების თაობაზე. „ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის ერი ძველთაგანვე შეთვისებულია თავის სჯულთან, ქართველი ერის დიდი ნაწილი დღესაც არის ღრმა მორწმუნე და სარწმუნოების ცოდნა მიუცილებელი საჭიროება მისი მთლიანი განვითარებისათვის და ჩვენ, სამღვდელოებას მთავა-

²⁵² სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №3, ფურც. 2

რი თუ არა უკანასკნელი ადგილი გვეჭირა სამღვთო სჯულის, ქრისტიანული მოძღვრების მოზარდ თაობათა შორის განმტკიცებასა და აღზრდაში, ვსთხოვთ ეროვნულ საბჭოს, რათა სამღვთო სჯული დარჩეს საქართველოს ყოველგვარ სასწავლებლებში სავალდებულო საგნად“.²⁵³ ამასთან მათ ხელისუფლება სმიმართეს თხოვნით დამატებითი ხელფასის დანიშვნის თაობაზე. მათი მოსაზრებით ისინი ეწევიან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმიანიანობას და შესაბამისად უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ანაზღაურება საქართველოს რესპუბლიკის ხაზინიდან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა მშობელთა კრებამ და ჩამოაყლიბა საკუთარი მიმართვა ხელისუფლებისადმი. „1. საღმთო სჯული ისწავლებოდეს სურვილისამებრ, მასწავლებელს ექნეს ჯამაგირი იმ ფულებიდან, რომელსაც მშობლები ვიხდით ოფლით და სისხლით ნაშოვარს სწავლისათვის. 2. ჩაეთვალოს შტატში სამსახური ისთე როგორც საზოგადო მუშებს ერიცხებათ შრომა და პენსიით და ჯამაგირით უზრუნველყოფა კანონდება მათთვის შრომის სამინისტროსაგან. 3. ისწავლებოდეს განსაზღვრულ დროს, როცა მიდიან სწავლისათვის, გიმნაზიაში, ამას მოითხოვს პედაგოგიური ძირითადი პრინციპი და

²⁵³ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №3, ფურც. 3

თვალთა საზრისი. 4. როცა მთავრობა გამოსცემს რამე სახელმძღვანელოს მაღალ მორალურ სწავლისას, ეთიკის დარგიდან, მაშინ ექნება ადგილი ამ საგანზე საკითხს. დღეს ჩვენი პედაგოგები დღიდგან ამ საგნის გაძევებისა არავითარ მორალურ დარიგებას ბავშვებს არ აძლევენ. დაბეჭითებით მოვითხოვთ მშობლები, რომ ჩვენმა შვილებმა სასწავლებლებში ისწავლოს საღმთო სჯული, თუნდ არა სავალდებულო“.²⁵⁴

1918 წლის 23 დეკემბერს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში გაიმართა მშობლების კრება საღვთო სჯულის სწავლებასთან დაკავშირებით, რომელსაც უძღვებოდა მღვდელი ნესტორ აბესაძე. კრებამ მიიღო შემდეგი სახის დადგენილება: „ჩვენში, საქართველოში ეკლესია სულ სხვა მოვალეობას ემსახურებოდა: სამღვთო სჯულის სწავლებას, იესო ქრისტეს მოძღვრებას, საეკლესიო ისტორიას, ღვთის მეტყველების, ღრმა პატივისცემა და სიყვარულის ჩანერგვას მშობლების, მასწავლებლების და ამხანაგებისადმი. სოფლათ მღვდლები დიდ შრომას ეწევა კულტურულ მოძრაობაში; სამკითხველოების, სკოლების და კოოპერატივების გახსნაში და სხვა. ჩვენს ისტორიაში ვხედავთ სამღვდელოების ერთან ერთად ხელჩაკიდებულ მუშაობას, ღრმა სიყვარულს სამშობლოსი და ენთუზიაზმით აღსავსე სჯულისა და სამ-

²⁵⁴ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ.№ 3, ფურც. 23

შობლოს დაცვას. ამგვარად ჩვენში ეკლესია არ ერევა პოლიტიკაში და არ ეღობება წინ სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ წინმსვლელობას. მეორე საკითხი: ეკლესია და სამღთო სჯული. ეკლესია ვერ შეასრულებს შკოლის ფუნქციებს. ეკლესია არის სახლი სამლოცველო, ღვთის მსახურებისა. შკოლაში კი არის სისტემატიურად ბავშვების სიარული, არის შეგნება შეთვისება სხვადასხვა საგნებისა და დაცულია ერთგვარი პედაგოგიური პრინციპი. სჯული არ ასწავლო და ეკლესიაში იარო, ეს თანასწორია იმის, რომ გეოგრაფიის და ბუნების მეტყველების მასწავლებელმა ბავშვები მინდორში ატარონ და თეორეტიული ცოდნა კი არ მისცენ.²⁵⁵ როგორც წინა კრებამ, აქაც მიიღეს დადგენილება, რომ საღვთო სჯულის სწავლება იყოს არა სავალდებულო, არამედ მშობლის და მოსწავლის სურვილზე დამოკიდებული.

ქუთაისის მსგავსად ხობშიც გაიმრთა კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა მღვდელი იოანე კანდელაკი. მათ მიმართეს საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რომ საღვთო სჯული ისწავლებოდეს სავალდებულო საგნად. მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება საღვთო სჯულის სკოლებში სწავლების აკრძალვასთან დაკავშირებით, თითქმის ყველა რეგი-

²⁵⁵ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ.№ 3, ფურც. 24

ონში იმართებოდა მშობელთა შეკრებები თუ სამღვდელოების და უმრავლეს შემთხვევაში იყო მოწოდება, რომ სარვთო სჯული არჩევით საგნად მაინც დაეტოვებინათ. რადგან საქართველოს ისტორიული წარსულიდან და იმ პერიოდში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ესაჭიროებოდა საკუთარი რელიგიის მცოდნე და აღმსარებელი ახალგაზრდობა და მთლიანად ქართული საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი მთავარი პირობა სწორედ აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინება იყო. ხობის კრებამ ჩამოაყალიბა შემდეგი ხასიათის მიმართვა: სარწმუნოების, ეკლესიის და სამღვდელოების შენახვა და განმტკიცებისათვის უეჭველად საჭიროა და დიდად საჭიროა იზრუნოს სახელმწიფო მთავრობამ, სამღვდელოება უეჭველად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ნივთიერად. სრული სახელმწიფო ჯამაგირი სამღვდელოებას – აი საუკეთესო ფორმა სამრევლოსი. ეკლესია არ უნდა იქნეს განცალკევებული სახელმწიფოსაგან. ეკლესია არ არის ცალკე განცალკევებული კერძო სიკეთე ზოგი განცალკევებულ პირთა, არამედ ის წარმოადგენს ღირსი ფასდიდებულ ინტერესს მთელი სახელმწიფო ერთიანობისას. ეკლესია წარმოადგენს არა კერძო ინსტიტუტს, არამედ ინსტიტუტს საზოგადო უფლებრივი ხასიათისას. ეკლესიას უნდა ეჭიროს სახელმწიფოში განსაკუთრებული მდგომარეობა.

რეობა, უნდა იყოს შეერთებული სახელმწიფოსთან და არა განცალკევებული“.²⁵⁶

ზემოთაღნიშნული მოთხოვნები ხელისუფლების მიმართ გამოთქმული იყო იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომ 1918 წლის 22 ნოემბრის მიღებული კანონის თანახმად ყოველი ტიპის და საფეხურის სახაზინო და კერძო სრულუფლებიან სკოლაში გაუქმებულია საღვთო სჯულის სწავლება.²⁵⁷

1920 წელს 8 ნოემბერს განათლების სამინისტრომ პასუხი მისწერა თბილისის სამოციქულო დელეგაციას: „თანახმად 1918 წლის 26-ს კანონისა, ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლებში საღვთო სჯული გაუქმებულია. ამავე დროს, რაკი სინდისის და სარწმუნოების თავისუფლება რესპუბლიკის ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია, იმავე კანონის მეოთხე მუხლის ძალით, მშობლებს, თუ ისინი მოისურვებენ, შეუძლიათ თავიანთ შვილებს საკუთარი ხარჯით ასწავლონ საღვთო სჯული.“²⁵⁸

კანონი საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ: 1. ყოველი ტიპის და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში გაუქმდეს საღვთო სჯულის

²⁵⁶ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ.№ 3, ფურც. 30

²⁵⁷ იქვე, ფურც 31

²⁵⁸ იქვე, ფურც. 36

სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა. 2. ხსენებულ სკოლებში დაიხუროს კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირისათვის. 3. შტატს გარეშე დატოვებული საღვთო სჯულის მასწავლებელთ მიეცეთ ჯილდო, რომელიც დაწესებულია 1918 წლის ივლისის 5-ის კანონით. 4. იმ მშობელთ, რომელნიც მოისურვებენ თავის შვილებს თავის ხარჯით ასწავლონ საღვთო სჯული, დაეთმოს სკოლის შენობა იმ საათებში, როდესაც ხელს არ შეუძლის სხვა საგნების სწავლებას.“²⁵⁹

1920 წლის 19 სექტემბერს სოფ. ქვაბისხევში შეიკრიბა მოსახლეობა სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების მოთხოვნასთან დაკავშირებით: „ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერელნი სოფ. ქვაბის-ხევში მცხოვრებნი, ახალციხის მაზრისა, შვიკრი-ბენით ეკლესიის გალავანში და ვიქონიეთ მსჯელობა იმის შესახებ რომ, აგერ ორი წელიწადია, რაც სკოლაში ჩვენს შვილებს საღვთო სჯულს არ ასწავლიან: ეს – კი ვნებს ბავშვების ზნეობის განვითარებას და მიგვაჩნია დაუშვებლად, ამისთვის ერთხმად დავადგინეთ ეს ჩვენი დადგენილება წარუდგინოთ დამფუძნებელ კრებას, ასლი განათლების მინისტრს და გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის რედაქციას და ვსთხოვოთ დაუყო-ნებ-

²⁵⁹ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №345, ფურც. 5

ლივ შემოდებულ იქმნას საღვთო სჯულის სწავლება სასწავლებლებში რა საკვირველია თანამედროვე განახლებული პროგრამით და, თუ სხვაგვარად არ მოხერხდება კვირაში ერთი დღე დაეთმოს ამ საგანს სასწავლებლად, რომელსაც თვით მთავრობა დაისახავს შესაძლოთ. ამ დადგენილების გაგზავნას, სადაც ჯერ არს ვანდობთ ჩვენს მეგობრებს ერასტი მაისურაძეს“.²⁶⁰

საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს მიმართვიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსადმი ირკვევა შემდეგი: „პასუხად თქვენის მიმართვისა ამა წლის ნოემბრის 9 თარიღით #2287/5406, სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭო პატივისცემით გაცნობებთ რომ, საკათალიკოზოში იმყოფება სამი სანთლის ქარხანა: ერთი ქალაქ ტფილისში, წყნეთის ქუჩაზე, მეორე გელათის მონასტერში და მესამე ქალაქ ფოთში, მღვდელმთავრის სასახლეში და ცხრა სანთლის მაღაზია: სამი ქ. ტფილისში – ერთი სიონის ტაძრის სამრეკლოს ქვეშ, მეორე ვორონცოვის პატარა ხიდის ყურზედ „ლონდონის“ სასტუმროს ქვეშ და მესამე ვერის ხიდის დაღმართზედ, მეოთხე ქ. სიღნაღში, მეხუთე ქ. თელავში, მეექვსე ქ. დუშეთში, მეშვიდე ქ. გორში, მერვე ქ. ქუთაისში, მთავარანგელოზის

²⁶⁰ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №3, ფურც. 34

ეკლესიის შენობაში და მეცხრე ქ. ფოთში – სამიტრო-პოლიტო სასახლეში“.²⁶¹

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განხორციელებული ქმედებებიდან გამომდინარე ეკლესიასთან მიმართებაში, უკმაყოფილო იყო სამღვდელთა. „ჩვენი ეკლესია თქვენს ხელში კვდება. ტფილისის სამღვდელთა სულ ერთიანად გაიხრწნა და ქრება. ბევრს უკვე ენატრება ექსარხოსების დროს მართვა-გამგეობა. მაშინ უფრო ფხიზლად ვიყავით ყველანი. შესაძლებელია დენიკინის და მასთან ერთად სინოდის გაბატონება ჩვენში. რას ფიქრობთ ამის შესახებ? ზოგიერთი თქვენი გავლენიანი წევრი გვწამს კიდევ ერთხელ იცვლიან კანს და ისევ ძალაში და პატივში დარჩებიან. ამისი საუცხოვო მაგალიათია სამხედრო ტაძრის და მისი წინამძღვის დეკანოზ თოთიბაძის ვითარება. იმას თუ არ სცხვენია, თქვენ რასა ფიქრობთ, ან მისი უწმინდესობა რას აპირებს? როდის იყო ან თოთიბაძე, ან ქრ. ციცქიშვილი მღვდელმოდვარი? განა ამ დროში, ამ ურწმუნოების ხანაში, ისე უნდა საქმის გაყენება ან სამხედრო ტაძარში, ან ქაშვეთში? თუ თქვენ სარწმუნოების ინტერესი ცოტათი მაინც გამოდრავებთ რატომ არ მიაქცევთ ამას ყურადღებას? ან იქნებ მართლა გგონიათ თქვენ, რომ ქაშვეთს სამრევ-

²⁶¹ სცსა, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. №155, ფურც. 14

ლო საბჭო ყავს ან რომელიმე ეკლესიას თბილისში? დიდუბე, მამადავითი, წმინდა ბარბარე, სასაფლაოები სულ გაქურდული არიან. რატომ ერთხელ მაინც არ ჩაიხედავთ მათ ცხოვრებაში ეს არის მართვა-გამგეობა? როდის იყო ამ ეპარქიის კრება ან ვინ ამოირჩია ეხლანდელი საბჭოს წევრნი? ან საეპარქიო სასამართლო და მისის წევრნი? ვერ ხედავთ რა ამბავია ამ „სასამართლოში“? აქ დევ. შუბლაძე და დ. დავიდოვი მხოლოდ აწარმოებენ განქორწინების საქმეს, თითო საქმის წარმოება ჯდება 5 ათასიდან 15 ათასამდე. ჩამოიშორეს ამ გზიდან სოფრომ მგალობლიშვილი და მ. მონასელიძე, დარჩათ ბურთი და მოედანი ეხლა ამ „საქმიან ვაცებს! შუბლაძე-ბახტაძე-დავიდოვს. რატომ მოგივიდათ ასეთი შეცდომა? რომ ჩენი კათოლიკოზი დავიდოვთან შესულა კომპანიაში, – ცხენები გაუყიდნია, ის ფულები დავიდოვისთვის გადაუცია, ამას კი თავისივე დაუმატია (სახლი გაყიდა, ბინა კი კათოლიკოზმა მოუწყო თავისივე ეზოში) და მოპარული ავტომობილი უყიდნია თავის სახელზე, ბირჟაზე ფულის მოსაგებად გაუყვანია და იქ კი მთავრობას ეს ავტომობილი დაუტუსაღებია, როგორც ნაქურდალი. ეს მეტის მეტი გათახხირებაა ჩვენი ეკლესიის პრესტიჟისა. რა გაუჭირდა კათოლიკოზს საამისო? ვაი თუ ამ ერთ საქმეში კომპანიამ, მეორე საქმეშიც ბრალი დასდოს

კათალიკოსს? – მოუდეთ ბოლო ამ უნესოებას, შეიბრალებთ მორწმუნეთა სინდისი, რა ჩაიდინეთ დიდუბის პროცესში? კათოლიკოზი მედგრად მხარს უჭერს დევ. მირიანოვს და მის შავ საქმეებს, ხოლო ამ საქმეების მხილებელი ფხალაძე გააუბედურეს უსამართლოდ, გაჭყლიტა და გადააგდო. რატომ ინება მათმა უწმინდესობამ ისეთი რეზოლუციის დადება, – ეს რეზოლუცია ამჟღავნებს ყოველივე ვითარებას საქმისას? რამდენი უნესოება და უსამართლობაა დღეს ჩვენი სასულირო მთავრობისა, სად არის „ახალი სიტყვა“? ან თუ მხოლოდ კირიონისათვის და პაჩიკოვისათვის იყო ეს? სად არის წირვა ლოცვა, ღვთის მსახურებისა, მოძღვრება თუ რაიმე ძალა გაქვთ ეხლაა ამისი დრო. გამოიჩინეთ, მოგვებზრდა და შეგვეზიზზა „შესხმათა“ წარმოთქმა და „საქართველოში“ ბეჭდვა. ნეტამც არ გვსმენოდა. „ბერიკაობას“ 26 მაისს რატომ არ გაეცით რაიმე პასუხი? ან რატომ „ხალხში არ გაბრძანდება კათალიკოსი ლეონიდი, როგორც ის ამას მოთხოვდა განსხვავებულ და წამებულ კირიონიდან? ამიტომაც საზოგადოებრივი აზრი საბჭოს კათალიკოზთან ერთად გინოდებს კირიონის მკვლელებს, – თქვენ „ახალი სიტყვის“ საშუალებით მოავგარეთ ეს უბედურება და საუკუნო სირცხვილი. სისხლით დასვრილ კათედრაზე უზურპაციით აასკუპეთ კათოლიკოზი სანამ ეს კა-

თედრა არ დაიბანება სინანულის ცრემლით, მანამ ჩვენში არ დატრიალდება ღვთის მადლი, ამიტომ ეცადეთ მოხდეს საეკლესიო კრება, რომ მან ბოლო მოუღოს ამ ღვთისწყრომას ჩვენზე. ჩვენ ისიც ვიცით, რომ კათოლიკოზს და დავიდოვს სურთ საკათალიკოსო საბჭოს გაუქმება და მონარქიულად მართვა ეკლესიისა. არ შესცდეთ, ეს არ ჩაიდინოთ, ეცადეთ დაშორდეთ ერთმანეთს უს-კანდალოთ, საბჭოში კი ახალი შემადგენლობაა საჭირო.²⁶²

სადვთო სჯულის გაუქმებასთან დაკავშირებით სამღვდელოების მხრიდან გამოთქმულ პროტესტს თავისებურ ახსნას უძებნიდა ხელისუფლება. „... ამჟამად დიდი ჯიხაიში და საზოგადოდ სამტრედიის რაიონში ძლიერ მწვავედ დგას სამღვდელოებასთან დამოკიდებულების საკითხი. საქმე იმაში არის, რომ მღვდლები სარგებლობენ ეკლესიის კანონმდებლობით სახელმწიფოდან გამოუყოფლობით და უდგენენ ხალხს კატეგორიულ ულტიმატუმს: ვისაც გსურს და გინდათ ეკლესია უნდა გადაიხადოს: მდიდარმა ერთი ფუთი და ნახევარი, საშუალომ – ერთი ფუთი და ღარიბმა ნახევარი ფუთი სიმინდი. (ეს უკანასკნელი შემუშავებული აქვს ქუთაისის სამიტროპოლიტოს და ცდილობენ გაატარონ ცხოვრებაში და ვინც ამ წინადადებაზე უარს

²⁶² სცსა, ფ. 1863, აღნ. 1, საქ. №680, ფურც. 77

იტყვის, უკრძალავენ ყოველგვარ მღვდელმოქმედებას. ამის შემდეგ ჩვენი სოციალისტი გლეხები მოგვადგნენ ჩვენ და გვკითხავენ რჩევას. ჩვენ, ვინაიდან სხვა გამოსავალი ვერ ვნახეთ, რადგან გლეხობის დიდი უმრავლესობა მორწმუნე ხალხია, ვურჩიეთ დაედოთ მღვდლებთან ყოველგვარი მღვდელმოქმედებებზე ნიხრი და ამნაირად შერიგებოდნენ მათ. მაგრამ მღვდლებმა არავითარი ანგარიში არ გაუწიეს იმ კომისიებს, რომლებმაც შეიმუშავეს ორივე მხარისთვის მისაღები ნიხრი. ამის შემდეგ იძულებული გახდა ამ საქმეში ჩართოდა ადგილობრივი თემი. მან გამოყო თავის მხრითაც კომისია, რომელსაც დაავალა ეს საკითხი შეთანხმებით მღვდლებთან მოეგვარებინათ, მაგრამ მღვდლები ამაზედაც უარს არიან, ისინი ლაპარაკობენ, რომ ჩვენ თანახმად ეპარქიის დადგენილებებისა, არა გვაქვს უფლება წავიდეთ რაიმე კომპრომისზე მრევლთან.... ახლა აქ ჩვენი აგიტაციის წევრებში ტრიალებს ასეთი აზრი. თუ მღვდლებმა გაიმარჯვეს და ხალხს მიაღებინეს ეს გადასახადი, ჩვენი პარტიის წევრებს აქვთ ასეთი განძრახვა: გამოეყონ ცალკე სექტასავით და იყოლიონ თავიანთი მღვდელი, რომელსაც ისინი შესაფერ ჭილდოსაც დაუნიშნავენ...²⁶³

²⁶³ სცსა, ფ. 1826, აღნ. 1, საქ. №7, ფურც. 1

სასულიერო წოდების წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ: „ეკლესია არ უნდა იყვეს დაცალკევებული სახელმწიფოსაგან. ეკლესია არ არის ცალკე განცალკევებული, არამედ ის წარმოადგენს ღირსებას დიდებულ ინტერესისა მთელი სახელმწიფო ერთიანობისას. ეკლესია წარმოადგენს არა კერძო ინსტიტუტს, არამედ ინსტიტუტს საზოგადოებრივი ხასიათისას. ეკლესიას უნდა ეჭიროს სახელმწიფოში განსხვავებული მდგომარეობა, უნდა იყოს შეერთებული სახელმწიფოსთან და არა განცალკევებული“.²⁶⁴

გადაიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში 45. 000 მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან სვანეთის სამღვდელოებისათვის ერთდროული დახმარების აღმოსაჩენად.²⁶⁵

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან იკვეთება, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნის სხვადასხვა სფეროში და მათ შორის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაში იწყება სრულიად ახალი ეტაპი. ეს არ ყოფილა მშვიდობიანი და მარტივი ფორმით გამოხატული. სასულიერო და საერო წოდების წარმომადგენლები აქტიურად კამათობდნენ ერთ-

²⁶⁴ სცსა, ფ. 1863, აღნ. 1, საქ. №782, ფურც. 4

²⁶⁵ სცსა, ფ. 2016, აღნ. 1, საქ. №103, ფურც. 11

მანეთში რელიგიის და სახელმწიფოს დამოკიდებულების საკითხზე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ღონისძიებები მიუღებელი იყო ეკლესიისთვის, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სტატუსის შენარჩუნებას ითხოვდა, ხელისუფლება კი ქვეყნის ახალ სტადიაზე გადაყვანას გეგმავდა, სადაც ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისგან გამიჯნული უნდა ყოფილიყო. სწორედ აქედან გამომდინარე, დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ქმედებები ნეგატიურად განიხილებოდა და დღესაც ხშირ შემთხვევაში უარყოფითად ფასდება სასულიერო წოდების წარმომადგენლების მხრიდან. თუმცა ფაქტი ერთია, 1918 წლიდან, მას შემდეგ რაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფო და ხელისუფლებაში მოვიდა განსხვავებულად მოაზროვნე ძალა, სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ამ ფონზე გარკვეული ადგილი დაიკავა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობამ თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. რაც მთავარია ორივე ძალას სწამდა საკუთარი სიმართლის ქვეყნის შენების პროცესში.

თავი მეექვსეა პროექტები განათლების შესახებ

1918 წლის 21 ივლისის საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას მათევევი აღნიშნავდა: „გაიხსენებს რა გერმანიის, ამერიკის, იტალიის და რუსეთის მაგალითებს, ამტკიცებს, რომ სპეციალურ განათლებლის სათანადო ნიადაგზე დაყენებისათვის საჭიროა სპეციალური სასწავლებლები საზოგადოდ და კერძოდ, სამეურნეო სკოლებიც ცალკე სამინისტროს ხელში იყოს. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ სამეურნეო სკოლების ორგანიზაციისა და მართვა-გამგეობისათვის საჭიროა დაარსდეს ცენტრალური მუდმივი აგრონომიული კომიტეტი. დიმიტრი უზნაძის ამრით: ყველა ქვეყანაში დაიბადა ერთგვარი ტენდენცია სკოლის ერთ უწყებაში შეერთებისა, ორატორის ამრით, საერთო განათლება არის ერთადერთი ბაზა, რომელზედაც უნდა აღიზარდოს მუშაობის უნარით აღჭურვილი მოქალაქე. ამიტომ ორატორი წინააღმდეგია სწავლა-განათლების ვინრო-პრაქტიკულ ნიადაგზე განვითარებისა.“²⁶⁶

თვოდორე კიკვიძის მოხსენება: „სამეურნეო სკოლების შესახებ. ევროპაში მცხოვრებთა 80% ცხოვ-

²⁶⁶ სცსა, ფ. 1836, აღნ. 1, საქ. №244, ფურც. 3

რობს ქალაქში, დანარჩენი 20% კი სოფელში. ევროპის ხალხი მრეწველობას უფრო ეწევა, ვიდრე სასოფლო მეურნეობას. ჩვენში კი 20% სოფლად ცხოვრობს და მიწის დამუშავებას უფრო მისდევს, ვიდრე მრეწველობას. თუ სამეურნეო სწავლა-განათლება სათანადო საფეხურზე იქნება დაყენებული, ჩვენი ქვეყანა თანდათანობით გადაიქცევა სამრეწველო ქვეყნად. ჩვენ დღემდე არავითარი სამეურნეო სკოლები არ გვქონია: იყო მხოლოდ სამეურნეო განყოფილება დაბალი ტიპის სასწავლებლებთან და ბაღები, სადაც ბავშვებს ამუშავებდნენ. ჩვენი ეხლანდელი აგრონომები თეორიულად მომზადებულნი არიან, მაგრამ პრაქტიკულად ვერ ავრცელებენ თავიანთ ცოდნას ჩვენში. უნივერსიტეტთან არსებულმა სააგრონომიო განყოფილებამ უნდა მოგვცეს მომზადებული კადრი აგრონომებისა, მაგრამ გარდა უნივერსიტეტისა დაბალმა და საშუალო სკოლამ უნდა მოამზადოს აგრონომები. ვისარგებლოთ დანინაურებულ ქვეყნების მაგალითით, გავაკეთოთ ის, რაც ხალხისათვის საჭიროა: სისტემატიურად, მწყობრად, თანდათანობით მოვაგვაროთ სამეურნეო განათლების საქმე.

ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნება ისეთ პირობებს წარმოადგენს, რომ ერთსა და იმავე რაიონში მრავალგვარი დარგი მეურნეობისა ვარგობს და ხელ-

საყრელია ერთსა და იმავე სასწავლებელში. ყველაფრის სწავლება ძლიერ რთული და ძნელი მოსახერხებელია რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილას. რამდენიმე დაბალი ტიპის სამეურნეო სკოლა უნდა გაიხსნას. 2. გადაისინჯოს და შესწორდეს დაბალი ტიპის სამეურნეო სკოლის პროგრამა. 3. დაარსდეს ორი საშუალო სამეურნეო სკოლა: ერთი აღმოსავლეთ, ხოლო მეორე დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში მევენახეობა პირველხარისხოვან ადგილზე უნდა იქნეს დაყენებული და მეორეზე სხვა კულტურული მცენარეების მოშენება. 4. უნდა ეთხოვოს მინათმოქმედების სამინისტროს დაჩქარებით წარმოუდგინოს განათლების კომისიას თავისი გეგმა და განზრახვანი სამეურნეო სწავლის მონყობის თაობაზე. სკოლების გახსნას თან უნდა სდევდეს სახელმძღვანელოების და ხელსაწყოების დამზადებაზე ზრუნვა, თუ გვინდა ავიცდინოთ ეკონომიური კრიზისი, ასე უნდა მოვანყოთ სამეურნეო სკოლები“.²⁶⁷

1918 წლის 16 ივლისის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი პედაგოგიური სასწავლებელი იყო: თბილისის საოსტატო ინსტიტუტი და სემინარიები გორში, ხონსა და სოხუმში. ამ სასწავლებელთა მიზანია – სახელმწიფოსათვის სახალხო მასწავლე-

²⁶⁷ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. №302, ფურც. 1

ბელთა მომზადება. „თბილისის საოსტატო ინსტიტუტი უხუცესია დასახელებულ სასწავლებელთა შორის: იგი დაარსებულია 1872 წელს, განსაკუთრებით ამიერკავკასიის მცხოვრებთათვის, მაგრამ დროთა განმავლობაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ინსტიტუტის მოწაფეთა შორის ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო, ხოლო არაჩვეულებრივად იმატა ჩრდილო კავკასიიდან და განსაკუთრებით დონის ოლქისა და სამხრეთ რუსეთიდან ჩამოსულთა რიცხვმა. წარსული სასწავლო წლიდან კი მდგომარეობა კვლავ ადგილობრივ მკვიდრთა სასარგებლოდ შეიცვალა: თუ წინათ ადგილობრივთა რიცხვი ძლივს მთელი მოწაფეების 5% უდრიდა, ახლა უცებ 35%-მდე ავიდა. ამის გამო მიმდინარე 1918 წლის 9 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით ამ სასწავლებლებთან გაიხსნა ეროვნული განყოფილებანი: ქართული და სომხური, თუმცა უკანასკნელში მოწაფეთა რიცხვი ჩვეულებრივ მეტად მცირე იყო: ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ სომხებს აქვთ თავისი საკუთარი სემინარიები, სახალხო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად მომავალი სასწავლო წლიდან ინსტიტუტის მდგომარეობა მოწაფეთა შედგენილობის მხრივ შემდეგის სახით გვხვდება: ა) პირველ კლასში – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოც-

ხადების შემდგომ – რუსეთიდგან არც ერთი მონათვე არ მოვა; არც ადგილობრივ რუსთაგან შემოვა ვინმე ამავე მიზეზის გამო, მით უმეტეს, რომ წინათაც არ ეტანებოდა ეს ელემენტი ინსტიტუტს: 2% ძლივს შეადგენდა; ბ) მე-2 და მე-3 კლასშიც არ უნდა მოველოდეთ რუს მონათვთა დაგროვებას, ვინაიდგან სამინისტროს აქვს ოფიციალური ცნობები, რომ ამ კლასების მონათვთა აიღეს სათანადო მონმობები და უკვე დიდი ხანია რუსეთს გაემგზავრნენ; გ) რაც შეეხება მე-3 კლასის რუს მონათვთ, მათ სამინისტრომ, თანახმად თხოვნისა, ნება დართო სექტემბერში გამოიცადონ და მიიღონ გასათავებელი მონმობები.

ამრიგად, მომავალ სასწავლო წელს ინსტიტუტი რუს მონათვთაგან სავსებით თავისუფალი უნდა ვიგულოთ: ამიერკავკასიის სხვა მკვიდრნი ამ სასწავლებელს არასოდეს არ ეტანებოდნენ და ახალი პოლიტიკური მდგომარეობის შექმნის შემდგომ, ეჭვ გარეშეა, არ მოისურვებენ შემოსვლას მით უმეტეს, რომ მაგალითად, თათართათვის სპეციალურად გახსნილია საოსტატო ინსტიტუტი ბაქოში.

რაც შეეხება საოსტატო სემინარიებს, ამ მხრივ აქ საქმე უფრო ადვილად წყდება: ხონის სემინარია უკვე მეორე წელია, რაც ფაქტიურად გაქართულებულია როგორც მონათვთა, ისე მასწავლებელთა მხრივ:

შარშან არც ერთი რუსი მოწაფე არ შესულა სემინარიაში და ვინც იყო, ისიც გადავიდა რუსეთს. გორის სემინარიაში რამდენიმე განყოფილება არსებობს: ქართული, თათრული და რუსული. აგრეთვე სომხურიც. რუსულ განყოფილება ზემოთ დასახელებულ მიზგბთა გამო ბუნებრივია დაიკვეთება; თათრული განყოფილების არსებობას ეკარგება აზრი ამიერკავკასიის დანაწილების შემდგომ, მით უმეტეს, რომ მათთვის (თათრებისთვის) განჯაშია საკუთარი სემინარია გახსნილი, ხოლო სომეხთათვის ერევანში.²⁶⁸ მხოლოდ სოხუმის სემინარიას ექნებოდა ორი განყოფილება: ქართული და აფხაზური. განსაკუთრებით მარავალრიცხოვანი იყო სახალხო სკოლები დასავლეთ საქართველოში, სადაც სახალხო მასწავლებლებს დაკისრებული აქვთ უმეტეს შემთხვევაში არა საშუალო სპეციალურ ცოდნით აღჭურვილ პირთ. ეს კი ხდება იმიტომ, რომ დასავლეთ საქართველოში არსებულ ერთადერთ სპეციალურ სასწავლებელს – ხონის საოსტატო სემინარიამ ვერ შეძლო მიეცა ამ მხარისათვის საკმაო რიცხვი მასწავლებლებისა, ამიტომაც დღეს ხონის საოსტატო სემინარიასთან დაარსება ორი პარალელური კლასისა – მოსამზადებელის და პირველისა, – მეტად დროიანად აღძრული კითხვაა და საჭიროცაა იგი სახალხო გა-

²⁶⁸სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №453, ფურც. 4

ნათლების ინტერესების მიხედვით გადაწყდეს, ე. ი. დაუყონებლივ გაიხსნას იქ ორი პარალელი.²⁶⁹ აგრეთვე დღის წესრიგში დადგა ქართული ენის სავალდებულოდ დანესების შესახებ ყველა სკოლაში, მაგრამ გაითვალისწინეს რა ის გარემოება, რომ არა ქართველებმა არ იცოდნენ ქართული ენა და თვლიდნენ, რომ მათ ყოფნას საქართველოში დროებითი ხასიათი ჰქონდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პირველ ოთხ კლასში ყოფილიყო სავალდებულო ქართული ენის სწავლება, ხოლო შემდგომ კლასებში სურვილის შესაბამისად. რაც შეეხება საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხს, ამ შემთხვევაში მიიღეს დებულება რუსულ ენაზე სწავლების არსებული გარემოების გათვალისწინებით.²⁷⁰

რაც შეეხება ბათუმის საკითხს: „ბათომში ქართველთა რიცხვი დღეს შედარებით მცირედ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ქალაქში არ არსებობს ქართული საშუალო სკოლა და მშობლენიც, რომელთაც შვილები სასკოლო ასაკის ყავთ იძულებულნი არიან დარჩნენ ბათუმის გარეთ და გარემოება კი საგრძნობლად აფერხებს ქალაქში ქართველების გაძლიერებას. ადგილობრივ ქართველთა ეროვნულმა საბ-

²⁶⁹ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №453, ფურც. 39

²⁷⁰ იქვე, ფურც. 52

ჭომ გაითვალისწინა ყველაფერი ეს და გადაწყვიტა გახსნას ქალაქ ბათომში შერეული /ქალ-ვაჟთა/ გიმნაზია, რაც შეიძლება სასწრაფოდ.“²⁷¹

1918 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით, განათლების სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა: „გახსნას სახელმწიფო ხარჯით უმაღლეს-დანყებითი სასწავლებლები შემდეგ ადგილებში: 1. სოფელ საგარეჯოში /თბილისის მაზრა/, 2. ქვემო მაჩხაანსა და 3. გურჯაანში /სიღნაღის მაზრა/, 4. მცხეთაში /დუშეთის მაზრა/. 5. ბორჯომში /გორის მაზრა/. 6. ოსეთის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში /გორის მაზრა/ და 7. ნაძალადევაში, როგორც ტფილისის განაპირას და უსკოლოდ დარჩენილ ადგილში / აქ გადაკეთდეს არსებული რკინისგზის 2 კლასიანი სასწავლებელი უმაღლეს-დანყებით სასწავლებლად/. ამას გარდა ხაზინამ მიიღო თავის ხარჯზე უკვე არსებული საზოგადოებათა უმაღლეს-დანყებითი სასწავლებელი. 8. დუშეთისა. 9. ცხინვალის და 10. სიღნაღის ყოფილი სასწავლებელის ზედმეტი ხარჯები, რაც უმაღლეს დანყებით სასწავლებლად გადაკეთებით არის გამოწვეული....

... არსებული სასკოლო ბადის მიხედვით ისეთ ადგილებად, სადაც უნდა გახსნილიყო ხაზინის ხარ-

²⁷¹ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საფ. №453, ფურც. 62

ჯით უმაღლესდანიყებითი სასწავლებლები, ცნობილია: 1. ჩოხატაური /გურიაში/, 2. ხარაგაული და 3. ჩხარი /ზემო იმერეთში/, 4. ლაილაში /ლეჩხუმის მაზრა/ და 5. ხორგა / ზუგდიდის მაზრა/. ამასთანავე ხაზინამ უნდა მიიღოს თავის თავზე ბანძისა და ზუგდიდის ყოფილი მეორე კლასიანი სამასწავლებლო სკოლების და ხონის ქალთა უმაღლესდანიყებითი სასწავლებლის ის ზედმეტი ხარჯიც, რომელიც ამ სასწავლებელთა გადაკეთებით არის გამონვეული“.²⁷²

1920 წელს მიწათმოქმედების მინისტრის ნოე ხომერიკის მიერ წარდგენილი მოხსენება სასოფლო-სამეურნეო სწავლების შესახებ შესაბამისმა უწყებებმა მისცეს მათი ფუნქციებიდან გამომდინარე ცალკეული მიმართულებები. სახელმწიფო კონტროლმა აღნიშნა: „... საქმისთვის საჭირო ხარჯების გამოანგარიშება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგ იმისა, რომ მთავრობა მოიწონებს და დამფუძნებელი კრება დაამტკიცებს სკოლების ტიპებს და მათი გავრცელების გეგმას. მაშინ იქნება აგრეთვე შესაძლო გავითვალისწინოთ რა მონაწილეობას მიიღებენ ერობები და ქალაქები ამ ხარჯების განვევაში.... რაც შეეხება საშუალო ტიპის მასწავლებელთა ჯამაგირების რაოდენობას ეს უნდა იყოს ნაანგარიშევი იმ ვარაუდით, რომ შესაძლო იყოს მას-

²⁷² სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №77, ფურც. 48

ნავლებლად მოწვევა ცნობილი სპეციალისტებისა, რომლებიც ამავე დროს იმდენად უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ საცხოვრებლად საჭირო სახსარი არ ეძიონ გარეშე და მთელი თავისი დრო მოახმარონ სასწავლებელს და იმ საგანს, რომლის სწავლება ნაკისრები აქვთ. ამის მიხედვით ჯამაგირებად ახალ შტატებში მიღებულია მასწავლებლების არსებული ჯამაგირები თავის დამატებით. ამასთან ერთად ნახსენებ ჯამაგირებში მასწავლებელი ვალდებულია მისცეს თორმეტი გაკვეთილისა და უსასყიდლოდ გაუწიოს ხელმძღვანელობა პრაქტიკულ მეცადინეობის დროს. გასამრჯელო ეძლევათ მათ მხოლოდ ზაფხულში პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელობისათვის. მასწავლებელთა შემადგენლობის შესახებ შეუძლებელია ახალი სასკოლო სამეურნეო სკოლა შეუთანასწოროთ თბილისის კულტურულ ტენიკურ სასწავლებელს, რადგან განზრახული სკოლა სულ სხვა ტიპის სასწავლებელია და მასწავლებელთა შემადგენლობა მათში შეთანასწორებული უნდა იყოს განყოფილებათა რაოდენობას, მათ სპეციალობას და სამოსწავლო გეგმასთან.²⁷³

ფინანსთა სამინისტრო ეხება საკითხს ფინანსური თვალსაზრისით და სასურველად სთვლის სამეურ-

²⁷³ სცსა, ფ. 1861, აღნ. 1, საქ.№ 533, ფურც. 1-2

ნეო სკოლების გახსნას ზოგადი განათლების სკოლების შემცირებით. ამიტომ მისი აზრით სასოფლო-მეურნეობის განათლების საკითხი უნდა დამუშავდეს განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით და დაკავშირებული იქმნეს საერთოდ საქართველოში სკოლების განზრახულ რეორგანიზაციასთან.²⁷⁴

განათლების სამინისტროს „სავსებით მისაღებად მიაჩნია საშუალო ტიპის სამეურნეო სკოლა და პრაქტიკული სკოლა, სრულიად უარყოფს პირველდანიცებით სამეურნეო სკოლას. სამწლიანი დაბალი სამეურნეო სასწავლებელი კი მისაღებად მიაჩნია, თუ მეოთხე საპედაგოგო კლასი მოიხსნება და მის ნაცვლად შემოღებულ იქმნება მე-4 კლასი იმავე ხასიათისა, როგორც პირველი სამი კლასია.... ამ ტიპის კოლაში მასწავლებელი შეგირდებსაც ასწავლის და ინსტრუქტორობასაც გაუწევს მას საკუთარ მამულებს. ამგვარი ტიპის სკოლები გერმანიაშიც არის დაარსებული და დიდ დახმარებას უწევენ სასოფლო მეურნეობის გავრცელებას ხალხში.“²⁷⁵

მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო მეურნეობის შესწავლა და ამ სფეროში განათლების მიღება გარკვეულ ნაწილს პოლიტიკური ელიტისა მიზანშეწინი-

²⁷⁴ სცსა, ფ. 1861, აღნ. 1, საქ.№ 533, ფურც. 2

²⁷⁵ იქვე, ფურც. 2

ლად მიაჩნდა, მას გარკვეული მონინააღმდეგეებიც ჰყავდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ: „აგრონომიული მოღვაწეობის მოსამზადებლად საჭიროა საკმაო ზოგადი განათლება და ბუნების მეტყველების და ეკონომიური მეცნიერებათა საფუძვლიანი შესწავლა, რის მიცემაც შეუძლია მხოლოდ უმაღლესი და არა საშუალო სასწავლებელს. საშუალო სასწავლებლები, რომელთა მონყობა და შენახვა მოითხოვს დიდ ხარჯს /ნორმალურ დროს ეს ხარჯი უდრიდა 767 000 მანეთს/ ვერ მისცემენ მოსწავლეებს ვერც საფუძვლიან თეორიულ ცოდნას და ვერც იმგვარ პრაქტიკულ მომზადებას, როგორსაც მაგალითად, იძლევა დაბალი ტიპის სკოლა“.²⁷⁶ საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება სავსებით გასაგები იყო, რადგან სასოფლო-სამეურნეო განათლების სკოლების დაარსება ახალი მოვლენა იყო, მართალია აღნიშნული მიმართულებით სწავლის აუცილებლობას რუსეთის იმპერიის პერიოდშიც ქადაგებდნენ ქართული საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი, ამ მხრივ, აღსანიშნავია ივანე როსტომაშვილი და მის მიერ დაარსებული ჟურნალი „მოგზაური“, თუმცა ერთია მოსაზრების არსებობა და მეორე, მისი პრაქტიკაში განხორცილება, მაგრამ ერთი რამ დაბეჭიტებით შეიძლება ითქვას, რომ ამ მოვლენას მინათმოქმედე-

²⁷⁶ სცსა, ფ. 1861, აღნ. 1, საქ.№ 533, ფურც. 5

ბის სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და მაქსიმალურად მუშაობდა მისი რეალიზაციისთვის. აღნიშნულმა სამინისტრომ საჭიროდ მიიჩნია ოთხი სხვადასხვა სპეციალობის საშუალო სასწავლებლის დაარსება: „თითო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, ერთი საშუალო ზონის რაიონში, სადაც უმთავრესად მისდევენ მემინდვრეობას და ერთიც კახეთში – მევენახეობა-მებაღეობისათვის. ამის განსახორციელებლად სამინისტროს განზრახული აქვს თბილისის საშუალო კულტურულ-ტექნიკური სასწავლებლის გადაკეთება სასოფლო მეურნეობის საშუალო სასწავლებლად შემდეგი განყოფილებით: მემინდვრეობის, მებაღეობის, მესაქონლეობის და ჰიდროტექნიკურის და ქუთაისის დაბალი სასოფლო მეურნეობის სკოლის გადაკეთება საშუალო სკოლად, იმავე სამი განყოფილებით“.²⁷⁷

შემუშავებულ იქნა სპეციალური პროექტი „სასოფლო-სამეურნეო განყოფილების დებულება“, რომლის მიხედვით: „ამგვარ სასწავლებლებში მიიღებიან მაღალი და დანყებითი სკოლის კურსდამთავრებულნი ანდა შესაფერისად მომზადებულნი პირნი. ამ სასწავლებელში სწავლა გრძელდება 4 წელიწადი /რვა სემესტრი/, ორი უკანასკნელი სემესტრი /7-8/ განსაკუთ-

²⁷⁷ სცსა, ფ. 1861, აღნ. 1, საქ. №533, ფურც. 5

რებით უნდა მოხმარდეს პრაქტიკულ მუშაობას სკოლის ანდა სხვა რაციონალურათ მონყობილ მეურნეობაში. პირველი წელიწადი დანიშნულია საბუნებისმეტყველო საგნების საფუძვლიანად შესწავლისათვის და მხოლოდ მე-4 სემესტრიდან იწყება სპეციალობის შესწავლა“.²⁷⁸ ასევე გათვალისწინებული იყო სასოფლო მეურნეობის პირველდანიწყებითი და პრაქტიკული სკოლების დაარსება. „სასოფლო მეურნეობის დაბალ /ზოგადი/ სკოლების დაარსება სამინისტროს აზრით საჭიროა დაბალი აგრონომიული პერსონალი პირველდანიწყებით სკოლებში პრაქტიკული სამეურნეო მეცადინეობისათვის ხელმძღვანელების მოსამზადებლად. ეს სკოლები მოამზადებენ აგრეთვე მუშაობის ხელმძღვანელებს პირველ დანიწყების და პრაქტიკულ სამეურნეო სკოლებში. ამგვარ სკოლებში სწავლა უნდა გრძელდებოდეს 3 წელიწადი, ამასთანავე შეიძლება გაიხსნას მე-4 პედაგოგიური კლასი, პირველდანიწყებითი და პრაქტიკული სამეურნეო სკოლებისათვის საჭირო მასწავლებლების მოსამზადებლად“.²⁷⁹ ამასთან გათვალისწინებული იყო აღნიშნული სკოლების საშუალო სკოლებად გადაკეთება.

²⁷⁸ სცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ.№ 533, ფურც. 5-6

²⁷⁹ იქვე, ფურც. 6

ამგვარი სკოლების დაარსება განზრახული საქართველოს უმთავრეს სასოფლო მეურნეობის რაიონებში: სოხუმსა და ლანჩხუთში, სადაც უმთავრესად მისდევდნენ სუბტროპიკული კულტურების მოყვანას, გორის მაზრაში, სადაც გავრცელებული იყო მემინდვრეობა, მებაღეობა და მებოსტნეობა, დუშეთის მაზრაში განზრახულია წინამძღვრიაანთ კარის სკოლის გადაკეთება ამ ტიპის სკოლად მემინდვრეობის და მებაღეობის დარგში. ასევე, ამ ტიპის სკოლების გახსნა მანგლისის ახლო მდებარე სახელმწიფო მამულში, თბილისის მაზრის შუა ზონაში, სადაც სოფლის მეურნეობის უმთავრეს დარგს შეადგენდა საქონლის მოშენება და მემინდვრეობა. შემდეგში ეს სკოლაც უნდა გადაკეთებულიყო საშუალო სასაჯლებლად.²⁸⁰ „სამონავლო გეგმის მიხედვით ამ სკოლებში მონათეები იმეორებენ სამშობლო ენას, არითმეტიკას, ეცნობიან ბუნებისმეტყველებას, მინის ზომვას, ადგილობრივ მეურნეობას და უმთავრეს კანონებს. პრაქტიკული მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს გლეხურ ტიპზე მონყობილ სამაგალითო მამულში. გარდა ამისა, მასწავლებლები თვალყურს ადევნებენ და ხელმძღვანელობენ მონათეების მუშაობას მათ საკუთარ ადგილმამულში. ამასთანავე პირველდაცნებითი სასოფლო-მეურნეო-

²⁸⁰ სცსა, ფ. 1861, აღნ. 1, საქ. №533, ფურც. 6

ბის სკოლების და საზოგადო სკოლების ერთმანეთთან დაკავშირება საშუალებას აძლევს მასწავლებლებს შეადგინონ ე. წ. ბავშვების მინათმოქმედების საზოგადოება /კლუბი, რომელმაც დიდი სარგებლობა მოიტანა ჩრდილო ამერიკაში, რადგან მაგვარი კლუბი მონაფეებს სოფლის მეურნეობის სიყვარულს ასწავლის.“²⁸¹ აღნიშნულ სკოლებს აარსებენ ერობები თავის ხარჯით. ამგვარი სკოლები უკვე არსებობდა საქარის საწერგესთან და 1919 წელს ბათხულში ამგვარივე სკოლა გაიხსნა სკრის მამულში. 1920 წლისთვის იგეგმებოდა ხელახლა გახსნილიყო დროებით დახურული თბილისის ბოტანიკურ ბაღთან და სოხუმის საცდელ სადგურთან არსებული პრაქტიკული სკოლები. ასევე, გათვალისწინებული იყო აღნიშნული სკოლების დაარსება სახელმწიფო მამულებში, თბილისში – მებოსტნეობის, წინანდალში, ნაფარეულში, მუკუბანში, ჭიათურაში, მუხრანში, მანავში, ვარციხეში, ზედუბანში და სხვა.²⁸²

არსებობდა საშუალო და დაბალი სასოფლო მეურნეობის განათლების დებულების პროექტი. „1. საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის არსდება სასწავლებლები აგრო-

²⁸¹ სცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ.№ 533, ფურც. 7

²⁸² იქვე, ფურც. 7

ნომიულ მოღვაწეთა მოსამზადებლად და სასწავლებლები და დაწესებულებანი სასოფლო მეურნეობის ცოდნის გასავრცელებლად. სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები შეიძლება დაარსდეს სავეჟო, საქალაქო და ორივეთათვის საერთო. სამოსწავლო გეგმის მიხედვით სასწავლებლები განიყოფებიან საზოგადო სასწავლებლებად, სადაც ისწავლება სოფლის მეურნეობა საზოგადოდ და სპეციალურ სასწავლებლებად, სადაც შეისწავლება სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგი.“²⁸³

საშუალო სასკოლო მეურნეობის სასწავლებლები. „20. საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში სწავლის კურსი ოთხნობიანია და ამის მიხედვით იგი იყოფა 4 კლასად. ამათში პირველი მოსამზადებელია, 2-3 დანიშნულია სასოფლო მეურნეობის საგნების შესასწავლად სპეციალობების მიხედვით და მე-4 პრაქტიკული. მინათმოქმედების მინისტრის ნებართვით შეიძლება ამ სასწავლებლებში გაიხსნას დამატებითი განყოფილება ან კლასი მონაფეების რომელიმე სასოფლო მეურნეობის მოღვაწეობისათვის ანდა სასწავლებელში მისაღებად“.²⁸⁴

²⁸³ სცსა, ფ. 1861, აღნ. 1, საქ.№ 533, ფურც. 10

²⁸⁴ იქვე, ფურც. 11

სასწავლებლებში გადიან შემდეგ საგნებს: მცენარეული სისტემატიკის მორფოლოგიას, ანატომიას და ფიზიოლოგიას, ზოოლოგიას ანტომოლოგიითურთ, ცხოველებთა ფიზიოლოგიას, არა ორგანულ, ორგანულ და ანალიტურ ქიმიას, ფიზიკას, მექანიკითურთ, მეტეოროლოგიას, მინერალოგიას და გეოლოგიას, გეოდეზიას, სასოფლო მეურნეობის ჰიდროვლიკას, სასოფლო მეურნეობის ეკონომიას და ანგარიშს და კანონით მეტყველებას და სხვა.²⁸⁵ აგრეთვე გათვალისწინებული იყო სოფლის მეურნეობის დაბალი სასწავლებლის დაარსება, რომელიც სამ კლასად იქნებოდა გათვალისწინებული. აღნიშნულ სკოლებში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: ქართული ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, გეოგრაფია, ეთიკა, ისტორია, ხაზვა, მიწის ზომვა, ბოტანიკა, ზოოლოგია, ქიმია, ფიზიკა და მეტროლოგია, მცენარეთა მოვლა-გაშენება, მებაღეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, საქონლის მოშენება, მებაზრეშუმეობა, მეფუტკრეობა, სოფლის მეორნეობის ეკონომია, სოფლის მეურნეობის ანგარიში და „კანონთმეტყველება“. დამატებით ჰედაგოგიურ კლასში – ბუნებისმეტყველება და სასოფ-

²⁸⁵ სცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ.№ 533, ფურც. 12

ლო მეურნეობის საგნების მეთოდიკას, ფსიქოლოგიას, ქართული ენა და არითმეტიკის მეთოდიკა.

პირველდანიწყებითი სასოფლო მეურნეობის კოლები ოთხ წლიანია და განაწილებულია ორ კლასად. სკოლაში ასწავლიან: წერა-კითხვას და ანგარიშს, მოკლე ცნობას ბუნების მოვლენების შესახებ, იმართება კითხვა და ბაასი ადგილობრივ სოფლის მეურნეობის საკითხებზე, მიწის ზომვის მარტივ საშუალებებს, რესპუბლიკის ძირითად კანონებს და სოფლის მეურნეობის კანონებს“.²⁸⁶

პრაქტიკულ სასოფლო მეურნეობის სკოლები ერთიდან სამ წლიანია. სწავლებას საფუძვლად ედება პრაქტიკული მეცადინეობა, რომელიც შესდგება სასოფლო მეურნეობის და სახელოსნო მუშაობის წარმობაში.²⁸⁷

შემუშავდა კანონპროექტი ბეჭდვითი სიტყვის წარმობათა მთავრობისადმი წარდგენისა: 1. ყოველი სტამბის, ლიტოგრაფიის, ლითონოგრაფიის და ყოველნაირი საბეჭდავ წარმობის პატრონი მოვალეა მის წარმობაში დამზადებული ბეჭდვითი სიტყვის წარმობის თოთხმეტი ცალი უფასოდ წარუდგინოს: 12 ცალი განათლების სამინისტროს, 2 ცალი შინაგან საქ-

²⁸⁶ სცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ.№ 533, ფურც. 12

²⁸⁷ იქვე, ფურც. 13

მეთა სამინისტროს ნაწარმოების საბეჭდავ წარმოები-
დან გამოშვებისთანავე. 2. ბეჭდვითი სიტყვის ნა-
წარმოები გულისხმობს ყოველწლიურ წიგნს ყოველ ენა-
ზე დაბეჭდილს, სურათებს და სხვა ნახატებს, პლანებს
და რუქებს, ნოტებს, კალენდრებს, პროკლამაციებს და
სხვა ამ გვარებს. 3. ნაწარმოების პატრონმა თბილისში
ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები, თანახმად ამ კანონის
პირველი მუხლისა, უნდა წარუდგინოს პირდაპირ აღ-
ნიშნული სამინისტროების კანცელარიას, ხოლო პრო-
ვინციაში უნდა ჩააბაროს ადგილობრივ ფოსტის კან-
ტორას იმავე სამინისტროებისადმი გასაგზავნად და
ჩაბარების ბარათი გამოართვას. 4. თუ გამოცემა ორ-
გვარია, კარგს და მდარე ქალაქებში აღნიშნულ სამი-
ნისტროების კანცელარიას წარუდგინოს კარგს ქა-
ლაქებში დაბეჭდილი. 5. საბეჭდავ წარმოების პატრო-
ნი ამ კანონის დამრღვევი დაისჯება სასამართლოს წე-
სით ან ჯარიმით 3000 მანეთამდე, ან სამ თვემდე დაპა-
ტიმრება“.²⁸⁸ აღნიშნული მიზნის სისრულეში მოყვანა
ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ამოსავალ პრინ-
ციპს წარმოადგენდა, რადგან აღნუსხული ჰქონოდა
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა
ბეჭდვითი გამოცემა.

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, საქართვე-

²⁸⁸ სცსა, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. №19, ფურც. 1

ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას დეტალურად ჰქონდა განერილი კანონპროექტები საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფის მიზნით. არსებული განხილვების გარდა, როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, იდეა მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების გახსნის შესახებ არსებობდა თავისუფლების მოპოვების ადრეულ ეტაპზევე. 1918 წლის 1 ივლისის განათლების მინისტრის მოხსენებიდან იკვეთება შემდეგი გარემოება, რომ აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდნენ სამ თვიანი კურსების შექმნას მასწავლებლებისთვის 10 სხვადასხვა ადგილზე. „ამ კურსებზე მიღებულნი იქნებიან ისინი, ვისაც გაუთავებიათ პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებლები, ან ისინი ვინც სათანადო გამოცდას ჩააბარებენ. ამ კურსებზე შემდეგი საგნები შეისწავლება: 1. პედაგოგიკა დიდაქტიკით; 2. სამშობლო ენა და ლიტერატურა და ისტორია; 3. საზოგადო და საქართველოს გეოგრაფია; 4. არითმეტიკა (ანგარიში); 5. ბუნებისმეტყველება; 6. სიმღერა, გიმნასტიკა; 7. ხატვა და ხელგარტილობა; 8. მეთოდთა კერძო საგნებისა.“²⁸⁹ ... ამ კურსებზე შესაძლებელი იქნება 300 მსმენელის თავმოყრა (30 მსმენელი თითოეულ ადგილას). კურსების მოწყობა დაჯდება 252 500 მანეთი. ხარჯთაღირხცვა

²⁸⁹სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №252, ფურც. 2-3

გამოიყურებოდა შემდეგნაირად: „1. მსმენელთა შენახვა სამი თვის განმავლობაში (თვეში თითოეულს 150 მანეთი) – 135 000 მანეთი. 2. საგზაო ხარჯი (თითო 100 მანეთი) – 30000 მანეთი. 3. კანცელარიის ხარჯები ათ ადგილას – 5 000 მანეთი. 4. კურსების გამგეთა და ხელმძღვანელთა ჯილდო: 10 გამგეს (თვეში თითო 200 მანეთი) – 6000 მანეთი. 6 მასწავლებელი თითო ადგილას (თითო 400 მანეთი თვეში. სულ 72 000 მანეთი) – სულ 78 000 მანეთი. 5. ხარჯი სანიმუშო სკოლების მოსაწყობათ (თითო თვეში 1000 მანეთი) – 1000 მანეთი. 6. გასამრჯელო დარაჯებს (თვეში თითოს 50 მანეთი) – 1500 მანეთი. 7. მოულოდნელი ხარჯი (თითო სკოლაზე 200 მანეთი) – 2000 მანეთი“.²⁹⁰

1918 წელს მიღებულ იქნა კანონპროექტი საგანმანათლებლო სასწავლებლების გაეროვნების შესახებ. „ა) დაიკეტოს ტფილისის ინსტიტუტსა და გორის სემინარიასთან არსებული ეროვნული განყოფილებანი; ბ) ცნობილ იქმნას ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონისა და სოხუმის სემინარიები ქართულ ეროვნულ სასწავლებლებად. გ) გაიხსნას სოხუმის სემინარიასთან აფხაზური განყოფილება დ) განეგრძოს ოთხსავე სასწავლებელს მთავრობისაგან კრედიტის გაღება თანახმად უკვე არსებულის ხარჯთაღირცხვისა,

²⁹⁰ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №252, ფურც. 3-4

თითოეული სასწავლებლის ძირითად კლასებისათვის, ხოლო სოხუმის სემინარიის აფხაზურ განყოფილებისათვის.²⁹¹

1918 წელსვე გათვალისწინებული იყო სპეციალური კურსები მასწავლებელთა მოსამზადებლად. „კურსები უნდა მოეწყოს 250 მსმენელისათვის, თითოეულ მსმენელს უნდა მიეცეს ხარჯებისათვის დახმარება 400 მანეთი თვიურად. ქართული სკოლებისათვის უნდა მომზადდეს 200 მასწავლებელი, ას-ასი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსთვის, ხოლო 25-25 მუსულმანურისა და ბერძნული სკოლებისათვის. კურსების მოსაწყობად და შესანახად საჭირო იქნება 334 000 მანეთი.²⁹²

დეკრეტის პროექტი რესპუბლიკის საპროფესიო სატექნიკო სკოლების მომსახურე პირთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ: „1. აწინდელ შტატების ნაცვალდ დამტკიცებულ იქმნას: ტფილისის საშუალო პოლიტექნიკური სასწავლებელი, ტფილისის მინადმზომელთა სასწავლებლის, ტფილისის საფერშლო სკოლის, ბორჯომის, ხონის და ფოთის სახელოსნო სკოლის დროებითი დებულებანი და თითოეულის ცალკე შტატი მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან. 2.

²⁹¹ სცსა, ფ. 1836, საქ. #1 საქ. №247, ფურც. 4

²⁹² სცსა, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. №263, ფურც. 2

პირველ მუხლში აღნიშნულ საჭიროებისათვის გაღებულ იქმნას სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურად: ტფილისის საშუალო პოლიტექნიკურ სასწავლებლისათვის 617 100 მანეთი, ტფილისის მინადმშომელთა სასწავლებლისათვის 163 120 მანეთი. ტფილისის საფერშლო სკოლისათვის 136 260 მანეთი. ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლისათვის 232 330 მანეთი. ხონის სახელოსნო სასწავლებლისათვის 217 590 მანეთი და ფოთის სახელოსნო სკოლისათვის 125 375 მანეთი. სულ : 1 491 775 მანეთი. ხოლო შვიდ თვეში მიმდინარე წლის პირველი ნოემბრიდან 1920 წლის 1 ივნისამდე ტფილისის პოლიტექნიკურ სასწავლებლისათვის – 260 283 მანეთი და 31 კაპიკი; ტფილისის მინადმშომელთა სასწავლებლისათვის – 95. 153 მანეთი და 31 კაპიკი; ტფილისის საფერშლო სკოლისათვის – 79 485 მანეთი. ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლისათვის – 135 525 მანეთი და 81 კაპიკი. ხონის სახელოსნო სასწავლებლისათვის – 126 927 მანეთი და 50 კაპიკი და ფოთის სახელოსნო სკოლისათვის – 73 135 მანეთი და 37 კაპიკი. სულ შვიდ თვეში 680 510 მანეთი და 30 კაპიკი. 3. გაღებულ იქმნას ერთდროულად ტფილისის საშუალო პოლიტექნიკურ სასწავლებლის გასაფართოებლად დამატებითი თანხა – 161 227 მანეთი და 65 კა-

პიკი.²⁹³ 1918 წელსვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება საჭიროდ თვლიდა სახელმწიფო ხარჯით გახსნილიყო უმაღლეს-დანყებითი სასწავლებლები შემდეგ ადგილებში: „1. სოფელ საგარეჯოში, ტფილისის მაზრა; 2. ქვემო მაჩხაანსა და 3. გურჯაანში, სიღნაღის მაზრა; 4. მცხეთაში დუშეთის მაზრა 5. ბორჯომში გორის მაზრა; 6. ოსეთის ერთ-ერთი ცენტრალურ უბანში, გორის მაზრა; 7. ნაძალადევში, როგორც ტფილისის განაპირასა და უსკოლოდ დარჩენილს ადგილში აქ გადაკეთდეს არსებული რკინისგზის 2 კლასიანი სასწავლებელი უმაღლეს-დანყებით სასწავლებლად. ამის გარდა ხაზინამ მიიღოს თავის ხარჯზე უკვე არსებულის საზოგადოებათა უმაღლეს-დანყებითი სასწავლებელი 8. დუშეთსა; 9. ცხინვალის და 10. სიღნაღის ყოფილი მარინეს სასწავლებლის ზედმეტი ხარჯები, რაც უმაღლეს დანყებით სასწავლებლად გადაკეთებით არის გამოწვეული.“²⁹⁴

1918 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის 62-ე სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის აზრი საღვთო სჯულის შემოღებასთან დაკავშირებით: „ვინაიდან ამ ხმობით არავითარი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ინტერესი არ მოითხოვს

²⁹³ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. №267, ფურც. 10

²⁹⁴ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. №265, ფურც. 1

ნაჩქარევად საღვთო სჯულის გაუქმებას საქართველოს სკოლებში და ვინაიდან ამ საკითხს შეუძლია ხალხში დიდი აშლილობა გამოიწვიოს, უკეთუ იგი გადაიტრა ხალხის წინასწარ დაუკითხავად, – ამიტომ ეს საკითხი ხალხის დასაკითხავად უნდა იქნას გატანილი მომავალ საარჩევნო კომპანიაში და მისი გადაჭრა მიენიჭოს დამფუძნებელ კრებას.²⁹⁵

განათლების სფეროს წარმომადგენლები მსჯელობდნენ შემდეგს: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველებისა და ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტთან ეხლავე უნდა გაიხსნას 1 პედაგოგიური ინსტიტუტი“, რომლის მიზანსაც ჩვენი საშუალო სკოლისა და ე.წ. უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლის მომზადება უნდა შეადგენდეს, „ინსტიტუტში“ უნდა ირიცხებოდეს ყველა სტუდენტი, რომელსაც მომავალში მასწავლებლობა აქვს განზრახული. ინსტიტუტი ორი საფეხურისაგან უნდა შედგებოდეს, თითოეული ორ-ორი წლის კურსით. პირველი საფეხურის გავლა მსმენელს უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ხარისხს უნდა ანიჭებდეს, ხოლო ვინც ორსავე საფეხურს დაასრულებს, მას საშუალო სკოლის მასწავლებლობის უფლება ეძლეოდეს: ინსტიტუტში უნდა ისწავლებოდეს შემდეგი საგნები: 1.

²⁹⁵ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ.№ 261, ფურც. 8

ყველასათვის საერთოდ: ა. პედაგოგიური პსიქოლოგია, ბ. საშუალო ჰიგიენა გ. პათოლოგიური პედაგოგიკა დ. სკოლის ორგანიზაცია და სკოლის ისტორია. ხოლო სპეციალურად დარგებისა და მიხედვით – ისტორია და მეთოდისა საშუალო საგნებისა – მეცნიერებათა ისტორიასთან დაკავშირებით: 1. ქართული ენისა და მწერლობის, 2. ისტორიის, 3. გეოგრაფიის, 4. მათემატიკის, 5. ბიოლოგიურ მეცნიერებათა, 6. ფიზიკისა და ქიმიის, 7. ხელოვნებათა – სიმღერა-გალობა, ხატვა, ძერწვა, ხელგარჯილობა, მუსიკა – 8. არანორმალურ ბავშვთა აღზრდა.²⁹⁶

„პედაგოგიურ ინსტიტუტს“ ნება უნდა ჰქონდეს თავის მსმენელს ამა თუ იმ პედაგოგიურის თვალსაზრისით საჭირო სამეცნიერო დარგის უნივერსიტეტის ფაკულტეტზე მოსმენა და შესწავლა დაავალოს, ასეთ დარგებად ეხლავე შეიძლება შემდეგი საგნები ჩაითვალოს: 1. ანატომია, 2. ფიზიოლოგია, 3. ლიტერატურის ისტორია, 4. ხელოვნების ისტორია, 5. ფილოსოფიის ისტორია, 6. ფსიქოლოგია, 7. უფლების ენციკლოპედია. ამ დარგებიდან სავალდებულო მართო ორი უნდა ითვლებოდეს.²⁹⁷

²⁹⁶ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №700, ფურც. 4

²⁹⁷ იქვე, ფურც. 4

სხვადასხვა კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით განათლების სფეროს წარმომადგენლების მსჯელობდნენ ევროპის მაგალითებზე. ერთ-ერთ დოკუმენტში განხილულია იტალიის მაგალითი. „უნივერსიტეტის ორ ფაკულტეტთან – ფილოსოფიურსა და ფიზიკო-მათემატიკურთან – თითოეული *scule di magistero* არსებობს, სადაც სტუდენტს პირველსავე კურსიდან შეუძლია ჩაირიცხოს. უნივერსიტეტში იგი ჩვეულებრივი წესით მუშაობს, ხოლო ამ პედაგოგიურ-დიდაქტიური თვალსაზრისით სწავლობს იმ მეცნიერების დარგს, რომელსაც უნივერსიტეტში მეცნიერული მხრით ითვისებს, მაგრამ სანამ *scule di magistero* ში ამა თუ იმ საგნის პედაგოგიურ შესწავლას შეუდგებოდეს, უნივერსიტეტში მას ამ საგანში უკვე ჩაბარებული უნდა ჰქონდეს გამოცდა. კურსი აქ ისე, როგორც ფაკულტეტზეც, ოთხ წელიწადს გრძელდება. ხოლო, ვისაც საშუალო სკოლის უმცროს კლასებში სურს მასწავლებლობა, მისთვის მარტო ორი წლის კურსია საკმარისად მიჩნეული – ამ გზით სკოლის ორივე საფეხური მასწავლებელს ამზადებს: დაბალი საფეხურისას და საშუალო სკოლისას.²⁹⁸ „პედაგოგიური ინსტიტუტის“ ხარჯთაღრიცხვა: 1. დირექტორის თანამდებობა – 9000, 2. ლექციების – 50 საათი, თითოეულს – 900,

²⁹⁸ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №700, ფურც. 3-4

სულ: 45 000. კაბინეტების ხელმძღვანელთ – 8 – თითოეულს 2400, სულ: 19000. 4. ბიბლიოთეკის გამგეს – 2 400, 5. საბჭოს მდივანს – 2 400, 6. საქმის მწარმოებელს – 6000, 7. შენობის მოვლა – 21 000, 8. დარაჯებს – 6– 4 200 – სულ 25 200. სულ ჯამი: 129 000.²⁹⁹

როგორც ერიკ ლი აღნიშნავს: უორდროპს (იგულისხმება ოლივერ უორდროპი – ნ.ს.) სურდა წაეხალისებინა ინგლისური ენის სწავლება სკოლების მოსწავლეებს შორის და წამოყენებული ჰქონდა საქართველოში „საჯარო სკოლის ტიპის ინგლისური სკოლა-პანსიონების გახსნის იდეა, სადაც მოსწავლეები კლასიკურ, თანამედროვე, საბუნებისმეტყველო განათლებას მიიღებენ და ფიზიკური კულტურაც სათანადო დონეზე იდგება. ორივე სქესის საგანგებოდ შერჩეული მოსწავლეები დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში, კოლეჯებში და ა. შ. გამარტივებული წესით ჩარიცხებიან“. უორდროპი ითხოვდა ამიერკავკასიასა და ინგლისს შორის კულტურული გაცვლის დაწყებას და ამ საქმეში პირად დახმარებასაც სთავაზობდა სათანადო უწყებებს: მე შემიძლია ვთხოვო, რომ ოქსფორდში მარჯორი უორდროპის ფონდის შემოსავალი (ახლა 3500-ის ოდენობით) გამოვიყენოთ, რათა დაინიშნოს საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა

²⁹⁹ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №700, ფურც. 7

და ენისადმი მიძღვნილი ლექციები. ასევე ვფიქრობ, რომ მსგავსავე მითითებას მივცემდი ფონდს სომხური და თურქული საგნების დასაწერგად, რაც გაკეთდება მეგობრების დახმა-რებით, ხაზინისათვის დახმარების უთხოვნელად.³⁰⁰

გერმანიაში ჰფიქრობენ, რომ საქართველოდან და კავკასიიდან ბევრი სტუდენტი ჩამოვა. უკვე ზომე-ბია მიღებული, რომ ქართველ სტუდენტებს საშუალება მიეცეთ გერმანულ უნივერსიტეტებში სწავლისა.

თბილისში ქართულ-გერმანულმა საზოგადოებამ უკვე მოჰკიდა ამას ხელი და პირველ ყოვლისა იმაზე ზრუნავს, რომ გამოჰჩინოს სტიპენდიები; ვიმედოვნოთ, რომ ეს საქმე სასურველ ნაყოფს მოიტანს.

ქართველი სტუდენტები, ახალი საქართველოს მომავალი „ინსტრუქტორი“, გერმანულ უნივერსიტეტში ჰპოვებს იმას, რასაც ის ტყუილად და უნაყოფოთ ეძებდა რუსის უნივერსიტეტში. ქართველი სტუდენტი მიეჩვევა დისციპლინარულ მუშაობას, ის უციმბიროთ, უაჭანყებოთ, უპოლიციოდ მოაგროვებს მრავალ ცოდნას თვისი ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოთ, ის გაიცნობს გერმანიას, იმ ქვეყანას, სადაც ყველა მეცნიერების დარგში პატიოსანი და ინტენსიური მუშა-

³⁰⁰ ერიკ ლი, ექსპერიმენტი საქართველოს მივინყებული რევოლუცია 1918-1921, თბილისი, 2018, გვ. 138-139

ობაა და ისწავლის გერმანიაში თუ როგორ აამაღლოს საქართველოს კულტურა.³⁰¹

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ოთხი პედაგოგიური სასწავლებელია: ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი და სემინარიები გორში, ხონსა და სოხუმში. ამ სასწავლებელთა მიზანია – სახელმწიფო-სათვის სახალხო მასწავლებელთა მომზადება.

ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი უხუცესია დასახელებულ სასწავლებელთა შორის: იგი დაარსებულია 1872 წელს განსაკუთრებით ამიერკავკასიის მცხოვრებთათვის, მაგრამ დროთა განმავლობაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ინსტიტუტის მონაფეთა შორის ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო, ხოლო არაჩვეულებრივად იმატა ჩრდილო-კავკასიიდან და განსაკუთრებით დონის ოლქისა და სამხრეთ-რუსეთიდან ჩამოსულთა რიცხვმა.

წარსული სასწავლო წლიდან ვი მდგომარეობა კვლავ ადგილობრივ მკვიდრთა სასარგებლოდ შეიცვალა: თუ წინათ ადგილობრივთა რიცხვი ძლივს მთელი მონაფეთების 5% უდრიდა, ახლა უცებ 35%-მდე ავიდა. ამის გამო 1918 წლის 9 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით ამ სასწავლებელთან გაიხსნა ეროვნული განყოფილებანი: ქართული და სომხუ-

³⁰¹ ევროპული XX საუკუნე, თბილისი, 2019, გვ. 15

რი, თუმცა უკანასკნელში მონაფეთა რიცხვი ჩვეულებრივ მეტად მცირე იყო: ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ სომხებს აქვთ თავისი საკუთარი სემინარიები, სახალხო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად მომავალ სასწავლო წლიდან ინსტიტუტის მდგომარეობა მონაფეთა შედგენილობის მხრივ შემდეგის სახით გვეხატება: ა) პირველ კლასში – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ – რუსეთიდგან არც ერთი მონაფეთ არ მოვა, არც ადგილობრივ რუსთაგან შემოვა ვინმე ამავე მიზეზის გამო, მით უმეტეს რომ წინადაც არ ეტანებოდა ეს ელემენტი ინსტიტუტს. 2%-ს ძლივს შეადგენდა. ბ) მეორე და მესამე კლასშიაც არ უნდა მოველოდეთ რუს მონაფეთა დაგროვებას, ვინაიდგან სამინისტროს აქვს ოფიციალური ცნობები, რომ ამ კლასების მონაფეთ აიღეს სათანადო მონაფობები და უკვე დიდი ხანია რუსეთს გაემგზავრნენ; გ) რაც შეეხება მესამე კლესის რუს მონაფეთ, მათ სამინისტრომ, თანახმად თხოვნისა, ნება დართო სექტემბერში გამოცადონ და მიიღონ გასათავებელი მონაფობები.

ამრიგად, მომავალ სასწავლო წელს ინსტიტუტი რუს მონაფეთაგან სავსებით თავისუფალი უნდა ვიგულოთ: ამიერკავკასიის სხვა მკვიდრნი ამ სასწავლებელს არაოდეს არ ეტანებოდნენ და ახალი პლიტიკური მდგომარეობის შექმნის შემდგომ ეჭვს გარეშეა არ

მოისურვებენ შემოსვლას მით, უმეტეს, რომ მაგალითად, თათართათვის სპეციალურად გახსნილია საოსტატო ინსტიტუტი ბაქოში.

რაც შეეხება საოსტატო სემინარიებს, ამ მხრივ აქ საქმე უფრო ადვილად წყდება: ხონის სემინარია უკვე მეორე წელია, რაც ფაქტიურად გაქართულებულია როგორც მონაფეთა, ისე მასწავლებელთა მხრივ: შარშან არც ერთი რუსი მონაფე არ შესულა სემინარიაში და ვინც იყო, ისიც გადავიდა რუსეთს. გორის სემინარიაში რამდენიმე განყოფილება არსებობს: ქართული, თათრული და რუსული, აგრეთვე სომხურიც. რუსული განყოფილება ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო ბუნებრივად დაიკვეტება; თათრული განყოფილება ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო დაიკვეტება; თათრული განყოფილების არსებობას ეკარგება აზრი ამიერკავკასიის დანაწილების შემდგომ, მით უმეტეს, რომ მათთვის (თათართათვის) განჯაშია საკუთარი სემინარია გახსნილი, ხოლო სომეხთათვის ერევანში.

გორშიაც, მაშასადამე, ბუნებრივია მხოლოდ ქართული სემინარიის არსებობა. მხოლოდ სოხუმის სემინარიას უნდა ექმნეს ორი განყოფილება: ქართული და აფხაზური“.³⁰²

³⁰² სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №455, ფურც. 5

„... ფართო მასაში კულტურის განვითარების მხრით თითქმის არაფერია გაკეთებული. მე აქ არ ვეხები სახალხო უნივერსიტეტებს, რომელშიც ითვლება მომქმედად თითქმის ყველა დაბა-ქალაქებში ან სხვა სახალხო-საკულტურო დაწესებულებებს, სადაც აგრეთვე ვერ არის სავსებით კარგად დაყენებული მშრომელ მასაში კულტურულად მუშაობის საქმე, რადგანაც ბარათის პირდაპირ მიზანს შეადგენს მეორე და არა ნაკლებ უმნიშვნელოვანესი საფუძველი – მუშათა კლუბების – მუშათა კულტურული ოჯახები. საქართველოში მუშათა კლუბი მოიპივება მხოლოდ თბილისში და აქაც მათი ცხოვრება არა ნორმალურ და შესაბრალის მდგომარეობას წარმოადგენს. თბილისის მუშათა კლუბები ეხლა მხოლოდ ცუდი და უხეიროდ დადგმული პიესებით ცხოვრობენ. მსახიობები უმთავრესად განუვითარებელი სცენის მოყვარულნი არიან, თამაშობენ ისე, რომ ხელოვნებისას ვერაფერს იპოვის ადამიანი, საქმის ასეთი დაყენებით კლუბები უმთავრესად ხალხში კულტურის დახშობას ემსახურებიან და არა ამალლებას. მუშათა ცენტრალურ კლუბშიაც საქმე ბევრად უკეთ ვერ არის. ჯერჯერობით ამ კლუბს აქვს მხოლოდ პროექტები. პროექტების შესრულება კი შეუძლებელია უსახსრობის გამო. კლუბთან განზრახულია ცენტრალური დრამატული სტუდია,

სადაც ის დიდი სამსახიობო მასალა, რომელიც მოიპოვება თბილისის მუშათა კლუბების სცენისმოყვართა შორის მომზადებული იქნება საპასუხისმგებლო ნამდვილი პროლეტარულ-კულტურული სცენის სამსახურისათვის. ამ სტუდიასთან განზრახულია სასცენო საინსტრუქტორო სკოლა, რომელიც ყოველივე კულტურულ დასაწყისს და გამოცდილებას გადაიტანს. რაიონებში განზრახულია მთელი რიგი სხვადასხვა საინსტრუქტორო სკოლების მოზარდ თაობაში კულტურულ მუშაობის საწარმოებლად. პროლეტარი ბავშვთათვის და მოზრდილთათვის გონიერ გასართობების მოსაწყობას, სტუდია ხელოვნების ისტორიისა და თეორიის გასაცნობად, ძერწვის, ხატვის და მუსიკის როგორც საერთაშორისო, ისე ქართულის შესასწავლად. აქვე განზრახულია საგუნდო სიმღერების და მუშათა ორკესტრების მოწყობა. სასურველია აგრეთვე სტუდია სიტყვიერების სახელოსნო, ე. ი. შესწავლა მხატვრულ შემოქმედების მიმოხვრისა. ამ მუშაობაში განზრახულია ჩავაბათ საქართველოს და სხვა საუკეთესო სამხატვრო სამეცნიერო ძალები“.³⁰³

ამდენად, როგორც წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები და არა მხოლოდ, აქტიურად მსჯე-

³⁰³ სცსა, ფ. 1830, აღნ. 1, საქ. №9, ფურც. 158

ლობდნენ განათლების სფეროს გაძლიერებისთვის. აქტიური ბრძოლა მიმდინარეობდა რუსიფიკაციის მავნე გადმონაშთების გაუქმებისკენ და ცდილობდნენ ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შექმნას, რომელიც ქართულ რეალობას მოერგებოდა და ქვეყნის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

თავი მეშვიდე
განათლება და თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სკოლების გახსნასთან ერთად დიდი ადგილი ეკავა უნივერსიტეტის საკითხს. ამასთან დაკავშირებით არაერთ ნაშრომში ყოფილა ყურადღება გამახვილებული. ამჯერად ჩემი მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის წარმოჩენა ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საკითხში. ამიტომ უნივერსიტეტის როლსაც ამ კუთხით შევხები. თავიდანვე მინდა ხაზი გავუსვა იმ მძიმე ვითარებას, რომელშიც უნივერსიტეტი იმყოფებოდა. „უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო თავიდანვე ცდილობდა მკვიდრი საძირკველი ჩაჰყროდა ამ დიდ სამეცნიერო დაწესებულებას. საქმის კარგად მოსაწყობად საბჭომ დაინახა პირადი შედეგნლობის გადიდება. პროფესორთა რიცხვის გადიდება განსაკუთრებით სტუდენტთა რიცხვის ერთიორად გადიდებით აიხსნება, რომელთა რიცხვი ამჟამად ორი ათასამდე აღწევს. მათ ხელმძღვანელობს 27 პროფესორი... მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი კრიზისს განიცდიდა მატერიალური მხრივ, ის მაინც ცდილობდა ბიბლიოთეკისათვის აუცილებელი წიგნები შეეძინა. რუსეთიდან საქართველოს გამოყოფის შემდეგ პროფესორთა საბჭო ცდილობდა წიგნები ჩვენი

საზღვრებიდან არ გასულიყო. მართლაც მაშინ უნივერსიტეტმა ბევრი წიგნები გადაარჩინა და შეინახა. ძველი გამოცემებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია, აკლია მხოლოდ ახალი გამოცემები, ურომლისოდ უნივერსიტეტს არსებობა არ შეუძლია. დღემდის უნივერსიტეტის წიგნთსაცავისთვის დახარჯულია 18. 880. 994 მან; შემოწირულება 20. 304. 6000 მან. სულ უნივერსიტეტის წიგნთსაცავში მოიპოვება დაახლოებით 42. 868. 430 მან. ღირებულების წიგნები.³⁰⁴

1920 წლის 22 მარტის საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე ივანე ჯავახიშვილის მიერ გაკეთებული მოხსენებიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ, ირკვევა, რომ უნივერსიტეტში სწავლობს 2000 სტუდენტი. მათ ხელმძღვანელობს 27 პროფესორი. უნივერსიტეტის წიგნთსაცავისთვის დახარჯულია 18. 880 994 მანეთი, შემოწირულობა 20. 304 600 მანეთი. სულ უნივერსიტეტის წიგნთსაცავში მოიპოვება დაახლოებით 42 868 430 მანეთის ღირებულების წიგნები. მაგალითად, პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის „ქართული ხელოვნების ძეგლების ალბომის“ გამოცემას დასჭირდა 300000 მანეთი.³⁰⁵

ერთ-ერთი დოკუმენტიდან ირკვევა შემდეგი:

³⁰⁴ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. №970, ფურც. 16

³⁰⁵ იქვე, ფურც. 16

„სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის კაბინეტის მონ-
ყობას 210 000 მანეთი უნდა. საბუნებისმეტყველო ფა-
კულტეტის კაბინეტებს სხვადასხვა ნივთები სჭირდება,
თუ არ იქნება ეს ნივთები დროზე შეძენილი ეს მუშაობა
უნდა შეჩერდეს. ბაქტერიოლოგიის კათედრა დაარ-
სდა 1919 წელს. ამ კათედრამ სასანიტარო ინსტიტუტი
ჩაიბარა და ყოველმხრივ უზრუნველყოფილია. ის ამ-
ზადებს ყოველგვარ შრატს, ვაქცინებს, რომელიც წი-
ნად უცხოეთიდან მოდიოდა. ამით საქართველო ჯერ
ერთი გადამდებ ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ
საბრძოლველი საშუალებით იქნება უზრუნველყოფი-
ლი: უნივერსიტეტს იმედი აქვს, რომ ბაქტერიოლოგი-
ური ინსტიტუტი ჩვენი მეზობლების დაკმაყოფილება-
საც შეძლებს“.³⁰⁶

საქართველოს განათლების მინისტრი ეროვნულ
საბჭოს მიმართავს უნივერსიტეტის თაობაზე: „წრეულს
გახსნილი იყო სიბრძნისმეტყველების მხოლოდ ფი-
ლოლოგიური კათედრები; უნივერსიტეტის მიერ წარ-
მოდგენილ სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ მომავალ
სემესტრიდან (1918 წლის ენკენისთვიდან), ჩვენ უნი-
ვერსიტეტში დაიწყება აფხაზურის, ოსურის, ლეკურ,
ებრაულაისორულის და ასირიელ ენების შესწავლა.
პირველ სემესტრში, სხვა ჩვეულებრივ საგნებს გარდა,

³⁰⁶ სცსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. №970, ფურც. 17

ისწავლებოდა ქართული სამართლის ისტორია და სიძველეთ-მეცნიერებაც. იგივე სასწავლო გეგმა გვიჩვენებს, რომ მომავალში მოეწყობა ლექციები: ქართული ეპიგრაფიკისა, პალეოგრაფიისა, საქართველოს ეკონომიურ ისტორიის, საქართველოს და ამიერკავკასიის თანამედროვე ეკონომიურ ვითარებასა და მინათმფლობელობის შესახებაც; ჩვეულებრივ სალექციო საგნების გარდა განზრახულია აგრეთვე ქართულ-სპარსულსა, ბერძნულ-ქართულსა, სომხურ-ქართულსა, თურქულ-ქართულის მწერლობის და ისტორიის შესწავლა. იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც მომავალში უნდა გაიხსნას, ჩვეულებრივ რომელი სამართლის დოგმისა და ისტორიის ლექციების გარდა, შემოღებულ იქნება ბიზანტიური სამართლის ისტორია, მაჰმადიანურ სამართლის ისტორიისა და ქართულ და კავკასიის მთიელთა ადათების შესახებ ლექციები.

საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე განსაკუთრებული ყურადღება საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთის ბუნების ყოველმხრივ შესწავლას ექცევა. ამგვარადვე, სამკურნალო ფაკულტეტზეც საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის მკვიდრთა ჯანმრთელობა და ავადმყოფობასწავლებათა, სამხრეთისა და ევროპიულ ქვეყნებისათის

დამახასიათებელ სენტა გამოკვლევა უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევაზღიების მუდმივი საგანი იქნება.³⁰⁷

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს, რომელიც დაარსდა ამ წლის იანვარში, მომავალი სემესტრიდან ემატება შემდეგი სხვადასხვა კათედრები, რაც უკვე არსებულ კათედრებთან ერთად თხუთმეტ კათედრას შეადგენს: 1. ფილოსოფიისა და გნოსეოლოგიის; 2. ფსიქოლოგიისა და პედაგოგიისა; 3. საზოგადო და შედაებით ინდოევროპიელ ენათმეცნიერებისა; 4. ქართული ენათმეცნიერებისა; 5. ქართული ძველი მწერლობის ისტორიისა; 6. ქართული არქეოლოგიისა; 8. მსოფლიო ისტორიის; 9. საქართველოს ისტორიის; 10. მსოფლიო და საქართველოს საეკლესიო ისტორიის; 11. კლასიკურ ფილოლოგიისა; 12. სომხურ-სპარსულ-არაბულ ფილოლოგიისა; 13. ებრაელ-ასურულ ფილოლოგიისა; 14. პოლიტიკურ ეკონომიისა და 15. სახელმწიფო სამართლისა. გარდა ამისა, ახლად გახსნილ სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე იქნება შემდეგი 7 კათედრა: 1. უმაღლესი მათემატიკისა; 2. ვარსკვლავთმრიცხველობაში; 3. ფიზიკაში და 4. საექსპერიმენტო ფსიქოლოგიაში. ამგვარად, უნივერსიტეტს ენკენისთვიდან სულ 22 პროფესორი და

³⁰⁷ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №253, ფურც. 7

17 მეცნიერ ხელმძღვანელი, ასისტენტი და ლექტორი ეყოლება.³⁰⁸

თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულებანი: 6. ტფილისის უნივერსიტეტი სრული უნივერსიტეტია და შემდეგს ფაკულტეტებს შეიცავს: 1. სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიურის ფაკულტეტს, რომელშიც საფილოსოფიო, საისტორიო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები შედის როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთისა და სამხრეთ-ჩრდილოეთ ქვეყნებისა და ერების შესახებ. 2. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი 3. სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიულის ფაკულტეტს და 4. სამკურნალო ფაკულტეტს.

10. ტფილისის უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხარისხია დოქტორისა ანუ მოძღვართმოდღვარისა. რუსეთის უნივერსიტეტების მაგისტრის ხარისხი, ხოლო დასავლეთ ევროპის დოქტორის ხარისხი მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხს უდრის.³⁰⁹

მომავალი საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო განყოფილებისათვის განზრახული: ქიმიისა-თვის – დამსახურებული პროფესორი პ. გ. მელიქიშვილი და

³⁰⁸ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №253, ფურც. 10

³⁰⁹ იქვე, ფურც. 11

დოცენტი იას. მოსეშვილი (ოდესის უნივერსიტეტი).
ასისტენტებად მიხ. შალამბერიძე (დოქტორი, ლეიპცი-
გის უნივერსიტეტი და ქ. მოსეშვილი (ოდესის ქალთა
უმაღლესი კურსები), ბოტანიკაში – პროფესორი ქურ-
დიანი (ახალი ალექს. სამეურნეო ინსტიტუტი), ანატო-
მიაში – დოცენტი დ. ნათიშვილი (ხარკოვის უნივერსი-
ტეტი) და კახიანი (ოდესის უნივერსიტეტი), მიკროსკო-
პიულ ანატომიაში ანუ ჰისტოლოგიაში – შალვა კრი-
ნიცკი (ვარშავის უნივერსიტეტი), ფიზიოლოგიაში-დო-
ცენტი ბერძენიშვილი (ოდესის უნივერსიტეტი) და დო-
ცენტი მოსეშვილი (ხარკოვის უნივერსიტეტი), მექანი-
კაში – მუსხელიშვილი (მაგისტრი პეტერბურგის უნი-
ვერსიტეტის). ვარსკვლავთმრიცხველობაში და გეო-
დეზიაში – პროფესორი ანდრ. ბენაშვილი (პეტერბურ-
გის ტექნიკური ინსტიტუტი და უმაღლესი საარტ. აკა-
დემია). ამათ გარდა, სამკურნალო ფაკულტეტების-
თვის: ფარმაცოლოგიაში – დოცენტი მოსაშვილი და
პროფესორი ჭკიშვილი (ხარკოვის უნივერსიტეტი).
ფარმაციაში – ქუთათელაძე (ოდესის უნივერსიტეტი,
საფ. ინსტიტუტი), ბაქტერიოლოგიაში – ამირეჯიბი
(ხარკოვის უნი-ვერსიტეტი). პედიატრიაში – პროფე-
სორი ს. გოგიძე (ოდესის უნივერსიტეტი). რადიოლო-

გიასა და რეტგენოსკოპიაში – დოცენტი გაბრიელ ლამბარაშვილი (მოსკოვის უნივერსიტეტი) და სხვ.³¹⁰

როგორც საარქივო დოკუმენტიდან ვხედავთ: 1919-1920 წ.წ. უნდა შეიძინოს უნივერსიტეტმა 20 პროფესორი: (მათ შორის 3 სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, 10-სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოზე და 7 სამკურნალოზე), 18 დოცენტი (რომელთაგან 3 სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, 15 სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოზე, მათ შორის 10 სამეურნეო განყოფილებისათვის), 19 ასისტენტი (აქედან 12 სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოზე, ერთის გარდა ყველა სამეურნეოსათვის და 7 სამკურნალოზე), 14 ორდინატორი, 15 ლაბორანტი, 1 მხატვარი და 1 ბებია სამკურნალო ფაკულტეტისათვის, 1 პრეპარატორი, 2 დამკვირვებელი და 3 მასწავლებელი სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისათვის (უკანასკნელი სამეურნეო განყოფილებისათვის). ... უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის მართო პირადი შემადგენლობა უნივერსიტეტთან დატოვებულებთან ერთად 18 136 899 მანეთი დაუჯდება უნივერსიტეტს 1919-1920 წლებში.³¹¹

³¹⁰ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №253, ფურც. 21

³¹¹ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №834, ფურც. 34

ფაკულტეტის მიხედვით ხარჯები პირად შემადგენლობაზე ასეა გადანაწილებული: სამეცნიერო-სასწავლო ნაწილს. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისათვის – 2 33 844 მანეთი. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკ. – 6 762 081 მანეთი და 20 კაპიკი. სამკურნალო ფაკულტეტი – 6 511 854 მანეთი. თანამდებობის პირთათვის – 164 160 მანეთი. უნივერსიტეტთან დატოვებულ-თათვის – 2 364 960 მანეთი. აქედან 11 უცხოეთში გასაგზავნი – 1 716 000 და 15 აქ მყოფისათვის 648 960 მანეთი. პირადი შემადგენლობის ჯამი: 18 136 899 მანეთი და 20 კაპიკი.³¹²

1919 წლის 28 ივლისს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯავახიშვილი მიმართავს განათლების მინისტრს და სთხოვს რუსეთიდან ჩამოიყვანოს შემდეგი პროფესორები: 1. პროფესორი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი – პეტერბურგის უნივერსიტეტი, მისამართი ცარსკოე სელო. 2. პროფესორი ნიკოლოზ კახიანი – ევატერინოსლავის უნივერსიტეტი, წამოსულია ევატერინოსლავიდან, მაგრამ სად იმყოფება არ ვიცით. 3. პროფ. სიმონ ამერიჯიბი – ხარკოვის უნივერსიტეტი. 4. ალექსანდრე ალადაშვილი – ხარკოვის უნი-

³¹² სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №834, ფურც. 34

ვერსიტეტიდან. 5. პარმენ ჭეიშვილი – ხარკოვის უნივერსიტეტიდან. 6. პროფ. ივანე ბერიტაშვილი – ოდესის უნივერსიტეტიდან. 7. დოცენტი დიდებულიძე – ოდესის პოლიტეხნიკუმიდან. 8. დოცენტი შალვა მიხ. კრინიცკი-დარახველიძე – დონის როსტოვის უნივერსიტეტიდან. 9. დოცენტი ალექსანდრე თვალჭრელიძე – ნოვოჩერკასკის პოლიტეხნიკუმი, ეხლა იმყოფება ევატერინოგრადში. 10. პროფ. სიმონ ავალიანი, ოდესის უნივერსიტეტიდან, ეხლა სტამბოლშია. 11. მუსხელიშვილი – მაგისტრი მექანიკის კათედრისა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან. 12. პროფესორი გოგიტიძე – ოდესის უნივერსიტეტიდან. 14. დოცენტი ყიფშიძე. 15. პროფ. გაბრიელ ღამბარაშვილი – მოსკოვის უნივერსიტეტი.³¹³

კიევის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის პროფესორმა არსენ ბიქტორის ძე სტარკოვმა გამოთქვა თავისი სურვილი საქართველოში მუშაობისა უნივერსიტეტში ან სხვა რაიმე სპეციალურ დაწესებულებაში. თანაც დასძინა, რომ შეისწავლის ქართულ ენას და ეს უკანასკნელი მისთვის სრულიად არ არის საძნელო... მოსკოვის უნივერსიტეტში იგი კითხულობდა ლექციებს ტოპოგრაფიულ ანატომიაზე და ოპერატიულ ქირურგიაზე. მცოდნე არის ოთხი ენისა: ინგლისუ-

³¹³ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №719, ფურც. 7

რი, ფრანგული, გერმანული, იტალიური. ქართული ენის შესავლისა და საქართველოში მუშაობის მოსურნე არის აგრეთვე საბებიო და გინეკოლოგიის პროფესორი კიევის უნივერსიტეტიდან – ბრაუნი.³¹⁴ პროფესორებს გარდა არიან მსახიობები: ალ. დოლონაძე (ბარიტონი პეტროგ-რადიდან), 2. სიხარულიძე (ბარიტონი მოსკო-ვიდან), 3. ივ. პეტ. ფალიაშვილი (დირიჟორი ხარკოვიდან), 4. ვახტანგ მჭედლოვი (რეჟისორი), 5. მარჯანოვი ვოსტანტინე (მოსკოვი), 6. სუმბათაშვილი-იუჟინი (მოსკოვი), 7. ჩაგიანი ნიკ. (ტენორი პეტროგრა-დიდან). 8. თარხან-მოურავი (თარხნიშვილის ასული) იყო იტალიაში.³¹⁵

1919 წლის 4 ივნისს განათლების მინისტრი მიმართავს მინისტრთა საბჭოს: „უნივერსიტეტის პროფესორებს გარდა ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებულ ჯილდოსა თვეში 900 მანეთი, არავითარი ჰონორარი არ აქვთ და იძულებული არიან დაკმაყოფილდნენ ერთხელ განსაზღვრული ჯამაგირით და სწორედ ამან შეჰქმნა ასეთი მდგომარეობა, რომ უნივერსიტეტის პროფესორები დღეს გაცილებით ნაკლებს ღებულობენ, ვიდრე საშუალო სკოლის მასწავლებელნი... მოვახსენებ რა ზემოაღნიშნულს მინისტრთა საბჭოს, ვშუ-

³¹⁴ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. #719, ფურც. 17

³¹⁵ იქვე, ფურც. 27

ამდგომლობ, რათა დამტკიცებულ იქმნას მიმდინარე წლის 1 ივნისიდან ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესანახავად და ახალ განყოფილებათა მოსაწყობად 1919-1920 წლის განმავლობაში 4480 076 მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე უნივერსიტეტის პირად შემადგენლობისათვის დამატებით ჭილდოდ მისაცემად 172 635 მანეთი“.³¹⁶

1919 წელს საქართველოს ხელისუფლებამ საზღვარგარეთ გაგზავნა სტუდენტები განათლების მისაღებად. განათლების გავრცელების თვალსაზრისით შედარებით ჩამორჩენილი იყო სამუსლიმანო საქართველო. „ქობულეთის ხეობის სამუსლიმანო საქართველოს არ ყავს მომზადებული კანდიდატები ამ უდიდეს საქმისთვის, მაგრამ რადგანაც, ქობულეთის ხეობაში არიან მუდმივ-მკვიდრნი მცხოვრებნი ქართველი ქრისტიანები, ისევე ჩვენი მკვიდრი ძმები, რომლის შვილები ჩვენშივე არიან დაბადებულნი და აღზრდილნი, უმუშავნიათ ჩვენთან მხარდამხარ, კარგად იციან ჩენი ზნე-ჩვეულებანი, ამისთვის განვიზრახეთ აღვძრათ შუამდგომლობა საქართველოს რესპუბლიკის წინაშე იქმნეს გაგზავნილი საზღვარგარეთ უნივერსიტეტში ქობულეთელი ქართველი ქრისტიანი

³¹⁶ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №455, ფურც. 65

სტუდენტები, რომელსაც შეუძლია დაბრუნდეს ისევ ჩვენს ქობულეთის რაიონში“.³¹⁷

უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვა გამოიყურებოდა შემდეგნაირად: პროფესორი ჯამაგირი – 900 მანეთი, რექტორის – 1350 მან. დეკანი – 1200, ფაკულტეტის მდივნის – 1100, ლექტორების – 500, გამგეობის მდივან მნიგნობარს – 600 მანეთი. ორის მაგიერ ერთი თანაშემწე – 500, დაბალ მოსამსახურეთ – 250 მანეთი. უნივერსიტეტიდან დატოვებ. – 300 მანეთი და თუ ესენი უცხოეთში გაიგზავნებიან 600 მანეთი.³¹⁸

1918 წლის 25 იანვარს პრესაში გამოქვეყნდა უნივერსიტეტის მასწავლებელთა პირველი შემადგენლობა: რექტორი – პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი – პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, მდივანი: პროფ. იოსებ ყიფშიძე, პროფესორები: ანდრია ბენაშვილი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი. პროფესორთა მოადგილეები: ანდრია რაზმაძე, სვიმონ ავალიანი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე. მეცნიერ ხელმძღვანელები: ექვთიმე თაყაიშვილი, იუსტინე აბულაძე. ლექტორები: ელისაბედ ორბელიანი (ფრანგული ენა), არტურ ლაისტი და

³¹⁷ სცსა, ფ. 1935, აღწ. 1, საქ. №4, ფურც. 7

³¹⁸ სცსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. №245, ფურც. 12

ილია ყიფშიძე (გერმანული ენა), ვანდა ღამბაშიძისა (ინგლისური ენა).³¹⁹

1918-1919 სასწავლო წელს უნივერსიტეტში სწავლობდა 900 სტუდენტი და მსმენელი. თითოეული სწავლის ქირას იხდიდა წელიწადში 200 მანეთს, რაც შეადგენდა სულ 180 000 მანეთს.

1919-1920 სასწავლო წელს კი ირიცხებოდა 1801 სტუდენტი და 79 თავისუფალი მსმენელი. ფაკულტეტის მიხედვით სტუდენტთა ეს რაოდენობა ასე ნაწილდებოდა: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე იყო 496 სტუდენტი და 63 თავისუფალი მსმენელი, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე 578 სტუდენტი და 16 თავისუფალი მსმენელი (ამასთან სამეურნეო დარგზე 311 სტუდენტი და საექიმო ფაკულტეტზე – 727 სტუდენტი).³²⁰

უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო გამოცემათა გვერდის მიხედვით სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდებოდა 600 ცალის რაოდენობით, ხოლო სახელმძღვანელო ფაკულტეტის მოთხოვნილების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს 1200 ცალისა. თუ ავტორი მოისურვებდა, მას შეეძლო საკუთარი ხარჯით

³¹⁹ ა. სონდულაშვილი, ქართული კულტურა და ინტელიგენცია, 1917-1937, თბილისი, 2008, გვ. 14-15

³²⁰ იქვე, გვ. 21-22

შეძენილ ქალაქადზე მეტი ტირაჟით დაებეჭდა. უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ნაშრომში, თუ გამოკვლევა ორიგინალური იყო ავტორი შემოსავლიდან ჰონორარის სახით ნახევარს იღებდა. თარგმანის ან იგივე სამუშაოს უნივერსიტეტის ხარჯით შესრულების შემთხვევაში, ავტორი ჰონორარის ერთ მეოთხედს იღებდა. შემოსავლის დანარჩენი ნაწილი უნივერსიტეტის საკუთრებას შეადგენდა.³²¹

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მოაწყო გამოფენა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებისა. ამ გამოფენას ქონდა ორგვარი მნიშვნელობა: „ერთი საკულტურო, რომელიც ცხადყოფს, თუ როგორ განვითარდა მეექვსე საუკუნიდან მეჩვიდმეტე საუკუნემდის საქართველოში ხუროთმოძღვრება და რა უაღრეს სიმშვენიერემდის მიაღწია ქართულმა რიგმა /სტილმა/. მეორე – პოლიტიკური მნიშვნელობა მომენტისათვის. ვინაიდან აქ არის განსაკუთრებით წარმოდგენილი შესანიშნავი ძეგლების ნიმუშები სამაჰმადიანო საქართველოსა, იმ საქართველოსა, რომელიც დღეს ოსმალების და სომხების ხელშია და რომელიც სავანე იყო ჩვენი კულტურისა. ჩვენს უფლე-

³²¹ ა. სონღულაშვილი, ქართული კულტურა და ინტელიგენცია, 1917-1937, თბილისი, 2008, გვ. 55

ბას ამ მხარეებზე ყველაზე უფრო მჭევრმეტყველურად
ეს ძეგლები ამტკიცებენ“.³²²

რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტს: უნივერსიტეტში ირიცხება 1. 801 სტუდენტი და 79
თავისუფალი მსმენელი. ფაკულტეტების მიხედვით ეს
რიცხვი ასეა გადანაწილებული: სიბრძნისმეტყველე-
ბის ფაკულტეტზე ირიცხება – 496 სტუდენტი და 63 თა-
ვისუფალი მსმენელი. სამათემატიკო-საბუნებისმეტ-
ყველო ფაკულტეტზე ირიცხება – 578, /ამათგან სამე-
ურნეო დარგზე ირიცხება 311 სტუდენტი და საექიმო
ფაკულტეტზე ირიცხება 727 სტუდენტი. სულ ნამდვილი
სტუდენტი: 1801 და 79 თვისუფალი მსმენელი... 1919-
1920 სასწავლო წელს ტფილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტს უნდა შემოუვიდეს: შემოწირულობის სახით
– 75. 000 მან. და სწავლის ფულის სახით 525 000 მანე-
თი.³²³

³²² სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ, №587, ფურც. 45

³²³ სცსა, ფ. 1935, აღნ. 1, საქ. №54, ფურც. 34

დასკვნა

1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი. ნაწილი მეცნიერებისა აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთს დადებითად, ნაწილი კი უარყოფითად აფასებს. ფაქტი ერთია, 1918-1921 წლებში ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და 117 წლის მანძილზე დაკარგული დამოუკიდებლობის შემდეგ საზოგადოება თავისუფალ ქვეყანაში იწყებს ცხოვრებას და რაც მთავარია, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება ძალღონეს არ იშურებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განვითარებისთვის და სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის.

1918-1921 წლებში განხორციელდა არაერთი რეფორმა, რომელსაც შედეგად საქათელოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და რელიგიური გარდაქმნები უნდა მოყოლოდა. განათლების საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

XIX საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ მთავარი დარტყმა ქართულ ენასა და

მართლმადიდებელ ეკლესიას მიაყენა, რაც მათი რუსიფიკაციით გამოიხატა. XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმებს, რაც გამოწვეული იყო გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარებით, მოჰყვა რეფორმები განათლების დარგშიც, მართალია, თვითმპყრობელობა იძულებული იყო გაეხსნა სკოლები, გაეზარდა მათი რიცხვი, მიეცა ცოდნის ერთგვარი მინიმუმი ახალგაზრდობისათვის, მაგრამ ეს იმდენად, რამდენადაც აუცილებელი იყო გაბატონებული ფენებისათვის, მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის. გარდა ამისა, სკოლას რუსეთის ხელისუფლება თვლიდა თავისი პოლიტიკის გატარებისა და არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცების იარაღად. განათლების სისტემას ის აკისრებდა პოლიტიკურ ამოცანებს, რომელსაც უნდა აღეზარდა თვითმპყრობელობის მონა-მორჩილი და ერთგული ადამიანები, გაერუსებინა არარუსი მოსახლეობა, ეწარმოებინა ბრძოლა რევოლუციური იდეების წინააღმდეგ. შესაბამისად, სახალხო განათლების ორგანოებს უფრო პოლიტიკური ფუნქცია ეკისრებოდა, ვიდრე კულტურულ-საგანმანათლებლო.³²⁴

³²⁴ ს. სიგუა, ნარკვევები სახალხო განათლებისა და პედაგოგიურ იდეათა განვითარების ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1979, გვ. 22

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობის აღგენის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების-თვის ბრძოლა და შემდეგ უკვე თავისუფალი სახელ-მწიფოს მშენებლობა მარტივი არ ყოფილა. ეს პრო-ცესი დიდი დაძაბულობის და დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა.

სხვადასხვა სახის წყაროთა ბაზის შესწავლის სა-ფუძველზე შეფასებულია შემდეგი საკითხები: ქართუ-ლი ენა და განათლება, ეროვნული ეკონომიკის განვი-თარების კავშირი საგანმანათლებლო სისტემასთან, სხვადასხვა სოციალური ფენების და ჯგუფების მი-მართ ხელისუფლების და კერძოდ, საგანმანათლებ-ლო სფეროს წარმომადგენლების პოზიცია, ეროვნუ-ლი უმცირესობების, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურ-თიერთობის პრობლემები. ცალკე ადგილი ეთმობა სა-განმანათლებლო პროექტების განხილვას და თბილი-სის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლის გაშუქებას.

საქართველოს ისტორიაში არაერთი საინტერე-სო და მნიშვნელოვანი მონაკვეთია, რომელიც დღეი-სათვის განსაკუთრებული შესწავლის და შეფასების ობიექტია. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკა-ვია 1918-1921 წლების მოვლენებს. აღნიშნული ქრო-

ნოლოგიური პერიოდის შესწავლას დიდი ყურადღება მიექცა საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როდესაც ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა თავისუფალად ეწერა სასურველ პერიოდზე და ღიად დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრებები. დემოკრატიული რესპუბლიკის ხანას არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა მიეძღვნა და მათ შორის განათლების საკითხებს, თუმცა როგორც განხილული მასალა მოწმობს ჩვენს მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურის, ბეჭდური მედიის და საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე მონოგრაფიულად შეგვესწავლა საგანმანათლებლო სისტემა 1918-1921 წლებში.

INTRODUCTION

The study of the issue of education within different chronological framework occupies an important place in Georgian historiography. Many research works have been created in this direction. However, due to the topicality and importance of the issue, the present research aims to study the influence of education on 1. the national liberation movement, 2. national identity, and 3. social rapprochement processes.

The aim of the work is to identify: 1. The factors that contributed to the urgency of the educational system; 2. The function of education, which was acquired in 1918-1921; 3. The role of education in strengthening national consciousness and drawing different social strata together 4. The measures were taken by the Georgian cultural and political elite for reviving the educational system 5. The factors proceeding in Russia and, in general, in Europe that had an impact on the struggle for development of the educational system; 6. The challenges of the epoch.

Why 1918-1921? 1. From the second half of the XIX century, Georgia faced new challenges. On the one hand, it had to overcome the problems arisen from the collapse of the feudal system and establish itself in a new socio-economic environment and, most importantly, continue to fight for state independence of Georgia in a different way: to apply knowledge, education, self-discipline instead of armed demonstrations. Its demand had to be appropriate to the interests and capabilities of Georgia and the epoch. 2. On the other hand, this was the period when a part of the Georgian cultural elite

tried to propagate nationalism, to raise knowledge, to get acquainted with the history of the country in wider layers of the society, to idealize the past, to awaken the awareness of the protection of national values. 3. New social strata have emerged since the 1890s: the proletariat and the bourgeoisie, laying the groundwork for the formation of various political parties that had their own visions for independence and the future development of Georgia. This is the period of struggle for the formation of the national idea, for freedom, which became the basis for the restoration of Georgia's state independence in 1918. Based on the above indicated, the study of this problem is still relevant, because:

1. In the modern period, great importance is attached to the factor of education, having a high profile in the formation of public thinking. The issue of studying education is important not only for the dissemination of knowledge but also for the development of national consciousness and the formation of state thinking.

2. Today, when the issue of nationalism is so relevant and various theoretical trends and tendencies have been created, some theoretical trends such as modernism, pay great attention to the factor of education in the formation of a modern nation. Thus, it's worth studying one of the important stages of the history of Georgia namely 1918-1921 years, from the point of the educational system.

3. Such an approach to the problem is new and the findings of the research will allow us to set forward the need for an educational process, in accordance with the new needs of the epoch, not only as a means of disseminating knowledge

to the population but also as a key factor in maintaining the national consciousness of the whole Georgian nation.

It's interesting to identify the key factors that contributed to the rise of a point in this regard. Proceeding from the above mentioned, the presentation of education in that form was a definite project aiming at the freedom of Georgia. **1. The role of education in the process of the national-liberation movement** – the establishment of the capitalist system contributed to the formation of new social classes: the proletariat and the bourgeoisie. The removal of serfdom significantly changed the political, social, and economic system. New demands and challenges have emerged in the new environment. Not only the proletariat and the bourgeoisie but the whole society underwent fundamental transformations. Especially since the national liberation movement in Europe in the XIX century was quite strong, which led to the formation of nation-states. Georgia perceived these changes differently. As an occupied part of the Russian Empire, it was naturally influenced by the ongoing events there. While the process of nation-building was underway in Europe, Georgia was looking for new ways to fight for freedom. The Georgian cultural and political elite, via raising public awareness, tried to create a common Georgian space and involve all social strata equally in the struggle for independence. This process was in progress from 1918-1921. Therefore, it is important to raise a point and analyze how the process of the national movement was manifested.

2. The role of education in the process of strengthening national identity – after the abolition of state independence of Georgia by the Russian Empire and the fact that the

main object of loyalty of the Georgian nation – the king no longer existed, the autocephaly of the Georgian Orthodox Church was abolished also and the representatives of the clergy faced serious obstacles for the realization of right established over the centuries. It is noteworthy, that the clergy have always been the main link with the people and the bearer of national ideas. After the deprivation of that right, Russia still failed to completely eliminate the centuries-old union between the people and the church. Thus, it became necessary to create a new body that would facilitate communication with the people and, most importantly preaching national ideas. A new epoch brought to the school, in addition to being an educational institution, new needs. Therefore, it became necessary to identify: 1. The role and methods of the Georgian cultural elite in demanding education in the Georgian language. 2. The approaches facilitating the economic education and raise of national awareness through schools and the involvement of all social strata in the struggle for freedom.

3. The issue of rapprochement of social strata – the abolition of serfdom resulted in the establishment of the capitalist order. The new economic form has led to some changes in the social system. New social classes were formed: the bourgeoisie and the proletariat. In fact, the nobility was in danger of disappearing. That process was carried out in stages. The peasants' functions were limited, and it was difficult for them to establish themselves in a different environment. The non-Georgian bourgeoisie, which was a materially powerful force, was less interested in the future of the Georgian nation, while the proletariat was initially obsessed with class

consciousness. All this had a negative impact on the unity of the Georgians, so it became necessary to have a strong ideology around which all Georgians would unite.

As it is known, a new stage in the development of the national idea in Georgia begins in the second half of the XIX century, when the „Samotsianelebi” (the sixties) came to power under the leadership of Ilia Chavchavadze and their main goal was to preserve the slogan established by Ilia: "Fatherland, Language, Faith". That was an idea that, in fact, completely accompanied the struggle of the cultural and political elite- the leading part of the Georgian society in the second half of the XIX century. They strived for raising national awareness among the wider strata of the population and national freedom. It should be mentioned initially, that the slogan -"Fatherland, Language, Religion", established by Ilia as an exclusive slogan, has always been on the agenda at different stages of history due to the needs of the epoch. However, in some cases, any part of the slogan was brought to the forefront and played a defining role. In 1918-1921, each symbol acquired importance and occupied a special place in independent Georgia. Proceeding from the above mentioned the object of the research is the following:

The period of the First Republic is one of the most difficult periods in the history of Georgia. On the one hand, the ideological forms of the national movement were being formed and developed, the primary expression of which was an educated society, aware of the history of its own country. As it has been already mentioned, the process of the national-liberation movement starting from the 50s of the XIX century was aimed at the formation of an educated and conscious society

imbued with the national idea. The logical continuation of these processes was the current events of 1918-1921. Independent Georgia took the path to the West and its goal was the Europeanization of various spheres of the country, and among them, a special place was occupied by the education factor.

The state of Georgia clearly manifested its goal at the March 12, 1919 meeting of the Constituent Assembly, where Alexander Lomtadze declared: "We want to leave Asia and join the family of common peoples of Europe, and with our own strength and the help of others, if we deserve this help from anyone, to become a full member of the common family of peoples of European states and European democracies. We want everyone to understand it and show consideration. I think the European states whose representatives are here today, the United Kingdom, famous for its democratic constitution, France, the cradle of the great revolution, democratic Switzerland, great America, give it a proper account. "They will do it, and indeed we will play our part in carrying out this humane slogan, by virtue of which a small nation and its democracy must be allowed to decide its own destiny".³²⁵

Proceeding from the above mentioned the object of the research is the following:

Nikoloz Trubetskoi wrote: "We must realize that Georgian nationalism acquires only harmful forms to the extent that it is imbued with the well-known elements of Europeanism. Thus, the correct solution to the Georgian question is possible only in the conditions of the origin of true Georgian natio-

³²⁵ Central Historical Archive of Georgia, (hereinafter referred to as STSA), p. 1833, ref. 1, Sak. № 81, p. 4

nalism, or the special Georgian form of Eurasian ideology".³²⁶

L. Botsvadze denoted in the journal- "Education" in 1917: "Initially, public schools should necessarily follow the path of comprehensive education in our country, but not in the way it is accomplished today, but in a different way. Georgian public education requires enhancing the learning process at schools, as well as the selection of school subjects, the complete reorganization of the school, the expansion of the curriculum, the education in the Georgian language, the observance of sound pedagogical principles, and the rapprochement of school with life. If we want the comprehensive school in general and the public school, in particular, to scrupulously serve the cause of education, it should be arranged in accordance with local conditions as it is in the advanced countries. Europe and America set the best example in this regard as well. "What constitutes the development of a child's natural talent in European and American schools has either been completely rejected in Georgian and Russian schools, or they are only now trying to renovate schools in this way".³²⁷

There is interesting information about the importance of the educational factor in theoretical literature. According to some scholars, raising education to the forefront has given rise to nationalism. Benedict Anderson in his work „Imaginary Societies”, searches for the fundamentals of nationalism in the eighteenth-century European "printed nationalism." "Until the

³²⁶ N. Zazanashvili, *Russophobia, or Poetic Imperialism from Lomonosov to Evtushenko*, Tbilisi, Artanuji, 2017, p.

³²⁷ L. Botsvadze, *Public School and Vocational Education*, Journal, Education, 1917, № 2, p. 89

eighteenth century, there was little sense of national unity, except for a generalized understanding of allegiance to the throne. Due to the emergence of large-scale printed speech in the native language and, consequently, the spread of literacy among the masses, ordinary people were for the first time given the opportunity to identify themselves with other people whom they had never seen or never met. This process was facilitated by the publishers, who, in order to make a profit, tried to expand the market and, consequently, increase the level of literacy among the citizens. The rapid spread of ideologies also contributed to the further strengthening of such groupings. Ideologies divided peoples according to languages, cultures and the historical past, full of self-sacrifice and other heroic deeds for the homeland".³²⁸

The first decades of the nineteenth century, conventionally, was a period of time when talking about the professionalization of history was feasible. By the middle of the century, there were twenty-eight professors of history occupied at nine universities. Sixty years later, history was taught by about 185 professors. Their number was increasing until the 1930s, and in 1931 it topped its peak to 238 professors of history.³²⁹

In 1870 there were 52,000 students in American universities, which increased to 1,100,000 in 1930; More importantly, large public and private universities underwent major reorgani-

³²⁸ Ted Levellen, *Political Anthropology*, Introduction, Third Edition, Tbilisi, University Press, 2017, p. 224

³²⁹ *How to Write History*, Introduction to the History and Practice of Discipline, editors Peter Lambert and Philip Scofield, Introductory Letter, General Editing of Translation, Comments by Mariam Chkhartishvili, Tbilisi, Ivane Javakishvili Tbilisi State University Press, 2017, p. 32

zations to introduce new disciplines and new modes of search. Instead of the traditional blend of ancient Roman and Greek studies, mathematics, and "philosophy," which was reflected in the pre-war American College Syllabus, the Reformed universities offered students a wide spectrum of "elective" subjects, including history. The student had to choose the desired discipline from those subjects. Undergraduate subjects became more intensive and specialized. That is why they needed the staff of more specialized professors.³³⁰

As Gustave Le Bon indicated in his work – “The Psychology of Nations and Crowds”- "In any epoch, among the ideas having powerful and decisive importance (often illusory in nature and scanty in number) priority should be given to education, for it changes people noticeably and makes them so noble that it can even create equality. Through teaching and repetition, this principle has become one of the most unshakable dogmas of democracy and is now as inviolable as the dogmas of the Church were".³³¹

Owing to teaching and repetition, this principle has become one of the most unshakable dogmas of democracy and is now inviolable like the dogmas of the Church used to be.

The author criticized the educational system of that period: “The main danger of this educational system (quite rightly called the Latin system) is that it relies on the basic

³³⁰ How to Write History, Introduction to the History and Practice of Discipline, editors Peter Lambert and Philip Scofield, Introductory Letter, General Editing of Translation, Comments by Mariam Chkhartishvili, Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2017, p. 47

³³¹ Gustav Le Bon, Psychology of Nations and Crowds, Tbilisi, Mtatsmindeli, 2013, p. 177

psychological error as if the oral teaching of textbooks develops intelligence. Due to this belief, students are forced to learn as much as possible. The young person in elementary school has to memorize books so that neither his judgment nor his initiative can be developed in any way before getting a master's degree. The whole lesson for him is to respond orally and be persuasive. "Learning lessons – wrote one of the former ministers of public education, Jules Simone, – oral knowledge of the concept of grammar, good repetition or imitation – this is a deplorable educational system, where every effort is made to strengthen the teacher's faith in innocence and make us powerless and subordinated".³³²

As Anthony Smith believed: „Civic education is the most important sign of both territorial nationalism and the identity it seeks to create. Those who follow this process often notice how seriously the regimes of the new states begin to fight for primary, and sometimes secondary education for the entire population. The content of this education in territorial nations is also important. If the curriculum is secular and Western (except for some Islamic states), it is clearly "civil" in nature. This means that education is intended for the benefit of both national unity and the individual. Even greater attention is paid to the service that an individual must perform throughout unity and the responsibilities that he owes to that unity. It is possible that these ideas are not directly stated, i.e. they are not

³³² Gustav Le Bon, *Psychology of Nations and Crowds*, Tbilisi, Mtatsmindeli, 2013, P. 178-179

doctrinal teachings, but instead, there is a social will to implement them".³³³

As it has been already mentioned, during the Russian rule, the promotion of care for the activation of the educational system was limited, and the part of the Georgian society that purposefully cared for the solution and development of this problem was deprived of their rights. From 1918 a completely new phase begins in this direction. After the declaration of independence of Georgia, the Ministry of Education of the Democratic Republic of Georgia was established instead of the Ministry of Public Education of the Transcaucasia. Socialist-Federalist Giorgi Laskhishvili was appointed the Minister of Education. The new minister also abolished the Transcaucasian Educational District, the directorates of public schools of Tbilisi and Kutaisi provinces, the Tbilisi Women's Institute, the Tbilisi Military Gym-nasium (Cadet Corps), and began reorganizing of educational institutions. Three positions were established in the Ministry: 1. Head of High and Secondary Schools; 2. Head of Public Schools and 3. Head of Vocational and Technical Schools.

The Ministry maintained the Institute of Public School Inspectors to supervise local schools. The ministry had a council consisting of a minister, his deputy, three heads of state schools, the director of the Chancellery of the Ministry, a representative of the city, and Tbilisi State University, persons whom the Minister deemed necessary to convene. The nineteen people served in the Chancellery of the Ministry. The director

³³³ E. D. Smith, *National Identity*, translated by Lela Pataridze, Tbilisi, Logos Press, 2008, p. 148

of the Chancellery was Vukol Beridze; the chief clerk was Maxime Berdznishvili. The proceedings were conducted in the state language. On September 6th, 1918, the staff of the Ministry was approved by the Parliament of Georgia. The ministry had 56 employees in total, many of whom were well-known scientists, writers, and public figures. Vukol Beridze, Dimitri Uznadze, Grigol Robakidze, Giorgi Chum-buridze, Alexander Mikaberidze, Konstantine Abashidze, Maxime Berdznishvili, and others were among the employees of the Ministry.

The post of the Minister of Education in 1920-1921 was held on a part-time basis, initially by the Minister of Internal Affairs Noah Ramishvili, then the Minister of War Grigol Lortkipanidze. The Ministry set up two commissions to complete the nationalization of schools, and develop curricula for new types of secondary and primary schools. A 10-million fund has been allocated from the government of the Ministry of Education. The accomplishment of compulsory primary education began. The Transcaucasian Commissariat started the process of nationalization of primary schools which was completed in 1918 and for the next two years, other types of schools were also nationalized. For the successful implementation of the set goals, the Ministry created temporary summer courses for teachers, established terminology sections with the courses, which developed terms for various subjects before the textbooks were published for the Georgian schools. Rusudan Nikoladze worked on compiling the technical terminology. In addition to nationalization, which stipulated the teaching of basic curricula in Georgian, the government left

national minorities with the right to be taught in their own language. However, the Georgian language and literature, Georgian history, and geography were considered essential subjects in national minority schools. The Ministry established examination courses in Tbilisi and Kutaisi for identification of the professional skills of acting teachers, in case of absence of a certificate, confirming their full higher education.

In 1918-1919, the Ministry of Education of the Democratic Republic of Georgia included the following school-educational institutions:

1. Tbilisi University; 2. The Transcaucasian Private University; 3. Polytechnic School; 4. Conservatory; 5. Observatory; 6. Caucasus Museum; 7. Master Institute; 8. Master Seminary; 9. Gymnasium for boys; 10. Gymnasium for girls; 11. Technical high school; 12. Commercial school; 13. Technical school; 14. Workshop school; 15. Higher primary educational institutions; 16. Primary school, 17. Private secondary school.³³⁴

As it has been already mentioned, a completely new stage of education started in 1918. "Educational reform and further reorganization of schools envisaged introducing universal, free, compulsory education; raising the spiritual life of people and merging of traditional and modern, advanced pedagogical methods; the total nationalization of schools; the opening of new schools for national minorities (where significant place would be allotted to teaching the Georgian language and literature and the history of Georgia); Establishment of vocational and technical schools, and higher

³³⁴ <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/>

educational institutions and scientific institutions, sending teachers and students abroad for professional qualification".³³⁵

The above-indicated issues have been explored in this monograph.

³³⁵ D. Chumburidze, Education in 1918-1921, Tbilisi, 2000, p. 8-9

FIRST CHAPTER

GEORGIAN LANGUAGE, RAPPROCHEMENT PROCESS OF SOCIAL STRATA AND EDUCATION

The struggle for the Georgian Language in the nineteenth and early twentieth centuries Georgia became the main issue of the national liberation struggle of the Georgian people. non-teaching, its status in the school, completely went beyond the sphere of The question of the Georgian language, the teaching of it, and pedagogical debates, especially in the mentioned period and acquired vital importance for the nation.³³⁶ Due to the resolution of 1873, the Georgian language was removed from the official curriculum of schools, and its teaching was given a private character. From 1874, those interested could study it if they wished to pay a certain fee for the subject teachers. This problem still existed in the early twentieth century. Actually, the issue of the Georgian language always accompanied the struggle of the national-liberation movement of the Georgian nation. The reduction of rights of the Georgian language by the Russian authorities was not accidental, as “the main root of cultural life is the language. The mother tongue is the soil on which the normal, cultural growth and development of the people emerge. Therefore, education should be carried out in the native language. This is a necessary condition, without which it is impossible for educational institutions to

³³⁶ F. Gogichaishvili, *Selected Writings*, Vol. 1, Tbilisi: Soviet Georgia, 1974, p. 17

operate, and it is a basic requirement of the pedagogy of this time and all times".³³⁷

As known, language occupies one of the main places among the national characteristics. The Georgian language always played a unifying role in the life of the Georgian nation. During that period, the schools were imposed a national function through which a common national consciousness was formed. "The state and public interests unite both moral and mental development of masses of people, as well as their material well-being, based on education. Education raises the power of people and multiplies wealth. The ignorance of the people is their misfortune that impacts every aspect of the life of the individual, society, and state. Mental state education and, accessible to all, primary education is the basis of the country, which ensures material and mental well-being".³³⁸ Out of all the national issues, the issues of the national school, language, and culture are undoubted of the utmost importance, since national upbringing, language, culture – are the factors in the life of a nation, unifying different parts of the nation and giving the nation the right of existence.³³⁹ This required bringing and uniting all social strata closer together for a common reason. "It is time to realize that standing apart of different ranks of our nation: peasants, nobles, merchants, military, and others, cannot contribute to problem resolution. Therefore, it is time to immediately shorten the wings of those causes threatening the

³³⁷ Journal, Education, 1908, № 1, p. 9

³³⁸ Journal, Traveler, 1903, № 11-12, p. 662

³³⁹ Nationalism and Democratic Interests, Tbilisi, p. 2

nation's unity".³⁴⁰ The rapprochement of various strata of society, according to the publishers of the magazine "Traveler", could be achieved when "We carry out agricultural work with the help of our rustic/ignorant peasant; help him humanely to stand by in the work he has been doing for thousands of years; when we sit and drink tea together with him".³⁴¹ The rapprochement of the social strata was directly related to the formation of common national consciousness. A sense of solidarity would make it easier for members of the union to fight for one cause: "First of all, our people need to have a clear and unambiguous view of the conditions and means of improving their lives, so that every social action of ours to be one soul and one flesh".³⁴² The interest in social issues in the print media was not accidental, which can be explained by the following circumstances:

There must have been a rapprochement, between the members of the new free strata formed after the abolition of the serfdom in 1864. 2. The struggle for freedom would be impossible/unbelievable without common national interests, and the rapprochement of social strata was a necessary precondition. As at the beginning of the XX century, so in 1910's the problem did not lose its urgency. In the newspaper The Community, we read: "We raise issues, or we touch on what has already been raised, we will only take into account the welfare of the nation, in the first instance, we will take into consideration the condition of our working people. It is the

³⁴⁰ Journal, Traveler, 1904, p. 167

³⁴¹ Journal, Traveler, 1903, N° 1-2, p. 9

³⁴² Ibid., P. 795

essence of our Nation's cultural renewal, on which we base our hopes, our future. We must spread learning and help people to assimilate cultural resources in the face of difficult economic conditions and, in general, contribute to its advancement and mental prosperity”³⁴³.

